ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნა

9

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მკითხველო!

ვიმედოვნებთ, ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული აზროვნების განვითარებაში „ცისკრის“ განსაკუთრებულ როლს ხაზგასმა არ სჭირდება. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ იმ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ნაწარმოებთა უმეტესობა, რითაც დღეს ამაყობს ქართველი ხალხი, „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. არცოუ შორეულ წარსულში ეს რედაქციის მხრიდან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ხშირად უსიამოვნებანიც მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, „ცისკარი“ თავისი ეროვნული მისიის ერთგული რჩებოდა; დაარსების დღიდან, აგერ, სამ ათეულ წელზე მეტია, შეფარვით თუ აშკარად იბრძვის თავისუფალი აზრის დამკვიდრებისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

დღეს, საერთო ეკონომიკური კრიზისისა და პოლიტიკური ქაოსის ვითარებაში ყველას და ყველაფერს არაებობის უმძიმესი ჟამი დაუდგა. საფრთხე ემუქრება „ცისკრის“ არსებობასაც, მომავალი წლიდან იზრდება ჟურნალის სასტამბო ხარჯები, დატარებისა და რეალიზაციის ღირებულება, შესაბამიად იმატებს ჟურნალის ფასიც.

ამ მდგომარეობიდან „ცისკრის“ ხსნა ისევ მკითხველის თანადგომასა და მხარდაჭერას შეუძლია. თუ „ცისკრის“ ათიათასობით მკითხველი გულს არ აიცრუებს თავის საყვარელ ჟურნალზე, მისი არსებობის გადასარჩენად ცოტას კიდევ გაიჭირვებს და ხელმწიფეს ვააფორმებს მომავალი წლისათვის, ჩავთვლით, რომ ჩვენ ათმაგად ვართ დავალებული მკითხველის წინაშე, ამ ვალის გადახდა კი ახლის ძიებით, ცხოვრების კვალდაკვალ სიარულით და ჭეშმარიტად ღირებული მასალებია გამოქვეყნებით შეიძლება.

ჟურნალია სარედაქციო პორტფელში დღეისათვის რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები მოგვეპოვება.

მომავალ წელს დაიბეჭდება ცნობილი მწერლის, ყოფილი პოლიტპატიმრის გივი მალულარიას ახალი რომანი, აკაკი ვასაძის რომანი, რომელიც ასახავს 1956 წლის მოვლენებს, გამოვაქვეყნებთ ახალგაზრდა მწერლის ზაზა ენუქიძის რომანს, მასში ასახულია დღევანდელ საბჭოურ არმიაში გაბატონებული არაადამიანური რეჟიმი. შემოგთავაზებთ ლევ ტროცკის ცნობილ ნაშრომს „სტალინი“, რომლის ბეჭდვა „ცისკრის“ პირველი ნომრიდან დაიწყება. დაიბეჭდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი რუსი მწერლის ვასილი გროსმანის ვრცელი მოთხრობა „ყველაფერი იცვლება“, გამოვაქვეყნებთ გასართობი ხასიათის მასალებს — ქართულ და საზღვარგარეთულ ანეკდოტებს, ჰოროსკოპებს და სხვა.

გაგრძელდება ქართული ემიგრანტული ლიტერატურის საინტერესო ნიმუშების გამოქვეყნება, შემოგთავაზებთ საუბრებს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოძრაობათა წარმომადგენლებთან. მკითხველთა გამოხმაურებებს, აზრებს და წინადადებებს გამოვაქვეყნებთ ცალკე რუბრიკით.

ძვირფასო მკითხველო!

წინასწარ გიხდით მადლობას ჩვენი ჟურნალის გამოწერისათვის.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკე

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

9

სექტემბერი

1990

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, ᲐᲒᲘ. გამოცემის ᲐᲒ-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

3. გრიგოლ აბაშიძე — შაკაცური აული (მეომრის ნამბობი)
12. ზურაბ კუხიანიძე — ლექსები
16. რევაზ ჯაფარიძე — კვამლი დრუბლებს ერთვოდა, მოთხრობა
41. დოდო გვიშიანი — ლექსები
43. გიორგი ხორგუაშვილი — ლექსები
46. შაკრო სამადაშვილი — მოთხრობები
53. ალექსანდრე გაბური — ლექსები
56. ბადრი გუბუშვილი — ლექსები
59. ირაკლი კაკაბაძე — ALLEGRO, ანუ ერთი წლის ქრონიკა, მოთხრობა
101. ომარ ტერაშვილი — ლექსები
103. ზოთა იათაშვილი — „საღმოთისა სჯულისანი“, ლექსები

მთავარი რედაქტორი
იოსრამ ქემეთრელიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბივი ალსაზიშვილი
თედო ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ბივი გეგეჭკორი
დათო ვაღრაძე
რევაზ ვიშველაძე
ბიბი სულაკაური
ბორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შაბაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
ვახტანგ ხარჩილავა
ჭირონ ხერგიანი
ტარიელ ფანდურია
ფაკა ჯოხაძე

მორგელი რედაქტორი
ეთერ თვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

შკაფშრი აშლი

(მეომრის ნაამბობი)

ადამიანმა შეიძლება მთელი დედამიწის ზურგი მოიბიროს, ბევრი ლამაზი და განუმეორებელი თავისებური ადგილი მოინახულოს, იმ წუთას აღფრთოვანდეს კიდევაც, მაგრამ ეგრე რიგად არ დაამახსოვრდეს და გონებას სამუდამოდ არ ჩაებეჭდოს. თუ იმ ლამაზი ადგილების ხილვას გულისა და გონების შემძვრელი შემთხვევაც დაერთო და გადაეკეთა, კაცის მეხსიერებიდან იმ ადგილისა და შემთხვევის ხსოვნა აღარასოდეს ამოიშლება, მუდამ თვალწინ ექნება და სიკვდილამდე არ დაავიწყდება.

ქრისტების სოფლები პირველად ომის დროს ვნახე.

აგერ ჩვენი ყურისძირას მდებარე ლამაზი კუთხის ნახვას რა უნდოდა!

საკმაო იყო, მოგზაურის ჩანთა წამომეკიდა, ხელში ჯოხი ამეღო და ხევსურეთიდან ან თუშეთიდან მოსაზღვრე აულებში გადავსულიყავი.

მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე გავნვლე, არც მოგზაურის ენინთ შეპყრობილი ვყოფილვარ ოდესმე, არც სხვა ბიძგის მომცემი შემთხვევა რამ მჭონია იმ მხარის სანახავად და გასაცნობად.

დაუჯერებელსა ჰგავს, მაგრამ საქართველოდან ორი თუ სამი ათასი კილომეტრის სიშორეს ყოფნა შეიქნა საჭირო, რომ ჩვენი უახლოესი მეზობლების, ჩვენი მოსაზღვრე ქრისტების სოფლები მენახა.

გაგანია ომის ცეცხლიდან მცირე ხნით შვებულებით გამოსული მოვხვდი ინგუშთა აულებში და, ეს ისეთ პირობებში მოხდა, რომ არათუ ოდესმე დამაეიწყდება, ალბათ, არც არასოდეს მომასვენებს იმ ლამაზ მთებში ნახულისა და განცდილის ხსოვნა.

ოპერაციის შემდეგ გონს მოსული, საევაკუაციო ჰოსპიტლის პალატაში ჩემებრ მძიმედ დაჭრილ ქრისტს გავეცანი...

პოლიტხელი ყასბულათ თუთაევი ფრონტიდან მოეყვანათ და, ვიდრე მე უგონოდ ვიწექი, მისთვისაც რთული ოპერაცია გაეკეთებინათ.

ჩვენი მომჯობინება და დაახლოება ერთდროულად ხდებოდა.

მხიარული, გონებამახვილი ვაჟკაცი აღმოჩნდა და მალე დავმეგობრდით.

გატაცებით მიამბობდა თავის ქისტეთზე, მიუვალ მთებში ჩაკარგულ შშობლიურ აულზე, დედ-მამაზე და მრავალრიცხოვან და-ძმაზე.

ყასბულათს უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში დაემთავრებინა, საკვალიფიკაციო შრომის თემად ინგუშური ფოლკლორის შესწავლა აერჩია და, დისერტაცია მოსკოვშივე დაეცვა ბრწყინვალედ.

შემდეგ მშობლიურ მხარეს დაბრუნებია და ომის დაწყებამდე საოლქო გაზეთის რედაქტორად უმუშავია. პირველი დღიდანვე ფრონტზე მოხალისედ წასული ყასბულათი ბოლოს პოლკის პოლიტხელი გამხდარა.

მთიელი ვაჟკაცი მარტო სიტყვით კი არა, მამაცობითა და მეომრული თავდადებითაც მაგალითის მიმცემი გამხდარა მთელი პოლკისათვის.

ამაზე თავად არაფერს ამბობდა, მაგრამ პოლკოვნიკის გიმნასტიორზე მბრწყინავი საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი და საბრძოლო ორდენები

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭევრმეტყველურად ადასტურებდნენ პოლიტხელის ვაჟაკაცობასა და თავდადებას.

ოპერაციის შემდეგ, გონს რომ მოეგო და გარემოში გაერკვა, პირადი იარაღი მოიკითხა.

რევოლვერიცა და თქვენი სხვა, პირადი ნივთებიც უკლებლად გვაქვს შენახულია, უთხრეს. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოისვენა.

ბოლოს, იმდენად შეწუხდა და სხვებიც შეაწუხა, რომ იარაღი მოუტანეს. ვერცხლისტარიანი რევოლვერის დანახვაზე თუთაევს სახე სიხარულით გაბადრა, თვალით ანიშნა, სასთუმალთან დამიდევითო და, როცა თხოვნა შეუსრულეს, დამშვიდდა და მოისვენა.

რევოლვერი ძველებური იყო, ვერცხლის ტარი სიძველისაგან საკმაოდ ჩაშავებული ჰქონდა და, ვერ გამეგო, თუ რატომ უნდა ყოფილიყო, თითქმის ხმარებიდან გასული იარაღი ესოდენ ძვირფასი იმ მეომრისათვის, რომელსაც იოლად მიუწვდებოდა ხელი, როგორც უახლესი ნიმუშის სამამულო, ასევე ნადავლ გერმანულ რევოლვერებზეც.

გვიან, როცა ერთმანეთს კარგად გაეცანით, საიდუმლო თვითონ გამიმეღავნა:

— ეს რევოლვერი სტალინმა აჩუქა ბამაჩემს სამოქალაქო ომის ფრონტზე, — ამაყად მითხრა და მედდას თხოვა იარაღი ჩემთვის გადმოეცა.

რევოლვერი ჩამოვართვი და უმალვე მეც კრძალვა დამეუფლა.

ვერცხლის ტარზე წარწერა ამოვიკითხე:

რ ა მ ზ ა ნ თ უ თ ა ე ვ ს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა გ ა ნ.

წარწერის ამოკითხვისთანავე ლითონის ამ ფერგადასული ნაკეთობის მიმართ მორიდებითა და პატივისცემით გავიმსჭვალე.

პატრონს ფრთხილად დავუბრუნე.

— ბამაჩემს სხვა იარაღიც ბევრი აქვს სამოქალაქო ომის გმირულ დღეთა მოსაგონარად. საწოლთან, კედელზე ორჯონიკიძის ნაჩუქარი ხმალი უკიდია და, იმ ხმალს ამაღლებელი წარწერა აქვს. მაგრამ უამრავ სახსოვართაგან მამაჩემისათვის ყველაზე ძვირფასი ეს რევოლვერი იყო. სადაც უნდა წასულიყო, განუყრელად თან ატარებდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

როგორც ყველა მთიელი, მამაჩემი მკაცრი და გულმაგარი ვაჟკაცი იყო. გრძნობებს ძნელად აჰყვებოდა და გულჩვილობას იშვიათად გამოიჩენდა.

როცა ფრონტისკენ მისტუმრებდა, ცალკე გამიხმა, ხელში ეს რევოლვერი ჩამიდო და გაბზარული ხმით მითხრა:

— ნაჩუქარის გაჩუქება წესი არ არის, მით უფრო, ისეთი კაცის ნაჩუქარის, მაგრამ რაკი ომისათვის მე აღარ ვარგივარ, ცოდვაა ეს რევოლვერი უხმარად იყანგებოდეს! დღეიდან შენ გქონდეს და, ისევე ნამუსიანად გეტარებინოს, როგორც აქამდე მე ვატარე.

ეტყობოდა, მოხუცს გამოთხოვება უფრო გულღიანი და ალერსიანი უნდოდა, მაგრამ ბუნებას ვერ დასძლია, ნთქვამი უჩვეულოდ ზეაწეული და მშრალი გამოუვიდა. ეს იგრძნო, სახეზე მწარე ღიმილმა გადაურბინა, უცებ გადამეხვია და, გული რომ არ ჩაუყეროდა, უცებვე მომშორდა, პირი იბრუნა და შეტრიალდა.

ფრონტზე იარაღის მეტი რა მქონდა, მაგრამ ამ რევოლვერს არასდეს ვიცილებდი. რამდენჯერმე დავიჭერი და, დაჭრილი გრძნობას იმ დარდით ვკარგავდი, ეს იარაღი არავის აეცალა, ან არსად დამრჩენოდა!

ჰოსპიტალში სხვა რა საქმე გვქონდა, ერთმანეთს ათას რამეს ვუამბობდით. მე ჩემს საქართველოზე ვუყვებოდი, ის თავის ქისტეთზე მომითხრობდა. ორივენი ჩვენ-ჩვენს ქვეყანას ვაქებდით და, სამშობლოს დანატრებულნი, ყველა საუბარს იმით ვამთავრებდით, რომ ერთმანეთს პირობას ვართმევდით, ჰოსპიტალიდან შვებულებაში წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულები ერთიმეორეს ვსტუმრებოდით.

დრომ, ჩვენ რომ გვეჩქარებოდა, ისე სწრაფად არა, მაგრამ მაინც მალე გაირბინა. ორივემ შვებულება ავიღეთ და, როგორც დათქმული გვქონდა, გადავწყვიტეთ ერთმანეთს ეწვევოდით.

პირველად ინგუშეთს უნდა ავსულიყავით და, მარტო იმიტომ კი არა, რომ საქართველოზე ადრე, გზად ქისტეთი იყო.

ბოლო დროს ყასბულათს რატომღაც შინიდან წერილები აღარ მოსდიოდა. სახლისა და თავისიანების არაფერი იცოდა და, ერთი სული ჰქონდა, მშობლიურ აულს როდის ნახავდა.

პოლკოვნიკის ვილისში ჩავსხედით და გრძელ გზას დავადექით.

ერთი კვირა ვიარეთ.

ჩრდილო კავკასიას მივუახლოვდით და მშობლიური მთების ჰაერი რომ ვიგრძენით, დაღლილები გავხალისდით და გამოვცოცხლდით.

შორიდან უკვე ლანდად ვხედავდით კავკასიონის გრეხილებს და გული სიხარულით გვეცინებოდა.

უკანასკნელი ღამე სასტუმროში გავათენეთ. ღილით კარგა გამოძინებულები წამოვდექით, საუზმეს შევექეცით და გზას გავუდექით.

არსად შეგყოვნებულვართ. გზა ერთთავად სულ ვაკეზე მიემართებოდა და, ჩვენი ვილისი მთელი სისწრაფით მიჰქროდა.

შუადღისას დიდი ქალაქი გამოჩნდა.

— ესეც ჩვენი დედაქალაქი! — თქვა ყასბულათმა და ხელი იმ ქალაქისკენ გაიშვირა. — რაც მე და შენ ამ ომში ქალაქები ვნახეთ, იმათთან შედარებით ჩვენი სატახტო, სოფლადაც არ გამოჩნდება, მაგრამ, რას იზამ, ჩიტი სადაც გაჩნდება, მისი ბაღდადიც იქ არსო, იტყვიან და, ნამდვილად ეგრეა. ეს ჩვენი დედაქალაქი, რაც უნდა იყოს, ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი და ორი მოძმე ხალხის სატახტო გახლავთ!

მანქანა მიჰქროდა. ქალაქი ნელ-ნელა ჩვენკენ მოიწევდა, თანდათან დიდდებოდა და გამოკვეთილად ჩნდებოდა.

— ლამაზი ქალაქი ყოფილა! — აღმომხდა აღტაცება.

— ლამაზია! წყლითა და ჰავითაც საუცხოოა, მაგრამ ჩემი მშობლები მაინც ვერ შეეგუენ აქაურობას. რევოლუციის წლებში მამაჩემი რეკომის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, თუმცა ორ წელიწადსაც ვერ გასძლო აქ. დაქირა ფეხი და თავის აულს მიაშურა. ერთხელ კიდევ, საოლქო კოოპერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს. არც მაშინ დაუდგა გული ქალაქში. ვადის გასვლამდე ძლივს მიატანა. თავი მოიკლა და არასგზით მეორედ არჩევას არ დათანხმდა, თავდახსნილი, ისევ მშობლიურ კერას მიუბრუნდა და მთებში მიყუჟულ აულის მყუდროება ამჯობინა ვაკეზე გაშლილი ქალაქის ხმაურს.

— არ მიკვირს, მთიელი კაცი ვერც საქართველოში ძლებს ბარად. ეგ კი არა, ასეთი შემოხვევებიც იყო ჩვენში: ქართველი მთიელი პეტერბურგის ან ჰაიდელბერგის უნივერსიტეტს დაამთავრებდა, საქართველოში დაბრუნდებოდა და, იმის მაგივრად, რომ თავისი სპეციალობით თბილისში ემუშავნა, პირდაპირ მშობლიურ მთებში გარბოდა, მწყემსის ტყაპუჭს იცვამდა და მთელ სიცოცხლეს ცხვარში ატარებდა.

— ერთ თქვენს დიდ მწერალზე მსგავსი რაღაც გამიგონია. რა გვარი იყო?

— ყაზბეგი... ალექსანდრე ყაზბეგი.

— ჰო, ყაზბეგი... ჩვენს ენაზედაც არის თარგმნილი მაგის ნაწარმოებები. ინგუშებზე და ჩეჩნებზე თანაგრძნობით წერს.

— თანაგრძნობითა და დიდი სიყვარულით! ყაზბეგმა თავისუფლებისათვის მთის ხალხების ბრძოლა სიმართლითა და გულწრფელი თანაგრძნობით დაგვიხატა და, ქისტი მებრძოლები ქართველ მკითხველს ჩვენი ეროვნული გმირებივით შეაყვარა.

მანქანა გზაჯვარედინს მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყასბულათი წამით დაფიქრდა. სიჩქარე შეანელა. მერე საქე უცებ მარჯვნივ მოხარა და ქალაქის ასაქცევ გზას დაადგა.

— თუ შენც თანახმა ხარ, პირდაპირ ჩვენი აულისკენ გავსწიოთ. ქალაქში რომ შევიდეთ, საოლქო კომიტეტში უნდა შევიაროთ, ნაცნობ-მეგობრები მოვიკითხოთ. ისინი თავს გამოიდებენ და აქედან დღეს ვეღარ გავაღწევთ. მე კი სული მიმდის, შინ მისვლა მეჩქარება.

ყასბულათმა ღიმილით მომხედა, მანქანა შეაყოვნა და ჩემს დასტურს დაელოდა.

— წავიდეთ... წავიდეთ... — ავიჩქარე მეგობარი. — რა დროს ქალაქში შეჩერებაა, მეც შენზე ნაკლებად როდი მეჩქარება!

— ეგეც არ იყოს, — დასძინა ყასბულათმა. — მთებში ცუდი გზებია და, სჯობს, ძნელად გასავლელი დაღამებამდე გავიაროთ.

მანქანამ ისევ უმატა სიჩქარეს, მალე უკანასკნელი ვაკეც უკან მოვიტოვეთ, მთებში შევედით და აღმართებს შევუღექით.

სტალინისეული რევოლვერი ყასბულათს გვერდით ედო, მანქანაში. რაც შორეული საევაკუაციო ჰოსპიტლიდან გამოვედით და ამ გრძელ გზას დავადექით, ყასბულათი მანქანაში ჩაჯდომისას რევოლვერს არ ივიწყებდა, წელზე შემოიხსნიდა ხოლმე და გვერდით იდებდა.

— დიდი გზაა, ალბათ, ღამითაც ვიქნეთ, ვინ იცის, რას გადავეყრებით! — თქვა ერთხელ და მერე ამაზე აღარ გვილაპარაკია. რევოლვერი, როგორც ამ მგზავრობისათვის აუცილებელი საგანი, მანქანაში ყოველ ჩასხდომისას ერთხელვე მიჩენილ ადგილს იკავებდა ჩვენ შორის.

გრძელი გზა თითქმის უკაცრიელი იყო, მგზავრი იშვიათად გვხვდებოდა. აულებში უცნაური სიჩუმე სუფევდა, ბუხრებიდან კვამლი არ ამოდიოდა. ოთხფეხები და ფრინველები არსად ჩანდა და ძაღლის ყეფაც არ ისმოდა.

ყასბულათი ჯერ ერიდებოდა აულებში შესვლას, სადაც უხერხდებოდა. სოფლებს გვერდს უქცევდა. მერე და მერე, ჰირიქით, დასახლებულ ადგილებს, სოფლებს მიეძალა, იყო თუ არა საჭირო, აულისკენ უხვევდა და, ზოგჯერ ამით გზასაც იგრძელებდა.

სოფლები თითქმის ცარიელი იყო, აქა-იქ თითო-ოროლა კაცი რომ გამოჩნდებოდა, არც ერთს მაღალი ფაფახი არ ეხურა და წელზე ხანჯალი არ ეკიდა. ქალი და კაცი ჩაცმულობითა და შეხედულებით უფრო ბარის მცხოვრებთ ჰგავდნენ, ვიდრე მკვიდრ მთიელებს.

სოფლებში გამეფებული უცნაური სიჩუმე და უკაცურობა კარგს არაფერს მოასწავებდა.

ყასბულათს მხიარული ენაწყლიანობა დავიწყებოდა. წარბშეკრულსა და სახემოქუფრულს თვალში მოლოდინის შიში ჩასდგომოდა, მანქანის საჭეს დაფეთებული დასწოლოდა და ენაჩავარდნილი მიაქროლებდა.

მისი ფარული მღელვარება მეც გადამედო თანდათან, მოახლოებული უბედურების შიში მეც დამეუფლა და დამამუნჯა.

გზა ისეც ცუდი იყო, ნიაღვრებისაგან გადარეცხილი და ოღროჩოღრო. ყასბულათი ორმოებსა და ხრამებს არ დაგიდევდა, ჩამოშვავებულ ღორღზე და ლოდებზე კისრისტეხით გადადიოდა, მდინარეებში ფონს არ ეძებდა, ვილის წყალში ჯიქურ აგდებდა და მანქანას უკან მოუხედავად, ნჯღრევითა და ვაი-უშველებლით მიარბენინებდა.

ჰოსპიტალში ყოფნისას, როცა შეებლების გასატარებლად თავის აულში მიწვევდა, სულ იმას მიამბობდა, რესპუბლიკის ცენტრიდან ჩვენს სოფლამდე სანიმუშო გზაა, ეს გზა მამაჩემის ძაოსნობით გაიყვანეს რევოლუციის პირველ წლებშიო.

რაც უფრო მაღლა მივიწევდით, ყას-

ბულათის ნაკვები გზა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ბეწვის ხიდებზე, უფსკრულის თავებზე ძლიერ ბობოლი გავდიოდით. ზოგჯერ ცალი ბორბალი ჰაერში ეკიდა, თვალს ვხუჭავდი და სამშვიდობოს გასულს ვერ ამეხსნა, თუ რა სასწაულმა დაგვიფარა ხევში გადაჩეხისაგან.

ამისთანა გზაზე, ასე თავზეხელაღებულად, მთვრალი შოფერიც არ იქროლებდა. მაგრამ გაოგნებული ყასბულათი ალარც თავის თავზე ფიქრობდა, ალარც ჩემზე. იგი მხოლოდ ერთი სურვილით იყო შეპყრობილი, რაც შეიძლებოდა, ჩქარა მისულიყო შინ და, საკუთარი თვალით ენახა ის უბედურება, რომლის წინათგრძნობამ ასე იდუმალად აიტანა და ააფორიაქა.

გზა ტყეში დაიკლაკნა.

რამდენიმეჯერ ცხენის ფეხის ხმა მომესმა. თვალი მოვკარი ხეებს იქით მოლანდებასავით გაქროლებულ ნაბიჯან ცხენოსნებს.

ერთხელ სულ ახლოს ჩაგვიქროლეს და გზაზე ქვები ჩამოაშვავეს.

ყასბულათს მათკენ არც გაუხედია, ფიქრში წასულს. ალბათ, არც ცხენების თქარათქური გაუგონია. საქეს გაოგნებული უყდა და ამ ქვეყნის ალარაფერი ესმოდა.

ტყიდან გამოვედით და თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაგვეშალა: უზარმაზარი აული ხომალდების მრავალიარუსიანი ანძებივით გადმოსდგომოდა ხეობას. ბანი — ბანს, სახლი — სახლს გადაბმოდა და სოფელი ოთხივ მხარეს თახჩებივით მიპკვროდა ცადაზიდულ მთებს.

ყასბულათმა მანქანა გაჩერა. გადმოვედით და აულს დავაცქერდით. აულისათვის თვალის პირველ მოვლებაზევე შევატყვე, გულზე მოეშვა, სოფელი რომ ძველებურად თავის ადგილზე დახვდა.

— აი ჩემი სახლი, — ხელი დიდბანიანი სახლისკენ გაიშვირა. — მანდედან მთელი ხეობა ხელისგულივით ჩანს, — თვმომწონედ თქვა და აულს კიდევ უფრო დაკინებით დააცქერდა.

სოფლის სილამაზით გამოწვეულმა პირველმა აღტაცებამ გამიარა და, რაც უფრო ვაკვირდებოდით, მით უფრო მეტად გვეუფლებოდა წამით გაგლილი შიშისა და საშინელების მოლოდინის უცნაური გრძნობა.

ამ უზარმაზარ ფიჯაში ერთი სულდგმულიც არ მოძრაობდა. აულში იდუმალებით სავსე სიჩუმე იდგა და, თუმცა ჩამავალი მზის სხივები იქაურობას კარგად ათბობდა, უკაცური, დამუნჯებული სოფლიდან ჩვენამდე შიშის მომგვრელი სიცარიელის სიცივე აღწევდა.

ყასბულათს სახე ისევ მოექუფრა.

მანქანაში უსიტყვოდ ჩავსხედით და აულისკენ დავეშვით.

სოფლის ვიწროებში სწრაფად გავიქროლეთ. არსად არც ძაღლს დაუყეფია, არც ბავშვების ხმა გაგვიგონია.

ყასბულათმა ხელი მანქანის საყვირს დააჭირა. დაყრუებულ აულში სირენის გაბმული ყვირილი უდაბნოს ზარივით გაისმოდა, გამგონე და პასუხის გამცემი კაცშვილი არსად ჭაკანებდა.

კიბესავით დაკიდებულ აღმართზე პირველი სიჩქარით ძლივს ავედით. მორღვეულ პატარა ეზოსთან გაჩერდა მანქანა.

ყასბულათი გადმოხტა, წამით შეჩერდა და იქაურობას თვალი მოავლო, მერე ადგილს მოსწყდა და ერთიმეორეზე აკოლიკებული სახლებისკენ სირბილით წავიდა

მე შორიახლო მივყვებოდი ნელი ნაბიჯით.

კიბე აირბინა, ეტყობოდა. მუხლი მოეკვეთა, ხელით მოაჯირს დაეყრდნო და ხმამაღლა დაიძახა:

— დ ე ე - დ ა ა!

პასუხი არავინ გასცა.

ღონე მოიკრიბა და ოთახში შევარდა.

ბანზე ასული ვხედავდი: ცარიელ ოთახში გზაარეულივით დაბორიალებდა.

მერე ლასლასით გამოვიდა, ბანზე დადგა და სოფელს გადახედა.

— მ ა ა-მ ა ა! დ ე ე-დ ა ა!

განწირულის ხმით გასძახოდა ყასბულათი. მთებში ჩავარდნილი, უკაცური აული მის ხმას ცარიელი ქვევრივით ამრავლებდა და ადიდებდა. ექო ზუზუნით ირხეოდა, მაგრამ საპასუხო ძახილი არსაიდან ისმოდა.

დედ-მამამ რომ ხმა არ გასცა, ერთხანს და-ძმას უძახა.

ბანი-ბან გადარბოდა, ცარიელ სახლებში შეშინებული იხედებოდა.

თითქმის მთელი აული მოირბინა, მერე ყველაზე მაღალ ბანზე შედგა.

— ხ ა ა ლ-ხ ნ ო ო!

ერთი დაჭრილივით შეჰბღავლა და მუხლზე ჩაიკეცა.

მივედი და გვერდით დავუდექი. სათქმელი ვერ მოვნახე. მეც მის გვერდით ჩავიკეცე. მხრებზე ხელი გადავხვიე და გავყუჩდი.

ალბათ, კარგა ხანი ვიყავით ასე ხმაგაკმედილები და თავჩაღუნულები. ყასბულათს თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და მხრები გულამომჯდარი ბავშვივით უცახცახებდა.

— ვინა ხართ?

ჩაგვესმა და თავი ავწიეთ.

ცხენებზე ამხედრებულ ოთხ ქისტს ავტომატები ჩვენკენ მოეშვირა.

მეხუთე დაქვეითებულიყო და ჩვენკენ მოდიოდა: გულზე შავი წვერი ეფინა და ცალი ნახმლევი წარბი დაუღებლად უტოკავდა.

—ვინა ხართ?

გაიმეორა და შორიახლო გაჩერდა.

ყასბულათმა თავი აიღო და ნამტირალევი თვალებით შეაჩერდა მოსულს. უმალვე იცნო.

«ზაურბეგ!“ — ერთი შესძახა და ფეხზე წამოიჭრა.

ორი ვაჟკაცი ხელგაშლილი გადაეხვია ერთმანეთს. ყასბულათს თავი ზაურბეგის მკერდში ჩაერგო, უხმოდ ტიროდა და ხელებს მხრებზე უთათუნებდა.

ზაურბეგი ნიკაპით ყასბულათის მხარს დაყრდნობოდა, მკაცრ სახეზე ცრემლი ღაბალუპით ჩამოსდიოდა და ნაჭრილობევი წარბი შეუჩერებლად უსტოდა.

უსიტყვო ტირილით გული მოიჯერეს. ლოდებზე ჩამოსხდნენ.

ჩვენკენ მოღერილი ავტომატების ლულები ძირს დაეშვნენ და თვალმოწყლიანებული ცხენოსნები დაქვეითდნენ.

ყასბულათმა საბრალობლად შეხედა ზაურბეგს და გაბზარული ხმით იკითხა:

— ხალხი სად არის, სოფელს რა მოუვიდა?

— სოფელი აჰყარეს... გადაასახლეს.

— აჰყარეს? რათა, რისთვის?

— რისთვის და, არაფრისთვის, — ოქვა ზაურბეგმა და სახე კიდევ უფრო მოექუფრა.

— ჩვენს ხალხს სტალინისა და ქვეყნის ღალატი დასწამეს, მოულოდნელად ჯარი ჩამოგვიყენეს და მთავრობის ეს დადგენილება გამოგვიცხადეს. ერთ საათში დიდიან-პატარაიანა მანქანებზე დაგვსხეს და შორეულ გზას გაგვიყენეს.

— ჩემი მოხუცებიც? და-ძმაც?

— ყველანი უკლებლად აგვყარეს და შორეული ყაზახეთის გზას გაგვიყენეს.

— ახლა იქ არიან?

— იქ არიან, ვინც ძნელ გზასა და ყინვას, სიცხესა და ტყვიას გადაურჩა.

— თქვენა? თქვენ — როგორღა დარჩით აქ?

— ჩვენ გზიდან გამოვექეცით, გაქანებული მანქანიდან უფსკრულის პირას გადმოვხტით. ვინც ხევში გადაჩეხას გადავრჩით, და ტყვია ვერ დაგვეწია, ტყეს შევაფარეთ თავი.

ყასბულათს მკვდრისფერი ედო. ცრემლი გაშრობოდა და მიწას ჩაშტერებულს, ქვედა ტუჩი უთრთოდა.

— მამაშენი რამზანიც ჩვენთან ერთად გადმოხტა მანქანიდან და... ეაგრ-ახ, უფსკრულში გადაჩეხა.

ყასბულათმა ისე დაიგმინა, მეგონა, გულ-ღვიძლი თან ამოაყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ისევ ხელებში ჩარგო და ცოტა ხნის მერე ოხერით თქვა:

— იმ ხნის ბერიკაცს მანქანიდან გადმოხტომა სად შეეძლო?!

— ვუშალეთ. მაგრამ არ დაიშალა. გაქცევა იმისთვის უნდოდა. ბიჭოვს წავალ, სტალინს ვნახავ. ჩვენი უბედურება არ ეცოდინება, ვუამბობ და გვიშველისო. ბალღივით გულუბრყვილოდ სჯერდა, სტალინი თავადაც პატარა ერის შვილია. მთელი სიცოცხლე ჩვენისთანა ხალხების განთავისუფლებას შეალია და იმისთანა ბოროტებას როგორ ჩაიდენდა, რომლის მსგავსი ჩინგიზხანსა და თემურ-ლენგსაც არ უქნიათო.

— ნუთუ სტალინი?.. — ამოოხვრით თქვა ყასბულათმა და სათქმელი არ დაასრულა.

— შენც მამაშენის შვილი ხარ, — მეხლზე დაირტყა ხელი ზაურბეკმა. — თავად სტალინის ხელმოწერილი დადგენილებით აგვყარეს და გადაგვასახლეს, და მაინც, სადღაც, კიდევ იმის იმედითა ხარ! ალბათ, შენი ასეთი ერთგულების ჯილდოა, რომ სტალინს შენზე განსაკუთრებული მითითება მოუწერია: საბჭოთა კავშირის გმირს — ყასბულათ თუთაევს უფლება აქვს, სადაც ისურვებს, იქ იცხოვროსო.

— მადლობელი ვარ მაგ წყალობისათვის, — მწარედ ჩაიცინა ყასბულათმა და ნათქვამს გრძელი ოხვრა მოაყოლა.

ერთხანს ყველანი ვდუმდით, მერე ზაურბეკმა ჩემკენ მოიხედა და იკითხა:

— ეს შენი ამხანაგი სადაურია!

— ქართველია, თბილისელი.

— გურჯი? — მოეღუშა სახე ზაურბეკს: — გურჯებიც მონაწილეობდნენ ჩვენს აყრაში. შამილის დროსაც ეგენი მოუძღოდნენ ჩვენს დამპყრობლებს.

— მაგას ნუ ამბობ, ეგ რა შუაშია! — ხმადაბლა შეუწყრა ყასბულათი.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— ჩვენები თუ შორს არიან, თქვენ სად ცხოვრობთ ან რას აკეთებთ? — დაარღვია დუმილი ყასბულათმა.

— ტყეში ვიმალებით. ჩვენს დამლუპველებს ვუსაფრთხილდებით და. სადაც წავწევით, ავიყორდებით. უპასუხა ზაურბეკმა და უცად ქისტურზე გადავიდა.

მივხვდი, ისეთ რამეზე ლაპარაკობდნენ, რისი განდობაც სხვისთვის არ უნდოდათ. წამოვდექი და ნელი ნაბიჯით გავშორდი.

მივდიოდი, აკლდამებივით ცივსა და გამოკარიელებულ სახლებს თვალს ვარიდებდი და გულის სიღრმემდე შეშფოთებული, ჩემს ბედს იქ მიყვანისათვის ვწყევლიდი.

ზაურბეკმა თავის ბიჭებს ყასბულათის ბანზე სუფრა გააშლევინა. სადღაც ჭრაქიც იპოვეს და აანთეს. ჩაბნელებულ ოდაში ერთადერთი ჭრაქი ავბედითად ბჟუტავდა.

ყასბულათი საჭმელს პირს არ აკარებდა.

მეც ლუკმა ყელში არ გადამდიოდა და ორივე არაყს მივეძალეთ.

ქისტებს ცრემლი დაპაღუპით სდიოდათ და იმ ცრემლნარევ არაყს პატარა რქებით სულმოუთქმელად სვამდნენ.

არყით სავსე მთარა მალე დაიცალა. ზაურბეკი წამოდგა, დაგვემშვიდობა, ცხენს მოახტა და თავისი თანამგზავრებიანა ღამეში გაუჩინარდა.

მთის მდინარის ჩჩრიალივით ისმოდა ერთხანს თავქვეზე დაშვებული ცხენების ფეხის ხმა, მერე ისიც მიწყდა.

— შენ აქ მოისვენე. — შემოძღვა საყუნაქოში ყასბულათი. — მე ბანზე დავწევები.

სადღაც დაკონკილი ფარდაგი და თაგვებისაგან დაგლეჯილი მუთაქა მოძებნა, ძველ ტახტზე დამიგო.

— მაპატიე, მამაჩემი სტუმარს ასე არ მასპინძლობდა, მაგრამ... — ყასბულათმა სათქმელი ალარ დაასრულა, ხელები ულონოდ გაასავსავა, ძილი ნებისა მისურვა და ოთახიდან გავიდა.

ერთიანად მოშლილსა და გუნებაწამხდარს რა ნების ძილათ უნდა დამძინებოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპიროსს პაპიროსზე ვუკიდებდი, თვალდაპყეტილი, აღელვებულებით დაფარულ ჭერს ჩაეინებით მიეჩერებოდი და ამაოდ ვეძებდი ჩემს თავში ამაფორიაქებელი კითხვების პასუხს.

რამდენჯერ გვისაუბრია მე და ყასბულათს შამილის გმირულ ბრძოლებზე! ბრძენი იმამის გახსენება სიამაყით აღსებდა ხოლმე და თავმომწონედ სულ ერთსა და იმავეს მიმტკიცებდა:

— წარმოგიდგენია? ერთი მუჯა მთიელები რუსეთის უზარმაზარ იმპერიას უმკლავდებოდნენ! ალბათ, თავად შამილსაც არ ჰქონდა კარგად შეგნებული, თუ რამოდენა ძალას ებრძოდა! ბოლოს, როცა დატყვევებული, რუსეთს წაიყვანეს და ამოდენა ქვეყანა ალარ გათავდა, მაშინ მიხვდა თურმე, რა ცხრათავიან ვეშაპს შებმოდა.

ოცდაათ წელზე მეტს იდგა რუსეთის იმპერატორის პირისპირ ხმალჩაუგებელი შამილი და, როცა ბოლოს და ბოლოს დამარცხდა, რუსეთის თვითმპყრობელმა მისი დასჯა ვერ გაბედა, თუ არ ისურვა, ხოლო შამილის ერთგული დაღესტნის ხალხების აყრა და გადასახლება აზრადაც არ მოსვლია ისეთ სასტიკ იმპერატორსაც კი, როგორიც ნიკოლოზ პირველი იყო! ის, რაც პატარა ერების მიმართ შავბნელმა ცარიზმმა ჩათვალა შეუძლებლად და თავისი ღირსების დამამცირებლად, ნუთუ ახლა, ჩვენს დროში შეიძლება ჩაიდინოს სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურმა?! ნუთუ სცდებოდა ყასბულათის მამა, სტალინის მაღმერთებელი და მისი თანამებრძოლი? ნუთუ თავისუფალი საბჭოთა ერების კავშირის შემქმნელსა და ბელადს შეეძლო ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელთან შედარებით ბიბლიური ნაბუკოდონოსორის სისასტიკეც კი ირყეოდა. დასაჯერებელია, მთის ხალხებშიც გამოჩენილიყვნენ ელასოვის მსგავსი საშობლოსა და რევოლუციის საქმის მოღალატეები. ამ დანაშაულისათვის თვითონ მოღალატეებს უნდა ეგოთ პასუხი და არა მათ შობელ მთიელ ხალხს. უბრალო, უდანაშაულო ერს.

მაგრამ ამბობენ, სტალინმა განრისხების დროს მრუდისა და მართლის გარჩევა არ იცისო. დამნაშავეებს თურმე უდანაშაულებსაც ზედ მიაყოლებს ხოლმე, რომ ამით ხალხს მისდამი ორგულებისა და ღალატის შიში ჩაუნერგოს, რათა მწარე გაკვეთილით დაშინებულებმა მომავალში მისი წინააღდეგომის გაფიქრებაც ვერ გაბედონო.

არა, ალბათ, რაღაც დიდი შეცდომა და გაუგებრობაა. რამზანი უთუოდ მართალია, სტალინმა ნამდვილად არ იცის, თორემ მთელი ერების აყრასა და გადასახლებას როგორ დაეთანხმებოდა!

მაგრამ სტალინის დაუკითხავად და უნებართვოდ ესოდენ პასუხსაგებ ნაბიჯს ვინ გადადგამდა!

არა! ერთიც შეუძლებელსა ჰგავს და მეორეც.

მაგრამ იქნებ სტალინი ავად არის! იქნებ ამოდენა დაძაბულობასა და არაადამიანურ შრომას ვეღარ გაუძლო და, იმ დროს დაეცა, როცა მისი სიცოცხლე ყველაზე მეტად იყო საჭირო ქვეყნისა და ხალხების მომავლისათვის.

ამის გაფიქრებამაც კი შემაძრწუნა. ღმერთმა ნუ ჰქნას-მეთქი, სამგზის ჩემთვის გავიმეორე და მაშინვე გუშინწინდელი რადიოგადაცემა გამახსენდა.

სასტუმროში, ძილის წინ, ყასბულათმა რაღაო ჩართო და სტალინის მოკლე გამოსვლა მოვისმინეთ. ბელადის სიტყვა გამარჯვების რწმენით იყო სავსე, მხნედ და დამაჯერებლად ლაპარაკობდა და, არათუ ავადმყოფობა, უბრალო დაღლილობაც არ ეტყობოდა!

სასტუმროში, ძილის წინ, ყასბულათში დასცხო.

— ხედავ, რა ბრძნული და დამარწმუნებელი ანალიზი გააკეთა?! ეგ რომ არ გვყოლოდა, რა გვეშველებოდა! ჰიტლერი რუსი ხალხის დამონებას არ დასჯერდებოდა. ჩვენისთანა პატარა ხალხებს მამაპაპეულ სამკვიდროდან აპყრიდა და სადმე აფრიკის უდაბნოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაგვისახლებდა. ჩვენი ბედი, რომ ეგა გვყავს! — აღტაცებით თქვა მოსმენილი სიტყვით აღფრთოვანებულმა ყასბულათმა.

ნეტავ ახლა თუ აგონდება ყასბულათს გუშინწინ ნათქვამი ეს სიტყვები!

რა საოცდავი უნდა იყოს ეს სამშობლოსა და სტალინისათვის თავდადებული ვაჟკაცი ახლა, როცა სიცოცხლის აზრად ქცეული მისი რწმენა ერთი ხელის მოსმით ხუხულასავით დაანგრია და მოსპო მანვე, ვის საქმესაც რამზან თუთაევმა მთელი სიცოცხლე შესწირა, ვის მიმართ ერთგულება და სიყვარული რამზანის შვილმა, ყასბულათმა თავისი ცხოვრების უპირველეს მოწოდებად და გამართლებად დასახა:

სტალინის მიერ ჩეჩნეთ-ინგუშეთის აყრა ყასბულათისათვის მარტო ეროვნული ტრაგედია არ არის. სტალინმა თავისი ამ ნაბიჯით ერთბაშად დაამხო და შეურაცხჰყო რწმენა ყოველივე იმისა, რასაც სიყრმიდან შეეხარდა ყასბულათი, რასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა და რის დასაცავადაც დღეს ასე თავგამოდებით იბრძვის გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

ნუთუ სტალინსვე შეეძლო სტალინისადმი რწმენის, ასე, ერთი ხელის დაკვრით განადგურება?!

შუაღამე გადასული იყო, ძილი კი არ მომდიოდა და არა!

ეტყობოდა, არც ყასბულათს უნდა სძინებოდა. დროდადრო მისი ყრუ ხველა მესმოდა და, ფეხებმორაყული ხის ძველი ტახტი გაუთავებლად ჭრაჭუნებდა.

როდის-როდის, დაღლილობამ თავისი გაიტანა და ძარღვებაწეწილს ჩამეძინა.

სროლის ხმამ გამომაღვიძა. ძილგამფრთხალი წამოვხტი და ხელი იარაღს ვტაცე.

— ყასბულათ!

გავძახე და სმენად ვიქეცი.

პასუხი არავინ გამცა. სროლის შემდეგ გამეფებული დუმილი ცუდის მოგვალოდნელ მეჩვენა.

— ყასბულათ! ყასბულათ! — ვიძახდი და თან სწრაფად ვიცვამდი.

რევოლვერშემართული ბანზე გავვარდი და თვალთ დამიბნელდა:

იატაკზე გაშლილ-ართული ყასბულათი სისხლში ცურავდა.

შეძრწუნებული მივვარდი, ჩავიჩოქე და დავაცქერდი. გაყინული თვალები სადღაც, შორს გაქცეოდა. მაჯას ვეცი. ისიც ცივი და უძრავი იყო.

—ყასბულათ! ყასბულათ! — ჩავსძახე და დაბნეულმა სასოწარკვეთით მოვაკვლე თვალი იქაურობას.

სისხლი მკერდიდან მოეონავდა. ეტყობოდა, გაუხდელი დაწოლილიყო. საკინძე შევაწყვიტე. გიმნასტურის ქვეშ სქლად შედედებულმა სისხლმა იატაკზე გუბე დააყენა. ნატყვიარი ზედ გულზე აჩნდა. ერთ ტყვიას უმალვე გაეთავებინა დევნილი ვაჟკაცი.

ხმის გამცემმა და მშველელს ამაოდ ვეძებდი. მზერა უმწეოდ მიმოვატარე და თვალში უცემ თეთრი კონვერტი მომხვდა— სასთუმალთან, სკამზე იდო, თვალსაჩინოდ. მივუახლოვდი და შორიდან დავაცქერდი: კონვერტს დიდი ასოებით ეწერა:

მ ო ს კ ო ვ ი. კ რ ე მ ლ ი. ი. ს ტ ა ლ ი ნ ს.

ყასბულათის ნაწერი დახედვისთანავე ვიცანი. წერილს კინაღამ ხელი წავატანე, მაგრამ უმალ უკანვე წავიღე, ისევე უცემ, როგორც ცხელ უთოზე თითის მიდება და უმალვე მოშორება იციან. წარმოვიდგინე, იმ წერილშიც ის ავბედითი აზრები იქნებოდა, რომლებიც მე მომდიოდა თავში და რომლებმაც ღამე თითქმის თეთრად გამათენებინეს.

ბანზე გამოვედი და მხოლოდ ახლა დავინახე მოკლულის გვერდით შორიახლო დაგდებული ვერცხლისტარიანი რევოლვერი.

ვერცხლის ტარზე ამომავალი მზის სხივი ბრწყინავდა და თვალისმომჭრელად ელვარებდა ნაცნობი წარწერა:

რ ა მ ზ ა ნ თ უ თ ა ე ვ ს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა გ ა ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს **ზურაბ კუხიანიძეს** დაბადების 60 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

ზურაბ კუხიანიძე

კანარის ჩიტი

საქართველოში კანარის ჩიტის შემოფრენის ერთადერთი შემთხვევა აღნიშნული.

ქნე

ქართული მიწის უცხო ამბავმა
შენამდე როგორ ჩამოაღწია...
უსასრულო და სულის გამპარავ
გზას დაადექი, ჩიტო პაწიავ.

გაკვირტე ნისლის ლაბირინთები,
თავს არიდებდი მეხს და ცის ელვებს
და ზოგჯერ, იქნებ, დაღლილი
ფრთებით
მთვარის თეთრ ტოტზე ჩამოისვენე.

ეჰ, ზოგჯერ, იქნებ, ღრუბლებმა
გზაზე
შენი ბუმბული უღვთოდ გამურეს —
კანარის ჩიტო, სამოთხის ჰანგზე
ხმაშეწყობილად მოსალამურევ.

ალბათ, გფარვიდა ცად ღმერთები და
შენ საქართველოს ნახვა გხვდა
ჯილდოდ,
ღურჯი კანარის კუნძულებიდან
შემოფრენილო პატარა ჩიტო.

ჩვენს გვირილებთან დაკეცე ფრთენი,
როს მორჩი ციურ გზებზე ხეტიალს...
მაგ კურკანტელა თვალებში ჩვენი
დიდი ცა, ნეტა, ვით ჩაეტია.

როცა გალობით თვალებს ნაბავდი,
ქარს გაატანე სული ნეტარად,
შორი კანარის კუნძულებამდე
ჩვენი ამბავი რომ ჩაეტანა.

მადლობის ნიშნად

სეტყვა მოვა და...
უნდა დაუხვდეს,
თოვლი მოვა და...
უნდა დაუხვდეს,
წვიმა მოვა და...
უნდა დაუხვდეს,
გაფრენილ ფოთლებს უნდა
დაუხვდეს,
მოფრენილ ჩიტებს უნდა დაუხვდეს,

ნერგსა და მარცვალს უნდა
დაუხვდეს,
ამქვეყნად მოსულ მრუდსა და
მართალს,
და მაინც სტუმარს, უნდა
დაუხვდეს...
და ჩვენც,
როდესაც კარს მივადგებით,
მიწა მასპინძლად უნდა დაგვიხვდეს.
და როს მიგვიღებს, როგორც წესია,
მასპინძლობისთვის მადლობის
ნიშნად,
ჩვენი მდუმარე ჭირისუფლები
ბორცვზე ყვავილებს გადააყრიან.

ბებიაჩემი კვდებოდა როცა

ბებიაჩემი — ნატალია,
წვებოდა როცა —
ხელებგაწვდილი
აღავლენდა ღვთისადმი ლოცვას:

„ბესარიონი
დამიბრუნე ტანმრთელი, ღმერთო,
ჩემი ობოლი ზურიკელა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვედრი, დალოცე!..“ —
(მაშინ სახალხო
დიდი ომის ხანძარი ენთო,
ღედა კი იწვა
ძელქვიანის სასაფლაოზე.)

ჩამიხუტებდა
დამჭკნარ მკერდში ხელის სავსავით
და მისი ლოცვა
ჩამესმოდა ნანინასავით...

ათის რომ გავხდი,
ბებიასთან კვლავ ვფუთფუთობდი,
თავფეხშექცევით
ვწვებოდი და ფეხებს ვუთბობდი.

ის ცალუღელა
ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს
და ენთო ჩემი
ძნელ ბავშვობის
ჩაუქრობ ლამპრაღ.

ოთარაანთ ქვრივს
ჩამოჰგავდა, ვით ტყუპისცალი,
ბაკისუბნელი
გიორგაძის ტანჩია ქალი.

ჰო, მახსოვს,
ერთი ჩვეულაც ჰქონდა —
სუყველას თვალწინ,
ქალს ამტყუნებდა,
გამართლება იცოდა კაცის.
. . . . .

ბებიაჩემი — ნატალია
კვდებოდა როცა —
დიდს და პატარას
დაგვიტოვა ჩურჩულით ლოცვა:

„ამ ქვეყანაზე,
ღვთის წყალობით,
დიდხანს იცოცხლეთ,
ავის და კარგის
გამორჩევა ოღონდ იცოდეთ!..“

რადგანაც მოხუცს
საიქიო ცხოვრება სწამდა —

მშვიდად წავიდა...
მისი სული გაფრინდა ცადა.

იდგა ივნისის
ღამე, ზეცა ვარსკვლავებს ცრიდა
და მისი ლოცვა
კვლავ გვესმოდა ჩურჩულით ციდან.

მისი დამდნარი
სხეული კი კუბოს ჩავრაზეთ
და დედაჩემთან
დავასახლეთ ძელქვიანაზე.
. . . . .

დღესაც კი შენი
ლოცვა მესმის ნანინასავით,
ავისგან კარგის
გამორჩევას მუდამ მასწავლი.

მაგრამ იმდენი
ავი ხდება დღეს ჩემს გარშემო,
რომ მიჭირს კარგის
გამორჩევა, ბებიაჩემო.

●

ბუხართან ჭიქებს ვანდობთ
ხვაშიადს,
გარეთ წანწალა სუსხი ფათურობს...
ღმერთო, მიხედე მას, ვინც გზაშია
და თბილ ბუხართან ყოფნას
ნატრულობს.

სად თქმულა, ვერ ვთქვათ,
რაც გვნებავდეს,
როს ბარით უღვთოდ ჩეხენ
ზვარაკებს...
ღმერთო, გვიშველე,
ვათენებამდე
საქართველოზე გვალაპარაკე.

სიმღერის დროა...
რა გვემღერება!
სიტყვით და ღვინით ვკურნავთ
იარებს...
ღმერთო, მოგვხედე და გათენება
ცოტა ხნით მაინც შეაგვიანე.

ქართლ-კახეთი, სამეგრელო,
ჩემთვის, იმე, ერთია!
მაგრამ გულს რომ ამიჩქროლებს —
მაინც იმერეთია.

აუ, გულის აჩქროლება,
ფეფდავ, იმე, რითაა?!.
იქნებ, იმერლობითაა,
იქნებ, სიბერითაა.

ოაზისს იქით

ხორკლიან გზებზე კარგავ მირაჟებს,
რასაც გმინავ შენ, ალბათ, ლექსია...
ახია,
ტალახს ყველას წინაშე
დელგმა წვიმაში თუკი გესვრიან.

უნდა გაუძლო უამიდობას —
თუა მინდობა მზის და ცრემლების
და კუბოსხელა მდუმარ კიდობანს
სალტავენ ციურ ცისარტყელებით.

გზაზე არავინ გაგიყოფს ხმიადს,
შენ თვითონ მგლის და აფთრის
არჩივო...
და ცხოვრებაში რაც გიპოვნია,
აწ, ვით გგონია, რომ შეგარჩინონ.

უნდა იკვნესო ხმადაგუდულად
და გულს ურდულად დარდი დაადო...
ხვალ ცეცხლს მიგცემენ, როგორც
გუდურას

ულვთოდ,
ურდულად,
უმისამართოდ.

ბურუსში გესმის ლანძღვა შიშველი
და რას გიშველის მზერა მზისებრი —
აკუწულია ხანჯლებით შენი
ოქროს ნისლების ოაზისები.

გასწი და მიჰყე ქარების წყებას,
მასში ღვთის ნებას მუდამ
ჰპოვებდი!..
ოაზისს იქით კვლავ დაიწყება
თავდავიწყება უდაბნოების.

ღმერთის — არა,
კაცის მწამდა,
მდგარს ცარიელ კარავთან,
მაგრამ მაინც გზად ღვთის კალთა
სულნაწყმენდილს მფარავდა.

დრო რაღაი გადაფხსდა?
ვითომ ქვეყნად წ�წაველ?..
ახლა ღმერთი მარრთლაც მწამს და
კაცი ველარ ვიწამე.

შემაყვარე, როგორც ადრე,
კაცი, ყოველადლიერო,
და სიკეთით გადმიხდე
ავის სამაგიერო.

შექახილი

ჰა, ცხოვრების დარჯაკიდან
ლამაზ დღეთა გამოიცქნით —
უკვე გახდი სამოცი წლის!
უკვე გახდი სამოცი წლის!

დრო დამდგარა დგახარ ჟამის
და მგლის მუხლის გამოცდის წინ —
უკვე გახდი სამოცი წლის!
უკვე გახდი სამოცი წლის!

აწი უნდა შეურიგდე
მაგ თვალების ამო ციცინს —
უკვე გახდი სამოცი წლის!
უკვე გახდი სამოცი წლის!

მიდი, სისხლი კვლავ გეძახის
ალერსისთვის და კოცნისთვის —
თუმცა გახდი სამოცი წლის!
თუმცა გახდი სამოცი წლის!

გასწი, არვინ არ დაგაყრის
ჭაღარისა გამო სიცილს —
როცა გახდი სამოცი წლის!
როცა გახდი სამოცი წლის!

გასწი, გული ძგერს, ვით ძგერდა
საქართველოს დალოცვისთვის! —
ვითომ არც ხარ სამოცი წლის!
ვითომ არც ხარ სამოცი წლის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ჩვენი ბედისწერა

გადვისროლე ბადე წყალში —
არ ამოჰყვა ერთი წვერაც.
შემოვირტყვი ხელი თავში...
აი, ჩვენი ბედისწერა!

აგერ-აგერ დაცანცალებს
კურდღელი და ვლესავთ დანას...
გაგვიხდება, ალბათ, მალე
წითელ წიგნში შესატანად.

გნოლს და ხოხობს ვსდიე გუშინ,
ვერ დავლანდე სერი-სერა...
ვიბაგუნე მკერდში მუშტი...
აი, ჩვენი ბედისწერა!

კოლტად ველარ ნახავთ ტახებს,
მთად ჯიხვებიც შეგვიშინეს...
ვინ ჯიჯგნის და აპარტახებს
ჩვენი ტყის და ველის შვილებს?

„ალვის ხის ჩამონათალი
წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, —
მარტო ლეკი
ან თათარი? —
ყველას ჰყოფნის თავის ცოდვა...

ჩვენი თოფი,
მჭრელი დანა,
ჩვენი ბადე,
ჩვენი ძერა...
სულ ნავსულვართ ხელიდანა —
აი, ჩვენი ბედისწერა.

რევაზ ჯაფარიძე

კბამლი ღრუბლებს ერთვოდა

მოთხრობა

ჯამაგიშვილი იოსები, ჯამაგა, როგორც შეფიცულთა რაზმში ეძახდნენ, თავზეხელაღებული, შესაშური გამბედაობისა და ძალღონის პატრონი უდედამამო ბიჭი, საქართველოში ახლადდამყარებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ტყეში გასულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა რაზმში იმ პირობით მიიღო, თუ ის თავის ბეელ ხელობაზე — ყაჩაღობაზე ხელს სამუდამოდ აიღებდა. ღმერთს ამიერიდან აღარ გაანრისხებდა და რაზმში დაწესებულ, ყველასათვის სავალდებულო წესსა და რიგს უყოყმანოდ, სიტყვაშეუბრუნებლად დაემორჩილებოდა.

ამგვარი წინასწარი პირობა, ბელადმა რაზმში მიღებისას რომ დაუდო, სიმართლე რომ ითქვას, თავის ქეიფზე ცხოვრებას მიჩვეულ უსახლკარო ჯამაგას, ცა ქუდად რომ არ მიაჩნდა და დედამიწა ქალმნად, დიდად არაფრად ეჭაშნიკა. მაგრამ ხმამაღლა ეს არ გაუმჟღავნებია. ბედს დამორჩილდა. მიშა ნაცვლიშვილისაგან, ვინც ის რაზმში მოიყვანა და მთელ საქართველოში სახელგანთქმული ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინაშე თავდებობა და შუამდგომლობა გაუწია, აქ მოსვლამდეეე იცოდა, შეფიცულთა რაზმის მეთაურს, ქაქუცას, ერთხელ ნათქვამი სიტყვის გამრუდება არ უყვარს და თუ პირსისხლიანი მტრის კლანჭებში მოქცეული მამულის გამოსახსნელად გული მართლა გერჩის, მისი ნება ზეგარდმო ნებად ჩათვალე, ვინაიდან იგი მარტო კაცის კი არა, ღვთის ნებაც არისო.

ჯამაგა უქკუო და უგუნური ბიჭი არ იყო, თუმცა სანამ კარგად გაიცნობდი და დაუახლოვდებოდი, კაცს შეიძლება ასეთადაც მიგეღო. ავსა და კარგს სხვებზე ნაკლებ როდი არჩევდა. თუ ხანდახან წაიყაჩაღებდა და ყრუტეში ვინმეს წინ გადაუდგებოდა — ან ფული, ან სულიო, არა იმიტომ, რომ სხვის ხარჯზე გამდიდრებას და ჯიბე-უბის ნაარმი ბაჯაღლო ოქროებით ამოტენას აპირებდა. უფრო საკუთარ ძალასა სცდიდა და გულს ეფონებოდა, როდესაც მის მოთხოვნას მავანნი და მავანნი თვალის დაუხამხამებლად ასრულებდნენ.

— ეი, ჯამაგ, — ეხუმრებოდნენ შეთამამებული რაზმელები, რომელთა გული პირველსავე დღეებში მოინადირა და უკლებლივ ყველას სიყვარული და თანაგრძნობა მოიპოვა. — როგორ იყო, ბიჭო, ბანკის მოლარე რომ გაძარცვე და მერე პანღური ამოჰკარი?

— პანღური როდის ამოვკარი, კაცო, ეგ ვინ გითხრათ?!

— შენ თვითონ არა თქვი? აგრე მალე დაგავიწყდა?

— მე არა, მე ეგ არ მითქმამს და ტყუილს ნუ მაბრალებთ! პანღურს რაღას ვემართლებოდი, კაცი ეტლიდან ჯოხტად ჩამოვიდა და ტომარაც თავისი ხელით ჩამოდგა!

— მაშ, თავიდან მოყე, როგორ იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვყვე რა... ჯერ არ მოვყოლივარ?!

— ჰო, ჰო, მოყე, ქირას ხომ არ გვახდენებ!

საშველს რომ აღარ მისცემდნენ, ჯამაგა მეათედ თუ მეთერთმეტედ დაიწყებდა ამბის მოყოლას და ყოველ მოყოლისას სულ ახალ-ახალი წვრილმანებით ამდიდრებდა და აფერადებდა. რაზმელები სულ ერთსა და იმავე ადგილზე წწყვეტინებდნენ:

— ფული რა უყავ, ფული?

— ფული? აკი გითხარით: სამად გავყავ. ერთით ეს ნაბადი და წინდა-პაჭიჭი ვიყიდე. აშენდა იმისი ოჯახი, იაფად მამცა! მეორე, უფრო დიდი გროკა, მღვდელს, მამა თადეოზს, მივე ეკლესიის სახურავის შესაკეთებლად, წვიმა რომ ჩამოდის და ხატებს რომ რეცხავს. მესამე, კიდევ უფრო დიდი. ქვრივ-ობლებს ჩამოვურიგე სოფელშია და ყველას პირობა ჩამოვართვი, მე რომ მოვკვდები, ჩემი ცოდვილი სულის მოსახსენებლად ჭიქას პირი წაუქციონ!..

ჯამაგა ამას ისე გულუბრყვილოდ, ისე გულმართლად, ისე ალალად ყვებოდა, თითქოს ერთი ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს და რაზმელებიც იცინოდნენ, ტყეს როხროხით ავსებდნენ, მხარზე ტორებს უტყაპუნებდნენ, ხან იქით მიაგდებდნენ, ხან აქეთ, ყოჩაღ, ბიჭო, ჯამაგა, მძარცველობაც ეგეთი უნდაო, მხოლოდ შორიახლო ხის ძირს ზურგით მიყრდნობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ იხსნიდა შუბლს და თანამებრძოლების უმიზეზო მხიარულებას არ იზიარებდა. ერთხელ ჯამაგა გაიხმო და, ამხანაგებში რომ არ შეერცხვინა, ცალკე უთხრა:

— როგორა გგონია, ყმაწვილო, რაკიღა სხვისი წანართმევი ქონება სოფლის ქვრივ-ობლებს დაურიგე და ნაწილიც მღვდელს მიეცი ეკლესიის შესაკეთებლად. ღმერთი მოტყუედა, სუსტის დაჩაგვრა გაპატია და ავკაცობა სათნოებაში ჩაგითვალა? ეგ შენი ხელგაშლილობა მაშინ ეამებოდა, თუ იმ ფულის საშოვნად, ასე უანგარიშოდ რომ დაარიგე და თავიც მოიწონე. ორპირი ოფლს გამოიდენდი და ნაპირნახულებს სამად გაპყოფდი: ეს მე, ეს კიდევ ეკლესიასა და ქვრივ-ობლებსო. იქნებ ის მოლარე, შენ რომ სახელმწიფო ფული წაართვი, მეორე დღეს გაასამართლეს, ეტაპით ციმბირის გზას გაუყენეს. რა იცი, იქნებ შინ წვრილი ცოლ-შვილი დარჩა, ულუკმაპუროდ სხედან და დღედაღამ შენს წყევლაში არიან? გგონია, აგრე ივლი, იმათი საცოდაობა შეგრჩება და წყევლა არსად წამოგეწევა?

ქაქუცა ჯამაგას ღმერთად იქცა. რაკი ფეხებმა ამ წმინდა კაცთან მოიყვანა, ვისი სახელის სადიდებლადაც ეკლესიებში სანთლებს ანთებდნენ და მტერზე მის გამარჯვებას მამაზეციერს შესთხოვდნენ, ქაქუცასა და მისი ერთგული თანამებრძოლების გვერდში ყოფნა სხვაგვარად ცხოვრებას ავალებდა და ჯამაგამაც ზნე საკვირვლად შეიცვალა. ქედზე უღელდადგმული გახეფნილი მოზვერივით თვინიერი და დამჯერე გახდა. საწყალს ფარული შიში ულოდნიდა გულს. არ იცოდა, მის მიერ საციმბიროდ გაწირული ბანკის მოლარის ულუკმაპუროდ დარჩენილი ცოლ-შვილის წყევლა როდის მოეწეოდა და იმასაც ცდილობდა, ცოდვა აღარ გაემრავლებინა, უდანაშაულო კაცის სისხლი არ დაედო, აშკარა თუ ფარული ავკაცობისაგან თავი შორს დაეჭირა. ეკლესიას ან უბრალო სამლოცველოს სამგზის პირჯვრის გადაუწერლად გვერდს არ აუვლიდა, ხოლო თუ საკმაო დროს მოიხელებდა, შიგნითაც შევიდოდა, სანთლებს აანთებდა, საკურთხეველთან მუხლს მოიყრიდა და ღმერთს ყველა ჩადენილი ბოროტების გამოსასყიდად სულგრძელ პატიებას შესთხოვდა.

შეფიცულთა არცთუ მრავალრიცხოვანი რაზმი, სამოცდაათ თუ ოთხმოცკაცს რომ ითვლიდა, როგორც სამხედ-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ნაწილის წესია, ოცეულებად და ათეულებად იყო დაყოფილი. ყოველ ათეულს და ოცეულს სათავეში იქით კაიზერული გერმანიისა და აქეთ ოტომანური თურქეთის ფრონტებზე ნაომარი. ამქვეყნიური ჯოჯოხეთის ცეცხლში გაპოვლილი რჩეული ოფიცრები და უნტეროფიცრები უდგნენ და ხელქვეთებს სამხედრო საქმის უზადო ცოდნისა და ვაჟკაცობის მაგალითებს აძლევდნენ. თუმცა მეთაურებს არც ისინი ჩამოუვარდებოდნენ და მჯობნის მჯობნი ყოველ ახალ ბრძოლაში გამოჩნდებოდა ხოლმე.

ათეულები, თავის მხრივ, სამეულებად იყო დაყოფილი. ერთ-ერთ ასეთ სამეულს მიშა ნაცვლიშვილი მეთაურობდა და რადგანაც ჯამაგიშვილი, ჯამაგა, რაზმში სწორედ მან მოიყვანა, თანახმად ბელადის ბრძანებისა, იგი სწორედ ნაცვლიშვილის სამეულში ჩარიცხა. ასე რომ, მიშასა და ჯამაგას განუწყვეტლივ ერთად უხდებოდათ ყოფნა მზირში თუ ყარაულად, სოფლებიდან სანოვაგის ამოტანისას თუ რაზმისათვის ზურგის გასამაგრებლად, როდესაც მტრის ჭარბი ძალების მოწოლის გამო ჩოლოყაშვილი უკან იხევდა და მოწინააღმდეგისათვის გზის ასაბნევად და ხაფანგში შესატყუებლად წინასწარ გამაგრებულ საბრძოლო პოზიციაზე გადადიოდა.

ჯამაგამ ბრძოლაშიაც მალე გამოიჩინა თავი. ჯერ იყო და, უზუნდარას ხევში, სადაც დედოფლის წყაროდან მობრუნებულ ქაქუცას ადგილობრივი მილიციისა და თუქურმიშში დაბანაკებული დამსჯელი ჯარის დიდ რაზმთან შეტაკება მოუხდა, თავისი უშუალო მეთაური და კეთილისმყოფელი მიშა ნაცვლიშვილი უმეტეს სიკვდილს გადაარჩინა. შემდეგ იმავე ბრძოლაში სამი სიღნაღელი მილიციელი შეიპყრო, რომელთაც ბელადის მოკვლა ჰქონოდათ მინდობილი, იარაღი აჰყარა და თოკით ერთმანეთზე გადაბმული, საბოლოო მსჯავრის გამოსატანად. პირადად ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიჰგვარა. თავი ისახელა ბაკურციხესთან, კისისხევში და, ბოლოს, მაღაროსკარში, სადაც დუშეთის მილიციას და თბილისიდან მოწვეულ დამსჯელ რაზმებს, რომლებსაც არტილერია და დაზგის ტყვიამფრქვევებიც ჰქონდათ, ძალზე დიდი ზიანი მიადგათ.

რას იფიქრებდა ჯამაგა, ან მისი რომელიმე ამხანაგი როგორ წარმოიდგენდა, თუ უშიშარ, და შეუპოვარ მებრძოლს, არა ბოლშევიკის, არამედ ქურდბაცაცა ქისტის მიერ ნასროლი ტყვია შიგ შუაგულ არაგვში მოხვდებოდა, არაგვის ანკარა წყალს თავისი სისხლით შეღებავდა და თეძოში დაკრილი, გალმა ნაპირს რის ვაივაგლახით გაალწევდა.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც რუსის ჯარმა ბარისახო აიღო, ხევსურეთის აჯანყება სისხლში ჩაახრჩო, დაუმორჩილებელ ხევსურთა ღარიბული სახლკარი ცეცხლს მისცა, ქალსა და კაცს შეუბრალებლად მუსრი გაავლო და ორწყალში გამაგრებული ქაქუცა ჩოლოყაშვილიც იძულებული გახდა, ახალი ძალის მოსაკრებად ფშავისაკენ დაეხია.

საშინელი მარცხი ტფილისში მყოფი დამკომის — დამოუკიდებლობის კომიტეტის უპირულობამ, უუნარობამ და შინაგანმა შეუთანხმებლობამ გამოიწვია. ქართლ-კახეთის შეერთებული ჯარი, მიშა ლაშქარაშვილი რომ უნდა წამოსძღოლოდა, დათქმულ დღეს ყინვალის მიდამოებში უნდა გამოჩენილიყო, ხეობის ყელი გადაეკეტა და, ამგვარად, შეფიცულთა რაზმის კვალდაკვალ ხეობაში შესული დამსჯელი ჯარისათვის უკან დასახევი გზა მოეჭრა, არც დანიშნულ დღესა და საათზე და არც შემდეგ იქ არ გამოცხადდა.

დამკომში, რომელიც სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებისაგან იყო შემდგარი და აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ევალებოდა, შინაგანმა განხეთქილებამ იჩინა თავი, საქმისათვის საჭირო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაქუცასათვის შეპირებული ჯარი, არსენალის ყაზარმებში უქმად რომ იდგა და აყრის ბრძანებას ელოდა, არ გაგზავნეს. წინასწარ დაგეგმილი ხეესურეთის აჯანყება, რასაც ჩრდილო კავკასიის მთიელი ტომების ერთობლივი გამოსვლა უნდა მოჰყოლოდა, ამან გამოუვალ ჩიხში მოაქცია, დასამარცხებლად გასწირა და რიცხვით ათგზის უმეტეს მტერს, საფრთხე რომ არსაიდან ემუქრებოდა, სრული საშუალება მისცა სისხლის გუბე დაეყენებინა.

ქაქუცას არჩევანი აღარ რჩებოდა. თუ სურდა, ზედიზედ მომხდარ რამდენიმე შეტაკებაში შეფერთხილი თავისი რაზმი შეენარჩუნებინა და ახალი ბრძოლების გასაჩაღებლად ამთავითვე ეზრუნა, მის მიერვე დაგებულ ხაფანგისათვის თავი როგორმე უნდა დაეღწია და თიანეთის გზაწვრილებით კვლავ კახეთის ტყეებში დაბრუნებულიყო.

ჯამაგა არაგვზე გადასვლისას დაიჭრა. ცხვრის ფარის მოსატაცებლად ბარში ჩამოხეტებულ ქისტებს არაგვში უჩუმრად გამავალი შეიარაღებული რაზმი მძლიერი ჰგონებოდათ, გადაეწყვიტათ, ნამდვილად მდევარია, ჩვენ მოგვდევნო, ჩასაფრებულიყვნენ და სროლა აეტეხათ. მათი ვინაობა, რასაკვირველია, არც ქაქუცამ იცოდა. მან ბრძანება გასცა, სროლაზე სროლითვე არ ეპასუხათ, რათა სიბნელეში მტრისთვის რაზმის მიგნება არ გაეადვილებინათ და ნაპირის მიღწევისთანავე თავი ტყისთვის მიეცათ.

— ჯამაგ, ბიჭო!.. ფეხი გამაადგი, შე დავარდნილო, როგო მთვრალივით მობანცალებ!..

ჯამაგას პასუხი არ გაუცია, თუმცა ხმაზე იცნო. მიშა ნაცვლიშვილი იყო, ერთი ორი ნაბიჯი კიდევ გადადგა სიპი ქვებით მოფენილ თეთრ რიყეზე და თუმცა გულით უნდოდა, ამხანაგებს უკან არ ჩამორჩენოდა, ჯერ კარაბინი გაუვარდა ხელიდან, მერე თავადაც მუხლმოკვეთილი დაეცა. შემდეგ რა მოხდა, აღარ გაუგია, რადგანაც ბურან მა წაიღო და თვალებზე წყვდიადი ჩამოაწვა. წისქვილის ქვასავით დამძიმებული ქუთუთოები რომ ასწია და გაირინდა, თვალებში მზე უკენტინებდა. ვერაფრით ვერ მოისაზრა, რა ხდებოდა მის თავს, სად იყო, ანდა, ასე დიდხანს და ღრმად რა ჯანდაბამ და დოზამ დააძინა. წამოწევა დააპირა და მენჯის ძვლის მწვავე ტკივილმა უმალ კვლავ მიწას გააკრა. ამან ყველაფერი ერთბაშად მოაგონა, მეხსიერებაში ამბების მთელი თანმიმდევრობა აღდგა, მაგრამ ის კი ვეღარ წარმოიდგინა და დაიჯერა, რომ დაჭრილი იყო და კოკა სისხლი ჰქონდა დაკარგული.

— ჯამაგ, ცოცხალი ხარ, ბიჭო, შე ძაღლის კერძო?

ხმა ეცნო, მაგრამ თვალი მთლად ვერ გაახილა, რომ დაენახა, ვინ ეკითხებოდა. მან თვით მოალოჯა და ცხვირწინ დაუცუცქდა. რასაკვირველია, ისევ ნაცვლიშვილი იყო. არაგვზე გადმოსვლისას დასველებულს ჩოხა-ახალუხი გაეხდა, იქვე აბრიალებულ ცეცხლისათვის მიეფიცხებინა, მანამდე კი ჯამაგას ნაბადი გაეშრო, დაჭრილისათვის ქვეშ დაეგო, ზემოდან თავისი ჩოხა წაეფარებინა და ტანზე შემოდნარი საცვლების ამარა, რომელშიაც ალაგ-ალაგ ბანჯგვლიანი ხორცი მოეჩანდა, ნამდვილ ბოსტნის საფრთხობელას დამსგავსებოდა.

თითქოსდა ცულის ბლაგვი პირით მიყენებული ჭრილობა ჯამაგას გულის შემაღონებლად სწერკნიდა, მაგრამ ნიფხავგამობდღვნილი ნაცვლიშვილის დანახვაზე ტუჩებზე გატანჯულმა ღიმილმა მაინც გადაუარა.

— აქ რა გვინდა, მიშა, დანარჩენები სად არიან?

ჯამაგა დარწმუნებული იყო, ეს სიტყვები გარკვევით წარმოთქვიო და გაუკვირდა, როცა ნაცვლიშვილმა პასუხი არ გასცა და კითხვები აქეთ დაიყარა: როგორა ხარ, ბიჭო, ჯამაგ, შესძლებ თუ ვერა ფეხზე წამოდგომას, რომ სოფლამდე მიგიყვანო და იქ ვინმე ში-

ნაური ექიმი მოგიჩინოო. სატიალე ტყვია შიგ ძვალში გაქვს მოხვედრილი, ჩემი შეტყობით, ძვალი გატეხილი უნდა იყოსო. ეგ არაფერი, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, თუ ღმერთი მოგვეხმარა და ტყვია შიგ არ არის გაჩხერილი.

— მაშ, დაჭრილი ვარ?

— აბა, რა ხარ, შე უტვინო, დაჭრილი რომ არ იყო, ახლა აქ რა გვინდოდა?! ცხრა მთა გვეძებებოდა გადავლილი!

— სხვები სად არიან? ბელადი სად არის?

— წვიდნენ! ჩვენ მოგვიცდიდნენ? ბელადმა შენი თავი მე ჩამბარა. არამც და არამც არ დატოვო, შენი მოყვანილია და შენვე უპატრონეო. იმასაც რომ არ ეთქო, როგორ ატყობ, ონოფრეევ, მე დაგტოვებდი?

— სადა ვართ, თუ იცი?

— ჰოპორტის ბოლოზე უნდა ვიყოთ, ტყეში. უკან ზედაზნის მთაა. არაგვი აქედან ორ ნაბიჯზეა. აქამდე მე და ლადო ოზანელმა მოგიყვანეთ. ისე კენესოდი, ქვეყანას იკლებდი. არა გრცხვერა?

— ეს ვინ შემიხვია?

— ვინ შეგიხვევდა, მოლოზნები გეწვივნენ სამთავროს მონასტრიდან! ჩვენ შეგიხვიეთ, მე და ლადო ოზანელმა, როგორც შევიძელით. სისხლი ღელესავით მოგდიოდა. ასეთი რა მოგარტყა იმ პატრონძაღლმა! ძლივს შეგიწყვიტეთ...

— მე აქედან ვერსადაც ვერ წავალ. რომ გავინძრე, მოვკვდები.

— სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს. არაფერი გჭირს სამაგისო. ჯერ შენს მეტი არავინ დაჭრილა?

ჯამაგა ცალ გვერდზე იწვა, თვალები დაეხუჭა და ვერც კი გრძნობდა, თუ მდუღარე ცრემლები ღაპაღუბით გადმოსდიოდა და ყვრიმალქვეშ ამოდებულ ხელისგულს და მაჯას უსველებდა.

— ჯამაგ!

— ჰო.

— რა გატირებს, ბიჭო? შეგირცხვა ვაჟკაცობა! შენგან მაგას არ მოველოდი, რაც მართალია, მართალია. რკინის მკვნეტელა დევი მეგონე!

— მე არა ვტირი!

— მა ე ცრემლებს რო აღვარღვარებ, რა არი?!

— მაგის პატრონი დედაც!

— გტკივა?

— მიხურს... ასე მგონია, ცხელი სახნისი დამადეს!..

— რაკი აქამდე გაუძელ და სული არ ამოგძვრა, აწი ნუღარ გეშინია. მე შენს გონს მოსვლამდე გავიქცეოდი, სოფლიდან ვინმეს მოვიყვანდი, მაგრამ შეშეცოდე, მარტო ვერ დაგტოვე. რა გუნებაზე დადგებოდი, თვალი რომ გამოგეხილა და შენს ახლოს კაცი-სულიერი ვერავინ დაგენახა!

— მაშა, შენ ხომ იცი, მე აქაური კაცი ვარ, ჰოპორტაში დავიბადე და სანამ დედ-მამა ცოცხალი მყვანდა, ბალღობაც აქ გავატარე. ლაგოდეხში მერე წამოველ!.

— მართლა, კაცო! — ნაცვლიშვილმა შუბლზე ხელი შემოირტყა. — მე ეგ სულ აღარ მომაგონდა! დარჩა აქ ვინმე შენიანი?

— უფროსი ძმა ცხოვრობს ზედა უბანში, ეკლესიის უკან. წყაროსთან. მამით ერთნი ვართ. მე მეორე ცოლთან გამაჩინა მამაჩემმა. რას მაჩენდა ის სულმყრალებული, თუ ამ დღეში ჩავარდნა მელოდა! არ ჯობდა, ძაღლი გაეჩინა? ეზოს მაინც...

— მოგვწყობია ხელი და ეგ არის, ჯამაგ, ძმას შევატყობინებ!

— არ მინდა კარზე მივადგე, ხიფათში ჩავიგდო. თუ გაუგეს, ცოლშვილიანი ამოწყვეტენ და სახლ-კარს გადაუწვამენ!

— ხეირს არც სხვას დააყრიან, ჯამაგ. მე წავალ, ვინმეს ვიპოვნი და გავგზავნი. რაც უნდა იყოს, დედმამიშვილია. მერე შეიძლება საყვედურითაც აგვავსოს, ჩემი ძმა აქ იყო, დაჭრილი. გაჭირვებული და მე არ შემატყობინეთო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიქეცი. როგორც ჭკუამ გაგიჭრას!

— ჯერ ჭრილობა ხომ არ გვენახა?

— კიდევაც რომ ნახო, მე და შენ რას გავუგებთ! აქ ახლო წისქვილია არაგვის ტოტზე. არ იქნება, ვინმე არ იყოს. ჯიქურ ნუ მიხვალ... ვაიმე, დედა, გიკვდები!.. მომეწია იმ საწყალი მოლარის ცოდვა და ეგ არის!..

— გამაგრდი, კაცი არა ხარ?

— წადი ბარემ, რაღას მიყურებ? მე სულ ასე ვიქნები!

ნაცვლიშვილი უხმოდ გატრიალდა, კუნელის ბუჩქზე მიფენილი შავი ახალუხი დაითრია, გადაიცვა, სიცივისაგან ათახთახებულ მხარ-ბეჭზე შემოიჭიმა, ღილაკოლები თითების კანკალით შეიბნია, მხოლოდ ნიკაპქვეშ დასტოვა შეუკრავი, რადგანაც ეს ზედმეტ დროს წაართმევდა, რამდენიმე ადგილას საკერველდადებული ჩოხაც ბეჭებზე მოიგდო, დაკოტავებულ ფართო სახელოებში ხელები რიგრიგობით გაუყარა, გზადაგზა ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და წელანდელი ბოსტნის საფრთხობელა, ტკივილისაგან გაწამებულ დაჭრილს ღიმილი რომ მოჰგვარა, მართლაცდა რკინის მკვნეტელა ვაქკაცს დაემგვანა.

ჭრილობა ფეთქავდა. გავარვარებული სახნისის აუტანელი სიმხურვალე მთელ სხეულს მოსდებოდა და ჯამაგა წამდაუწუმ ოფლს იწურავდა. წამისწამ გონებას ჰკარგავდა. სადღაც სხვა სამყაროში გადადიოდა, მაგრამ უცხო ძალა ისევ უკან აბრუნებდა. სიცივეს ვერ გრძნობდა. თუმცა ზამთრის პირი იყო და რთველს ბუჩქნარიანი მეჩხერი ტყეც და ჯერ კიდევ მწვანე ნაჯეგი ბალახიც ერთნაირად გადაეთეთრებინა. ტანის ამჩატება, მიწაზე დაკრული ნაბდის კალთის აგლეჯა და ადგილის მონაცვლება გაუჭირდა. ტკივილისაგან ტუჩები დაიჭამა. მწარე ოხვრაც აღმოხდა, მაგრამ ცოტათი უკან ბახოხება კიდევ მოაბრუნა. უკან კუნელის ღონიერი ბუჩქი იყო. აქ ცეცხლიც რომ მოჰკიდებოდა, მეტი დახევის საშუალება არა ჰქონდა. „შენ რა გითხარი, მიხავ. საყვედურობდა ძმაკაცს გულში. — ეს ცეცხლი რა ოხრად დაანთე! დიდი ხუთშაბათია? კვამლი მთელ გაიმა-გამოღმა ჭალებს ეფინება. სად მიდიხარ, ვინმე ჯიბიდან გავარდნილმა რომ ყურადღება მიაქციოს და მოგვაკითხოს, ვნახოთ, ვინ არის, აქ რა უნდა ამ დროს, კეთილი სული არ იქნება, დილაადრიან ტყეში ცეცხლი რისთვის გაუჩაღებიაო?“

კარგი იყო, ეს გონივრული აზრი თავში მანამდე მოსვლოდა, სანამ ნაცვლიშვილი აქ ტრიალებდა. ცეცხლს აუცილებლად ჩაკვრობინებდა და გაღვივებულ ნაღვერდლებსაც აქეთ-იქით გაფანტვინებდა. ახლა თავს ზემოთ ძალა არ ჰქონდა, ღვთის ნებას უნდა მინდობოდა, იობის მოთმინებით აღქურვილიყო. ბედად, კოცონმა ისევე მალე შეწყვიტა ტკაცუნი, შიშინი და ბრიალი, როგორც დაიწყო. ახალი დამატებული ფიჩხი, ეტყობა, ჩაიწვა, ჩაინავლა და ახლა მხოლოდ მახრჩობელა კვამლი ასდიოდა, რომელსაც სუსტი ნიავი წამდაუწუმ უცვლიდა მიმართულებას.

— ჯამაგ! — ჩასძახა ვიღაცამ და ფრთხილად შეაჯღრია. ჯამაგამ თვალი როდის-როდის გამოახილა. არ გაუგია, მთელი ღამის ნაჯახირევს და ნაბრძოლს ჩასთვლემა თუ გონება ისევ წაერთვა. მის წინ ორნი იდგნენ. ერთი მიშა ნაცვლიშვილი იყო, სხვა ვინღა იქნებოდა, მეორე კი დაახლოებით მისივე ტანის, ნაბდისქუდიანი, გამხდარ-გამხდარი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი კაცი. ნაავადმყოფარ. ციებ-ცხელებისაგან ბაიასავით გაყვითლებულ სახეზე ჭაღარაგამორეული შავი წვერი წამოზრდოდა.

თავისი ნახევარძმა მიტო ჯამაგიშვილი, რომელიც უძეოდ გადასული თავისი პაპის, დედის მამის ნაფუძარზე ცხოვრობდა სოფელ ჭოპორტაში, ჯამაგას დიდი ხნის უნახავი ჰყავდა. მისი სახე ჩვეულებრივად აღარც კი ახსოვდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მამისთვის რომ არ მიემსგავსებინა, ახლა შეიძლება ვეღარც კი ეცნო.

— ნუ გეწყინება, იოსებ, ძმაო, — მიტო ჯამაგიშვილმა ჯამაგა ნათლობის სახელით მოიხსენია. ზედვე ეტყობოდა, მისი დანახვა, თანაც ამ მდგომარეობაში, მაინცდამაინც დიდ სიხარულს არ ჰგვრიდა და აქაც ნაძალადევად. შესაძლოა, ნაცვლიშვილის გალაპლაპებული კარაბინის შიშითა და რიდით იყო მოსული. — შინ ვერ წაგიყვან. ჩეკა და მილიცია სანთლით დაგეძებს. ჯერ მანამდეც, სანამ ჩოლოყაშვილთან წახვიდოდი. პარტიულებს და კომკავშირელებს ასი თვალი და ასი ყური აქვთ გამობმული, სამჯერ დაგვეცნენ და გაგვჩხრიკეს. ლეიბში მატყელი აღარ დაუტოვებიათ და ბალიშში ბუმბული. იქ ხომ არ იქნებოდი! მე სამ დღეს ვყავდი. ჩეკაში დამწყვდეული. რომ ვერა გაიგეს რა, რა უნდა გაეგოთ, რა ვიცოდი, ხელწერილი ჩამომართვეს, თუ სადმე გინახავს და ჩვენთვის არ შეგიტყობინებია, იცოდე, ყაჩაღი ძმის მაგიერ შენ აგებ პასუხს მაგ შენი ცოლ-შვილითო. ამ პატიოსან კაცს, შენს ამხანაგს, რა დავმალო, ჭიშკარი მოვუხურე, აქაც არ მოვყვებოდი. ნურც ერთს ნუ გეწყინებათ. მოგზავნილი მეგონა. მე და დედაკაცს რაც მოგვივა, მოგვივიდეს, ბალღების ჯავრი მკლავს, ჯერ პატარები არიან...

— დაჭრილი სადმე უნდა მოვათავსოთ? — მკაცრად შეაწყვეტინა მიხო ნაცვლიშვილმა. — გამოცდილი და სანდო ექიმბაში უნდა მოვუყვანოთ. ბელადის ბრძანება ასეთია! ღვთის გაჩენილ სულდგმულს ამისთანა დღეში თათარი და გადამთიელი უპატრონებს, გინდამც მეორე დღეს ტყავი ოთხპირად გაძარონ!

მიტო ჯამაგიშვილი ისე წავიდა, არც ავი დაუბარებია, არც კარგი. წავიდა თავჩაღუნული, ჩანჩალით, როგორც აქეთ მოდიოდა. იფიქრებდი, უკან ხიშტიანი თოფებით მისდევენ და დასახვრეტად მიჰყავთო. რომ შეაგვიანდა, მიშას მოუსვენრობა დაეტყო. ადგილს ვეღარსად პოულობდა. მეტადრე იმიტომ, რომ დაჭრილი სულ უარესად და უარესად ხდებოდა. თუ თვალს მილულავდა, იმავ წამს ბოდვას იწყებდა, რაღაც გაუგებარ რასმე ბუტბუტებდა. ხოლო თუ ეღვიძა, ისე გულის გამგმირავად გმინავდა, მისი საცოდაობით ქვაც კი დაიწვოდა.

— რას იტყვი. აღარ მოვა? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა ნაცვლიშვილი სიცხით გათაკარებულ ჯამაგას, რომელსაც აღარც თავისი ნახევარძმა ახსოვდა და აღარც გარდაუვალი აღსასრული, ულმობლად რომ უახლოვდებოდა. — ღმერთი არ გაუწყრეს. არსად დაგვაბეზღოს! ძმას კი არა, ბოლშევიკები დედას შვილს გააცემინებენ!

უკანასკნელი იმედი გადაწურული იყო, როცა ბუჩქნარით გადავლილი მეჩხერი ტყის სიღრმეში, სადაც არაგვის ფშანისაკენ მიმავალი საურმე გზა გადიოდა, მეურმის შეძახილი და შოლტის ტყლაშუნი გაისმა.

— მოვიდა? ის არის? — უმისამართოდ იკითხა ჯავრისაგან კრიჭაშეკრულმა ნაცვლიშვილმა, კარაბინს ხელი დაავლო, საკეტი გადაატრიალა, ვაზნა პირში მისცა და იქით გაექანა, საიდანაც ურმის ჭრიალი და მეურმის შეძახილი გაიგონა.

მიტო ჯამაგიშვილს, ჯამაგას ძმას, ელდა ეცა, ვიწრო გზაზე, ურემი ურემს გვერდს ძლივს რომ აუვლიდა, ბუჩქებიდან ლანდივით გამომძერალი თოფიანი კაცი რომ დაინახა, მაგრამ ნაცვლიშვილი უმალვე იცნო, ხარებს წრუპუნ-წრუპუნით გადაასწრო, წინ გადაუდგა და გაიჩერა.

— რად დაგაგვიანდა? საეკვო ხომ არაფერია?

— ქალმა ხარჯი გააკეთა, ღვინო ამოვიღეთ, ხარები მინდორში მყვანდა გაშვებული. სინამ ვიპოვნე, მოვრეკე, სინამ შევაბი...

დაჭრილიცა და მისი თავმდგმურიც უღმერთოდ მოშიგებული იყვნენ. მეორე ღღე ღამდებოდა, რაც პირში ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჩასვლოდათ. ხურჯინისათვის თავის მოხსნა და სულის მოსათქმელად რისამე ამოღება მაინც შეუძლებლად მიჩნიეს. რაკი ღვთის მადლით, აქამდე არავინ გადაწყდათ და ნიფათს გადაურჩნენ, აქაურობას რაც შეიძლებოდა ჩქარა უნდა გასცლოდნენ. ჯამაგას ძმამ ხარუერემი გზის პირას გადააყენა და იქვე დასტოვა, რადგან იმ ადგილს, სადაც ჯამაგა იწვა, ვერსიადან მიუდგებოდა. საკაცე უნდა გაემართათ, დაჭრილი ზედ დაეწვინათ და აქამდე როგორმე მოეყვანათ.

მიტოს ემარჯვა, მეზობელ სოფელშიაც გადასულიყო, სადაც მოტეხილობისა და დამწვრობის უებარი მკურნალი დედაბერი ეგულებოდა და მზის ჩასვლის დროისათვის წყაროსთავთან დაებარებინა, რომლის ასწვრივაც, წიფლიანში, ერთი ბებერი, ფუღეროოიანი წიფლის ძირას, ძმისა და მისი ამხანაგის დაბინავებას აპირებდა.

ამ პირყვითელა სნეული კაცის მიმართ, წვრილ ცოლ-შვილს რომ თავზე დაჰკენკალებდა, მიშას გული მოურბილდა და შეხედულება შეეცვალა. თავს იდანაშაულებდა, საბრალოს რა ოხრობა არ დავაბრალე, რა არ შევწამე, ამის მეტი რა ქნას უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილმა, კაცური კაცი მის უნუგეშო მდგომარეობაშიაც ხომ უნდა შეხვიდეო.

— სადა ვართ? — სხვისი ხმით იკითხა შიმშილისა, ტკივილისა, სიცხისა და სისხლის დაკარგვისაგან ღონეწყართმეულმა ჯამაგამ, როცა ფიცრულ ძარში ჩაფენილ თივაზე ფრთხილად აწვენდნენ, და თვალის გახელას შეეცადა.

— აქ ხარ, აქ. ნუ გეშინია. — უპასუხა ძმამ, რომელიც უკვე წინ უდგა კარგად მოვლილ ლომა ხარებს და შუა გზაზე გამოჰყავდა. — უკეთეს ადგილზე წაგიყვანთ. იქ კუდინაც ვერ მოგაგნებთ. ჰეი, ლომავ, შე ტიალო! — მიტო ჯამაგიშვილი გვერდზე გადადგა, შოლტი გაატყლაშუნა და ხარებმაც თავისუფლად გაიწიეს, ურემი მსუბუქად გაიტაცეს.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გზა ორად გაიყო. ერთი, რომელსაც ისინი გულდაგული დადგნენ, პირდაპირ, ტყეტყე მიდიოდა, მეორე კი მარცხნივ უხვევდა და, ალბათ, ორაგვის ჭალაზე, წისქვილისაკენ ეშვებოდა.

დაჭრილი გაყუჩდა. მისი ყრუ კვნესა მხოლოდ მაშინ ისმოდა, თუ ურმის თვალი ქვაზე გადავლიდა, ანდა ციცაბო ალმართზე ავლისას ურემი რომელიმე მხარეს მეტისმეტად გადაიხრებოდა. მიტო და მიშა ურემს კვალდაკვალ მისდევდნენ და მზად იყვნენ, თუ საჭიროება მოითხოვდა, დაჭრილისათვის ხელი დროზე მიეშველებინათ.

წყაროსთავს რომ ააღწიე და ხარებს ქარი ამოაღებინეს, მზე ახალი ჩასული იყო. მთებს მისი უკანასკნელი ათინათი მოსდგომოდა.

— აქმიც აქ არის! — მიახარა მხარზე თოფგადადებულ ნაცვლიშვილს ჯამაგიშვილმა და პანტა მსხლის ძირში კუნძზე ჩამომჯდარი შაოსანი დედაბერი დაანახა. — საღამო მშვიდობისა, სალომე ბაბო! ამოგვასწარი კიდეცა?

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, შვილო. ჯამაგიანი ხარ?

— ჰო, მე ვარ, მე!

— როგორა გაკავთ ავადმყოფი, ქა, ჯავრი დამადგა, ძალიანა წუხს?

— სიცხემ აუწია, დედი, ოფლში ცურავს! — მიტოს მაგიერ უპასუხა ნაცვლიშვილმა და დაწრიალურდა.

— აგრეა, შვილო, ტიალმა ჭრილობამ აგრე იცის, დაიქცა და დაიმეხა მაგისი მამგონი! ჩირქიც დაგროვდებოდა, განა არა. ამოვწმენდთ, დავბანთ, მალამოს დავადებთ. სამ-ოთხ დღეში, შვილო, როგორც მე შენ გხედავ, სიცხეც დაცხრება და ჭრილობაც პირს შეიკრავს. დღეის სწორს, ღვთის შეწევენთ, ფეხზე უნდა დავაყენოთ. განა პირველია!..

ვიდრე დაჭრილი კვლავ საკაცეზე გადმოაწვინეს, ხარები უღლიდან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუშვეს, ცალ-ცალკე დაბეს და თავის შესაყოლიებლად წინ ჩალა დაუყარეს, კიდევაც დაბინდდა და ჩამოღამდა. ფუღურო წიფლისაკენ გზის განგრძობა ბნელაში მოუხდათ. საკაცე დამძიმდა. სვენება-სვენებითღა მიდიოდნენ. მეტადრე მიტოს გაუჭირდა. ფეხებს ძლივს მოათრევდა.

— აგერ, აგერ, შვილო, აქ დადგით, — თქვა ბოლოს დედაბერმა, რომელიც ძმიმე ტვირთით წელში გაწყვეტილ კაცებს ბილიკზე წინ მოუძღოდა, აჩხვევებდა, აჩქარებდა და სიბნელეში გზას როგორღაც შეუცთომლად არჩევდა. ეტყობოდა, დღისით თუ ღამით აქ ერთჯერ და ორჯერ არ იყო ნამყოფი. ირგვლივ სრულებით არაფერი ჩანდა, არც ცა, არც მიწა, წყვდიადი სიბნელე სუფევდა. იქნებ დედაბერს ალღომ უმტყუნა და სულ სხვა ადგილზე ამოვიდნენ? ნაცვლშვილმა ჩოხის კალთის ქვეშ ახალუხის ჯიბე მოიჩხრიკა, კვესაბედი ამოიღო, გააწყო, გაჭკრა, გამომშრალ აბედს ცეცხლი მოუკიდა და სული შეუბერა. არ გაუვლია დიდ ხანს, ქოლგისებრ გადმოხურული, ტოტებდახლართული ბებერი წიფლის ქვეშ კოკონი აგუზგუზდა და ცეცხლით გამომწვარი დანახშირებული ფუღურო, სიბნელიდან ერთბაშად გამოტაცებული ასეთივე დიდრონი წიფლები, თითქოსდა რისამე ასაღებად ძირს დახრილი აქა-იქ ფოთლებშერჩენილი ტოტები, ყვითელი ნეშოთი მოფარული ნოტიო მიწა და სახელდახელოდ შეკოწიწებული საკაცე, რომელზედაც ნაბადწახურული ჯამაგა უძრავად იწვა, ენდროს ნახარშში ამოვლებული საადგომო კვერცხივით წითლად გაანათა.

დაჭრილის ბუნაგი, გვიანი შემოდგომის მოსისინე ქარსა და მოულოდნელად წამოსულ წვიმას რომ არ შეეწუხებინა, ფუღუროში მოაწყეს. ის ისე განიერი და ღრმა იყო, შიგ სამი-ოთხი კაცი კიდევ თავისუფლად მოთავსდებოდა.

— აბა, ახლა კი მომეშველენით, შვილებო! — აფუსფუსდა დედაბერი, დაჭრილის წინ კრიახით ჩაიმუხლა. ქოთნით თბილი წყალი, ჩქიფი, მჭრელი დანა, ლამაზად გამოკოპიტებული ტკეჩის არტაშნები, ათასნაირი სახვევი და სალბუნი მიიმარჯვა და სანამ საქმეს შეუდგებოდა, პირჯვარი სამგზის გადაწერა. მიტო პირჯვრის წერითვე ჩაცუცქდა მეორე მხარეს და მიაჩერდა, რით მოგეხმარო, რას მიბრძანებო, ნაცვლიშვილმა კი ყარაულობა და ცეცხლის ყურისგდება იკისრა, რათა უცაბედად თავს არავინ დასხმოდათ და სინათლეც არ შემოჰკლებოდათ.

ჯამაგა ტკივილმა გაამწარა. ჭრილობაზე მიმხმარი სახვევის აძრობამ, თუმცა დედაბერმა წონასწორ დაულბინ, სულ გადარია. კბილებს აკრაჭუნებდა და ოფლი ღვარად ასკდებოდა, სადღაც შიგნით ნატყვიარი ნადირივით ღმუოდა, მაგრამ მაინც არაადამიანურ გამძლეობას იჩენდა, ცდილობდა, ხმა პირიდან არ ამოეშვა და არც განძრეულიყო.

— ცოტაც, შვილო, ცოტაც გაუძელ, აგრემც გენაცვლება სალმე ბაბო, არ გატკენ, არა, აბა, ნახე, თუ გატკინო!..

დაჭრილის ტანჯვა-წამება უსასრულოდ გაგრძელდა. მარტო ის კი არა, თვით ამ სანახაობის დამსწრენიც კი სიმწრის ოფლში იწურებოდნენ და ჯამაგასთან ერთად ოხრავდნენ. დედაბერი რომ საქმეს მორჩა, უკვე ჩაძინებულ ავადმყოფს ნაბადი წაადგა, ხელსაწყო-იარაღები აკრიფა და ყელფართო ქოთანში დაღვლარჭნილი ხელები ჩაიბანა, არაგვგადმა, რომელიღაც სოფელში მამლები ყიოდნენ, უკვე ახალი ნანათლევი იყო.

— დაგელოცოს ეგ მადლიანი მარჯვენა, სალომე ბაბო, — როგორღაც დარცხვენილად უთხრა დედაბერს მიტომ და აქა-იქ ნახშირით დასვრილი, წელში ძლივს გაიმართა. — ხალნნი ვართ. ჩვენც რამეში გამოგადგებით. მე და ამ კაცსა, — უცაბ სახელი ჭკერ ოიგონა და ნაცვლიშვილს გაჰხედა. — არც გვისამრცია და არც გვეკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა რაღაცა გამომიტანა ქალმა. ცოტა ხომ არ წაგვეხემსა?

— არა, შვილო. ჩემთვი ნუ შესწუხდებით. ან სმა სად მახსოვს და ან ჭამა! გათენებამდი შინ უნდა ვიყო. იქ კიდევ სხვებს გამოუღამდათ თვალი ლოდინში. ამას შუადღემდე არაფერი უნდა. ნატანჯია, ვერ უყურებ, ძილით ვერ ძღება! მანამდე იქნება არც გამოღვიძოს. თქვენ შიში ნურაფრისა გეექნებათ. გამოიღვიძებს და საჭმელს მოითხოვს. აჭამეთ ცოტ-ცოტა. წყალი მალ-მალე მოწყურდება. ნუ დაუკავებთ. ცოტა ღვინოც მიეცით. ღონეზე მოიყვანს. დილას, ინათლებს თუ არა, წვრილფეხს დავაპურებ და მაშინვე წამოვალ, საფენებს გამოვუცლი.

— თუ აგრეა, შენც წადი, აქ რაღა უნდა გააკეთო, — მიმართა ნაცვლიშვილმა მიტოს. — ნახე, სოფელში რა ხდება. ამას მე მოვუვლი!

მიტო დარწმუნებული იყო, შინ წასვლას შესთავაზებდნენ და, როცა ეს გამართლდა, გაიხარა.

— არ წავიდოდი, მიშა, ფეხსაც არ მოვიცვლიდი, მაგრამ რა ვქნა, ვაითუ ეტვი აიღოს ვინმემ და თავზე ჩეკა და მილიცია დაგვასხას, სულ დავიღუპებით! ხარებსაც მიხედვა უნდა!..

— წადი, წადი, ხომ გეუბნები, წადიმეთქი!

ჯამაგამ ბევრად უფრო ადრე გამოიღვიძა, ვიდრე დედაბერი ვარაუდობდა.

ნაცვლიშვილი ცეცხლთან იჯდა, მუხლებშუა ჩადებულ კარაბინს მხრით მინდობოდა და მთელი ღამის უძილარი ყვინთავდა. ძილშივე ჩაესმა, მგონი ჯამაგა მეძახისო და ზეზე წამოვარდა, ფუღუროს მიაშურა, სადაც დაჭრილი მარტოდმარტო იწვა. ჯამაგა მართლა გამოღვიძებული იყო. ნებივრად ამთქნარებდა და თვალებს იფშვნეტდა.

— შენა? — ჰკითხა მიშას, როცა ის წინ დაუდგა. — ისინი სად წავიდნენ?

— ვინ ისინი, ბიჭო, შენ კიდევ ვინმე გახსოვს? შინ ჩავალთ, ოჯახს დავხედავთ და, თუ მშვიდობა იქნა, ისევ ამოგაკითხავთო. როგორა ხარ, როგორ, ფერი მოგივიდა? გუშინდელთან შედარებით. ჯვარი გწერია. ყოჩაღად გამოიყუღები!

— გადავრჩი, მგონია, აწი აღარ უნდა მოვკვდე!

— სიკვდილის ძაან გშნებია. დედაბერს კინაღამ ხელში ჩააკვდი. ეგ ვინ ყოფილა! მე მაგისთანა ჯერ არავინ მინახავს! ტყვია ამოგიღო, ბიჭო. რამისახო ტყვია. შენ კი არა, რომ მოხვედროდა. კამეჩს გაგიორებდა!

— ტყვია? რას ამბობ?! შიგ ჩარჩა ტიალი? სად არის?

— აი! მიშამ ჯიბიდან ცერის სიმსხო ლითონის ნაჭერი ამოიღო, ხელში კენჭივით შეისროლა და დაჭრილს გაუწოდა.

— ფუ!.. — ჯამაგამ ლაზათიანად შეიგინა. — ამან უნდა მოგკლას კაცი? ამან, ამან? ხარ. მოგხვდება და მეორე წუთში აღარა ხარ!

— მოიტა, სამახსოვროდ შეგინახავ! შვილიშვილები გაგეზრდება და აჩვენებ, როგორი დევგმირი იყავი. იტყვიან, ეს რა პაპა გვყოლიაო და თავის შვილიშვილებს შეუნახავენ. მადაზე როგორა ხარ, ბიჭო? — ნაცვლიშვილმა ტყვია ისევ ჯიბეში ჩაიდო... — არც გშია, არც გწყურია?

— არის სადმე წყალი?

— დილას მოვიტანე. ღვინოს დაგალევინებდი, მაგრამ ვაითუ გაწყინოს!

— როდის იყო, ღვინო კაცს წყენდა?! უღვინოდ სიკვდილს არა სჯობია. ღვინომ მომკლას?

ნაცვლიშვილი წიფლის სულ ქვედა ტოტზე გადაკიდებული ჭრელი ხურჯინის თვალს მისწვდა, დანაკლულებული მომცრო ტიკჭორა ამოიღო, გადახვეული მკედი შეხსნა, თითი მოზვრის ყანწში ჩააყოფინა, რომელსაც დღემუდამ თან ატარებდა.

— ღმერთი და მამაზეციერი შეგვეწიოს, გაის მოსვლამდე არაფერი გვტაკნოდეს, ბელადის დაწყებულ საქმეს გაუმარჯოს!.. — ჯამაგა დაილოცა. ყანწ-

ში ჩაიხედა. დაყნოსა. თქვა. იფ. იფ. ამისა მარტო სუნი მოგარჩენს კაცსო. ხარბად მოიყუდა და კარგს ხანს ულუპ-ულუპად სვამდა ჩაიწურა პირში უკანასკნელი წვეთიც და ყანწი ისევ მიშას გაუწოდა. — დამისხი!..

— არა. ჯამაგ. რას ამბობ. ეგეც ბევრია!

— დაასხი. გეუბნები!

— რომ რამე გიქნას?

— არაფერსაც არ მიზამს! ეგ არის ჩვენი ძმობა?

— დაგავიწყდა. რაზმში ღვინის დალევა რომ აკრძალული გვაქვს?

— მერე აქ რაზმი სად არის?!

— არ არის. მართალია. მაგრამ სიტყვა სიტყვაა. მობარებული. ხომ გაგიგონია. მგელმა შეინახაო.

რაკი საშველი აღარ მისცა. ყელგამოწეული ეხვეწებოდა. მიშა გატყდა. ყანწი სანახევროდ შეუვსო და. კიდევ არ მოითხოვოსო. ტიკჭორას მაშინვე გადაუსკვნა თითი. ხის უკან გაიტანა და იქ დამალა.

ავადმყოფს ღვინომ მადა გაუხსნა. რძლის ხელით გამომცხვარ ქადა-ნაზუქს. ყუდაბრაწულ თორნის პურს. გუდის ყველს. ჯარხლის მწნილს. კეცზე შემწვარ. ნიორწყალში გავლებულ წიწილას გამგელებული ეცა.

ჯამაგას ნახვაარმმა მიტო და აქიმი დედაბერი დათქმულ დროზე ადრე ამოვიდნენ და ტყეში თავშეფარებულ რაზმელებს მეტად საგანგაშო ცნობები ამოუტანეს. მცხეთის მილიციასა და ჩეკას ხალხში აჩენილ თავის კაცებისაგან სარწმუნოდ შეეტყო. რომ ხევსურეთის მთებიდან უკანდახეული ქაქუცა ჩოლოყაშვილი არაგვში სწორედ ჯოპორტის ბოლოზე გამოსულიყო. ენახათ ის ადგილი. სადაც მდინარეზე გადმოსვლისას დაჭრილ ჯამაგას და მის საპატრონოდ დატოვებულ მიშა ნაცვლიშვილს წინადღეს ცეცხლი ენთოთ. აქედან დაესკვნათ. მეამბოხეთა რაზმი სადღაც ახლოა. შორს არსად იქნება წასულიო და მისი გზა-კვალის საძებნელად. ადგილობრივ პარტიულებთან და კომკავშირელებთან ერთად. ბოლო დროს ასე რომ მომრავლდნენ. ჯოპორტასა და მის ახლომახლო სოფლებს მოსდებოდნენ. გაუჩხრეკავი და პირწმინდად გადმოუქოთებელი არც ერთი სახლი. არც ერთი ბეღელი. გომური. საძეელი თუ სათივე. თვით სოფლის ეკლესიაც კი არ დარჩენილიყო. მაგრამ რაკი შეფიცულთა რაზმის ასავალ-დასავალი ვერსაიდან შეეტყოთ და ვერც ვერავინ გამოეტეხათ. ჯვარი ისევ ღვთის მოიმედე ალალმართალ გლეხობაზე ეყარათ. ბილწყავდნენ ჭურისთავს. ამინძურებდნენ ჭებს. შუკებში გამოფენილ ხარ-ძროხასა და ცხვარს პატრონის დაუკითხავად სადღაც მიერეკებოდნენ. თუ ვინმე პატრონთაგანი ხმის ამოღებას გაბედავდა. სად მიგყავთ. თქვე კარგი დედამამის შვილებო. ნუთუ სამართალი სულ აღარ არის ამ ქვეყანაზეო. თოფის კონდახით ან ხმლის ყუით უმასპინძლდებოდნენ. როგორ თუ შენ სამართალი გვიხსენე. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება გაგვილანძღეო და აკეკლებულ ჭირისუფალს იმის ნებასაც კი აღარ აძლევდნენ. დაუზოგავად გალახული. სიკვდილზე მიმდგარი თავისიანნისათვის მიეხედა.

სხვებზე მეტი წინააღმდეგობა სოფლის მღვდელს. მამა თადეოზს. გაეწია და ყველაზე მეტიც სწორედ მას მოხვედროდა. იმ იმედით. რომ ხელს არავინ ახლებდა. მის სასულიერო წოდებას შეურაცხყოფას ვერავინ მიაყენებდა. საბრალო მოძღვარი ჯვრით ხელში. ხატებითა და საეკლესიო ბაირაღებით ეკლესიის გალავანში გამოსულიყო. შომხდურთ წინ გადასდგომოდა და მხურვალე ლოცვა-ვედრებით შეგონება და ჭეშმარიტების გზაზე დაყენება დაეპირებინა. მაშინ მომხდარიყო სწორედ ის. რისი წარმოდგენაც აქამდე არავის შეეძლო. მღვდლისათვის კისერზე ძელკვი დაკიდებული ჯვარი წაერთმიათ. ძარში ჩაეგდოთ. რითაც ეკლესიის ქონება მიჰქონდათ. სიძველისაგან გახუნებული ბაირაღები და

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ოქროცურვილი ხატები. ყოველი მორწმუნე კაცის გულში სასოებასა და ზეაართან მიახლოების ნეტარებას რომ ნერგავდა. ფეხქვეშ უპატიურად გაეთელათ. ლუკმა-ლუკმა დაიგლიჯ-დაემსხვრიათ, აბა, გვიქნა რამე, თუ მართლა არის სადმე ის თქვენი მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმინდაო, თვით ყოველივე ამის შემსწრე და მხილველი მღვდელი მამა თადაროზი კი, მიუზედავად მოხუცებულობისა, უწყალოდ გაელახათ, ცოცხალ-მკვდარი ურემზე დაეგდოთ და რამდენიმე სხვა თანასოფლელთან ერთად, ვიზედაც ექვი მიიტანეს, უსიკვდილოდ რაღაცა იციან, მაგრამ ყაჩაღ ქაქუცას ერთგულობენ, არ ამხელენო, დაპატიმრებული ჩეკაში წაეყვანათ.

— რა ვქნათ ახლა? — ძლივს ამოიღო ხმა გაგონილით თავზარდაცემულმა და გაოგნებულმა ნაცვლიშვილმა. — რა გზას დავადგეთ?

— უნდა მოვშალოთ ბინა, შვილო, ვახსენოთ ღმერთი და სხვაგან, უფრო უშიშარ ადგილას გადახვიდეთ!

— სოფელი ასე უნუგეშოდ მივატოვოთ, სალმე ბაბო? ჩვენი გულისათვის კი თავზე ჩამოაქციეს!..

— სოფელს რაღას უშველით, შვილო, ეს გვწერებია შუბლზე და ასე დაგვემართა. მტრისა და ავისას, თქვენ რომ აქ ვინმემ მოგაგზოთ, უარესი დღე დაგვადგება. აქა გაყავდათ, მალავდით და არ გაამხილეთო? თავს აღარა ვჩივი. ბებერ ძვლებს სად ჩავყრი, რაღა საკითხავია, ეს საცოდავი მიტუა მეცოდება, დადნა კაცი, ნახევარი აღარ არის!

არავის შეუმჩნევია, რომ სანამ ჯამაგას ნახევარძმა მიტო და აქიმი დედაბერი სოფლიდან მოტანილ ამბავს ჰყვებოდნენ, ჯამაგა წამომჯდარიყო, მოღელილი ახალუზზე ჩოხა წამოეცვა, დაემკლავებინა და გამალებული წინ-და-პაჭიჭს იცვამდა.

— ჯამაგ, ბიჭო, შენ სრულ ჭკუაზე ხარ თუ ააფრინე?

— ახლა შენი ფეხზე ადგომა იქნება? გინდა, ჭირილობა გაგეხსნეს და სისხლისაგან დაიცალო?

— ისე არ მოვკვდები, ორი-სამი წინ არ გავიღოლო!

— ამ პატიოსან ხალხს რაღას ემართლები. პატივი გვცეს, გველეშაპის ხახიდან გამოგვტაცეს, სიკვდილს გადაგარჩინეს, პირში სული ჩაგიდგეს და ახლა კარზე მომდგარი მტრის რისხვა თავზე უნდა დაატეხო? ხომ არა გგონია, რაკი წყვიდნენ, უკან ვეღარ მობრუნდებიან, გზას ვერ გამოაგნებენ. თუ შევიძელით და ღონეს არ გიმტყუნა, ჩვენ აქედან თიანეთს უნდა ავიდეთ და კახეთისაკენ გავუტიოთ. ბელადი იქ გველოდება. არა გვაქვს ნება, ყველამ ჩვენ-ჩვენ ქეიფზე ვიაროთ. თუ აგრე გინდოდა და ძველს არ მოიშლიდი, კარგო დედმამაშვილო, ოაზაში რაღაზე მოდიოდი, ან მე რაღაზე მაგდებდი ცეცხლში!..

დედაბერმა რომ დაჭირილს იარა ნელ-თბილი წყლით მობანა, დაუამა და ხელახლა შეუხვია, შემდეგ კი მალამოები და სახვევი ჯინჭის პატარა ფუთაში გამოჰკრა და მიშა ნაცვლიშვილს ჯამაგას ნახევარძმის მიერ ამოტანილი საგზლით პირამდე გატენილ ხურჯინში ჩაუკუჯა, თანაც ასწავლა, ასე და ასე მოიქეცი, მზე უკვე ჩაწვერილი იყო, მის უკანასკნელ სხივებს ცამდე აწვდილი წიფლების კენწეროებში აბლაბუდა გაებათ და მიდამოს ბინდი ეპარებოდა. ნაცვლიშვილმა ცალ მხარზე კარაბინები და ფალასკები გადაიკიდა, მეორეზე ხურჯინი, მანამდე კი პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო, იესო მაცხოვარო, წყიმა გვატარეო და კოჭლობით მომავალ ჯამაგას წინ გაუძღვა.

დაჭირილს ტკივილი იმდენად აღარ აწუხებდა, რამდენადაც სისხლის დაკარგვასა და სიცხეს დაესუსტებინა. ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ამხანაგს უკან არ რჩებოდა. ერთი თუ ორი საათი ბილიკ-ბილიკ იარეს, ის ხანდახან მიწაზე განრთხმულ შქერის ბუჩქებში

იკარგებოდა, ანდა რამდენიმე ბილიკად იყოფოდა და ასეთ დროს მიშა იძულებული ხდებოდა, დამძიმებული ბარგი-ბარხანა ძირს დაეწყო, დაჭრილიც იქვე ნაბადზე დაესვა და თავად სწორი გზის საძებრად წასულიყო. ნაშუადამევს მთვარე ამოვიდა და დამპალი ფოთლებისა და მიწის სუნით გაჟღენთილი ტყე თავისი მოვერცხლისფერო შუქითა და ერთიმეორეში გადახლართული ჩრდილებით აავსო.

— სადა ვართ, ჯამაგ, თუ იცი?

— ტყე ტყეს გავს, ვერაფერი მიცვნია.

— სწორად თუ მაინც მივდივართ? შენ რასა იქ, ხომ არ დავისვენოთ? ან ხომ არ მოგშივდა?

— აქ თითქოს რაღაც მაგონდება, — ჯამაგას უკანასკნელი სიტყვები არ გაუგონია. დაიძაბა, დიდი ხნის წინათ დავიწყებულის მოგონებას ცდილობდა. — წინ დამეწყოლილი ხევი უნდა იყოს, ხორიათულას ვეძახით. წყლის ხმა გესმის? ფესვებგაშშვლებული ნეკერჩხლის ძირში, გაღმა, წყაროა.

— მაშ, შენ აქ დაიცადე, მე გადავალ და დავზვერავ. წყლის ხმა მგონი მართლა ისმის. მე წეღანაც გავიგონე. დალოცა ღმერთმა, მთვარე ხელს გვიწყობს. ჩვენ ბედზე ამოვიდა. შენმა ძმამაც სწორედ ეგ მითხრა, ხევში წყარო დაგჩვდებათ და ბილიკიც იმ წყაროს თავზე ადის მთაშიო.

ნაცვლიშვილს დაბრუნება შეაგვიანდა. ჯამაგას გულში შიში შეეპარა. თუ აღღო არ ღალატობდა და მართლა ბალღობიდანვე ნაცნობ ღელეს მიადგნენ მისი ანგარიშით, მიშას ასე არ უნდა შეგვიანებოდა. ნაბადზე მხართეძოზე წამოწოლილი ნიდაყეს დაეყრდნო და წამოდგა, ვითომ გავუდგები, ხმას მივაწვდენო. სწორედ ამ დროს მოესმა ნოტიო მიწაზე განრთხმული შქერისა და ჭყორის ბუჩქების შრიალი. გულმა რეჩხი უყო, ემანდ დათვი არ იყოს ტიალი, უცაბედად თავზე არ წამომადგესო და ნაბადზე ხელი მოაფათურა, თოფს დასწვდა, საკეტი თვალის დახამხამებაში უკან დასწია, ვაზნა პირში მისცა.

— ეი, ჯამაგ, — მოაძახეს იმ მხრიდან, საიდანაც ბუჩქების შრიალი ისმოდა. — რას ჩალიჩობ მანდ, ბიკო, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ მესროლო!

— ვაჰ, შენა ხარ?

— მაშ, ვინ იქნება, აქ ჩემ გარდა კიდევ ვინ გეგულება?

— ისე მოაბოტები, დედის სული წამიწყდეს, დათვი მეგონე. რომ ჭუკა არ გეხმარა და არ დაგეძახა, ჩემმა მზეც, კარგ დროს გაგატარებინებდი. სად იარე, კაცო, ამდენ ხანს?! იმედი გადამეწურა, ვაითუ ვეღარ მომაგნო-მეთქი. საძებრად მოვდიოდი.

— მოსაკლავი მყეხარ!

— მითამ რადაო?

— სად გამიშვი! შენი წყალობით კისრამდე სველი ვარ! მეწყერია თუ რაღაცა ოხრობა, მაგარი მეგონა. როგორც კი ფეხი დავადგი, დაიშიშინა, პირი მიყო და შიგ ჩავეფალი. ზემოდან თურმე წყალი ჟონავს, მიწა ფაფასავით გაუთხელებია. ვაივაგლახით ამოვძვერი. ორივე ქალამანი გამძვრა. ერთი საათი ძებნას მოვუნდი, შენ კი არხეინად ზიხარ აქ მუხრანბატონივით და მეკითხები, სად იარე ამდენ ხანსო.

— იპოვნე?

— წყარო?

— არა, ქალამანები.

— წადი, იპოვნე ზღვაში ქვიშა!

— ნუ გეშინია. მე მაქვს ხალთაში მეორე წყვილი და მოგაცემ!

— მეორე წყვილი!.. ეს რატომ უნდა დამეკარგოს!

ჯამაგა თავს დამნაშავედ გრძნობდა. მეტი აღარაფერი უთხრა, კარაბინის ფეხი დაუშვა, თოფი ზურგზე მოიგდო, მტრის მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად რომ ყოველ წამს მზად აყფილიყო, ლოდივით დამძიმებული ფეხი აითრია და ხმელი ფიჩხის მოსაგროვებლად წავიდა. მალე ცეცხლმა ბეჟუტვა დაიწყო და მათ ერთმანეთი დაინახეს. ნაცვლიშვილი მართლაც კახურ ჩურჩხელასავით იყო ამოვლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ლაფში. ფეხზე სრულებით აღარაფერი ეცვა. წინდებიც. ეტყობა, იქვე ჩარჩა საფლობში. სადაც ქალმნები დასტოვა. წყალი წურწურით გასდიოდა. დამზრალი ხელებით ქამარ-ხანჯალი შეეხსნა. კარაბინთან ერთად იქვე მიეყარა და. თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიაო. ჩოხა-ახალუხს ისე ფაცაფუცით იხდიდა. ჯამაგამ ლონე მოიკრიბა. ასწლოვანი წიფლების ქვეშ მიიარ-მოიარა. ორი იღლია ფიჩხი კიდევ მოიტანა და ცეცხლს დაამატა. ძირსნაყარმა სველმა ფიჩხმა ჯერ სქელი კვამლი აუშვა. შმორის სუნი დააყენა. მერე კვამლში ალის ენები დატრიალდა. ატკაცუნდა და ცეცხლი ისე გაძლიერდა, თავზე გადმომხობილი ტოტებს მისწვდა.

— ეე. რასა შვრები. ჯამაგ. ბიჭო. — შეუტია ძმაკაცს მისი მეტისმეტი გულმოდგინებით აღერნილმა ნაცვლიშვილმა. ნიფხავ-პერანგის გარდა. ყველაფერი რომ პირწმინდად გაეხადა და გასაშრობად ფიჩხებზე მიეფინა. — გინდა. ტყეს ცეცხლი გაუჩინო და შიგ ორივე თაგვებივით გამოვიწვათ?

— შენ ეგ ნუ გადარდებს. მიხო. მთავარია. ჩეკისტებმა კვამლს თვალი არ მოჰკრან, ალყა არ შემოგვარტყან, არ გაგვბაწრონ და, შენ რომ გიყვარს, იქ კონდახების ცემით არ მიგვაბრძანონ!

— ჰოდა, მოეშვი, მეტს ნუღარ დაიარი!..

ისე ირიყრაკა, მამლების ყივილი ან ძაღლების შეყეფება არსაიდან გაეგონიათ, რაც იმას მოასწავებდა. რომ მთის კალთებზე შეფენილ პატარ-პატარა სოფლებიდან საკმაოზე მეტად დაშორებული იყვნენ და ვინმე ადგილობრივ მკვიდრს ან მგზავრს აქ შემოხვევოთ თუ გადაეწყდებოდნენ.

კარგი იყო ეს თუ ცუდი?

კარგი იმდენად. რამდენადაც შეეძლოთ დამშვიდებულად ეგრძნოთ თავი. ჩვენი აქ ყოფნა კაცს-სულიერს არ შეუტყვია და მდევრის შიშიც არ უნდა გვექნესო. ხოლო ცუდი იმდენად. რამდენადაც ეშმაკთან შეკრული კაცს. თუკი სადმე ბედი შეახვედრებდა. ხელს არაფერი შეუშლიდა. უმოკლესი ბილიკებით ევლო. სადაც ჯერ არს ამბავი მიეტანა და ორიოდე გროშის ან ბოლშევიკური ხელისუფლების თვალში ნდობის მოპოვების გულისათვის ჩეკასა და მილიციას წინ გამოსძღოლოდა და ჯამაგაცა და მისი მხლებელი ნაცვლიშვილიც. ცოცხალი თუ მკვდარი. მათ ხელში ჩაეყარა.

— ჰა. ხომ არ გავხსნათ. ბიჭო. ჯამაგ. სახვევი. ჭრილობას ახალი მალამო ხომ არ დავადოთ? — უთბოა ნაცვლიშვილმა მეგობარს. როცა ნასაუზმევს ნარჩენები აკრიფა. ხელსახოცში გამოკრა. ხურჯინში ჩასდო და კალთა დაიბერტყა.

— არ იქნებოდა ურიგო. მიხო. ხათრი კი მაქვს შენი. არ მინდა ზედმეტად შეგაწუხო. მაგრამ მწიწკნის ეს ტიალი. აყვირებას ცოტა მაკლია!

— თითქოს უკეთ იყავი?

— ვიყავი. ვიდრე ერთ ადგილზე გაუნძრევლად ვიწექი. როგორც კი წამოვდექი და ფეხი მიწაზე დავადგი. წიწკნა დამიწყო. მაშინ არ გამიმხელია. მეგონა. როგორმე მოვითმენ-მეთქი. ვითმენდი კიდევაც. სანამ შემეძლო. მაგრამ ახლა ძალიან გამიჭირდა. ეტყობა, სახვევი ჭრილობის ნაწიბურზეა დაკრული და ისაა, რომ მწიწკნის. მე ამისი მამგონი პატრონი დედა!..

— აბა. დაწე. ვნახოთ. რა ხდება. ერიჰაა! — წამოიძახა მიშამ როგორც კი დედაბრის ხელით დადებულ სახვევს დახედა. — ეს გასიებული უნდა იყოს, ჩემო ჯამაგ. რუმბივით გამხდარა. ისევ ჩირქი თუ ჩადგა ამ მუდრეგში! გტკივა? — მიშამ ხელი ფრთხილად დააჭირა, ვითომც შეთვალეულო ატომია და სირბილეს უსინჯავსო.

— ოო, რასა შვრები, კაცო?! — თითქოს შიშველ ხორცზე გავარვარებული შანთი დაადესო, ჯამაგა ისე დაიმანჭა, დაიმანჭა კი არა, დაიკლაკნა და შუბლზე ოფლის წვრილ-წვრილმა წვეთებმა გამოჟონა.

— გიხურს კიდევაც?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცეცხლი მიკიდია!

— რა ეუთხარი მიტუას. ჯერ არ უნდა გამოვეშვით. სანამ მთლად არ მოგიშუშდებოდა და დაგიამდებოდა. სადმე იქავე ახლოს უნდა გამოგვეცადა თავშესაფარი!

— ვერც იმას გაამტყუნებ. — ჯამაგას თავშეკავებამ უღალატა და მწარე კვნესა აღმოხდა. — ძმაო. მაგრამ წვრილი ცოლ-შვილის პატრონია. აბა. ერთი მე და შენ ვიყოთ! სიკვდილი. ისიც ამ კაცის ხორცის მჭამელების ხელიდან. არავის ეხალისება და უხარია!

— უნდა შევარჩიოთ სადმე შესაფერი ბინა და ერთი ორი დღით შევჩერდეთ. ჰა, რას იტყვი? შენ ახლა საით წამსვლელი ხარ! მამის სულს ვფიცავ. უარესად გადდები. წყალი. ღმერთი მოგვეხმარა. ახლოა. წყურვილით არ დავიხოცებით. შეშაც ბლომად მოგვეძევება. ხარჯიც უნდა გვეყოს ორი-სამი დღე. არ გვეყოფა და ვიყოფინებთ. თუ ძაან გაგვიჭირდა. ქვეყანა ისე არ წახდება. ერთი სანდო კაცი ვერა ვნახო. მართლა ისე კი არ არის საქმე. ბოლშევიკებს რომ გონიათ! საბჭევს შეგიხსნი ან შეგაჭრი. როგორც სალომე ბაბომ დამარიგა. შენ ოღონდ გულმაგრად იყავი. ნუ გეშინია. ვაკაცი არა ხარ?!

— რაზე შემატყვე. რომ მეშინია? — ამხანაგისათვის სასოწარკვეთილება რომ არ ეჩვენებინა. სიმწრით გაიცინა ჯამაგამ. — სიკვდილზე უარესი რა დამემართება. მე იმის პირშავი დედა!.. დღეს ვარ. ხვალ აღარ ვიქნები. ჯანი გავარდნია! ასეა ეს ვირიშვილი წუთისოფელი!..

— სასიკვდილო შენ არაფერი გქირს. სიკვდილს ძალად ამირებ თუ თავი გინდა შამაბარალო?! აქ დამიცადე. მე წავალ. ბინას რასმე მოვძებნი. მოვალ და მერე ორივე ერთად წავიდეთ!..

დანაკვერჩხლებული ფიჩხი მიშამ ფეხის წვერით მიყარ-მოყარა. ნაკვერჩხლები. ტყუილად რომ არ ეხრჩოლა. ბოლი არ დაეყენებინა და ან ხანძარი არ გაეჩინა. სათითაოდ მოსრისა. განუყრელი კარებინი. მძინარეც რომ ვეღარ იხუტებდა. ზურგზე მოიგდო და ისევ იქით გაუდგა გზას. სიიდანაც ტალახში ყურებამდე ამოვლებული დაბრუნდა. ღამის გასათევად გამოსადეგი ადგილის საძებრად ბევრი სიარული არ დასჭირვებია. ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით მიწიდან კამეჩის ქედივით ამოზიდული ლოდსა და სიბერისაგან კანდახეთქილი წაქცეული ხეს მიადგა. უხილავ. გოლიათურ ძალას ეს ჯერ კიდევ ლონიერი და სიცოცხლის წვენით გაჟღენთილი ხე ფესვებიანა მოეთხარა. ბუდიდან ამოეგდო. გვერდზე გადაექანებინა და მისებრ ლონიერ. ფესვებზე ხავსმოდებული წიფლესა და რცხილეს შორის ჩაეხლიწა.

ნაცვლიშვილი შეჩერდა. იქაურობა თვალით მოზომა. ამაზე უფრო მყუდრო ადგილს მე ახლომახლო ვერსად ვიპოვნიო. ხანჯალი ამოიღო და ძირს დანარცხებისას დალეწილი ტოტებით მიწას ჩაბღაუჭებული ხის ქვეშ ღამის გასათევი ბინის მოწყობას შეუდგა. ბინა. რა თქმა უნდა. ისეთი მოხერხებული ვერ იქნებოდა. როგორსაც ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმში ხელმარჯვეობით განთქმული ძმები მაისურაძეები მატნის. წინანდლისა და ქიზიყის ტყეებში აწყობდნენ ხოლმე. მაგრამ ორი-სამი ღამის გათევა მაინც შეიძლებოდა.

მიშა მონდომებულად შეუდგა საქმეს. უპირველეს ყოვლისა. წვრილი ტოტები. ზედ უცაბედად თვალი რომ არ წამოეგოთ. სათითაოდ დასხიპა. ცალ მხარეს დაყარა. ლოდის ძირას ბღუჯაბღუჯა მოგროვებული მშრალი ხავსი გაშალა და იქაურობა ისე მოაწყო. რომ ძვალ-რბილის გამჭოლავ სისინა ქარს. წამდაუწუმ რომ ქშუოდა. ოთხივე კუთხივ არ დაებერა.

დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. საქმეს რომ მორჩა. ხანჯალი ქარქაშში ჩაიგო.. თავისი ნახელავი მუშტრის თვალით ერთხელ კიდევ შეათვალიერა და ჰირი იმ ადგილისაკენ ჰქნა. სადაც

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲭᲠᲘᲚᲝᲛᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲭᲘᲠᲕᲘᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ, ᲛᲘᲨᲐᲡ ᲮᲛᲐᲓᲐᲑᲐᲚᲘ, ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡᲓᲐ ᲒᲐᲜᲨᲠᲐᲮ ᲛᲝᲒᲣᲛᲔᲣᲚᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲚᲐ. ᲗᲝᲛᲤᲘ ᲛᲘᲣᲠᲩᲐᲤᲔᲚ ᲒᲐᲓᲛᲘᲝᲠᲘᲛ, ᲡᲘᲡᲘᲠᲝᲚᲔᲡ ᲒᲐᲐᲛᲐᲖᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲡᲣᲡᲐ. ᲧᲣᲠᲘ ᲛᲘᲣᲒᲓᲔᲗ, ᲗᲐᲜ ᲤᲘᲥᲠᲝᲛᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲐ. „ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲝ, ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝ, ᲦᲕᲗᲘᲗᲛᲑᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲕ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲘᲐ ᲗᲣ ᲛᲔᲚᲜᲔᲑᲘᲡᲓᲐ? ᲔᲣᲨᲛᲐᲙᲘᲐ ᲗᲣ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ? ᲣᲦᲠᲐᲜ ᲢᲧᲔᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲪ ᲒᲖᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲙᲕᲐᲚᲘ, ᲣᲦᲠᲝᲝᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲗᲣ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲐᲠ ᲣᲓᲔᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲔ ᲐᲕᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲮᲐᲠ?“ ᲣᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲣᲕᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲐᲓ ᲒᲐᲘᲤᲐᲜᲢᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲘᲜ ᲣᲩᲣᲛᲠᲐᲓ, ᲤᲘᲖᲘᲙᲠᲔᲤᲘᲗ ᲬᲐᲘᲤᲘᲜᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ, ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲐᲚᲚᲘᲡ ᲮᲛᲐᲡ ᲛᲘᲐᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲑᲐᲚᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ.

ᲔᲡ ᲘᲧᲝᲠ ᲗᲛᲐᲒᲐᲑᲣᲠᲘᲓᲒᲜᲘᲚᲘ, ᲙᲘᲙᲘᲜᲔᲑᲩᲐᲛᲝᲬᲧᲠᲘᲚᲘ, ᲐᲗᲘ-ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲥᲔᲠᲐ ᲑᲘᲯᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲣᲨᲢᲘᲡᲢᲝᲚᲐ ᲗᲐᲕᲗᲐᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲑᲘᲜᲓ ᲓᲘᲓᲘᲜ, ᲧᲕᲐᲒᲘᲜ ᲑᲣᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲒᲐᲒᲡᲘᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲥᲣᲓᲘᲗ ᲔᲮᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲘᲗ ᲐᲓᲒᲐᲠᲔᲚᲐ ᲓᲐᲙᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲨᲘᲠᲘᲗ ᲠᲔᲪᲮᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲠᲔᲪᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲣᲮᲘ ᲔᲪᲐ.

ᲤᲘᲖᲘᲜᲨᲕᲘᲚᲔᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲓᲐᲙᲝᲜᲙᲘᲚᲘ ᲨᲐᲠᲕᲚᲘᲡ ᲢᲝᲢᲙᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲣᲡᲬᲝᲠᲛᲐᲡᲬᲝᲠᲝᲠᲛ ᲜᲐᲤᲚᲔᲗᲘᲗᲔᲑᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲔᲯᲘᲓᲐ, ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘᲛᲑᲛᲐᲠᲘ ᲓᲐᲯᲐᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲬᲕᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲘᲩᲘᲡ ᲥᲣᲯᲐᲕᲘᲗᲘᲗ ᲙᲐᲜᲑᲐᲡᲚᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲪᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲝᲠᲝᲠᲖᲔ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲔᲯᲘᲚᲘ ᲥᲣᲡᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲩᲐᲜᲓᲐ. ᲑᲘᲯᲣ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲘ ᲩᲐᲜᲓᲐ, ᲠᲐᲝᲪᲐ ᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲚᲬᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲔᲯᲢᲐᲜᲐ. ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲔᲙᲐᲯᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡᲓᲐ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛ ᲗᲐᲮᲔᲚᲝᲒᲐᲡ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲗᲝᲛᲤᲘ ᲛᲘᲣᲠᲩᲐᲤᲔᲚ ᲒᲐᲐᲛᲐᲖᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲡᲣᲡᲐ. „ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ?“ ᲛᲔ ᲛᲘᲒᲘᲒᲪᲐ ᲞᲘᲠᲨᲘ?“

— ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ...

— ᲛᲝᲕᲘᲓᲔ ᲩᲔᲯᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ?

— ᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ! — ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲓ ᲩᲐᲚᲣᲠᲯᲔᲑᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲠ ᲪᲮᲘᲠᲔᲑᲗᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲦᲘᲛᲔᲚᲛᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲑᲘᲜᲐ. ᲡᲝᲤᲚᲘᲗᲘᲗᲘᲜ ᲐᲚᲐᲣ ᲨᲐᲛᲝᲣᲠᲩᲣᲧᲐᲛᲓ, ᲓᲔᲓᲐᲑᲔᲠᲘ, ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲘᲮᲘᲜᲐ, ᲡᲐᲚᲛᲝᲛᲔ ᲑᲐᲑᲝ, ᲛᲝᲣᲣᲒᲐᲜᲘᲜᲔᲑᲘᲐᲗ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲛᲘᲗ ᲣᲗᲠᲔᲕᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲗᲝᲛᲤᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲐᲮᲘᲗ ᲣᲪᲘᲛᲘᲐᲗ...

ᲙᲠᲘᲚᲝᲛᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲭᲘᲠᲕᲘᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ, ᲛᲘᲨᲐᲡ ᲮᲛᲐᲓᲐᲑᲐᲚᲘ, ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡᲓᲐ ᲒᲐᲜᲨᲠᲐᲮ ᲛᲝᲒᲣᲛᲔᲣᲚᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲚᲐ. ᲗᲝᲛᲤᲘ ᲛᲘᲣᲠᲩᲐᲤᲔᲚ ᲒᲐᲓᲛᲘᲝᲠᲘᲛ, ᲡᲘᲡᲘᲠᲝᲚᲔᲡ ᲒᲐᲐᲛᲐᲖᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲡᲣᲡᲐ. „ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ?“ ᲛᲔ ᲛᲘᲒᲘᲒᲪᲐ ᲞᲘᲠᲨᲘ?“

— ᲯᲐᲛᲐᲒ. ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ, ᲙᲐᲪᲝ. ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ?

— ᲜᲐᲪᲚᲔᲠᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲙᲐᲠᲐᲑᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲠᲘᲤᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲜᲓᲐ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲛᲘᲐᲪᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲜᲘᲐ. ᲡᲐᲒᲠᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲔᲛᲣᲤᲐᲜᲔᲑᲐᲗ, ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲔᲣᲜᲐ. ᲜᲐᲪᲚᲔᲠᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲪᲠᲘᲡᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲪᲐ.

— ᲡᲐᲮᲚᲘᲙᲐᲪᲘᲡ ᲐᲛᲓᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲘᲢᲝᲜᲐ, — ᲗᲥᲕᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲛ. — ᲕᲔᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲝᲛᲚᲐᲓ ᲠᲘᲒᲜᲘᲗ...

ᲜᲐᲪᲚᲔᲠᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲓᲐᲫᲛᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲖᲔᲠᲐ ᲬᲔᲚᲓᲔᲑᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲮᲣᲜᲣᲚᲘ, ᲒᲐᲡᲐᲚᲙᲘᲗᲔᲓᲔ ᲬᲙᲘᲠᲘᲡᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲯᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲐᲒᲡᲘᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲥᲣᲓᲘᲗ ᲔᲮᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲘᲗ ᲐᲓᲒᲐᲠᲔᲚᲐ ᲓᲐᲙᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲪᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲝᲠᲝᲠᲖᲔ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲑᲔᲯᲘᲚᲘ ᲥᲣᲡᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲩᲐᲜᲓᲐ. ᲑᲘᲯᲣ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲘ ᲩᲐᲜᲓᲐ, ᲠᲐᲝᲪᲐ ᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲚᲬᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲔᲯᲢᲐᲜᲐ. ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲔᲙᲐᲯᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡᲓᲐ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛ ᲗᲐᲮᲔᲚᲝᲒᲐᲡ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐ... — ᲗᲥᲕᲐ ᲑᲘᲯᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲘᲡᲚᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲚᲝᲚᲓ ᲬᲐᲛᲘᲗ ᲐᲡᲬᲘᲐ.

— ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ? ᲕᲘᲜ ᲛᲘᲒᲪᲐ ᲞᲘᲠᲨᲘ?

— ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ...

— ᲛᲝᲕᲘᲓᲔ ᲩᲔᲯᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ?

— ᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ! — ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲓ ᲩᲐᲚᲣᲠᲯᲔᲑᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲠ ᲪᲮᲘᲠᲔᲑᲗᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲦᲘᲛᲔᲚᲛᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲑᲘᲜᲐ. ᲡᲝᲤᲚᲘᲗᲘᲗᲘᲜ ᲐᲚᲐᲣ ᲨᲐᲛᲝᲣᲠᲩᲣᲧᲐᲛᲓ, ᲓᲔᲓᲐᲑᲔᲠᲘ, ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲘᲮᲘᲜᲐ, ᲡᲐᲚᲛᲝᲛᲔ ᲑᲐᲑᲝ, ᲛᲝᲣᲣᲒᲐᲜᲘᲜᲔᲑᲘᲐᲗ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲛᲘᲗ ᲣᲗᲠᲔᲕᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲗᲝᲛᲤᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲐᲮᲘᲗ ᲣᲪᲘᲛᲘᲐᲗ...

— ო, მე მაგათი!.. სისხლი არ უნდა დალიო?

— სახლიკაცი ჯერ არ გატეხილა. მერე, როცა ისიც გაულახავთ და დასახვრეტად ღობეზე მიუყენებიათ, უთქვამს, თუ ცოლ-შვილს ხელს არ ახლებთ და არ ამომაგდებთ, ვიტყვი რაც თქვენ გინდათო.

— ვიცოდი, განა არა! — ნაცვლიშვილის თვალებში, აქამდე მხოლოდ თანაგრძნობასა და ცნობისმოყვარეობას რომ გამოხატავდა, შეურიგებელმა სიძულვილმა და რისხვამ დაიბუდა. — ის შენი ნახეკარძმა კაცად არ ვარგა!

— ძმას რას ემართლები, — ჯამაგას ეს ეწყინა და წყენა არც დაუმალავს. — ჯერ გაიგე!..

— მეტი რაღა გავიგო, ციკანივით გავუყიდივართ და ეგ არის!..

— როცა პირობა მიუცია და უთქომს, არ დავმალავ, ჩემი ძმა ჩოლოყაშვილის რაზმშია, დაჭრილმა ჰოპორტზე გაიარა, მეც, რა მექნა, ხელი მოვუწყე. წამალი მივუტანე, ლუკმაც მივაწოდე, ძმა არი, ღმერთს ხომ არ გავარისხებდიო. მაშინ უფრო ძაან უცემიათ, ხიშტიანი თოფებით დარევიან და მთელი ოჯახი დუშეთში აუყვანიათ. ახლა იქა ყავთ დამწყვდეული. თუ შენი ყაჩაღი ძმა მოვა, ნებით ჩაგვბარდება და დაგიხსნით, პატიოსანი სიტყვა მოგვიცია, ყველას გაგიშვებთ და ქონებასაც ყადაღას ავხსნით, არა და, იცოდე, დახვრეტა არც ერთს არ აგცდებათო. აფსუს, ბიჭო, ვინ ვის ეძახის ყაჩაღს! ქვეყანა მართლა გადაბრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოხვდა. ვადა სამი დღე და ღამე დაუდიათ. თუ ამ სამ დღეში არ გამოვცხადდები და იარაღს არ დავყარი, ყველას დახვრეტენ და გვამებსაც აღარ მისცემენ ჭირისუფალს, იქვე ჩაფლავენ ნეხვში!..

მიშა ნაცვლიშვილი ქიმბარას მოეშვა, აღარ შეკითხვნია, რა გზას დავადგეთო, განზე გამდგარ, დამნაშავესავით თავჩაქინდრულ ბიჭს დაადგა მზერა.

— შენ აქ როგორ მოხვედი?

— ბაბომ გამომგზავნა.

— ვინ ბაბომ, ვინ არის შენი ბაბო?

— მიტუა ძიას კარის მეზობლები ვართ, სახლი საყდრის უკან გვიდგა.

— სოფელში კიდევ ვინმე დაიჭირეს?

— ყველა დაჭერილია. უბანში ორი უკბილო დედაბერი, ერთი ბერიკაცი და სამი ბალღიღა დავრჩით, ვინც გარეთ გავარდნა და ტყეში მიმალვა მოვასწარით. სახლში ვეღარ შევსულვართ. ყველა ჭიშკართან მაუზერიანი კომკავშირელები დაყენეს. სხვები სოფელ-სოფელ დადიან და გაუჩხრეკავს არაფერს ტოვებენ.

— ჰოპორტელებია?

— აბა, რა ვიცი, ძია, მე ახლო არც ერთი არ მინახავს.

— მოშიებული იქნები.

— არა, ბაბომ პური ყუა და ყველის ნატეხი გამომატანა.

— რა იცოდი, რომ აქ ვიქნებოდით, ვინმემ მოგასწავლა?

— ბაბომ, თუ მეწყრებამდე დაეწიე, ხომ კარგი, თუ არა და, დაბრუნდი, შენც არ დაიკარგოო. რა დამკარგამს, შარშან პაპას ვახლდი. საძოვრიდან ხარები ჩამოვრეკეთ კალოზე პურის გასალეწად.

— აქეთ რომ მოდიოდი, ხომ არავინ გითვალთვალებდა და მერე უჩუმრად უკან არ გამოგყვა?

— გზა იგრე ავურიე!.. სანამ ბილიკს დავადგებოდი, ერთი საათი სუ აქეთ-იქით ვიარე, ვითომ ღამე ტყეში დარჩენილ ძროხას ვეძებდი!..

— ყოჩაღ! მე და ჩემმა ღმერთმა, ერთი კარგი ჯილდოც გეკუთვნის, მაგრამ რა ვუყოთ, თუ შენი საკადრისი არაფერი გაგვაჩნია. ჯერჯერობით ჩემგან სახსოვრად აი, ეს გქონდეს! — მიშა ნაცვლიშვილმა სარტყელში გაჩრილი შავად მოლაპლაპე ნაგანი ამოიღო, ზედ აკოცა და დაუჯერებელი ბედნიერებისაგან თვალებანთებულ ბიჭს გაუწოდა. — ჰა, გამომართვი! განა გეხუმრები, მართლა გაძლევ. მილიციელებს და ჩეკისტებს ამნაირი ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეძებნებათ. ისე არ წავხდები, კიდევ არ ვიშოვნო! შენისთანა ცოცხალ ახალგაზრდას, საცა სამართალია, მეტიც ეკუთვნის. თუ მეტისმეტად არ გაგიჭირდეს და ძალა არ დაგადგეს, ნუ გაისვრი. კაცის ცოდო არ დაიდო. განა იმისთვის გაძლევ! არავინ გინახოს. სროლა ხომ იცი?

— ახლა ვინღა არ იცის სროლა! — ბიჭს ფრთები გამოსხმოდა, ისედაც დიდრონი თვალები გაფართოებოდა, აღარ იცოდა, მადლობა რით, როგორ, რა სიტყვებით გადაეხადა.

— ფეხი მაგარი აქვს, მართალია, მაგრამ რომ გავარჯიშდები, ადვილად შეაყენებ. შეგიძლია, ორი-სამი დღე ტყეში [illegible]?

— ამ ჩვენ ტყეშია? რატომაც არ შემიძლია! განა არ გამითვია, რო... თუნდაც გაის ამ დრომდე აქ დავრჩები! — ბიჭს აღარ დაუმატებია, თუკი შენ მიბრძანებო, ისე კი მისი თვალები სწორედ ამას მეტყველებდნენ, განუსაზღვრელ ერთგულებასა და თავგანწირვისთვის მზადყოფნას ასხივებდნენ.

— ბაბო რომ იჯავრებს?

როცა მივალ, ხო დაინახავს, რომ ცოცხალი ვარ!..

— აი, მაგის ბუდეც! — მიშამ ნაგანის ცარიელი ბუდე წამოაძრო სარტყელს, ყმაწვილს გადაუგდო, რომელმაც ის ჰაერშივე დაიჭირა, წვრილი სარტყელი, რომელზედაც პირფართო ხანჯალი ეკიდა, ისევ შემოირტყა და ჯავრისაგან და ტკივილისაგან გულშემოყრილ ჯამაგას თავზე დაადგა. — ადგები თუ ბიჭი დავიხმარო? დროებითი ბინა მოვაცოდვილე. ერთი ორი დღე იქ უნდა მიიცადო.

— შენ სად მიდიხარ?

— უნდა ვაცნობო ბელადს ეს ამბავი. საწყალ ხალხს, რომ არ გაგვცა და დაგვიფარა, აფთრების დასაგლეჯად ხომ ვერ გავიმეტებთ! გგონია, დანაქადს არ შეასრულებენ, ხელი აუკანკალდებათ, არ დახვრეტენ? მაგათ ღმერთი არ სწამთ, ჯამაგ, ქვრივ-ობლების ცოდო-მადლი არ აწუხებთ. არც ჯოჯოხეთის ადუღებულ კუპრში ჩავარდნის ეშინიათ!..

— მარტო? გზაც არ იცი...

— გავაგნებ. შენ ნუ დაოდობ. ასე აღმართ-აღმართ ვივლი. მერე, წვერზე რომ ავალ, თავდაღმა დავეშვები. არასად გადაეუხვევ და როცა იქნება. ტყიდან გავაღწევ. ყახეთი ვერსად გამექცევა...

— ვერ მოასწრებ, მიხო. ჭინამ შენ გადახვალ, მინამ რაზმს იპოვნი და მინამ უკან დაბრუნდები. თუ გინდა, ფრთებიც გამოისხა, აქ ყველაფერი გათავდება, ძაღლიშვილები თავისას იზამენ!..

— შენ რაიმე უკეთესი მოიფიქრე?

— ამდენი ხალხის ცოდვა ხეირს არ დამაყრის. ან ამ ქვეყანას ჰმიერეკავ, ან იმ ქვეყანას, ან დღე, ან ღამე!

— შენ რა ცოდვა მიგიძღვის, ჯამაგ, შენი რა ბრალია, დაჭრილი იყავი, ძმაც რომ არ ყოფილიყო, ამისთანა დროს კაცს კაცისთვის ხელი არ უნდა მოემართოს?

— შენ ის თავიდანვე ამოიღე თვალში. მართალი გითხრა, არც მე მიყვარდა. არც იმის იმედი მჭონდა, თუ ამდენს იზამდა ჩემთვის...

— დროს ნუღარ ვკარგავთ. შენ მშვიდად იყავი, ჭრილობა მოიშუშე და აქ დამელოდე, უჩემოდ ფეხი არ მოიცვალო. აგერ კაცს გიტოვებ ჩემს მაგივრად. თუ მეტს ვერაფერს გაგიკეთებს, წყაროზე მაინც ჩაირბენს და წყალს მოგიტანს. არა, ბიჭი? მოდი, შენ ეს კარაბინი, ნაბადი და ფალასკები წამოიღე!..

ოთხშაბათი დღე იყო. აქედან ყახეთში გადასასვლელად და იქ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ადგილსამყოფელის საპოვნელად ნაცვლიშვილი დღის დარჩენილ ნაწილსა და მთელ ღამეს ვარაუდობდა. თუ ბედი არ უმუხთლებდა, უდროო დროს მუხლი არ უღალატებდა და სამე ისე მარჯვედ მოეწყობოდა, რომ რაზმი ამალამვე მოასწრებდა დუშეთისაკენ წამოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლას, ვინ იცის, პარასკევ ღამით, ე. ი. ზეგ. ასე ნავაშმობავს, დუშეთსაც მიაღწევდა და დასახვრეტად განწირული უღანაშაულო ტუსაღების გამოსახსნელად მილიციასა და ჩეკისტებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმოდა.

ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა. ნაცვლიშვილმა ქაქუცა და მისი რაზმი ვერც მატნის ტყეში იპოვნა და ვერც კისისხევში. სადაც დღრე, ჯერ კიდევ ხევსურეთში წასვლამდე, იდგნენ და ოთხივე კუთხივ მიუდგომელი ბანაკი ჰქონდათ გამართული. უღვთო დაღლილობამ, ყოველი ნაკვთის ტკივილმა და უძილოდ გათეულმა ღამეებმა ხელი დარია. ნაცვლიშვილი მიხვდა, რკინისა არც მე ვყოფილვარ და შეუძლებელის შეძლებას. ეტყობა, ვერც მე შევძლებო. ძველ ნაბანაკრზე. იქ, სადაც ოდესღაც ყერია იყო მოწყობილი და რაზმელები ზამორის პირას გამტკბარ ცვცხლს ეფიცხებოდნენ. მოცელილივით დაეცა და ისე მკვდარივით ჩაეძინა. დილიდან საღამომდე ფეხი აღარ გაუნძრევია.

მზე ის იყო ჩადიოდა, უკანასკნელ სხივებს იკრეფდა, ვიდაცამ რომ ღონივრად შეანჯღრია და თავზარდამცემი ხმით ყურში რაღაც ჩასძახა, თითქოს ზარბაზანი დაუცალა. ნაცვლიშვილმა ძილშივე გაიგონა ეს შემზარავი ხმა. წამოიწია. თავქვეშ ამოდებული კარაბინი მოიმარჯვა, თვალის დახამხამებაში ფეხზე შეაყენა და მაშინღა დანახა და დარწმუნდა, რომ იქ მის მეტი არავინ იყო, კაცი-სულიერი არ ჭაკანებდა. მოელანდა? ნუთუ რაღაც ზეგა ძალა ნიშანს აძლევდა. ახლავე ადექი და აჰაურობას უკანმოუხედავად გაეცალეო? იმავე ღამეს რაზმელი ბიუის მაძა, სოფლის მწერალი შაქრო ბადურაშვილი მოინახულა წინანდალში და იმისაგან სარწმუნოდ შეიტყო, რომ შეფიცულები ამჟამად ალაზანგალმა უნდა. ყოფილიყვნენ. ყვარლის ტყეში, სადაც ფშავ-ხევსურეთის უთანასწორო ბრძოლებში საკმაოდ შეთხელებულნი ახალ შევსებას და დამკომის გახარკლულებით თბილისიდან გამოგზავნილი იარაღ-საკუთრების მიღებას ელოდნენ.

შაქრო შეწუხდა, როცა სტუმარმა მოკლედ მოუთხრო. აჭ რა გაჭირვებაც მოიყვანა. თუმცა იცოდა, რომ რაზმელის ოჯახს და პირადად შაქრო ბადურაშვილს. ადგილობრივი ჩეკა და მილიცია განუწყვეტლივ თვალს ადევნებდა და ღღე-ღამის ყოველ დროს აქ მოსვლა როგორც მომსვლელისათვის. აგრეკე დამხდომისათვის ერთოთა საშიში იყო.

შაქრომ წარბიც არ შეიხარა. სტუმრისათვის უკმაყოფილების ხატამალიც არ უგრძნობინებია. კარზე მოყუოადებული დედაკაცი გამოიხმო, მცოდ რამ საგზალი მოგვიმზადეო. იქით მიუხედავად მიუგდო და ისიც ელდისაგან დაბარბაცდა. კიბიღამ იქვე ჩაეკეცა. ეს კიდევ სადღა მიყავს გაპჩენ ღმერთსა. სად მამაჩემთან მიეხორება. ნუთუ არ იცის, რომ დაბერდა. ძველებურად ადარც მუხლი უკრის და ადარც თვალი. განა ის არ კმარა. სიყრმიშვილი რომ სათოფეზე გვყავ გაშვებული და მისი ამბის მომლოდინე ყოველ ღამეს თეთრად ვათენებო?!

ალაზანგალმა გასვლას და ყვაოლის ტყეში ჩოლოყაშვილის რაზმის ძებნას ყოველგვარი აზრი დაეკარგა. რადგანაც ყუეზე მისული დრო აღარ ითმენდა. ქაქუცა ვერამცთუ სასიკვდილოდ განწირულთა მისაშველებლად და განსაცდელიდან მათს გამოსახსნელად დუშეთში გადასვლას ველარ მოასწრებდა, დარჩენილ დროში, სულ რამდენსამე საათში, მის ბანაკამდე მიღწევა ღა შორი მგზავრობისათვის რაზმის წამოსაშლელად თადარიგის გაწევაც საეჭვო იყო.

ყოველგვარ საქმეში გამოცდილი, დაკვირვებული და გულმაგარი შაქრო ბადურაშვილი უდროო დროს კარზე მომდგარ სტუმარს სულ სხვა ფეჭვით და აზრით გამოჰყვა. ისინი ჯერ ივრის ხეობაში უნდა გადასულიყვნენ. საიდანაც მიწა კადმოვიდა. შემდეგ თრა-

ნეთის გზაწყვრილებით ქართლის ქედიც გადაეელოთ და, რაკიღა სხვა ღონე აღარ იყო, საპყრობილეში ჩაყრილ უდანაშაულო ჭოპორტელებს უკვე ვეღარას არგებდნენ. უღრან ტყეში ბალღისამარა დატოვებული დაჭრილი ჯაბაგიშვილი მაინც გადაერჩინათ.

ნაცვლიშვილს დანა პირს არ უხსნიდა. სისხლმოწყურებული ჯალათების ხელში ჩაყრილი ხალხის ასე უგუნურად ამოჟეჟვას საკუთარ უგერგილობას აბრალებდა. აბა, რა დროს ძილი და გულღმა გდება იყოო. არ მერჩივნა, ტყეში დათვს დავეგლიჯე და სირცხვილი კი არ მომსვლოდაო? ან ჯამბაგას რაღა პირით შევხედო თვალებში და ან რაზმში როგორღა გამოვჩნდეო. არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ყველაფერი გაკეთა, რაც მის ხელთ იყო, ხოლო იმის გაკეთება, რაც ერთი კაცის ძალასა და ღონეს აღემატება, არც მას შეეძლო და ეს წინასწარ უნდა სცოდნოდა!

სოფლიდან გასული არც კი იყვნენ, როდესაც ტყის მხრიდან, წინანდალს თავზე რომ გადაედიოდა და თითქმის სოფელშიაც იჭრებოდა, თოფ-დამბაჩის გაბშირებული სროლა შემოესმათ.

— კარაკოზოვია, წინანდლის ჩეკა, — ცოტა მიაყურადა და ახსნა შაქრომ. — ეტყობა, თელავიდან კაცები დაიბარა და ქაქუცას ძველ ნაბანაკარს შემოერტყა. სწორი ამბავი ვერ მიუტანეს. რაზმი მანდა ჰგონია!..

ნაცვლიშვილს საკუთარი თავი შეებრალა. შაქროს ვერ გაუმხილა, ეს დღე სად დაღამა. როგორ მკვდარივით ეძინა იქ. სადაც კარაკოზოვი და მისი ხალხი ყოველ ხესა და ბუჩქს მაუზრის ტყვიებით ცხრილავდნენ და მზის ჩასვლისას რა ყოფამ გამოაღვიძა. უთუოდ ღვთის განგება იყო. ეს მის კვალზე მოვიდნენ თელაველი ჩეკისტები და მილიციელები. ეტყობა, ვიღაც ღვთის მგმობელმა მოჰკრა თვალი, როცა ტყეში შედიოდა და სადაც ჯერ არს იქ გაიცხადა!

ახალი ნანათლები იყო, ძველი ნაცხარის ძირში. წყაროსთან რომ შეისვენეს და დანაყრდნენ. ნაცვლიშვილს შიმშილმა ჯერ კიდევ მაშინ შეახსენა თავი, როცა ნანანაკარზე, კისისხევში, რაღაც ძალამ ზეზე წამოაგდო, მაგრამ რომ დამშვიდდა და შიშმა მთლიანად გაუარა, ის აღარ გახსენებია, აქ კი, მადლიან წყაროსთან, მიწიდან გულის გამხარებელი ჩუხჩუხით რომ ამოჭქუხდა და ნაშინშვილებს ისროდა, მარილწყალში მოხარშულ ცხვრის ხორცს ნივრის მწნილს, თავთუხის სურნელოვან შოთს და ვუდის ყველს ისე მადიანად და ხარბად შეექცა, ისე გაშმაგებული იღმურძლებოდა, იტყოდი, უბედური მთელი კვირა ჯურღმულში ჰყოლიათ ჩამწყვდეული და ეს ერთი კვირა პირში ნაწილი არ ჩასვლიაო.

მზე რომ საშუადღეოდან გადაიხარა და ჩრდილოეთის თოვლიანი მთებიდან სუსხიანმა ქარმა დაჰქროლა, იორზე ფონი მოძებნეს, იქაურობა ფრთხილად დაზვერეს, ფეხთ გაიხადეს, ჩოხა-ახალუხი ამოიკალთავეს და ხელიხელჩაკიდებულნი გაღმა ნაპირზე გავიდნენ. ცხვირწინ ხშირი ბუჩქნარითა და მაყლოვანით გადაკლილი ციცაბო კალთა აღიმართა. ბილიკი არსად ჩანდა. შეეკვეთაზე, ახოში, ქრელი ძროხა, უშობელი და ულელი ხარი ძოვდა ზამთრის პირის სუსხისაგან შეშინებულ მწვანე ბალახს.

— სადა ვართ, ძია შაქრო? ეს ადგილები რაღაც არ მეცნობა.

— შენ ცოტა ზემოთ გამოხვიდოდი წყალში და იმადა. ცოტაც და სიონი გამოჩნდება. ჩვენ იქამდე არ მივალთ. აქვე, ყანებთან შეეუხვევთ და საბადურას გზას დავადგებით.

— მე აქაური სოფლები არ ვიცი, ისე, სიონი კი გამიგონია.

— არა უშავს, შვილო, მე ვიცი. მარტო იყავი და არ დაიკარგე, ახლა ორნი ვართ და რა დაგეკარგავს. მთავარია, ტყეში მხარი არ ვეექცეს, ბინას მივაგნოთ!

გამოცდილი კაცის ეს წინდახედული სიფრთხილე მით უფრო ყურადსაღები და ანგარიშგასაწევი გახდა, როცა დაღამდა და უამისოდაც ჩამობნელებულ ტყეში სამ-ოთხ ნაბიჯზე რისამე გარჩევა უკვე შეუძლებელი შეიქნა. სხვა გზა აღარ იყო, სადმე ღამის გასათევი უშიშარი ადგილი უნდა შეერჩიათ და გათენებამდე აქ მოეცადათ.

შაქრო ბადურაშვილი, მამისტოლა კაცი, სწორედ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა. როგორადაც შეეძლო, მიშას ანებივრებდა, ყოველი ღონით ცდილობდა, მისთვის დამქანცველი გზის სიძნელე შეეფსუბუქებინა.

— შენ აქ დაჯე, ნათლულო, მოისვენე. მე შიშას გავაჩენ და ცეცხლს დავანთებ, ვახშამიც ახლავე იქნება. ძაან ბნელა, არა? ყიამეთში კაცსა და მხეცს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევ!

თავის მხრივ არც მიშას უნდოდა, ასაკით და ბლეჩკაცური ჯაფით გატეხილი უფროსი კაცი გაესარჯა, მაგრამ დაღლილობისაგან და ძვალ-რბილში გამჯდარ სიცივისაგან ხელ-ფეხი ისე უღვთოდ შეკვროდა, ზედმეტი ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შესძლო და იძულებული გახდა ნებას დაჰყოლოდა.

შაქრო არც ნავახშმევს მიწოლილა თვალის მოსატყუებლად. გარიჟრაჟამდე მუხის ფესვზე იჯდა, ფხიზლობდა, ცეცხლს უკეთებდა და თითქოსდა თავისი საკუთარი სიყრმის შვილის უშფოთველ ძილს დარაჯობდა.

გათენება ჯერ კიდევ სად იყო, ფოთლებისაგან გაძარცვნილ ტყეში მოახლოებული დილის მქრქალი ბურუსი დაბრიალებდა, როდესაც თავიანთი მცირე ბარგი აიკიდეს, პირჯვარი დაიწერეს, ღმერთო, ხელი მოგვიმართეთო და პირუტყვის ნავალი ბილიკით გზა განაგრძეს. ამჯერად ნაცვლიშვილი დაწინაურდა, ის დარწმუნებული იყო, სწორ გზაზე იდგა, სწორედ იმ გზით მიდიოდა, რომლითაც აქეთ გადმოიარა და ორი-სამი საათის შემდეგ იმ ადგილს უეჭველად მიაღწევდა, სადაც ამხანაგი დასტოვა. ორჯერ მოუხდათ ღელეში ჩაშვება და მერე ისევ ზემოთ ამოსვლა. მეორე ღელის თავში მიშამ თავისი ხელით გადატეხილი ნეკერჩხლის შტო ნახა და რწმენა, რომ სწორ გზას ადგნენ, ამან კიდევ უფრო განუმტკიცა.

აი, მეწყვრიც, იმ ღამეს შიგ რომ ჩავარდა და თავით-ფეხებამდე ლაფში ამოვევლო! აი, წყაროც! ვითომ ალღო ატყუებს? ადგილი ადგილს ჰგავს. ვაითუ მხარი მართლა ექცათ და სხვა მეწყვრს მიადგნენ?

— ჯამაგ!.. — მიშამ ტუჩებთან ორივე ხელისგული მოიმრგვალა და, როგორც პატარა ბიჭობაში სჩვეოდა, ტყეს გაგრძელებულად, მთელი ხმით გასძახა.

— ჯამაგ!.. — გაიმეორა ტყემ, მერე ერთხელ კიდევ გაიმეორა, კიდევ, ოღონდ უფრო სუსტად, მილეულად და ხმა სადღაც მარჯვნივ, თითქოსდა უძირო ხევში ჩაიკარგა.

— ჯამაგ!.. — დაიმედებულმა მიშა ნაცვლიშვილმა, თუ მშვიდობაა, არ შეიძლება, პასუხი ახლა მაინც არ მივიღოო, ტყეს უფრო ხმამაღლა გასძახა.

— ჯამაგ!.. — ისევ გაიმეორა ტყემაც და, როგორც წეღან, ის ძახილი ახლაც უპასუხოდ დარჩა.

— ეე, ეს კი აღარ მომწონს, აქ რაღაც ამბავია!.. — თავისთვის წაილაპარაკა უცნაური სიჩუმით შეფიქრიანებულმა ნაცვლიშვილმა, კარაბინი მხრიდან გადმოიღო, საკეტი ჩვეული მოძრაობაით უკან დასწია, ვაზნა პირში მისცა და გადაკეტა. — შენ აქ დარჩი, შაქრო ძია, თვალი დაიჭირე, მე მარტო მივალ და ვნახავ, რა ხდება. თუ ჯამაგა პასუხს ვეღარ იძლევა და მტრისა და ავისას რაიმე უჭირს, ბალღი სადღაა, ხომ არ გვიღალატებდა, უპატრონოდ ხომ არ დაადგებდა!..

ნახევარმა საათმა, შეიძლება მეტმაც, ისე გაიარა, იმ მხრიდან, საითაც ნაცვლიშვილი წავიდა და ტოტებჩამოძენძილი ასწლოვანი წიფლებისა და რცხილების უკან თვალს მიეფარა, ჩამიჩუმი არ ისმოდა. შაქრო უიარაღოდ იყო, მარტო ხანჯალი ერტყა და წუხდა, მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინდახედულება რომ ვერ გამოიჩინა და მამისეული ფილთა-თოფი მაინც არ იგულა.

რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი? ვითომ ის ბალღი, მიშა რომ ამბობდა, დაკრილს მომვლელად **დავუტოვეო**, მოგზავნილი იყო, ანდა სოფელში ჩასაფრებულმა ადგილობრივმა კომკავშირლებმა, ტყისკენ მომავალი რომ დაინახეს, ეუბნი აიღეს, ბიჭს კვალდაკვალ მოჰყვნენ და დაკრილს თავზე წამოადგნენ?

„ეს ჩემი ცოდვით სავსე. სადღა დაიკარგა? — ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი ბერიკაცი. — ვაითუ იმასაც ხელი სტაცეს და ახლა მე მიცდიან, რომ ხაფანგში ფეხი ჩემი ნებით ჩავდგა? დავუძახო? არ დავუძახო? მაშ, აქ რა მამაჩემის მოსცლამდე ვეხირო, რას მოვუცადო?“

ადგილიდან დაძვრას და იქით წასვლას აპირებდა, საითაც მიშა ნაცვლიშვილი წავიდა. ხეებს შუა ქვემოდან მომავალი, მხარზე თოფგადებული, სახედაღვრემილი თავისი ახალგაზრდა თანამგზავრი რომ დაინახა. ტანმორჩილი, მაგრამ მხარბეჭჩაკირული ნაცვლიშვილი მძიმედ მოაბიჯებდა, ეტყობოდა, უკვე აღარსად ეჩქარებოდა და ყოველი ნაბიჯის გადმოდგმაზე მიწაზე ყვითელ ფოთლებთან ერთად მოფვენილ წვრილ ფიჩხს ამტვრევდა.

— რა სახე ჩამოგტირის, კაცო, მხარი გვექცა, თუ როგორა ჩვენი საქმე?!

— ცუდად, შაქრო ძია.

— როგორ თუ ცუდად, კაცო?

— ჩემი ამხანაგი აქ აღარ არის.

— აღარ არის? როგორ თუ აღარ არის?! მაშ, რა იქნა?

— არც ბალღია. ეს წერილი დამხვდა, მიშამ ორად მოკეცილი ქაღალდის ნაგლეჯი ააფრიალა. — ჯამაგას ბიჭისათვის დაუწერინებია და ქვის ქვეშ ამოუდია. მე წავედიო...

— სად, კაცო? მოიტა! ფუ, სათვალე შინ დამრჩენია! ნამდვილად იმათია?

— სხვა ვინ დაწერდა, შაქრო ძია, ვინ იცოდა ასე დაწერილებით ჩვენი ამბები! ჯამაგას წერა-კითხვა არ ემარჯვებოდა. ბიჭისთვის დაუწერინებია და თავად ჯვარი დაუსვამს. აი!.. „სხვა ვზა არ დამრჩენია, მე იმათი ცოლი და დედა, ჩეკასა და მილიციას უნდა ვეახლო და ჩავბარდე. შენც ხომ იცი, შობელძაღლებმა აგრე შემომითვალეს. ძმისა და მისი წვრილშვილის ცოდვაში ვერ ჩავდგები. იმათი ცოდვა საფლავშიაც თან ჩამყვება და არ მომასვენებს. ცხონებულ დიდ პაპასაგან გამიგონია, ყოველი კაცი ერთხელ იბადება და ერთხელ უნდა მოკვდეს. რა ბედენაა, ერთი დღით ადრე თუ ერთი დღით გვიანო. მივდივარ, ეტეხ სიტყვას, შენ რომ მოგეცი. თუ იქამდე ვერ მივაწიე, ღონე არ მეყო. ბიჭს გავგზავნი და იმათ მოიყვანს ჩემს წასაყვანად. შემინდეთ, თუ რამე ცოდვა მომიძღვის თქვენს წინაშე. ვახმე. მტრის ჯავრის ამოყრას ვერ მოვესწარი! ბელადი და ბიჭები ძმურად მომიკითხე. ყველასაგან შენდობას ვითხოვ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი“!

— აფსუს, ბიჭო!.. — კვნესასავით აღმოხდა შაქროს, როცა ხმაკაანკალებულმა ნაცვლიშვილმა კითხვა დაამთავრა, ბატიფეხურით აკრეკილი ქაღალდის ნაგლეჯი ოთხად მოკეცა და უბეში ხელი კარგა ხანს აფათურა, სანამ ახალუხის შიგა ჯიბეს იპოვიდა და შიგ ჩასდებდა. — ეგ საქმე აგრე არ დაიტოვება, შვილო, რადაც უნდა დაგვიჯდეს. დუშეთში უნდა ავიდეთ და ამბავი გავიგოთ. იქნებ მაღალმა ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედოს და კიდევ მოხერხდეს რისამე გაკეთება! ჰა, რას გაჩუმდი?

ნაცვლიშვილმა ყელზე მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა, ღაწვზე დაკიდებული მსხვილი კურცხალი მეუტით მოიწმინდა და უჩვეულოდ დაბოხებული ხმით თქვა:

— შენ ამ დავიდარაბაში ვერ გაგრევ, ძია შაქრო. ნუ გაჯავრდები და ნურც გეწყინება. ჯამაგაშვილის თქმისა არ იყოს, ცოდვას ვერ მოვიკიდებ. გიცნობს ვინმე, გაიცხადებს, ასეა საქ-

მეო. საბუთებს მოგთხოვენ და როცა ვერ მისცემ, ჯერ თოფის კონდახით გცემენ. მერე პიროვნების დასადგენად ეტაპით თელავში გგგზავნიან. მაგათი ნამუსის ამბავი რომ ვიცი, შეიძლება, ეგეც არა ქნან... — ნაცვლიშვილმა აღარ დაამბოლოვა, შეიძლება იქვე მიგახვრიტონო.

— შენ არხეინად იყავ, — ცოტა უფრო მკვახედ და თავდაჯერებულად მიუგო მოხუცმა, რომელმაც თვით ხსენებაც კი იმისა, რომ შეიძლებოდა, სოფლისაგან პატივცემული დროული კაცი ჩეკისტებს უბრალო არამზადასავით თოფის კონდახით გაელახათ, საწყენად მიიღო. — შაქრო ბადურაშვილი იგრე არ წახდება, მაგ ცხვირბოლოხოცელების საკითხავად გაიხადოს საქმე. შენ მხოლოდ სიკეთე ჰქენი, აქედან გასასვლელი გზა გამასწავლე. დანარჩენი მე ვიცი! შეხვედრის ადგილი დავთქვათ. თუ გარისხდა ღმერთი და მესამე დღესაც ვერ მოველ, მეტს ნუღარ დამიცდი, აიკარ გუდა-ნაბადი და ბელადს ამბავი მიუტანე!

მიშა ნაცვლიშვილმა ორი ღამე იმ ფუღურაოში გაათია, სადაც პირველად დაბინავდნენ და ჯამაგას ნახევარძმამ მეზობელი სოფლიდან დასტაქრი დედაბერი სალომე ბაბო მოიყვანა. სოფლები აქედან არც ისე შორს იყო. ღამლამობით ძაღლების ყეფა, გათენებისას კი მამლების ყივილი ისმოდა.

მიშამ ერთი ორჯერ სამალავი დასტოვა, ხშირ ტყეს თავქვე ჩაჰყვა, ნაპირზე გავიდა და ხეს ამოფარებულმა იქაურობა ფრთხილად დაზვერა. სხვა დროს ამას არამც და არამც არ იზამდა. უზომოდ მოუწდა, მოენატრა, ვინმე ადამიანისშვილი დაენახა, დაენახა არა იმისათვის, რომ რაიმე ეთქვა, გამოლაპარაკებოდა, მუსაიფი გაება, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ თავი მთლად მარტო არ ეგრძნო, სადმე ახლო ადამიანი, თუნდაც მოსისხლე მტერი დაეგულებინა.

მინდორში, უსწორმასწორო ნაჭრებად დაყოფილი ვენახების თავზე, სოფლის ნახირი გამოფენილიყო. პირწმინდად გაძოვილ მიწას მწვანე ბალახი თითქმის აღარ ჰჩნდა, მაგრამ, ნახირი, ეტყობოდა, საზრდოს მაინც პოულობდა და ერთ ადგილზე ფუტკრის ნაყარივით შეჯგუფებული ფრთვინვითა და კუდის ქნევით ნაბიჯ-ნაბიჯ ტყისკენ მოიწევდა.

უკან ორივეჯერ გულგახეთქილი დაბრუნდა. მოეჩვენა, რომ მისი არ ყოფნის დროს ბინას ჯამაგიშვილების ხვედრის შესატყობად წასული შაქრო ბადურაშვილი მოადგა და როცა დაინახა, ის არ იყო, ელდანაცემმა თავში ხელი შემოირტყა. და მოსალოდნელი საფრთხე რომ აეცდინა, იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

საბედნიეროდ, ბინაში ორივეჯერ ყველაფერი ისე დაუხვდა, როგორც დასტოვა. შაქრო ჯერ არ ჩანდა და არც არავის შეეძლო დანამდვილებით სცოდნოდა, დაბრუნდებოდა კი?

ვაითუ შეცდა, ბერიკაცს რომ თავისი გაატანინა და საეგებიო საქმეზე მარტოდმარტო გაუშვა? რა იცი, იქნებ შაქრომ სინდისზე შეაგდო, საბოლოო არჩევანის მოხდენა თვით მას მიანდო?

არა, არა და არა! ჩეკა-მილიციითა და ავჭალიდან დაბარებული რუსის ჯარით სავსე დუშეთში ჩოლოყაშვილის რაზმელის გამოჩენა მისი მხრივ უაზრო თვითმკვლელობა იქნებოდა, რითაც ვერც განწირულ ამხანაგს არგებდა რამეს და ვერც მტარვალის ხელში ჩავარდნილ მის ახლობლებს, მხოლოდ თავს დაიღუპავდა. ამბის შესატყობად სწორედ გარეშე კაცი უნდა წასულიყო და წვიდა კიდევაც, თუ მასაც ქვა აღმართში არ მოეწია, ბედმა არ უმუხთლა და სისხლმოწყურებული გადამთიელი მტრის ხელში არ ჩავარდა.

მესამე დილა თენდებოდა, არაგგგაღმა თუ სადღაც სულ ახლოს მამლები გაბმულად ყიოდნენ, რასაც ძილგამტეადარი ძაღლების ყეფა-ღაღვავიც ერთვოდა, რამდენიმე დღის განმავლობაში

თითქოსდა მძიმე სენგადატანილმა, ჭალარა თმა-წვერწამოზრდილმა, თვალებში სინათლის სხივჩამქრალმა შაკრო ბადურაშვილმა უსაშველოდ დამძიმებული, გასიებული ფეხები რომ მოათრია და ფუფურო წიფლის ქვეშ ხავსიან ქვაზე ისე მოწყვეტით დაეშვა, როგორღა იფიქრებდი, თუ ის იქიდან ოდესმე კიდევ წამოდგებოდა. საწყალი ისე იყო მოთენთილი და მისავათებული, არამცთუ ლაპარაკის, კრინტის დაძვრისა და რისამე თქმის ღონეც აღარ ჰქონდა. მაგრამ ლოდინით გულგადალეული მიწა ნაცვლიშვილის თვალებში ჩასახლებულმა უსიტყვო მუდარამ, ჩქარა, თუ რამე იცი, მითხარიო, მაინც თავისი გაიტანა და ენა ამოადგმევინა.

ჯამაგიანთ ბიუის სახელი დუშეთსა, მცხეთასა და მათს ახლომახლო სოფლებში ერსა და ბერს პირზე ჰკერებოდა. ჰკვირობდნენ. ეგ ვინა ყოფილა, მამავ და შვილო, ჩვენ მართლა კაცისმკვლელი და ყაჩაღი გვეგონა. მაგის შიშით გარეთ ფეხი ვერ გამოგვედგა, მაგან კი რა ჰქნა, ხალხო, რა სასწაული მოიმოქმედაო. ძმა, რძალი და ძმისწულები ვის არა ჰყოლია. მაგრამ საფლავში არ ჩაჰყოლიაო...

ჯამაგა რეგიმენტიდან მოვლინებულ რუს კომისარს დაეკითხა. ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ. რადგან ამან რუსული არ იცოდა. იმან კი ქართული, მაგრამ გახელებული რუსი მაინც არ ეშვებოდა. „ვანიუჩაია გრუზინსკაია სეულოჩ“ მისი თანამემამულეებისათვის დასათმობად ვერ გაემეტებინა. როგორ შეიძლება. რუსული არ იცოდეს. მე ამას თავს არ გავასულელებინებ. თავისას არ გავატანინებო.

პატიმარს უწყალოდ სცემეს. თავთხლე გადაადინეს. ცხვირი. შუბლი და კბილები თოფის კონდახით ჩაულეწეს. თან წამდაუწუმ ქართულად და რუსულად ჩასძახოდნენ: „სკობოდუ ზახატელ? ვოტ ტებე სკობოდა... დემოკრატია მოგენატრა? აი, შენი დემოკრატია!..“ ჯამაგა დრეგამოშვებით გონებას ჰკარგავდა. მაგრამ წყაროდან საგანგებოდ მოტანილი ყინულივით ცივ წყალს შეასხამდნენ თუ არა, გონზე ისევ მოდიოდა. წამოიჩოქებდა და ფეხზე დგებოდა. ურტყამდნენ გამეტებით, რიგრიგობით, მოზომილად. ყოველ გადმოფურთხებაზე სისხლში არეული ნერწყვს ორ-ორ, სამ-სამ კბილს აყოლებდა. მაინც არ გატყდა. შეწყალება არ ითხოვა. სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ხალხი არა ხართ, კაცო? ჩემი საცოდავი ძმა მომიყვანეთ, დამინახოს, რომ აქა ვარ, რომ დავნებდი. მისი ცოლ-შვილის ცოდვაში ფეხი არ ჩამიდგამს და მერე რაც თქვენს გულს გაეხარდება. ის მიყავითო. ვიცი. ჩემგნით გამწარებული ხალხის წყენელა მოშვწია. ასეთი ყოფილა ღვთის ნებაო.

— ჩტო ემუ ნადო? — ეკითხა გაშაგებისა და ცხოველური ზიზღისაგან პირზე დუქმიმდგარ კომისარს თავისი ქართველი თანაშემწეებისათვის. თვალებში რომ მორჩილად შესცქერიან ებდნენ და მზად იყვნენ, მისი ყოველი განკარგულება, რა სასტიკი და ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელიც არ უნდა ყოფილიყო, უყოყმანოდ შეესრულებინათ.

— ბრატა ტრებუეტ.

— ა ზაჩემ ემუ ბრატ?!

— ზოჩეშ ნაპასლედოკ ჩტო-ტო სკაზატ!

— ნუ პრიეედიტე, პოსმოტრიმ, ჩტო ონ ლსკაჟეტ!

— ეგო უეე ნეტ!

— კაკ ნეტ!

— ნეტ! მი ეგო უეე ვ რასსხოდ პუსტილი ემესტე ს ყენოი.

ეს რომ გაიგონა, შედეგებულ სისხლში ამოთხვრილი, ჩოხა-ახალუხშემოფლეთილი, ფეხშიშველი ჯამაგა იატაკზე დაეცა, დაკლული ქათამივით აფართხალდა და აქამდე კლდესავით მაგარი და გაუტეხელი ყოფად აზლუქუნდა.

— ა ვი გოვორილი. ჩტო ონ ნე ზნაეტ პო რუსსკი. ზნაეტ სკოტინა და ნე ტოლკო რუსსკი. კოე ჩტო ეშო!..

ჯამაგასათვის იმავე ღამეს ეგოთ წე-

სი, გასისხლიანებული გვამი ეზოში გამოეთრიათ და ზანდუკლიანთ საღორის უკან, წუნწუხით გაჯერებულ მიწაში ზერელედ ჩაეფლოთ. ჯამგასეული ნაბადი კომისარს მოსწონებოდა. სისხლი აკბია. გავრეცხავთ და მოგარჯთმევთო. ალეთქვათ ყველაფრისათვის მზად მყოფ თანაშემწეებს და საქმეს მაშინვე. ქვითკირის კედლებზე მიმაგრებული მაშხალების შუქზე შესდგომოდნენ. ამბავი ვიღაც მჭადიჯვრელ კომკავშირელს გამოეტანა და მაშინვე მთელ სოფელს მოსდებოდა. ორმო, რომელშიაც ულვთო გვემა-წამებით დამახინჯებული მიცკალებული თითქმის დედიშობილა ჩაფლეს. ჩეკისტებსა და მილიციელებს. მათდა გასაკვირლად, დილას ცარიელი ენახათ და პირკეტა სცემოდათ, ბიჭოს ეს რა ამბავია, ეს მამასულძაღლი მკვდრეთით ხომ არ აღდგაო. საქმეს სულ სხვაგვარად მობმოდა თავი: ღამით საიდანღაც გამომტყვარალ თავგამოდებულ ჭირისუფლებს სიცოცხლე სასწორზე შეეგდოთ (შაქროს არ გაუმხელია, რომ ერთ-ერთი მათგანი თავად იყო), გაძლიერებული ყარაულის თვალწინ გვამი გაეტაცათ, მალულად ეკლესიის გალავანში გადაესვენებინათ. იქ ნაკურთხ მიწაში ქრისტიანული წესით დაემარხათ, უდროო დროს საიდანღაც მოყვანილ ბლაღოჩინს წამებულის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაეხადა და ამ პარაკლისს თუ მეტი არა, ნახევარი დუშეთი მაინც დასწრებოდა.

— ბალღები რაღა იქნენ, ძმისშვილები? — იკითხა ყოველივე ამის შეტყობით დამეხილმა მიშა ნაცვლიშვილმა, რომელსაც, ღმერთო, შეგცოდე, ცოტათი კიდევაც შეშურდა დაღუპული მეგობრის ბედი. კიდევ რამდენ ხანს უნდა ეცოცხლა საბრალო ჯამგას, რა უნდა მოემქმედებინა, რომ თანამემამულეებისაგან ასეთი ერთსულოვანი პატივი და დიდება რგებოდა! — ყველა უდედმამოდ დარჩენილ ბალღს თავი მოუყარეს და ავეალაში ერთად გაგზავნესო. იქ, იგრე თქვეს, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი ყოფილა!

— იმათგან რაც უნდა, იმას გამოიყვანენ!

— აგრეა, შვილო, ხისაგან ბარიც გამოდის და ნიჩაბიც. თუ ღმერთი გმე და შუბლის ძაფი გაიწყვიტე, მერე გზა ხსნილი გაქვს. სიკვდილის გარდა, ვეღარაფერი დაგაკავებს! შენის კარგა ყოფნით ახლა როგორ მოვიქცეთ?

— მე წავალ ქაქუცასთან, ყვარლის ტყეში, თუ ისევ იქა დგას და მივაგენი. შენა, ძია შაქრო?

— სამებამდისინ გზა ერთი გვაქვს, მისი მადლი შეგვეწიოს! — სამების ხსენებაზე შაქრო ბადურაშვილმა შრომაში თითქმის გახევებული, დაძარღვული ხელით პირჯვარი გადაიწერა. — ჯერ იქამდე მშვიდობით მივიდეთ და მერე ვნახოთ, ღმერთი რას ჩაგვაგონებს!

ქართლ-კახეთის გამყოფ ქედზე რომ ფეხი შედგეს და თვალწინ ალაზნის თვალუწვდენელი ველი გადაიშალა, უღელტეხილზე უკვე თოვლი იდო. თოვლს ტყეები გაეთანგა, ყინვის არტახებში გაეკრა და ასე გასინჯე, უფრო დაბლაც დაეწია. შორს, ალაზანგაღმა, კაკასიონის კალთებზე შეფენილ სოფლებში და აქეთ, ცივგომბორის კალთების გაყოლებაზე თითქოსდა ანაცერით შეფიფქული, კრამიტით გადახურული სახურავებიდან კვამლი ზლაზვნით ამოდიოდა, ზამთრის ცაში ბოლქვა-ბოლქვა იშლებოდა და საავდროდ ჩამოწოლილ ყომრალ ღრუბლებს ერთვოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდო გვიშიანი

დედას

მცივა, დედა!
მცივა და როგორ გავთბე
შენი ღიმილის გარეშე;
ტკივილი მალონებს, დედა და
როგორ დავიამო სატკივარი
შენი სალბუნის გარეშე;
დარდი მადარდებს, დედა და
როგორ დავმშვიდდე
შენი ნუგეშის გარეშე;
როგორ გავთბე-მეთქი,
როგორ დავწყნარდე,
როგორ დავმშვიდდე,
როგორ მოვკვდე უშენოდ, დედა!..

ეს მე ვიძნები

ინოლა გურგულიას ხსოვნას

თუ გაგიჭირდეს შენ ჩემი პოვნა,
აღარ მექნება როდესაც სახლი,
მე ნაცნობ კორდზე ყვავილად მოვალ
სულ პაწაწინა პირიმზის სახით.

მოინახულე სავანე შორი,
გამოჰყევ ნიავს წაშლილ ბილიკზე,
და ულამაზეს ყვავილთა შორის,
გამოარჩიე ნაზი პირიმზე.

ეს მე ვიქნები... არსება შენი
არ შეაშფოთოს ეჭვმა და შიშმა,
მოგესალმები ყვავილის ენით
და თავს დაგიკრავ დასტურის
ნიშნად.

წვიმის წვეთები

— რა თბილი და მომხიბლავი
ყოფილა სამყარო!
შესძახა წვიმის პირველმა წვეთმა,
რომელიც ვარდის გულში მოხვდა.

— რა ცივი და უფერული ყოფილა
სამყარო!
დაიჩივლა წვიმის ბოლო წვეთმა,
რომელიც სიპ ქვაზე მოხვდა,

— და... რა ხანმოკლეც...
დაუმატა გაზაფხულის ნიავმა
და სულის შებერვით გააშრო
წვეთები...

აწმყო

მე ვცდილობ,
მცირე ხნით მაინც დავაყოვნო აწმყო
და მეთევზესავით ვისვრი ბადეს
ნის მოსახელთებლად;
ბადე მძიმდება
და მე გაჭირვებით ვეწევი მას
ნაპირისაკენ;
ღმერთო ძლიერო!
ბადეში მხოლოდ წარსულია!
გაქვავებულ ნიჟარებად ქცეული
წარსული დღეები;
ქვიშად და შლამად ქცეული
წარსულ ღამეთა სიზმრები,
კენჭებად ქცეული წარსულ
სიხარულებისა და
მწუხარების ცრემლები...
— ვერ მოიხელთებ,
რამეთუ არ არსებობს აწმყო...
მეუბნება სახტად დარჩენილს
ბადეში მოხვედრილი ოქროს
თევზი და
სწრაფი ნახტომით ეშვება მირაჟის
ოკეანეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ქალაქში

მე გამოვექეცი პატარა სოფელს
და ახლა ვცხოვრობ
დიდი ქალაქის დიდ სახლში,
რომელსაც აქვს ბეტონის კუნთები და
რკინის სახსრები,
ქვიშის ხორკლიანი კანი და
შუშის ცივი თვალები;
აქ მარტვილობს ქალაქის
ხმაურისაგან დაღლილი,
ოთახის თეთრ თავისქალაში
გამომწყვდეული
ჩემი ტვინი;
და ხშირად,
ძალიან ხშირად,
სოფლის სიმყუდროვეს
დანატრებული ჩემი სული
მიილტვის შორს, სულ მაღლა და
მაღლა,
ოცნების უკიდეგანო ოკეანეში,
რომელშიაც არეკლილია ჩემი
სოფლის მწვანე ბაღები
და ჩიტების ჭიკჭიკი...
ხოლო, როცა განცდებისაგან
დავიქანცები
და რიგრიგობით ჩაქრებიან ოცნების
ცაზე
ხსოვნის ვარსკვლავები,
მე კვლავ ვუბრუნდები დიდი
ქალაქის დიდ სახლს,
რომელიც ნელ-ნელა ინელებს
მის დაუნდობელ რკინის ყბაში
გაჩხერილ
ჩემს არსებას...

წარსულიდან მომავლისაკენ

ყოველ დღე,
ყოველ წუთს,
ყოველ წამს,
თანდათანობით
იზრდება,
ივსება,
ღრმავდება
ჩემი წარსული;
იგი მიიწევს შეუპოვრად
მომავლისაკენ,
ნელა,
უჩუმრად
ხრავს წარსული მყოფადის ნაპირს...

სვანური ღამე

ციცინათელები ოქროს მაკრატლებით
სჭრიან ღამის სიბნელეს,
ღელეები მღერიან ლილეს
და ახოვან ფიჭვს
სვანურ ქუდივით ახურავს თავზე
ნახევარმთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სორგუაშვილი

ჩემი უებარი წამალი

ავადა ვარ და ვერ მშველის ვერვინ,
ტკივილებს ვებრძვი სულ
მარტოდ-მარტოდ.
ამტკიებია ყოველი ნერვი,
არ ვიცი რითი, არ ვიცი რატომ.

ელექტრონივით დამივლის რაღაც,
ამეყალყება ყოველი ბეწვი.
ნაღვერდალივით რაღაცა მდაღავს
და ტკივილისგან სულიც კი მეწვის.

ოან გულში ვითვლი უთვალავ
ვალებს.
არ გამყვეს ვშიშობ, იმქვეყნად ვალი.
ექიმი ამბობს გაივლის მალე,
მხოლოდ სითბოა შენი წამალი.

მაგრამ მე გულიც მტკივა შეშლამდე
დიდი ხანია, ნუ მკითხავთ რატომ?!
გამოგიტყდებით, ვერრა მიშველის,
მე თბილი სიტყვა მომარჩენს
მარტო...

უნებური

„უნებურად გვღალატობენ ძმები,
უნებურად ვშლიდით ჩვენ ჩვენს საბუდარს.
ქართველები უნებურად ვკვდებით,
თორემ ჩვენთან ნამდვილ სიკვდილს რა
უნდა“,

მორის ფოცხიშვილი

წავიკითხე გულის-გულის
ტკივილი —
შენი ლექსი, დარჩეს ეს ჩვენს შორის.
მეც ამომხდა უნებური კივილი
მაგ ტკივილით, ჩემო ძმაო, მორის.

უნებურად არაფერი არ ხდება.
უნებურად ვინ გაგვთელა, როდის?!

ბოროტება როცა ტახტზე ახტება
ყველა ცოდვა იმ ტახტიდან მოდის.

ნიწამურში მიტომ მოკლეს ილია,
ერის მტრებმა ცოცხალს რომ ვერ
სძლიეს.
ყველაფერი ზემოდან გათვლილია, —
არაფერი ხდება ისე, უნებლიედ...

ახლაც დადის უხმოდ ერის ზვარაკი
და ვგრძნობ მასაც უთოკავენ
მკლავებს...
არაფერი ისე არა მზარავს მე,
როგორც ქართველს ქართველით
რომ ჰკლავენ...

უნებურად ჩვენზე არვინ ფიქრობდა,
უნებურად არ წაგვართვეს რწმენა...
უნებურად სანთელს არვინ
გვიქრობდა,
უნებურად არ გვაჭრიდნენ ენას.

დავიქანცეთ „უნებური“ დასმენით.
ვმარცხდებოდით „უნებური“ შიშით.
„უნებური“ მბრძანებლისგან რას
ველით,
გაწყდეს მათი უნებური ჯიში!

უნებურად არ ჭედავენ ჩვენს
მერანს...
უნებურად არ გვაძულეს მოძმე...
უნებურად არ ესვრიან სიმღერას,
შენი ლექსი არის ამის მოწმე.

უნებურად არ დაღვრილა სისხლი,
უნებურად საფლავში არ წვანან.
უნებურად არ გვძულს მისხის-მისხი
მისი, ვინაც ქართველთ ჟლეტა
ბრძანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებურად არაფერი არ ხდება,
უნებურად ვინ გვესროლა, როდის?!
ბოროტება როცა ტახტზე ახტება,
ყველა ცოდვა იმ ტახტიდან მოდის.

ნეტავი, ნატვრა მანატრა

(ხალხურ ჯილოზე)

ნეტავი, ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო,
ოქროს სასახლე არ მინდა,
შენს გულში მომცა ბინაო.
მეფის გვირგვინი არ მინდა,
შენს გვერდით მაგვირგვინაო.
შენი თმის სურნელით დავტკბე,
შენს ხატზე მალოცვინაო,
შენი ტუჩებით დამათრო,
შენს მკლავზე დამაძინაო,
შენი ტრფიალით გამაძღო,
შენს გამო დამარჩინაო...
ნეტავი, ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო.

ცოტანი ვართ

„აღორძინდით და გამრავლდით. და აღავსეთ ქუეყანანი და ეუფლენით მას“.

„დაბადება“

განმრავლდითო, განმრავლდითო,
ვითარცა
წყალში თევზნი, ცაში
მფრინველნიო.
ეს დალოცვა მაღლა-მაღლა მიტაცებს,
განმრავლდითო, სიკვდილმა ვერ
გძლიოთ.

ბევრმა დედამ ყურად იღო ეს ლოცვა,
ყურად იღეს ტომებმა და ერებმა.
გაცამრავლდნენ, კვლავ მრავლობენ,
ეს როცა
არც სჭირდებათ, სათვალავი ერევათ.

ჩვენ კი, ვაი, ვერც მივმხვდარვართ,
რა მოგვდის.
რა შეგცოდეთ, რად დაგვსაჯეთ,
ღმერთო!
(ნატვრითა და ყანწების ცლით რა
მოგვღლის)
ქართლი იქცა დედად დედისერთთა.

ჩვენ შეგვეძლო ცხრა მზე
ამოგვეყვანა,
მაგრამ, ვაი, ის ერთიც რომ
გვიქრება!..
დიდგორის და ბახტრიონის ქვეყანა
ეადაიქცა მთვარის ჩრდილის
ფიქრებად...

რომ ვართ ასე უუღმერთოდ ცოტანი,
ყველა უცხოს ჩვენი ყური ეჩვევა.
ამ ცოტაშიც უფრო ბევრი სცოდავდა
და ხახული გადაგვექცა მეჩეთად.

მოსალოდნელს თითქოს არვინ
ველოდით,
ეს დაგვმართა უდარდელმა წოლამა.
ქეთევანის წმინდა სამლოცველოში
მლოცველები წინ დაიმხო მოლამა.

ცოტანი ვართ ქართველები, ცოტანი,
ჩვენი ხნული ჩვენ ვერ
დაგვიფარცხია.
ამ ცოტაშიც უფრო ბევრნი
სცოდავენ,
ამ ცოტასაც ცოტა ნიჭი გვაცხია

ერთმანეთის დანდობის და
გატანის, —
ეს ხომ არის ჩვენივ თავის
მკვლელობა.
ვერ ჩავკალით სულს ჩამძვრალი
სატანა, —
მლიქვნელობა, შური, უდარდელობა.

ვერ გავმარგლეთ ღვარძლიანი ეს
ყანა,
სული სჭკნება, სახე კი გვებადრება...
რუსთაველის და ილიას ქვეყანას,
არა, ძმაო, ეს ზნე არ ეკადრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავივიწყეთ „ვაშას“ რომ გავკიოდით,
ვყიჟინებდით ჩვენივ ბრძოლის
ველზედა.
გაუკოჭავთ ცხენი წმინდა გიორგის,
გველეშაპი მოხვევია ყელზედა.

ჩვენ შეგვეძლო, ცხრა მზე
ამოგვეყვანა,
მაგრამ, ვაი, ერთიც ძლივს
გვეკარება.
ამირანის და დავითის ქვეყანას,
არა, ძმაო, ეს ზნე არ ეკადრება.

დავივიწყეთ სული მამა-პაპანის,
დედის გული — შვილის მზე და
ღადარი...
გვენატრება ძეობა და აკვანი,
დედის „ნანა“ — დიდი ლოცვის
სადარი.
ველარ ვისმენთ ლოცვას
დედისბაგიერს,
ძუძუსხატზე* (ხელში ჩვილი
მაცხოვრით)
და საკუთარ რძის და ძუძუს მაგიერ
ჩვილებსა ვზრდით მატყუარა
მანოვრით.

ცოტანი ვართ ქართველები, ცოტანი,
ჩვენი ხნული ჩვენ ვერ
დაგვიფარცხია.
ამ ცოტაშიც უფრო ბევრნი
სცოდავენ,
არ ვმრავლდებით და ეს ჩვენი
მარცხია.

ჩვენ შეგვეძლო ცხრა მზე
ამოგვეყვანა,
სიყვარულში ვერვინ ვერ
შეგვედრება.
ცხრა ძმის, ცხრა მთის და ცხრა
წყაროს ქვეყანას
არა, ძმაო, ეს ზნე არ ეკადრება.

1984 წ.

*ძუძუსხატი — სამლოცველო, რომელზეც ლოცულობდნენ ურძეო ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქრო სამადაშვილი

მოთხრობები

მამა

„საყვარელო დედა და მამა, არც რამე მაკლია, არც რამე მიჭირს, მაინც მინდა ჩამოხვიდეთ, ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ მამამისი ღმერთს, არც იმით დაინტერესებულან, ნაირ-ნაირ ტანსაცმელს სად და როგორ იძენდა, ეს ხომ ისედაც ნათელი იყო. ერთ დღეს სკეერში შევიარე. გულადაც იქ დამხვდა, წიგნს კითხულობდა. ერთბაშად კითხვა მიატოვა, წიგნი მიაგდო, მომიახლოვდა და თქვა:

— მეზარება...

— რა გეზარება?

წიგნის კითხვა.

— გეზარება! ახალგაზრდა კაცი. მაგას როგორ ამბობ! ეს-ეს არის, ისეთი რამ წავიკითხე, გულს შეგიძრავს, ადამიანს შეგაყვარებს, დაჯექი, მოგიყვები... დავიწყო?

— დაიწყე...

— ორი ქართველი ერთიმეორეს დიდ სამამულო ომში გაეცნო. ერთი მძიმედ დაიჭრა, მეორე — მსუბუქად. მსუბუქად დაჭრილმა მეგობარი დიდი ტანჯვით სამშვიდობოს გაიყვანა, მაგრამ...

— რა მაგრამ? — მკითხა გულადამ.

— ჭრილობა გაფიფქზიანდა, გაეხსნა, ამას ზედ დაღლაც დაერთო და დაიღუპა ეფეკაცი. სულიერი სილამაზის უკეთეს მაგალითს დამისახელებ?

გულადას გაეცინა. ვკითხე. რა გაცინებს-მეთქი. მსუბუქად დაჭრილის საქციელზე ვიცინით. ავენთე, წყენა ვერ დავფარე, მივიწიე. მაგრამ იმ მხდალმა როგორღაც მოახერხა ჩემი ხელიდან დასხლტომა. ჩემო გიორგი, დანარჩენი თვითონ განსაჯე...

გიორგის დასკვნის გამოტანა არ გასძნელებია. „იფ რა კაცი ყოფილა ჩემი სასიძო!“ — ფიქრობდა შინ მიმავალი.

მეორე დღეს გულადა ქუჩაში ნაცნობებს შეხვდა. სასადილოში შეიპატიჟა. ბიჭებმა, მისგან თავის დაღწევის მიზნით, დროის უქონლობა მოიმიზეზეს, მაგრამ გულადამ მაინც თავისი გაიტანა. გიორგი შემთხვევით მათ ახლო მაგიდასთან აღმოჩნდა, ჯამა მძიმედ, აუჩქარებლად დაიწყო, სმენა, გაიმახვილა. თითო ბოთლი „წარაფი“ რომ დაილია, გულადა დაიცარა, ბიჭები წამოდგნენ. გვეყოფა სმაო, მაგრამ გულადამ ყველანი ძალით დასვა. ეჭვი ბოთლი თავისი ხელით მიიტანა სუფრაზე.

— ეჰეი, ძმობილო, მოდი აქ!

მიმტანი მივიდა.

— ეს ბოთლები გახსენი, სამი მწვადი მოგვიართვი, ბლომად პურიც მოაყოლე!

მიმტანმა მწვადი უმალ მიიტანა, მერე პური მიართვა მოქეიფეთა სხვა ჯგუფს. ისინი დიდი ხანია ელოდებოდნენ. გულადა აიმრიზა, ადგა, მივიდა პურის მაგიდასთან, თეფშზე ნაჭრები ააკოკოლავა და ამხანაგებისკენ გასწია, პურის ერთი ნაჭერი ძირს დაუვარდა, გაბრაზებულმა ფეხი წაჰკრა და ბუზღუნით გვერდზე მიაგდო.

მიმტანმა დავარდნილი ნაჭერი აიღო, ცალკე დადო, გულადას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მე რატომ არ მაცლი, ძმობილო?

გულადას უნდოდა თავისებურად ეპასუხა, მაგრამ შემოსასვლელში ნაცნობი შენიშნა, მაშინვე გაეგება და სუფრასთან მიიპატიჟა.

— აბა, ეს თქვენებური დავვილიე! — სთხოვეს შემოსწრებულს, რომელსაც ვახტანგი ერქვა.

ვახტანგმა სავსე ჭიქა მაღლა ასწია, ღვინოს შეხედა, დაილოცა, დალია და უხალისოდ დაჯდა.

—მეგობარო, რამ დაგაღონა? — ჰკითხეს თანამესუფრეებმა.

— ახლახან ჩამოვედი კახეთიდან, ცოტა დამღალა მგზავრობამ.

— რა ამბავია იქით?

— ვერა ვარ კარგი ამბის მთხრობელი.

— რა მოხდა?

— დავისეტყვენით.

— ძალიან?

— კი.

— ცუდი ამბავია, — თქვა ერთმა.

— სამწუხაროა, — დაუმატა მეორემ.

შენიც დაისეტყვა? — იკითხა მესამემ და ის მესამე გულადა იყო.

— არა.

— მაშ რა გაღონებს? — გაიკვირვა გულადამ.

— როგორ თუ რა მაღონებს! ორი დიდი სოფლის რჩეული ადგილები, „წარაფები“ ნაოხარს დაემსგავსა, სოფელს უდიდესი ზარალი დაატყდა თავს. ამის შემდეგ კარგ ხასიათზე როგორ ვიქნები!

— მე თუ გადავრჩი, სხვისი ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, არ გაგვონია? — უსირცხვილოდ თქვა გულადამ.

— გამიგონია თითო-ოროლა უსულ-გულოსაგან, — მიუგო ვახტანგმა და სასადილო სწრაფად დატოვა.

— წადი შენი!.. — მიაყოლა გულადამ.

ვახტანგს მიდევნებული გინება არ გაუგია.

გიორგის მოთმინების ფიალა აევსო, გასვლის წინ გულადას გადახედა და წაილაპარაკა:

— გაგიწყრა ღვინისა და პურის მადლი!

ამის შემდეგ გულადა კარგა ხანს აღარ გამოჩენილა, ეტყობოდა, ქალაქიდან სადღაც გადაიკარგა. დაღის ამხანაგმა ამბავი მოუტანა:

— გულადას მამა დაუპატიმრებიათ, გულადა მოსამართლეს დამუქრებია, რისთვისაც სამართალში მიუციათო.

დაღი გაოცებული შესცქეროდა ამხანაგს, რომელმაც განაგრძო: — გულადა უნივერსიტეტიდან გარიცხული ყოფილა, საგნები ჩაუბარებელი ჰქონია.

— როგორ გაწონებდნენ ამხანაგები გულადას! ხოხობივით ბიუიაო, არა? — მიმართა გიორგიმ დაღის. მერე განაგრძო: — ამას წინათ ერთმა ნაცნობმა მონადირემ ოჯახში შემიყოლია, ახალი თოფი ვიყიდე და უნდა გაჩვენოო. თოფის გარდა, რა არ მაჩვენა მონადირე წინაპრების ღირსეულმა შთამომავალმა! მზერა ვერ მოვწყვიტე საყვავილე მაგიდაზე წამომდგარ მამალ ხოხობს, არც ერთ ყვავილს რომ არ ჩამოუვარდებოდა მომხიბვლელობითა და მიმზიდველობით. ფიტული ბრწყინავდა, თითქოს თავს მაწონებდა. ნახელავმა გამაოცა, მივუახლოვდი, ფრთხილად ავიღე და უეცრად სიმსუბუქე, სიმჩატე, შინაგანი სიცარიელე ვიგრძენი... ამ დილას გამომეღვიძა თუ არა, მონადირის სახლში ნახული ის ფიტული გამახსენდა და თვალწინ გულადა დამიდგა... გულადა! — ამ შინაარსიან სახელს რა უშინაარსო ახალგაზრდა ატარებს... ახლა, გასაგებია შენთვის ყველაფერი?

— გასაგებია! — კრძალვით, მორჩილად უპასუხა დაღიმ და მზრუნველ, ჭკვიან მამას კოცნა დაუწყო.

გულადასა და გიორგის შეხვედრა აღარ მომხდარა, ისინი, ცხადია, ერთიმეორეს ვერაფერს გაუგებდნენ.

მკითხველი

მწიფე ნაყოფით დამძიმებული ხე ყვითელ შუქს აფრქვევს ირგვლივ, ღიად დარჩენილ ჭიშკართან პატარა გოგო მომდგარა და შიგნით, ეზოსკენ იცქირება, ხის ძირას გარგარი გულმისასვლელად გაშლილა.

მერაბმა გოგოს შეხედა, ეუცხოვა და ჰკითხა:

— რაო, გოგონავ, რას გვიბრძანებ?

გოგონამ თავი ჩაჰკიდა, მზერა ძირს დაყრილი ხილისაკენ გაექცა, რაც არ გამოჰპარვია ეზოკარმიდამოს პატრონს.

— შემოდი!

ბავშვმა თავი მაღლა ასწია, ეზოში შესვლა მაინც ვერ გაბედა, ვერ მოახერხა.

— შემოდი, გარგარს გაჭმევ!

გოგონამ ძლივს, გაუბედავად შედგა ფეხი ეზოში. მერაბმა აარჩია ახლად ჩამოცვენილი ხილი, იქვე, ახლო, მიწაზე დაგდებულ მორზედ ჩამოჯდა, სტუმარი გვერდით მოისვა და უთხრა:

— მიირთვი, რამდენიც გენებოს.

ერთი თუ ორი ცალი გარგარი მერაბმა ისიამოვნა, დანარჩენი ბავშვს აჭამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გქვია? — ჰკითხა, როცა პატარამ ხელით გული იჭერა.

—ნანა.

— რა გვარი ხარ?

— ღვინაშვილი.

— ჯიმითელი ხარ?

— დიახ.

— აქ ვისთანა ხარ?

— მამიდასთან.

— რა ჰქვია შენს მამიდას?

— მარო.

მერაბი, რა თქმა უნდა, მიხვდა, ნანა ვისი სტუმარიც იქნებოდა, მაგრამ მაინც განაგრძო საუბარი მზის სხივივით უმანკო ბავშვთან, რომელსაც მომხიბლავი ხმა ჰქონდა და საოცრად შვენოდა გულუბრყვილო ტიტინი.

— მაშ, შენ ომერას სტუმარი ხარ? აი, ყოჩაღ, იცი, ომერა, რა არის ჩემი?

— არა! — გასცა პასუხი ნანამ.

— ომერა ჩემი ახლობელია, მისი პაპის მამა და პაპაჩემი ძმები იყვნენ.

ნანას სახეზე ღიმილი უფრო მეტყველი გახდა, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ბავშვი ვიღაცების ნათესაობაში კარგად კი არა, მიახლოებითაც ვერ გაერკვა.

— ასე რომ, — განაგრძო მერაბმა: — ომერას სტუმარი ჩემი სტუმარიცაა!

ჭიშკარს მარო მოადგა.

—ნანა! — დაიძახა მან.

— აქა ვარ, მამიდა!

—მობრძანდი, მარიამ.

მერაბმა ჭიშკარი გაუღო მარიამს.

მარო მეზობლის ეზოში შევიდა, ხელი წამოკრიფა, გემრიელიაო, თქვა, და ნანას მიმართა:

— მერაბ პაპას ესტუმრე?

— კი.

— რა კარგი, ყოჩაღი ნათესავი მყოლია, მე კი არ ვიცოდი!

— აბა, აბა! — ნათქვამი დაუდასტურა მარიამმა მერაბს, მერე გოგონას მიუბრუნდა:

— წავიდეთ, ნანა!

ნანა ადგილიდან არ დაძრულა.

— იყოს, აქ ყოფნა რომ მოსწყინდება, გამოვუშვებ!

— იქნები? — ჰკითხა მარომ ნანას.

— ვიქნები!

მარო წავიდა, სტუმარ-მასპინძელმა საუბარი განაგრძო:

— ნანა, რომელ კლასში სწავლობ?

— მესამეში გადავედი.

— ყოჩაღ! ასე პატარა და მესამეში!

— რამ დამაპატარავა! ჩემს კლასში ვინცა ვართ, ყველანი ტოლები ვართ წლოვანებითაც, შეხედულებითაც.

— რაკი ასე ითაკილე პატარობა, მაშინ დიდი ხარ, ძალიან დიდი!

— ყოყოტინა დიდი!.. — განაგრძო ნანამ. ამ ორ სიტყვაში ბავშვური სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი სითბო იგრძნობოდა მერაბისადმი.

— აბა, ახლა მითხარი, ჩვენო დიდო გოგო, რა ნიშნებზე სწავლობ?

— კარგ ნიშნებზე.

— როგორ კარგ ნიშნებზე?

— ხუთიანებზე, ოთხიანებზე.

— სამიანებზეც?

— სამიანებზეც.

— ორიანებზეც?

— ხანდახან ეგეც მიმიღია.

— აი, ეს გულახდილობა კი მომწონს.

მერაბი ნანას წინ გაუძღვა, საკუთარი ხელით კოხტად მოვლილი ეზო დათვალიერებინა, ბოლოს ორივენი ხართუთის ძირას შედგნენ.

— ლექსები თუ გიყვარს? —შეეკითხა მერაბი.

— ძალიან.

— ზეპირად იცი.

— ვიცი.

— ის ლექსები იცი, მასწავლებელი რომ გასწავლის, ხომ?

— მასეთებიც ვიცი, სხვანაირებიც.

— მაგ სხვანაირებში რას გულისხმობ?

— კლასგარეშე საკითხავს, ისეთებს, რომელთაც მე მივაგენი და მომეწონა.

— ახლა მეტყვი რომელიმე ლექსს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეტყვი.

— გისმენ...

ნანა ერთ წუთს დაფიქრდა, მერე დაიწყო:

— ზღარბო, ზღარბო, ქაცია,
ეს რა ჭერეი გაცვია?
დამფიბაჭნა ხელები
ძაგ ჩჩუტუნა ნემსებმა,
ხეტოვ, შენი დედიკო
როგორ გეალერსებს!

ნანამ ლექსი ისე მოხდენილად, ისე ლამაზად თქვა, რომ მერაბის დიდი მოწონება დაიმსახურა.

— ნანა, აბა თუ მეტყვი, ვისია ეს ლექსი?

ნანა დაფიქრდა, მერაბს ეგონა, კითხვა ვერ გაიგოო და ახლა სხვაგვარად იკითხა:

— დაასახელეე პოეტი, ვინც ეს ლექსი დაწერა.

— გივი ჭიჭინაძე.

— სწორია. კიდევ, კიდევ მითხარი რამე.

— ჭიჭინაძისა?

— თუ გინდა, სხვისი.

— კურდღელი.

— რა?!

— კურდღელი.

— თქვი, თქვი, გისმენ:

— სამი დღეა ბარდნის, ბარდნის,
ემატება კურდღელს დარდი,
რბენის ოსტატს, რბენა უჭირს,
შიშმილისგან ეწვის კუჭი...

ნანამ შეხედა დიდად ნასიამოვნებ მერაბს და ლექსის თქმა შეწყვიტა...

— განაგრძე, განაგრძე!

ბავშვმა შეუცდომლად ჩაათავა სათქმელი.

— აბა, თუ მეტყვი, ვისია ეს ლექსი?

ნანამ დაასახელა მერაბის გვარი და სახელი.

— ომერა, — შენი მამის დის ქმარი, რა გვარია?

ნანამ თქვა ომერას გვარი.

— მე რა გვარი ვარ?

— თქვენ და ომერას ერთი გვარი გაქვთ.

— „კურდღელი“ ვინ დაწერა?

ნანა დაფიქრდა და აღტაცებით თქვა:

— თქვენ! — მე სხვა რამეებიც ვიცი თქვენი!

— რა იცი?

— „სათბურში“.

— როდის ისწავლე?

— პირველ კლასში რომ ვიყავი, მაშინ.

— აქამდე გახსოვს?

— მახსოვს.

— ყოჩაღ, ნანა, სხვა რა გახსოვს ჩემი?

— „სტუმარი“.

— კიდევ?

— „ნონიკელა“.

— ძალიან გიყვარს ჟურნალი „დილა?“

— კი, მიყვარს...

●

ნანას სოფელი გურჯაანის რაიონის უკანა მხარედ ითვლება, იქიდან მერაბის სოფლამდე, — წინა მხარემდე, ჩამოსვლას მსუბუქი მანქანით ერთი საათი არც კი სჭირდება. ნანა ხშირად ჩადიოდა ალერსიან მამიდასთან, ყოველ ჩასვლაზე მერაბს ნახულობდა. დრო გადიოდა. გოგონა იზრდებოდა, კლასიდან კლასში გადადიოდა, დაქალდა, საშუალო დამთავრებული, დაოჯახდა. — თანაკლასელმა, თანასოფლელმა შეირთო, მამაზე და დედაზე არანაკლებ მოხდენილი შვილები ამშვენებდა და ახარებდა მათს ოჯახს. ნანა დაეთებდა მერაბის წიგნებს, ზედ წარწერებს აკეთებინებდა, ერთხელ მოკრძალებით სთხოვა: თქვენი სურათიანი წიგნი მომეცით, საყიდლად ვერ ვიშოვეო.

მერაბმა თხოვნა მაშინვე შეუსრულა.

მარიამი ნანას საკუთარ შვილებში არ არჩევდა, უმისოდ გაძლება უჭირდა,

ნანა თუ მოსვლას დაადგენენდა. თვითონ ეწვევოდა მის ოჯახს. იქიდან დაბრუნებული, მერაბს ჩამოუტანდა ნანას მოკითხვას, ხან რაიმე საინტერესო ამბავს, რაც ნანას ცხოვრებასთან და სურვილებთან იყო დაკავშირებული

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მამის ოჯახში სტუმრად მყოფი ნანა ფოსტალიონს ჭიჭკართან დახვდა, გაზეთები ჩამოართვა და იქვე გადაათვალიერა. მისი ყურადღება მიიქცია განცხადებამ, რომელიც იტყობინებოდა მერაბის სოფლის მკვიდრის, ამაგდარი ადამიანის გარდაცვლებას. ნანა ღრმად ჩაფიქრდა: გვარი მისია, სახელი მისია, სოფელი მისია, ის არის, ნამდვილად ის არის... — თქვა და სახე ცრემლებით დაეხამა.

— რაო, შვილო, რა წაიკითხე სატირალი? — შემკრთალი ხმით შეეკითხა დედა.

— მერაბი, ძია მერაბი დაღუპულა.

— მერაბის მამას რა ჰქვია? —

ნანა დაფიქრდა.

— არ ვიცი.

— იმ სოფელში ნახევარზე მეტი მერაბის გვარისაა. რა გატირებს, კაცს ძალად კლავ?

დედის სიტყვებმა დაიმედეს ნანა, ეზოდან გავიდა. სწორედ ამ დროს ნაცნობი ფერის მსუბუქი მანქანა ეზოს ჭიჭკართან გაჩერდა და მანქანიდან სახეგმოღიმარი ომერა გადმოვიდა. სტუმარმა მასპინძლები მოიკითხა. მასპინძლებმა შეიტყვეს სტუმრისა და მისი ოჯახის წევრთა კარგად ყოფნის ამბავი. მერაბის ამბავიც იკითხეს... სტუმარმა ჯიბიდან დიდი სიფრთხილით ამოიღო ოდაღაც ქაღალდი და ნანას გადასცა, ნახად ქაღალდს დახედა. გულში ჩაიკრა, მერე გაშალა და წაიკითხა: „მოსაწვევი ბარათი. ნანა ღვინაშვილს“. ბარათი იუწყებოდა, რომ 1984 წლის 23 ნოემბერს სოფელ ბაკურციხეში, კულტურის სახლში შედგებოდა მერაბის სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. სწორედ ამ საღამოზე იყო ნანა მიწვეული

ნანას შეეცხადების, ტირილისა და მოსაწვევი ბარათის მიღებით გამოწვეული სიხარულის ამბავი ომერამ დაწვრილებით უამბო მერაბს, რომელმაც სევდანარევად გაიცინა, დაეტყო, ნათქვამმა გუნება გაუფუჭა.

— ი, გოგოს უნებლიე ცრემლებმა არ შეგაშინოს, ბიძაშვილო, უთხრა ომერამ. — ჯერ ზემოის დროა, იფიქრე 23 ნოემბერზე, შენდამი ხალხის სიყვარულზე. კრიალა ცას დაამსგავსე გუნება, რა დროს გლოვაა, გვაშოროს ღმერთმა!

მერაბმა კეთილშობილ, გულუბრყვილო ბიძაშვილს ლმობიერად გაყოლა მზერა, შეეცადა მძიმე, უსიამოვნო ფიქრებისათვის თავი დაეღწია. მაგრამ ვერ შეძლო. თუმცა იგი დავით კლდიაშვილთან რა მოსატანი იყო, მაინც, რატომღაც, ამ სულმნათთან დაკავშირებული ორი თარიღი გაახსენდა: ერთი საიუბილეო. მეორე — გარდაცვალებისა, რაც მალე მოჰყვა პირველს.

მერაბმა გაიხედ-გამოიხედა, ღაღანა დღეს ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობა უფრო და უფრო ტკბილსა და ლამაზს წარმოაჩენდა, გარემოს სილამაზემ ისევ კლდიაშვილზე ფიქრს დაუბრუნა, მერე სერგოც გაიხსენა, დიდი ადამიანი, ოთხმოცდამეცხრამეტე წელში რომ იყო გადამდგარი...

მერაბი გამხნევდა და დაასკვნა: ვინ იცის, ბედ-იღბალი ვის რას უქადის, რას უმზადებს, რას არგუნებს! მძიმე, არასასიამოვნო ფიქრი მიყუჩებულ, დაყოვნებულ სიკვდილს აფხიზლებს, შენკენ წამოსასვლელად აჩქარებს, შენ, ჩემო თავო, სიფრთხილით შორს მოიქეცე სიკვდილი, სძინავს? — ეძინოს, არ გაიღვიძო, ერიდე, არ შეაწუხო, მსხვერპლის საძიებლად არ განაწყო. იყოს, პატარა ხანს იძინქუშოს. შეხედე ცას, მიწას, ქვეყნის სილამაზეს, არ იფიქრო დასასრულზე, დრო მოვა, სიკვდილი გაიღვიძებს, მოაგონდები, წამოვა, მოგნახავს, გაგაქრობს, გაგატიალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწას ამოგაფარებს. ჯერჯერობით კი სძინავს, იცდის, ვაცალოთ, რომ იცადოს... ღმერთო, ხანგრძლივ ჰყავი მისი ცდა! როცა მოვა, ჩემს ახლობლებს, — ჩემს სისხლსა და ხორცთ, ჩემს პატრონებსა და გამპატიოსნებლებს თანამოზარეებად გაუხდებიან ჩემი ნაწარმოების გმირები: გიორგი, ღვთისავარი, გამჩენა, ნიკო, ლია, ნაზიკო, მზევინარი, გულნარა, სიმონი, ლილი, მამუკა და სხვანი და სხვანი... ჰო, მართლა, ნანა, ჩემი მიამიტი, მტირალა ნანა, ჩემი ინტერესიანი მკითხველი, არა, არ დავივიწყებ მის ტირილს, მისი უმიზეზო, თუ მიზეზიანი ცრემლები მთელი სიცოცხლე მეხსომება, ამ ცრემლებზე დავწერ ლექსებს და ღმერთს შევეხვეწები, არ მისცეს ნანას უდროოდ ტირილის მიზეზი (თუმცა ძნელად წარმოსადგენია, ადამიანმა ცრემლის მიზეზზე თქვას, დროულიაო), ამ ღმერთში მე ვგულისხმობ სიკეთეს, იღბალს, სათნოების ღმერთს, რომელიც მძლეთამძლეა, სამართლიანია, სწორუპოვარია. მარად მაცქერალი იყოს ამ ღმერთის მზრუნველი თვალი შენი ოჯახისაკენ, ჩემო უმშვენიერესო ნანა!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გაბური

ჩემს ლექსს რამდენი მითი აკლია,
რამდენი გული — შემონაფიცი...
მიწა სამიწეს ჯერ არ დამყრია,
შენი ტუჩების გემო არ ვიცი.

ჩემს ლექსს ბავშვობა არა ჰქონია,
სხვას უხაროდა მისი ბავშვობით...
ზღაპრის ნუგეში არ გაჰყოლია —
ზღაპარს რიურაჟის კართან
დავშორდი.

ჩემს ლექსს ძუ მგელი ზრდიდა
მშიერი,
ბედის მსაჯული და განმკითხავი...
ჩემს ლექსს ატყვია ძველი იერი:
მხედრის, მელხინის და ჩხუბისთავის.

ჩემს ლექსს არ ჰქონდა ზეცასთან
კითხვა,
რომ სამდურავი თავისთვის ეთქვა.
ჩვენ ერთმანეთი ვეძებეთ დიდხანს,
სისხლიან კვალით მივედით ერთად.

ჩემს ლექსს სიმაღლე წაექცა მეტი —
ელდანაკრავი არწივის მხარით.
გაიელვებდა ხანდახან ბედი —
ბინდს ასხლეტილი ავაზას თვალი.

ჩემს ლექსს სხვა მზის გზა უღლიდა
თვალებს,
სხვა ხმა, სხვა ზამთრის ქართა
თარეში.
დასთენებია უცხო ცის ღამე
ჩაკირულს უცხო ქალის მკლავებში.

ჩემს ლექსს ერთი ცა დარჩა
მიზნამდე
და ერთი სუნთქვა დარჩა ლემადის:
იქ, ზამთრის ერთ დღეს — სადაც
ვიზარდე
მზეს მხოლოდ ხუთი წუთით
ვხედავდით.

ჩემს ლექსს ურწევდა ქარების ქორო
საწიერს — სხვა რამ არ თბება მეტი:
არ შემომყრია მუხრანის ბოლოს
ყივჩაღი, თავის გამწყრალი სვეთი.

ჩემს ლექსს დემონის მზერა ვუფარე
და ჯვრის კიდესთან მივიდა გვიან...
ჯერ არ სჭირს ჩემი სისხლის
ტვიფარი
შენი გულისკენ გასროლილ ტყვიას.

ჩემს ლექსს ყორნის გზა მიჰყვება
ხაზად,
და გათენება აღვიძებს ლოცვის:
ხელმოკლე კაცის ცხოვრებით
ნაზარდს
ხან ცრემლით, ხანაც საკუთარ
ხორცით.

შენ აუწონი სიკეთით მითმობ
და შესაწირად ერთ კვნესას მითვლი.
რას ეყო ხელის გაწვდენა სითბო,
ან ობლის კვერით ნაზარდი ფიქრი.

ჩემს ლექსს რამდენი ღამე აკლია,
რომ დღენათელი ყოფნით დაბერდეს.
ჩემს ლექსს რამდენი რამე აკლია —
ზეცის ხმამდე და მწყურვალ ბაგემდე!

ანატორის აკლდამა

შენ თუ დარჩები, ის მითხარ,
ჩემი გზა ჩემს კვალს ითხოვს!
ამქვეყნად მოსვლა ვინ მკითხა,
იქ წასვლა ვიღას ვკითხო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სავალს ავყვე გორიანს,
რომ უკეთ დამინახო?
გზა სიკვდილამდე შორია,
ანატორამდე — ახლო.

იმედის სხივით გადამტყდარს,
ხვალისთვის გადანახულს —
ბოლო მზერასაც გავატან
ტალღებ ალესილ არღუნს.

სიცოცხლეს თუ არ ვახსოვარ,
ყურმოკვრით, ანდა ჭორით:
გზა სიკვდილამდე ახლოა,
ანატორამდე — შორი.

სტუმარი ვიყო ბოლომდე,
ამქვეყნად მოსვლის წილად.
სიკვდილს რაღა მე ველოდო,
სიკვდილთან თვითონ მივალ.

თვითონ დავუცდი მასპინძელს,
თვითონ გავაღებ კარებს,
ვიდრე ლოდინი გამიძლებს,
ვიდრე პირს იბანს მთვარე.

თვითონ დავწვები გულაღმა,
ხმლითა და სანთლის მადლით.
არც მინა ტოროს ულაყმა,
არც ცამ დაწვიმოს დარდი.

დაულამები თალხებით
უჭირისუფლო გლოვა...
ჩემი სიკვდილით დავხვდები,
როცა სიკვდილი მოვა!

●

შენ ყველას ბედთან ჩამოიმუხლე
და სხვათა ცრემლის სიმძიმე
იგრძენ...
ვერ შეიყვარებ, თუ არ გიმუხთლეს,
ვერ შეიძულებ, თუკი არ გიმძეს.

ყვავილს უმზეოდ ვინ გაგიხარებს
გარჩენილს ზამთარ-გაზაფხულს
შუა?
ღმერთამდე ერთი ოხვრა იკმარე,
თავამდე — ერთი ნუგეშის ყუა.

აწ შენი ხსოვნის დილეგი იცავს
ცაში ფრენას თუ ქვესკნელში ძრომას,
ის თითო გული, თითო ქვად იქცა
და დაგიტანა ლოდების გროვამ.

დაშლილ სახეებს ჩარჩი დასტურით
და ფოთოლცვენის სიმძაფრეს ფერთა.
ვერ დაიჯერებ, თუ არ გამტყუნდი,
თუ არ შეესწარ ხანდახან შენს თავს.

ახლა შენს ბედზე მძიმედ ტრიალებს
კვერი სხვის დღის თუ შენი დღეობის.
ის თითო ცრემლი იქცა მდინარედ
და წაგიყოლა ღამის ხეობით.

აჰა, ეს გულიც, თუ არ გეყოფა,
თუ სიყვარულის დაგაკლდა დამღა!
შენ ცოტა-ცოტა ყველამ შეგცოდა,
ყველას მაგიერ მიმეზღო ახლა...

უფსკრული

არ გადაგცვეთავ, შენ იქ დამიცდი,
იცი: ერთხელაც შენამდე მოვალ
და კმაყოფილი გულით გაგიცვლი
მაგ სიცივეში ჟინსა და თრთოლვას.

გიღერებ შენსკენ გაწვდილ
ნაკვალევს,
ყველა სახვევთან გელი და გტოვებ
და ვიდრე მუხლი თხემზე
კანკალებს —
შენ შენი სიღრმე გექნება, თორემ

ვის უნდა ჩემი დაღლილი გული,
თავს ვინ ჩამითვლის სიკვდილის
ღირსად?
ვინ შეაგებებს მკათათვის წყურვილს
ჩემს დიდ მდინარეს — ღამის და
დღისას?

ვის დავჭირდები მორჩილი, მშვიდი?
ვინ მომინატრებს — ბოლო დღეს
მნახოს?
მექნება ყოფნის კრძალვაც და რიდიც,
ვიდრე ეგ სიღრმე მელის და მახსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე მაგ ხახას ჩემს წილად ლესავ,
კბილებში წურავ ყორნების
ყრანტალს
და ქარი მაჩვევს მოთქმას და
კვნესას —
დამშვიდობებას საკუთარ თავთან.

ვიდრე ბილიკი მოყვება ცალად
ჩემს მონატრებებს და ჩემს იმედებს.
სხვა რაზეც უარს მეტყვის და წავა —
ვიცი, შენ დათმობ და გაიმეტებ.

შენ არ მიმტყუნებ, შენ იქ დამიცდი,
იცი: ერთხელაც მე თვითონ მოვალ
და კმაყოფილი გულით გაგიცვლი
მაგ სიცივეში ჟინსა და ლტოლვას.

●

თოვლისა გვედგა კარავი,
შორ სივრცეებში საფრენი.
სხვა არარა და არავინ,
არცრა და აღარაფერი...

მზისა და მთვარის გარეშე,
არც უსხვისობა ჩიოდა.
მიწა ხომ გვედგა კარებზე, —
ცაც ფეხად ჩამოდიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადრი გუგუშვილი

დასაფლავება

დათო რუხაძის ხსოვნას

მუხათგვერდის მუხებს
საფლავისთვის ადგილი დაეთმოთ.
მიწისთვის კბილი ამოეგლიჯათ
და მის ადგილას ორმო გაჩენილიყო.
ცრემლმა გადახარა ხმელი ბალახის
ღერო...
ბელტებმა ააგუგუნეს
შავარშიამოვლებული ფიცრები.
გარდაცვლილი, იმის მიხედვით,
თუ ვის რამდენად უყვარდა იგი,
უკან გაყვა სახლებისკენ
გაფანტულებს.

●

თუ ორი რამით იხელმძღვანელებ —
სხვისადმი ნდობით
და საკუთარი პასუხისმგებლობით,
მიხვდები:
შენს მიმართ
რა ჯოჯოხეთურად დაუნდობელია
შენივე გული
და რა ღვთაებრივად შემნდობია
ს ხ ვ ა!

●

„სხვები შეიყვარეო, სხვები!“ —
ჭკუას მარიგებდნენ.

არადა —
„ჩვენს საქმეში ნუ ჩაერევიო!“ —
აი,
რისი თქმა სურდათ
ერმავე სიტყვებით.

„ჭკუით იყავი, ჭკუითო!“ —
აი, რისი თქმა სურდათ იმავე
სიტყვებით.
როცა ამას მეუბნებოდნენ,
თავზე ხელს მისვამდნენ,
ნაზები სურდათ ყოფილიყვნენ.

ქეჩოში ჩასავლებლად კი იყვნენ
მზად,
თუკი ჭკუით არ ვიქნებოდი.

ამოცანათა ელემენტარული დიალექტიკა

ძველისძველი პრობლემა
მოხსნილია —
ველარ აფრინდები,
რადგან ფრთები დაგაჭრეს.

იმათი ამოცანა
გაფართოვდა —
მინაში ცდილობენ
ჩაგმარხონ.

პერსპექტიული
ამოცანაც შეიძლება
დაინახო —

სული უნდათ
ამოგაცალონ.

●

ჩამოიარეს
ბლოვა-ბლოვით.
ჩამოიარეს.

ნამით, სულ წამით
გაგიგეს და
დაგაცრემლეს
თბილ სამარეში.

ლეკსებიერეკვლევლი
ბიბლიოთეკა

ჩამოიარეს,
დაგაცრემლეს
და დაგტოვეს
სასაფლაოზე.

საქმე

ნათ
ალამივით გადმომცეს
თავიანთი გაკეთებული საქმე!

ახლა მე
შენობა უნდა ავღმართო,

რომელშიც
სხვებმა უნდა ილოცონ
სამასი წლის
შემდეგაც —

რა მარტივად ყოფილა საქმე —
ყოველთჳის მქონია
იმის შესაძლებლობა:
ალამი მეპყრას!

დამშვიდობების დიდოსტატი

შენ საოცარი დამშვიდობება იცი.
შენ რომ მემშვიდობები, როცა ხელს მიქნევ —
სახლები, ღრუბლები, ცაც მემშვიდობება შენთან ერთად.
ფანჯრებიდან უცნობები იხედებიან და მემშვიდობებიან.
ხეები შეიშრიალებენ და მემშვიდობებიან.
ტაქსი, რომელშიც ვზივარ, დაივიწყებს თავის მოვალეობას,
მომისვრის ტროტუარზე და მემშვიდობება.
ქუჩის საათები, ელნათურის ბოძები,
საფირნიშო აბრები
და ყველა და ყველაფერი მთელს ქალაქში
და ყველა და ყველაფერი ცისქვეშეთში
ჩემთან დამშვიდობებას იწყებს
და რაც ყველაზე საოცარია,
მეც ვიწყებ
საკუთარ
თავთან
დამშვიდობებას
და შენთან ვრჩები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი კაკაბაძე

Allegro, ანუ ერთი წლის ქრონიკა

პოსტსკრიპტუმი

ივლისის შუა რიცხვებში ქალაქი ნელ-ნელა იცლება. ჯერ კიდევ წინა თვეში იწყებს ხალხი წასვლას. თანდათანობით ყველა ოჯახი გაიკრიბება. ამ დროს თბილისი ცოტა ხნით კურორტს ემსგავსება. ქუჩებში სიწყნარეა და თითქმის არავინ დადის.

ასე. თვრამეტ-ცხრამეტიოდე წლის ბიჭი მაღალ, თეთრ სახლთან იდგა და ზემოთ იყურებოდა. გეგონებოდა, თვალით ზომავდა სიმაღლეს. ყურადღებით ახედავდა, მერე ისევ დაბლა ჩამოაცურებდა მზერას.

დიდხანს იყო ასე. ბოლოს გადაწყვიტა, სადარბაზოში შესულიყო. კიბეს აუყვა, თან აქეთ-იქით იხედებოდა.

ეტყობოდა, კედლები სულ ახლახან გადაელებათ თეთრად, მაგრამ ვიღაცებს უკვე მოესწროთ გაჭუჭყიანება.

მეხუთე სართულზე, კართან დიდი ასოებით ეწერა: „აქ ცხოვრობს ნინო“, ცოტა ზემოთ ინგლისური სიტყვები გაკრთა: „The Beatles“ და მერე ისევ ინგლისურად: „I love you“.

იგი ნელ-ნელა ადიოდა კიბეზე, თითქოს დროს წელავდა. ყოველ ნაბიჯს უფიქრდებოდა.

სახეზე არავითარი გამომეტყველება არ ედო. ცდილობდა, როგორმე ფიქრი ჩაეხშო.

მეშვიდე სართულზე კარიდან ხანში შესულმა ქალმა გამოიხედა. პატარა ძაღლი გარეთ გამოუშვა და ისევ შებრუნდა.

„ნეტავ რამდენი დარჩა?“ — გაიფიქრა ბიჭმა.

შემდეგი სართული „დისნეი-ლენდის“ გმირებით იყო მოხატული. დიდხანს უყურა.

სახლი თექვსმეტსართულიანი იყო. სახურავზე გასასვლელს ვერსად მიაგნო.

ბევრი იარა ბნელ ადგილებში. რა ძნელი წარმოსადგენია, რომ ამხელა შენობასაც შეიძლება ჰქონდეს სხვენი.

ხელებს დაეყრდნო, ფანჯარაზე აძვრა და, როგორც იქნა. გავიდა იქ, სადაც უნდოდა.

სახურავიდან თითქმის მთელი ქალაქი ჩანდა.

„რა უცნაურია ყველაფერი, — გაიფიქრა ბიჭმა. — ისიც, რომ ეხლა აქ ვდგავარ და ზემოდან დავცქერი ქალაქს. ქვემოთ კი მოძრაობაა. სწრაფი, უაზრო და უხილავი მოძრაობა. ეს საშინელი ალეგრო, არასდროს რომ არ წყდება...“

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კიდეს მიუახლოვდა. ქვემოთ ჩახედვა სცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა, მოეჩვენა, რომ ყველა საგანი მოძრაობდა, — უზარმაზარი სახლებიც კი.

ამ დროს ერთ-ერთი ქვემო სართულის ფანჯარა გაიღო და გაისმა ქალის ხმა:

„ივიკო, ამოდი, შვილო, გაცივდები“.

„ჰო, დედი, მოვდივარ“, — უპასუხა ბიჭმა ეზოდან.

ამით დამთავრდა ეს დიალოგი.

ყველანაირი ხმაური, რომელიც ქვემოდან ამოდიოდა, ბიჭის თავში ერთანანდებოდა. ისევ დაბლა ჩაიხედა. ნაბიჯის გადადგმაც საკმარისი იყო რომ...

ამ დროს ვიღაცამ ხმამაღლა ჩართო მუსიკა. ამ ხმამ რაღაც სიცოცხლე შემოიტანა მიძინებულ სახლში.

ბიჭი ზემოდან იყურებოდა.

„მარკ ავრელიუსმა თქვა, ყოველი შენი დღე უკანასკნელს დაამსგავსეო“.

მოპირდაპირე, დაახლოებით იგივე სიმაღლის სახლიდან ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა და შემოხვევით, სახურავზე ვიღაც დაინახა, ბიჭი იყო, ბუნდოვნად ჩანდა. თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, რომ ბიჭმა უკან დაიხია, მერე გამოექანა და სიგრძეზე მტკომელივით ახტა.

ქალმა კივილიც ვერ მოახერხა, შიშისაგან გაოგნებული უყურებდა, როგორ ფართხალებდა ბიჭი მიწაზე. შემოხვევის ადგილზე ხალხმა მოიყარა თავი.

მუსიკა ისევ უკრავდა.

ბუთ წუთში მილიციელი და სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩნდა. „გაიწიეთ, ქალბატონო. ადგილი გაგვითავისუფლეთ!“ — ყვიროდა მილიციელი.

ბიჭი საკუთარ სისხლში ცურავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ საკაცეზე დადეს და საავადმყოფოსკენ გააქანეს.

ხალხში ჩოჩქოლი გაძლიერდა.

„თუ შეიძლება, დაწყნარდით. ხელს გვიშლით მუშაობაში!“ — ამბობდა მილიციელი გაცხარებით და ხალხის დაშლას ცდილობდა.

„საწყალი დედმისი“, — ეუბნებოდა ერთი ქალი მეორეს.

„ამბობენ, ნარკომანი იყოო“.

„რა გვეშველება, ნეტავი, ჩვენი შვილების ხელში“.

ეს მოხდა ივლისის შუა რიცხვებში. მაშინ, როცა ქალაქში შედარებით ცოტა ხალხია. იმ ხანებში აუტანელი სიცხეები იდგა.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ მილიციის სამორიგეოში გამომძიებელი ტელეფონზე ლაპარაკობდა:

„კი, ვიცი, გავიგე. — პასუხობდა ვიღაცას, ვინც, ეტყობა, გაცხარებით უმტკიცებდა რაღაცას. — კარგი. არ ვიცი, კი, მოწმეები დავკითხე. კეთილი“. ყურმილი დაკიდა და შვებით ამოისუნთქა.

შიმშილმა თავი შეახსენა. ბუფეტი გვერდით ოთახში იყო. რამდენიმე ბუტერბროდი და ჩაი აიღო, წყნარად დაიწყო ჭამა. თან რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა. საერთოდ, ეს გამომძიებელი დინჯი. დაფიქრებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ამ დროს ბუფეტში შუა ხნის მილიციელმა შემოიხედა. თვალებით ვიღაცას ეძებდა.

„რა იყო?“ — დაუძახა გამომძიებელმა..

„შენ გეძებ, — თქვა მილიციელმა. — მოვიყვანე ის ორი, გუშინ რომ მითხარი“.

„ჩემთან შეიყვანე. ეხლავე მოვალ“. მილიციელი წავიდა. გამომძიებელმა ჭამა მოათავა, ადგა და გავიდა.

კაბინეტში ორი, თხუთმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭი დახვდა, გამომძიებელი მაგიდას მიუჯდა.

„რომელ თქვენგანს ეჭირა ხანჯალი?!“ ერთ-ერთმა ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

„თქვი, თორემ მოგკალი!“ — და გამომძიებელმა ხელი მოუქნია, ბიჭმა სახეზე ხელები აიფარა.

— „ან და, რას გელოლიავებით პატარა ბავშვებივით. დამიწერეთ ჩვენება და წადით. საკანში უფრო მაგრად გცემენ!“

ორივემ კალამი აიღო და სწრაფად დაიწყეს წერა, გამომძიებელი ოთახში დადიოდა.

„დროზე დაამთავრეთ, თქვენი თავი არა მაქვს!“

ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ეს ორი აუცილებლად უნდა დაეკითხა.

ჩვენება ნახევარ საათში დაწერეს. გამოართვა და სეიფში შეინახა. მერე არც დაელოდა იმათ გაყვანას, თვითონ გავიდა კაბინეტიდან.

გასასვლელთან ვიღაცამ გააჩერა.

„არ მცალია“, — უთხრა და გზა გაგრძო.

მერე მანქანაში ჩაჯდა. გზაში ფიქრობდა, რა ეყოდა შვილისთვის. სპავშვო მაღაზიასთან გაჩერა. ერთი წუთით შეირბინა.

შინ კაი ხანია სუფრა გაეწყოთ და ელოდებოდნენ. კარი ცოლმა გაიღო. ქმარი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა და გადაეხვია.

„რა მოხდა? რატომ დაიგვიანე?“

„არაფერი. დაკითხვა მქონდა“ — უპასუხა ქმარმა. მამასთან პატარა ბიჭმა მირბინა, გამომძიებელმა ჯიბიდან სათამაშო ამოიღო. „მე შენ რაღაც მოგიტანე“.

ბავშვს სიხარულისაგან თვალები აენთო.

„მერე ჩვენ რომ არ დაგვესახურებია? დღეს სამიანი მივიღეთ...“ — თქვა ღიმილით დედამ.

ბავშვი ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს.

„მართლა?!“ — ჰკითხა მამამ. ბიჭს გაეცინა.

ამ დროს ტელეფონმა დაიწკრიალა, გამომძიებელმა სათამაშო ტახტზე დაგდო და მეორე ოთახში გავიდა. ახალგაზრდა ქალის ხმა იყო.

„თქვენ ხართ გამომძიებელი?“ — იკითხა ხმამ.

„მე ვარ“.

„თვითმკვლელობის საქმე თქვენ ჩაიბარეთ?“

„დიახ, ვინ ბრძანდებით?“

„არა აქვს მნიშვნელობა. ჩაიწერეთ მისამართი“.

გამომძიებელმა კალამი და პატარა ბლოკნოტი ამოიღო. მისამართი ჩაიწერა.

„თქვენ ვინ ბრძანდებით?“ — გაიმეორა ერთხელ უკვე დასმული კითხვა.

„წადით იქ და ყველაფერს შეიტყობთ, მეტს აღარაფერს გეტყვით“, — უცნობმა ყურმილი დაკიდა.

იმის იმედით ყოფნა, რომ მეორედ დარეკავდნენ. უაზრობა იქნებოდა, ამიტომ გამომძიებელი უცებ გავარდა სახლიდან.

ათ წუთში უკვე ადგილზე იყო. ზარი დარეკა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. ამოიღო თავისი სტანდარტული გასაღები. ძალიან გაუკვირდა მორგება, ბოლოს, როგორც იქნა, შევიდა სახლში.

ოთახში ბნელოდა. შუქი აანთო თუ არა, დაინახა მაგიდაზე ლუდის გახსნილი ბოთლი და ჭიქა. იატაკზე უცნაურად წაქცეული სკამი ეგდო.

სამზარეულოში, იქვე გაზის ქურასთან. შავ ტასაცმელში ჩაცმული ბიჭი გაშოტილიყო. იატაკზე სისხლის გუბე დგა.

თავი ფრთხილად შემოუბრუნა და დაინახა, რომ ორი ტყვია ჰქონდა შუბლში გარტყმული...

გამომძიებელმა სასწრაფოდ დაურეკა ექსპერტებს. მილიცია გამოიძახა. მერე სადარბაზოში გავიდა. სიგარეტს მოუკიდა და კიბეზე ჩამოჯდა. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა...

შინ გვიან მივიდა, დაღლილ-დაქანცული მეგდო საწოლზე და მაშინვე ჩაეძინა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, ტელეფონის ზარის ხმა რომ ჩაესმა. გიჟივით წამოხტა და ყურმილს ეცა.

„გისმენთ!“

„მორიგე ვარ განყოფილებიდან“.

„რა მოხდა?“

„ვიღაც გიჟი მოვიდა. უნდა, რომ დაჭკვიანდეთ, მოკლულზე რაღაცას ბოდავს“.

„კარგი. კაბინეტში დამელოდოს. ნახევარ საათში მანდ ვიქნები“.

ჩქარ-ჩქარა იცვამდა. თან ფიქრობდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს გიჟი. დარწმუნებული იყო. ტყუილად არ მოვიდოდა.

მანქანაში ბენზინი ჩაასხა. უკვე რამდენი ხანია, ნოლს აჩვენებდა ქრონომეტრი...

კაბინეტში ასე, ოცდაოდ წლის ლამაზი ბიჭი დახვდა. გამომძიებელმა კარი მოიხურა.

„რა გნებავთ?“

„თქვენ ხართ გამომძიებელი?“

„მე ვარ“.

„მე ყველაფერს გეტყვით. ოღონდ ცოტა ხანი მაცალეთ, ამოვისუნთქო“.

გამომძიებელს ხმა არ ამოუღია, ოთახიდან გავიდა.

ბიჭი იჯდა მაგიდასთან და სამელნეს ჩასჩერებოდა.

„იცით რა, — თქვა, როცა გამომძიებელი შემოვიდა. — მე ყველაფერს ისე მოვყვები, როგორც გამახსენდება, თქვენ კიდევ პირობა უნდა მომცეთ, რომ ბოლომდე მომისმენთ, სამი დღეც რომ გამიგრძელდეს ლაპარაკი“.

„სიტყვას გაძლევთ, ყველაფერს თავიდან ბოლომდე მოვისმენ“, — უთხრა გამომძიებელმა.

ცა უამრავი ვარსკვლავით იყო მოფენილი.

„რა უცნაურია არსებობა, — ფიქრობდა ბიჭი. — ისიც, რომ მე ეხლა აქ ვარ, ისიც, რომ ყველაფერი ასე აეწყო. რა ლამაზია ცა. არაფერზე ფიქრი არ მინდა..

ერთი წუთით ცრემლები მოაწვა, მაგრამ თავი შეიკავა. გამომძიებელმა ფანჯარა გააღო, რომ ოთახში ცოტა მაინც აგრილებულიყო.

მონათხრობი

„როცა საშინელი სიცხეებია, შინ ვერ ვძლებ. სულ მგონია, რომ ვიხუთები, ვიხრჩობი, თუ არ გავისეირნე, სულ ცუდ ხასიათზე ვარ, ამიტომ ხშირად დავდივარ ხოლმე იპოდრომზე. არა, ცხენები არ მიყვარს. უბრალოდ, იქვე ახლოს ვცხოვრობ.

ზუსტად ეს თვე იყო, თუ არ ვცდები. ერთი წლის წინ, იმ დროს, ეტყობა, ვარჯიშები არ ტარდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ იქ არავინ ჩანდა. რამდენიმე მეჯინიბეს მოვკარი თვალი, მეტს ვერავის.

იქ, სადაც დოღი ტარდება, არ მახსოვს, რა ჰქვია. მოკლედ, ის, რაც სარბენ ბილიკებს ჰგავს... ალბათ, ცხენების სარბენი ბილიკებია... მოკლედ, იქ არავინ იყო. მარტო მივდიოდი და ვფიქრობდი. არავისი ნახვა არ მინდოდა, მარტოობა ყველაფერს მერჩია იმ დროს.

მიწა იწვოდა სიცხისაგან. სუნთქვა ჭირდა.

ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან ვიღაც გამოვიდა. ძალიან შორს იყო, ამიტომ თავდაპირველად იმის გარკვევაც გამიჭირდა, ბიჭი იყო თუ გოგო. მეშინოდა, ვინმე ნაცნობს არ გადავყროდი და გადავწყვიტე, გვერდი ამეცალა, მაგრამ ამასობაში მომიახლოვდა კიდეც. ჩემთვის სრულიად უცნობი ბიჭი იყო, წინ იყურებოდა და სწრაფად მოაბიჯებდა. ცოტა ხანში გამისწორდა, მომიტრიალდა და მკითხა:

„რომელი საათია, ხო არ იცი?“

„არა“.

„დოღი არ იქნება?“

„არ ვიცი“, — ვუთხარი და წასვლა დავაპირე, ლაპარაკის თავი არ მქონდა.

„ერთი წუთით“, — შემაჩერა ბიჭმა.

„რა იყო...“

„ხო არ იცი, დოღი როდის იქნება?“

„არ ვიცი“.

„ესე იგი, არ იქნება...“ — დაასკვნა თავისთვის. გამეცინა, მერე მოტრიალდა და ისევ მკითხა:

„აქ ჯამა შეიძლება სადმე?“

ისევ გამეცინა.

„აი, იქ, ზუთას მეტრში“.

„სად?“

„წამოდი, მეც იქით მივდივარ“. — ვუთხარი, თუმცა არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ის ბარი მუშაობდა. გზაში უამრავი კითხვა მომქა. მეც შეძლებისდაგვარად ვპასუხობდი, სულ უფრო და უფრო მომწონდა ეს ლამაზი, ცოტა უცნაური ბიჭი. ბარი ღია დაგვხვდა. დავსხედით. ძალაუნებურად რამეზე უნდა გველაპარაკა. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვლაყბობდით უაზროდ. ბოლოს რაღაც საერთო მაინც გამოვნახეთ. ჰო, —„Pink Floyd“-ი. დამპირდა, რომ მეორე დღეს ყველა დისკს მაჩვენებდა. იმ ხანებში საქმე არაფერი მქონდა, ამი-

ტომ სიამოვნებით დავთანხმდი მოვალმეთქი, როცა თავისთან დამპატიჟა.

იმ დღეს საღამომდე ვისხედით ბარში. მერე ბლომად ვიხეტიალეთ ქუჩებში. შინ გვიან ღამით მივედი.

მეორე დღეს რაღაც პატარა საქმეები მქონდა მოსაგვარებელი, როცა ყველაფერი მოვამთავრე, ლოგინზე დავწექი და უაზროდ დავიწყე ჭერში ყურება. ასე ვიწექი თითქმის ერთი საათი.

ამასობაში იმანაც დარეკა. ამიხსნა, სად ცხოვრობდა და მითხრა, გელოდებიო. ძალიან გამიხარდა, რომ, როგორც იქნა, დროის გაყვანის შესაძლებლობა მომეცა.

სახლის მიგნება არ გამჭირვებია. მარტო დამხვდა. მშობლები სადღაც წასულიყვნენ. თავის ოთახში დამსვა და მუსიკა ჩართო.

„Pink Floyd"-ი ყოველთვის მიყვარდა. ალბათ, იმიტომ, რომ მარტოობაზე მღერიან. ვიჯექი, ვუსმენდი და თან ოთახს ვათვალიერებდი.

თეთრად შეღებილ კედელზე, რამდენიმე ჩემთვის უცნობი მხატვრის სურათი ეკიდა. იქვე გაეკრთ პიკასოს დიდი ფოტოპორტრეტი. იცინოდა და ხელს იშვერდა ჩვენკენ.

ცოტა ხანში ისიც შემოვიდა. ლუდი შემოიტანა, თან ბოდიში მოიხადა, სხვა არაფერი მაქვსო. ჩემს პირდაპირ დაჯდა. რაღაც სასაცილო ამბებს მიყვებოდა. თვითონ ისე გულიანად იცინოდა, რომ შეუძლებელი იყო, გულგრილად დარჩენილიყავი. მეც ავყევი. ასე ვისხედით, მეჩვენებოდა, რომ ის რაღაცით მაჯადოებდა.

არ ვიცი, რა ჰქონდა ისეთი არაჩვეულებრივი, რაც ჩვენ არა გვაქვს. ალბათ, ის, რომ ხალისით ცხოვრობდა და ყოველ ახალ დღეს იმედით ხვდებოდა, იმ დროს, როცა ჩემთვის ყოველი მზის ამოსვლა ახალი ტანჯვის დასაწყისს ნიშნავდა. ვერ წარმომედგინა, რომ რამემ შეიძლება გაგიტაცოს, აგაღელვოს... თავი, რატომღაც, ამ მხრივ გამოცდილი მეგონა.

უეცრად მაგიდაზე ქაღალდების უწესრიგოდ გაბნეული უამრავი დაწერილი და დაჯღაბნილი ფურცელი შევამჩნიე. დავინტერესდი, რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე.

„მე? ვწერ". — მიპასუხა სერიოზულად.

„მართლა?!" — გამიკვირდა გულწრფელად.

„აბა, ტყუილად"?! — თქვა და ისევ სიცილი აუტყდა.

„მერე და, რას წერ?"

ენ რომ ვკითხე, სახე გაუნათდა. თითქოს რაღაც დიდი ბედნიერება ეწვიაო. ისე გატაცებით დაიწყო ლაპარაკი, რომ მისი გაჩერება შეუძლებელი მეჩვენა. მიყვებოდა, რაზე წერდა და მეც ავყევი.

„იცი რა, ეხლანდელი მწერლები რაღაც სისულელეებზე წერენ, აბა, როგორ გითხრა — რაღაც მეორეხარისხოვანზე, უმნიშვნელოზე. იმას, რაც ჩვენთვის მთავარია, არავინ ეხება. მე მგონია, რომ ყველას ეშინია. ამიტომაც არის ცხოვრება ასეთი. საჭიროა, ვინმემ გაბედოს სიმართლის თქმა".

„რა სიმართლის?" — ვკითხე გაკვირვებულმა.

„უამრავია ისეთი სიმართლე. აი, მაგალითად, ნარკომანია... ჟურნალში თუ გაზეთში წელიწადში ერთხელ რაღაც სისულელეს დაწერენ და ამით ამთავრებენ, თანაც უაზროდ დიდაქტიკურად, დამრიგებლურად გვაწოდებენ სათქმელს. საჭიროა თვითონ ნარკომანის თვალით შეხედონ ამ საქმეს და მერე შეიძლება რაიმეს გამოსწორება. იმას არავინ ამბობს, რომ ჩვენ თაობაში ყოველი მეორე ნარკომანია".

„მერე რა?! — ვუთხარი მე. — რომც თქვან, მაინც არაფერი გამოვა".

„გაჩუმებითაც არ გამოვა არაფერი. ყოველ შემთხვევაში, თქმით და საქმის დაწყებით რას წაიგებ? — მითხრა გაცხარებით. მე ერთი წუთით შემრცხვა ჩემი სიტყვების. — ხომ იციან, რამდენი გადამყიდველია და რამდენი მფარველი ჰყავთ ზემოთ".

„იყვნენ მერე. შენ რას გიშლიან".

„მე არაფერს...“

„მაშინ რა ნერვებს იშლი. იყავი შენ-თვის“.

„მელი მაგაზე ადვილი რა არის!?“ — მითხარა ნიშნის მოგებით და გამიცინა. ისევ შემრცხვა. იმასთან შედარებით თავი მკვდარ კუნძად მომეჩვენა. რაღაცის შეშფოთდა. ალბათ, იმისა, რომ სიცოცხლის ასეთი დიდი ძალა ჰქონდა. სიცილის დროს რაღაც დიდ სიხარულს ასხივებდა. თითქოს შენც გაძლევდა ამ სიხარულის ნაწილს.

„მაინც მარტო შენ ვერაფერს გამოასწორებ“. — ვუთხარი წყნარად. ამ სიტყვებზე ისევ გაიცინა. არ გაბრაზებულა. უბრალოდ. მაგრძნობინა, მე შენნაირად არ ვფიქრობო.

„კი. უბრალო მაგალითი ავიღოთ. ყველა გადამყიდველი რომ მოისპოს და ყველა მფარველი. ყველა მინდორი რო განადგურდეს. სადაც კანაფი იზრდება. მაშინ არ მოისპობა ნარკომანია?“

„არა“. — ვუპასუხე. ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული ჩემს სიმართლეში.

„რატომ?“

„იმიტომ, რომ ეს სოციალური პრობლემა არ არის“.

„კმა?“

„გაწყვიტეს ყველა გადამყიდველს და იმათ ადგილას ახლები გაჩნდებიან იმწუთსავე. ნარკომანიას ვერ მოსპობ, სანამ თავდაცვწყების მოთხოვნილება არსებობს“.

„კი მაგრამ. წამალს ეჩეკვიან და მერე ხდებიან ნარკომანები“.

„მიჩვევამდე ბევრად ადრე ხდებიან, დამიჯერე. მე უფრო ვიცი“.

„მაინც როდის?“

„როცა ცხოვრებას, როგორც გაუგებრობას და სისულელეს, ისე შეეიდავენ. როცა მომავლის იმედი გაუქრებათ, როცა შშობლების პატივისცემას დაკარგავენ და კიდევ ბევრი მიზეზით. ამიტომ ახლი არა აქვს არავითარ ბრძოლას“.

იმან ყურადღებით მომისმინა. არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია.

„ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ მე მაინც ჩემი ახლი მაქვს“. — თქვა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

ადრეც ბევრი მჭონდა ნაფიქრი ნარკომანებზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ნარკომანიას ვერავინ მოერეოდა. ყველა ლაპარაკობდა ამაზე. როგორც რაღაც შემაშფოთებელ მოვლენაზე და საქმე ამით მთავრდებოდა. ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ საზოგადოება რაღაცით ხელსაც უწყობდა მარკომანებს.

სანამ იმას შევხვდებოდი, არც შემიტანია ექვი ჩემი ახლის სისწორეში. არავის ვიცნობდი ისეთს, ვინც იკისრებდა ამ საშინელ ბრძოლაში ჩაბმას. ეხლა კი, რატომღაც, მომეჩვენა, რომ ამ ბიჭს შეეძლო ეს. თავისი სიცოცხლის ძალით და, ალბათ, მსხვერპლის გაღებითაც.

ასეთი არავინ შემხვედრია. სიცოცხლით სავსე და ამავე დროს ჭკვიანი ეს ორი რამ ადრე შეუთავსებელი მეგონა.

იმ საღამოს კარგა ხანი ვისხედით და ვისმენდით მუსიკას.

მაშინ სადღაც ვმუშაობდი შეთავსებით. ფული მჭირდებოდა, მინდოდა, დამოუკიდებლად მეცხოვრა. რედაქციაში შტატგარეშე მუშაკის ადგილი მქონდა. ხშირად ვაცდენდი სამუშაოს. არავინ მაძლევდა შენიშვნას, ერთმანეთის გატანა კარგად ვიცოდით.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმ შეხვედრის მერე ორი კვირით სამსახურს მივეჯაჭვე. დილიდან საღამომდე იქ ვიჯექი. გაგვაფრთხილეს, რაღაც დიდი რევიზია იქნებაო. ჰოდა, ჩვენც დავდიოდით ყოველდღე ამ ორი კვირის განმავლობაში. მერე გვითხრეს, თურმე ჭორი ყოფილაო და მეც ისევ დავიწყე გაცდენა.

თავისი ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა. მითხრა, აუცილებლად დამირეკეო. როგორც იქნა, მოვიცალე და დავრეკე.

ყურმილი თვითონ აიღო. თქვა, რამდენჯერმე დაგირეკე. მაგრამ შინ არ დამხვდიო. ამასობაში ბევრი დავწერე

და თუ გაინტერესებს, მოდი, ნახეო.

შინ ისევ მარტო იყო. ეტყობა, მშობლები ქალაქში არ იყვნენ.

თვითონ არ უნდოდა არსად წასვლა. სხვაგან ვერ ვმუშაობო. ისე ცხოვრობდა, როგორც უნდოდა. საერთოდ, ჩემზე საოცრად დამოუკიდებელი კაცის შთაბეჭდილება დატოვა.

„მოდი“, — მითხრა და საწერ მაგიდასთან მიმიყვანა. ქაღალდები უწესრიგოდ ეყარა. ზოგი სკამზე, ზოგიც მაგიდაზე.

„ქმაყოფილი ხარ?“ — ვკითხე მე.

„როცა ვმუშაობ, მაშინ ბედნიერი ვარ, — მიპასუხა და თვალებში ისევ ის სიხარული დავინახე. — მაგრამ. ქმაყოფილი — არასდროს. ეტყობა, ჯერ გამოცდილება არ მყოფნის. იცი, მწერლისათვის ძალიან ბევრს ნიშნავს გამოცდილება“.

„მაინც, რისი გამოცდილება?“

„თვითონ ცხოვრების. ამ ოროომტრიალში ყოფნის გამოცდილება, არ მახსოვს, მე მგონი, ჰემინგუეი ამბობდა, ჯერ ხალხში ვარ. მერე ვეთოშები და ვწერ ხალხზეო“.

„მერე შენ?“

„მე სულ გათიშული ვარ. ეს ჩემთვის კარგიცაა და ცუდიც. რასაც მინდა, იმას ვაკეთებ, მაგრამ, ალბათ, ადამიანებთან კონტაქტიც აუცილებელია“.

დავსხედით და ისევ „Pink Floyd“-ი ჩავრთეთ. რაღაც ვისკი ჰქონდა. დამისხა. მე, რასაკვირველია, უარი არ მითქვამს, იმიტომ რომ, ძნელად საშვნელი, შოტლანდიური ვისკი იყო.

ხშირად შემიტყვია ჩემი თავისთვის, ადამიანებს ველაპარაკები და ამ დროს მგონია, რომ კონტაქტი არა გვაქვს. ისე. უბრალოდ, პირს ვაღებთ, დრო ტყუილად რომ არ გავიდეს. ხშირად მოელი თვეები გამიტარებია ასე უკონტაქტოდ. ამისაგან თავს მაინცდამაინც დაზარალებულად არ ვთვლიდი. დარწმუნებული გახლდით, რომ ყველა ჩემს თანამოსაუბრეს დაკარგული ჰქონდა ურთიერთობის უნარი. იყო პერიოდები. როცა ჩემს თავზეც ასეთი წარმოდგენის ვიყავი.

ეხლა კი, რატომღაც, მომეჩვენა, რომ ჩვენი ურთიერთობა ყოველგვარი სიყალბის გარეშე დამყარდა. არაფერი ფორმალური ჩვენ არ გვაერთებდა. ეტყობა, საერთო ინტერესმა შეგვკრა ასე. ვფიქრობ, რომ სწორედ ამან ითამაშა ძალიან დიდი როლი ჩვენს დამეგობრებაში.

თავისუფლად ვლაპარაკობდით, დაძაბულობის გარეშე.

„იცი რა, მე ბევრი ვიფიქრე იმაზე, — მითხრა იმან. — და მგონი მივხვდი შენს პოზიციას.“

„რაზე ლაპარაკობ?“

„აარ გახსოვს? იმ დღეს ნარკომანიაზე რომ ვიკამათეთ?..“

„კი, მახსოვს“.

„ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ მივხვდი შენს პოზიციას. ორი წლის წინ ერთი მეგობარი მომიკვდა, რაღაცით შენ გგავდა. არ ვიცი, რით, მაგრამ ნამდვილად გგავდა“.

„მაინც?“

„აი, ყოველდღე იღვიძებდა და ამბობდა: „რა აზრი აქვს ამ ტანჯვას. მაინც ყველანი დავიხოცებით“, თან არც ისე უჭკუო იყო. მერე სულელურად დაიღუპა. მე მგონია, რომ, აი ასეთმა ცხოვრებამ დაღუპა. წინასწარ იყო განწირული“.

„რატომ?“

„იმიტომ, რომ არაფრის იმედი არ ჰქონდა. არაფრისთვის ბრძოლა კი უაზრობად ეჩვენებოდა. ან, არ ვიცი, შეიძლება, არც ეჩვენებოდა. აი, ამან დაღუპა“.

„როგორ მოკვდა?“

„უცნაურად, მაგრამ, ალბათ, სწორად. არ ვიცი, ამდენი ხანი ვერ გამირკვევია. ღამით ქუჩაში მიდიოდა. დაინახა, ვიღაც სამი კაცი ერთ ბიჭს სცემდა. წაქცეულს წიხლავდნენ. ვერავინ ბედავდა მიხმარებას. ხალხი ფანჯრებიდან იყურებოდა, მაგრამ ვერ ჩამოდიოდა. მილიციას ელოდებოდნენ.

თვითონ მომიყვა, როგორ მოერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლები იმ საცოდავის დანახვაზე, მაგრამ არ ჩრეულა, შეეშინდა. მეორე დღეს გაიგო, რომ ის ბიჭი მოკვდა. თავის თავს ვერ აპატია და თავი მოიკლა".

„საინტერესოა, მარტო ამისთვის მოიკლა თავი?" — ვკითხე მე.

„რასაკვირველია, არა. უბრალოდ, მიხვდა, რომ არასწორად ცხოვრობდა. არავის საქმეში არ ერეოდა. მიხვდა, რომ ეს სისულელე იყო. ადგა და თავი მოიკლა".

„ეგეთი რამე პირველად მესმის".

„მე ძალიან მიყვარდა. მისი სიკვდილის მერე ერთი წელი სახლიდან არ გამოვდიოდი. მაშინ შევეჩვივ „Pink Floyd"-ს, მითხრა და სახე დაუნაღვლიანდა.

„ალბათ, სწორი იყო", — ვთქვი მე.

„არა, — თითქმის იყვირა იმან. — არავინ არ არის სწორი, ვინც ეგრე ფიქრობს. იმიტომ, რომ არ არსებობს უმოქმედო სიყვარული", — და წამოეწითნო.

„არ ვიცი, შეიძლება", — თქვი მე ისევ წყნარად. ამ დროს კვლავ შემშურდა რაღაცის.

ცოტა ხანს კიდევ ვისხედით, მერე ბევრი ვისეირნეთ, თითქმის შუაღამემდე. ერთი წლით ვიყავი იმაზე უფროსი. მაგრამ, ბევრად მეტი გამოცდილება მქონდა, რაც მაბერებდა ამ ბავშვთან შედარებით. ყოველდღე რაღაც დიდის მოლოდინში იყო, ყოველ შემთხვევაში მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა. ამ დროისთვის უკვე გადაჩვეული ვიყავი ამ იმედებსა და სიხარულს. ჩემთვის მთელი ცხოვრება უფერულად ერთნაირი იყო. ყველაფერი უაზროდ და უმიზნოდ მეჩვენებოდა. ყოველი დღე უხალისოდ იწყებოდა.

მისმა გაცნობამ რაღაც შეცვალა ჩემს არსებაში. არ ვიცი, ზუსტად რანაირად, მაგრამ ვატყობდი, რომ თავის სიცოცხლის ძალას გადმომცემდა და მაიძულებდა, ამ საშინელი აპათიიდან გამოვსულიყავი.

„იცი, რა, — ვუთხარი ერთხელ. — გინდა, კარგ რამეს გაგიკეთებ?" გაეცინა.

„კი, მინდა".

„შენი მოთხრობებისთვის".

ამაზე კიდევ ერთხელ გაეცინა.

მოკლედ, დავპირდი, რომ გავაცნობდი ისეთ ხალხს, რომელთა აღწერაც თვითონ უნდოდა, შევიყვანდი იმათ წრეში.

მე ადრე მქონდა კავშირი იმათთან. უფრო სწორად, მეც ვიკეთებდი, მაგრამ, ეს ცოტა ხანს იყო. მერე გადავეჩვიე და აღარც გამიხედავს იქითკენ.

ისინი ყოველთვის ბაღში იკრიბებოდნენ, ძალიან ახლოს ჩემ სახლთან, გოგოები და ბიჭები — ერთად. ზოგს სასმელი მოჰქონდა, ზოგს — მოსაწევი. მერე ჩართავდნენ მუსიკას და ნელ-ნელა ირწეოდნენ მთელი ღამის განმავლობაში. ხშირად მოდიოდა მილიცია. დაიჭერდა რამდენიმეს, მაგრამ მეორე დღესვე ათავისუფლებდა.

გადავწყვიტეთ, იმათ დავახლოებოდით ცოტა ხნით. ისე, უბრალოდ, დაკვირვების მიზნით. და მერე თავი დაგვინებებინა, მაგრამ, სანამ მიგვიღებდნენ, რაიმე საქმე უნდა გვეკისრა, მოკლედ, ფული უნდა გვეშოვა. უნდა დაგვემტკიცებინა, რომ არ ვიყავით „მოწებებულნი". ამაზე გულახდილად ველაპარაკე. დამპირდა, რომ ყველა ჩემს მითითებას შეასრულებდა.

იმ ხანებში მეც ძალიან დამაინტერესა ამ საქმემ. შეიძლება მუშაობის სურვილიც გამიჩნდა. მთავარი ის არის, რომ სხვა თვალით შეეხედე ყველაფერს. ეხლა მარტო გულგრილი ინტერესი მამოძრავებდა.

ერთი ძველი ნაცნობი ვნახე, რომელიც იქ ხშირად იყო. ბევრი ლაპარაკი უყვარდა ძალიან, ცოტა ხნით გავუჩერდი და ვკითხე, რაიმე „საქმე" ხომ არ არის-მეთქი.

„არა. ისეთი არაფერი მეგულება", — მითხრა პატარა პაუზის შემდეგ. ისევ ჩავეკითხე. თქვა, არ ვიცი, მაგრამ ამ დღეებში მოდი ბაღში და იქ ყველაფერს გაიგებო.

ამის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ვერაფერით მოვახერხე იქ ასვლა. ამასობაში შემოდგომა მოახლოვდა და ხალხი ჩამოვიდა ქალაქში.

ვიცოდი, რომ აუცილებლად დამავალებდნენ რამის გაკეთებას. მე უკვე „სტაჟიანის“ რეპუტაცია მქონდა. მართალია, მარტო არასდროს დავდიოდი „სამუშაოდ“, მაგრამ დახმარება კარგი ვიცოდი, განსაკუთრებით მდიდრული ბინების გაქურდვის დროს. ფულის გულისათვის არასდროს ვაკეთებდი ამას, უბრალოდ, არ ვიცოდი, დრო როგორ მომეკლა.

მოკლედ, ორი კვირის მერე გადავწყვიტე წავსულიყავი და მოვლაპარაკებოდი მათ. ათ საათამდე დავიცადე. მინდოდა, ყველა იქ დამხვედროდა.

ბაღში უამრავი ხალხი ირეოდა, ეტყობოდა, წამალი იშოვეს და ერთმანეთში იყოფდნენ. მუსიკა ხმამაღლა ჩაერთოთ. იმდენი ხალხი ცეკვავდა, რომ ჭირდა სიღრმეში შესვლა.

მე გოგის ნახვა მინდოდა. იმიტომ რომ მის გარეშე არაფერი ხდებოდა. თვალებით დავუწყე ძებნა. ვიცოდი, არ უყვარდა გამოსაჩენ ადგილზე ჯდომა, სხვებში იმით გამოირჩეოდა, რომ ზედმეტად არასდროს ყურადღებას არ მიიქცევდა, ჩუმად იჯდა.

ეხლაც თავისთვის მიმჯდარიყო კუთხეში. რომ დამინახა, თვალი ჩამიკრა, ვანიშნე, საქმე მაქვს-მეთქი. წყნარად ადგა და გვერდზე გამოვიდა.

„რა იყო?“ — მკითხა.

„არაფერი ისეთი. მისმინე, გოგი, წამალი მინდა. თუ გინდათ, საქმეში მოგეხმარებით“.

გოგი კარგად მიცნობდა. ამიტომ გამოიცდა ალბათ და დაუწყია.

„ისეთი სამუშაო არ არის, ეხლავე რომ გითხრა. ისე, ფული კი გვჭირდება“.

„რამდენი?“ — ამის მიხედვით შეიძლებოდა გამეგო, რა საქმეზე გამგზავნიდა. „ათი ათასი. მეტი არა“.

ეს ნიშნავდა ან ბრილიანტის ბეჭდებს, ან მანქანას.

„ვიღაც უცხოელები არიან ჩამოსულები. უბრალოდ, მინდა ხელში მქონდეს ფული, მეტი არაფერი. იმდენია, რომ ძალიან ბევრს მიიღებ“.

„კარგი“, — ვუთხარი მე და თავი გახარებულად მოვაჩვენე.

„გოგი, ერთია ჩემთან, იმასაც უნდა“.

„რა? წამალი?“

„წამალიც. და საქმეზეც წამოვა, ყველაფერს გააკეთებს“.

„ხო იცი, ანდრო, მე უცხო ხალხს წამალს არ ვაძლევ“.

„ვიცი“.

„გააკეთებს?“

„ჯერ გამოუცდელია“.

„ძალიან კარგად რომ არ გიცნობდე, არ დგთანხმდებოდი. ოღონდ ფრთხილად“.

„როდის დავიწყოთ?“

„ფული ერთ კვირაში მინდა. სჯობია, დღესვე აარჩიო ხალხი“.

საერთოდ, გოგიმ თვითონ იცოდა ხალხის არჩევა, ეხლა კი, რატომღაც, მე მითხრა, ვინც გინდა, ის წაიყვანეო.

სკამზე დავსხედით. უაზროდ ვლაპარაკობდით რაღაცაზე, არ მახსოვს, მგონი, დანებზე. ბოლოს გოგიმ თვითონ მანიშნა ორ დაბალ ტიპზე. შორიდან ვიცნობდი და ვიცოდი, კარგად მუშაობდნენ. მე თავი დავუქნიე. ეს იმას ნიშნავდა, რომ გოგი თვითონ მოელაპარაკებოდა და გამოაგზავნიდა ჩემთან.

მივხედი, მანქანაზე გვაგზავნიდა. ცოტა ხანში შინ წავედი. ვიცოდი, რისკიანი საქმე გველოდა. ასე ალალბედზე წასვლა ძალიან რთულია ყოველთვის, სხვაა, როცა იცი, რომელ მანქანას იპარავ.

ჩემ თავს არ ვჩიოდი. უფრო აჩოზე ვფიქრობდი, მე ხომ ვიცოდი, რას ნიშნავდა საქმეზე წასვლა. ხშირად მთელი სხეული გიკანკალებს ისე, რომ ვერაფერით იმორჩილებ საკუთარ თავს.

ღამე არ მეძინა. ვცდილობდი, როგორმე დავწყნარებულიყავი. არც ერთი დეტალი არ უნდა გამომრჩენოდა, თორემ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა.

დილით იმ ორს შეეხვდი, მოვილაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკეთ, რომ მეორე დღეს საღამო ხანს გავსულიყავით. ვუთხარი, მეოთხეც იქნება-მეთქი, გაუხარდათ. მერ კიდევ რაღაცას მთხოვდნენ, არ მახსოვს, მგონი გასაღებს, დავპირდი, მოვიტან-მეთქი.

ამის მერე პირდაპირ აჩოსთან წავედი.

შინ იყო. როცა მივედი, წერდა. ვისკი გამოიტანა. რაღაცაზე ველაპარაკე, სანამ ვეტყოდი, რომ „საქმე“ გველოდა მეორე დღეს.

„მართლა?! — გაუხარდა კიდეც. — ძალიან კარგი. შენ მზად ხარ?“

„მე კი. მთავარია, შენ იყო მზად“.

„ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება“.

მერე დავწწყე ახსნა, როგორ უნდა მოქცეულიყო. კარგა ხანს გაუჩერებლად ვუმეორებდი ერთი და იგივეს. მეშინოდა, რამე არ გამორჩენოდა. ისე ავღელდი, რომ ბოლოს ყვირილზე გადავედი.

ღამე უნდა მოგვეპარა მანქანა, სადმე დაგვეყენებინა, დილით ნომრები შეგვეცვალა, და შეხვედრის ადგილას წაგვეყანა. ფულს ნაღდზე ავიღებდით.

„კარგად გავერთობით!“ — თქვა მან და გაიცინა.

ვისკის ბოთლს შევხედე. მომეჩვენა, რომ ნათურის შუქზე რაღაც უცნაურად ბრწყინავდა.

შუაღამემდე ვიჯექი მასთან და „Pink Floyd“-ს ვუსმენდი. ძალიან დამღალა ასეთმა გადატვირთულმა დღემ.

შინ მივედი და უგრძნობლად დავეგდე ლოგინზე. მეორე დღეს სამ საათზე გავიღვიძე. მერე ავდექი, ვჭამე და მომზადება დავიწყე. ცხრა საათისათვის უნდა შევხვედროდით ერთმანეთს.

მეშინოდა. სულ აჩოზე ვფიქრობდი, არ მეგონა, რომ ასე ავღელდებოდი, როდისმე ვიღაცის გულისთვის. ერთი პირობა ვიფიქრე კიდეც, იქნებ გავაფრთხილო და უარი თქვას წამოსვლაზე-მეთქი, მაგრამ თამაში უკვე დაწყებული იყო და არ ღირდა გაჩერება.

ცხრის ნახევარზე დანიშნულ ადგილას მოვიდა. ცოტა გავიარეთ, მოვიცადეთ, სანამ ის ორიც გამოჩნდებოდა. ათი წუთით დაგვიანეს.

როგორც წინასწარ დავთქვით, ქუჩაში ცალ-ცალკე მივდიოდით, ჩვენ აქეთა ტროტუარზე, ისინი — იქითაზე.

ერთ-ერთმა ხელით გვანიშნა, ზემოთ მივდივართო.

თავიდან მიყრუებულ, შედარებით წყნარ ადგილს ვეძებდით, მაგრამ ვერ მივაგენით.

საათნახევრის სიარულის მერე, როგორც იქნა, გაგვიღიმა ბედმა, ზემოთ, გორაკზე ამავალ ქუჩაზე ეყენა ახალი მანქანა. ორივე მხრიდან შეიძლებოდა გაქცევა, იმ შემთხვევაში თუ სიგნალიზაცია ჩაირთვებოდა, ადვილად დავიმალებოდით. სიბნელეში ბევრად უფრო იოლია მოქმედება.

ჩვენ ორი მხრიდან დავდექით და „ხედს ვფარავდით“. ისინი კარებს აღებდნენ. ამისათვის ჯერ წინა ფანჯარა უნდა გაეტეხათ. ხმაური რომ არ გაეგოთ მეზობლებს, ერთმანეთში ხმამაღლა ვლაპარაკობდით.

საქმე თითქმის მომთავრებული ჩანდა, როცა მანქანის სინგალიზაცია ჩაირთო. ხმამ კინაღამ გაგვაყრუა.

უცებ მარცხნივ მოვტრიალდი და პირდაპირ გავიქეცი, ის ორნიც მე მომყვნენ. იქვე ახლოს პატარა ჩიხი ვიცოდი, სადაც დავიმალებოდით.

მაგრამ იქამდე ორასი მეტრი მაინც უნდა გაგვერბინა, მესმოდა სიგნალიზაციის ხმა. გზაში კინაღამ ბავშვს დავეჯახე. ვიღაც მოხუცმა კაცმა დაგვინახა და ყვირილი ატეხა, აქეთ, აქეთო... კიდევ კარგი, მილიცია იქ არ იყო, თორემ დაჭერა არ აგვცდებოდა... ბოლოს მივაღწიეთ იმ ჩიხს, კიბეზე ჩამოვსხედით. აქოშინებულები სულს ძლიევს ვიბრუნებდით...

იმ წუთებში არავისი არსებობა არ გამხსენებია. შიშმა ყველაფერი წაშალა ჩემი გონებიდან. ვიჯექი და უაზროდ წინ ვიყურებოდი. შევატყვე, რომ ფეხები მიკანკალებდა, ფიქრის თავიც კი არ მქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა რაღაც უცნაურად გაშავებული ჩანდა.

ვიღაც ახალგაზრდა ქალმა გამოიარა. ჩვენ დანახვაზე შეშინდა და მეორე მხარეს გადავიდა.

უცებ მივხვდი, რომ აჩო ჩვენთან ერთად არ იყო. იმათ ვკითხე, სად შეიძლება იყოს-მეთქი. მითხრეს, დავინახეთ, სხვა მხარეს გაიქცაო.

დიდ ქუჩაზე გავედი.

არ ვიცი, ბედი იყო თუ რა, მაგრამ. როგორც კი დიდ ქუჩას მივაღწიე. მაშინვე დავინახე.

დაძახება არ მინდოდა. დავუსტვინე. გამოიხედა და გახარებული სახით ჩემკენ გამოიქცა. ვანიშნე, ახლოს არ მოსულიყო. გვერდითა ტროტუარით წამომყოლოდა.

ის ორნი იქ დაგვხვდნენ.

„მოვიდა მილიცია?“ — ჰკითხეს აჩოს.

„არა“.

„აბა, თვითონ გაჩუმდა?“

„პატრონი ჩამოვიდა. მეზობლებიც გამოცვივდნენ“.

„მერე შენ?!“

„მე ჯერ ნელა წამოვედი, ყურადღება არავინ მომაქცია. მერე გამოვიქეცი. თქვენ გეძებდით“.

„კარგი. ეხლა ქვემოთ ჩავალთ“.

ქვემოთთაც იყო ერთი კარგი ადგილი.

უკვე თორმეტი საათი იქნებოდა, მაგრამ ხალხს ჯერ არ ეძინა. ამიტომ, ისევ ცალ-ცალკე გვიწევდა სიარული.

ნახევარ საათში მივაღწიეთ ქვემოთა ქუჩამდე. ტროტუარზე ჩამოვსხედით. ველოდებოდით, სანამ რომელიმე მანქანა გამოჩნდებოდა.

დიდი ხანი არაფერი გამოჩენილა, ისე, რამდენიმემ გაიარა, მაგრამ არ შეუჩერებიათ. დრო გადიოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ნაცრისფერმა მანქანამ შემოუხვია. პირდაპირ ჩვენს წინ გაიჩერა. შუა ხნის კაცი გადმოვიდა, ზემოთ აიხედა და სადარბაზოში შევიდა.

ჩვენ უცებ დავიშალეთ. ის მეორე მხარეს წავიდა. მე აქეთ დავდექი.

ამ დროს მოპირდაპირე სახლის აივნიდან ვიღაცამ გადმოიხედა. ეტყობოდა, სიგარეტის მოსაწევად გამოვიდა. საჭირო იყო მოცდა, სანამ კაცი უკან შებრუნდებოდა.

ისინი მანქანასთან იდგნენ და ლაპარაკობდნენ.

ამ დროს მანქანის პატრონი სადარბაზოდან გამოვიდა. როცა ჯდებოდა, ვიფიქრე, რომ ასეთი შანსი მეტჯერ აღარ მოგვეცემა-მეთქი, მაგრამ, ძალიან გამიკვირდა, როცა დავინახე, რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, ისევ გაჩერა, ეტყობა, ვიღაცის სახლს ეძებდა.

ჩვენს ადგილებზე დავრჩით. ქვემოთ ჩასვლა არც იყო საჭირო. კაცი ახლა მეორე სადარბაზოში შევიდა.

ფრთხილად ავიხედე ზემოთ. აივანზე აღარავინ ჩანდა.

სრულ სიბნელეში ვიდექი. ამ დროს დავინახე, რომ ზემოდან ერთი თავგადასავლიანი კაცი იყურებოდა. კარგად ხედავდა, როგორ ტეხავდნენ ბიჭები ფანჯრას. რითმზე მისი ყურადღება უნდა მიგვეპყრო.

„მოდი აქ. — დავიძახე ხმამაღლა: — ვიპოვე“.

აჩომ ყურადღებით შემომხედა. საბედნიეროდ, ყველაფერს მიხვდა. ჩემკენ წამოვიდა.

„აქ ცხოვრობს ის გოგო?“ — ხმამაღლა მკითხა. გამიკვირდა, როგორ მოისაზრა ამდენი-მეთქი.

„კი“, — ვუპასუხე ისე, თითქოს ვერავის ვამჩნევდი იმის გარდა.

„გასაგებია“, — მითხრა, მერე იქით მიტრიალდა. ფანჯარასთან აღარავინ იდგა. ორივემ ღრმად ამოვისუნთქეთ. ერთმანეთს პირდაპირ თვალებში ვუყურებდით.

ამ დროს მომეჩვენა, რომ საცოდავი ვიყავი.

„მალე იზამენ?“ — მკითხა აჩომ.

„ალბათ“.

სიბნელეში დავინახე, რომ ერთ-ერთი უკვე მანქანაში იჯდა და მეორეს რაღაცას ეუბნებოდა. ცოტა ხანში მეორე ჩვენკენ მოტრიალდა და ხელით გვანიშნა, ქუჩის კუთხეში შეგიჩერებთო. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ხეცლით მიაწვა მანქანას და თვითონაც ჩაჯდა. ჯერ ნელა წავიდნენ, მერე კი აიჩქარეს სვლა.

მოკლე დროში უნდა მოგვესწრო კუთხემდე მირბენა. როგორც შეგვეძლო, ისე გავრბოდით. ისევ შევატყვე, რომ ფეხები მიკანკალებდა.

წინასწარ მოვემზადეთ, მანქანა არ გაჩერდებოდა, ერთი წუთი შეანელებდა სვლას და ჩვენც ამ დროს უნდა შევხტომოდით.

ამ დროს იქვე, ეზოდან, ვიღაც ბავშვი გამოიქცა.

„მოიგეს ჩვენებმა, მოიგეს!“ — ყვიროდა და მირბოდა.

ორივემ თვალი გავაყოლეთ. მერე ერთმანეთს შევხედეთ.

ცოტა ხანში მანქანამ გამოიარა. უკანა კარი წამით გაიღო. ჩვენ უცებ შევხტით.

საქე არ ტრიალებდა, ამიტომ, ვინც საპესთან იჯდა, ძალიან ღელავდა. არასწორად უხვევდა. ერთი ორჯერ ხეს კინაღამ შევასკდით. გული ჩქარა და ძლიერად მიცემდა.

მოედანზე ორი ინსპექტორი იდგა. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. როგორც კი ჩავუარეთ, უკან მივიხედე. თვალი არ მომიცლია, სანამ ჩანდნენ.

ჩვენკენ არც გამოუხედავთ.

აჩოს შევხედე. სახე მთლიანად გაუთეთრდა. თუმცა ცდილობდა, რომ არ შემჩნეოდა ღელვა. იჯდა და უაზრო თვალებით მომჩერებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მივიყვანეთ მანქანა იქ, სადაც ღამე უნდა დაგვეტოვებინა.

ისინი ყოველთვის ამ ბნელ ქუჩაზე აყენებდნენ მოპარულ მანქანებს. ზემოთ მარტო ერთი, დიდი სახლი იდგა, მაგრამ ეტყობოდა, უკვე კარგა ხნის გამოცარიელებული იყო. აქ მანქანას შემოხვევით თუ არა, ისე ვერავინ შეამჩნევდა თვეობით.

იმათ მეორე დღეს უნდა გადაეღებათ და ახალი ნომრები მოეტანათ. ჩვენ სამ საათზე უნდა მივსულიყავით. მერე ერთად წავიყვანდით იქ.

კლიენტებს ისინი შოულობდნენ. ამ საქმეში პროფესიონალები იყვნენ და ეშვიც არ შემპარვია, რომ ყველაფერს კარგად გააკეთებდნენ.

ჩვენ მარტო მისვლა გვევალებოდა.

ავტომატიდან შინ დავრეკე და დედაჩემს ვუთხარი, ამხანაგთან გავათევ ღამეს-მეთქი. არაფერი უთქვამს. ამის მერე აჩოსთან წავედით. ცოტა ვისკი ჰქონდა დარჩენილი, ის მოვამთავრეთ და დავიძინეთ.

იმ ღამეს სერიოზულ თემაზე არ გვილაპარაკია.

მშვიდად მეძინა. როცა გავიღვიძე, საათს შევხედე, უკვე პირველი იყო.

კარგი ამინდი იდგა. მზე რაღაც საოცარი ძალით ანათებდა და ყველაფერს სხვადასხვანაირ ფერს ადებდა. ხის მწვანე ფოთლები რამდენიმე ფერად ბზინავდა. შეუძლებელი იყო, არ გაოცებულიყავი ამის დანახვაზე. არის ასეთი წუთები, როცა ფიქრობ, რომ ცხოვრებას მართლა აქვს აზრი და მერე საოცლოდ გეჩვენება ეს წამიერი აღტაცება.

სახლში არავინ ჩანდა. ეტყობოდა, აჩო პურზე წავიდა. ამ დროს ზარმა დარეკა.

ჯერ არ მინდოდა გაღება, მაგრამ მერე ვიფიქრე, იქნებ მშობლები არიანმეთქი, საბედნიეროდ, ვიღაც მეზობლის ქალი აღმოჩნდა, ხელში ტორტის დიდი ნაჭერი ეჭირა.

„აჩო არ არის შინ?“ — მკითხა დაბალი ხმით.

„არა“.

„მაშინ, რო მოვა, ეს მიეცი და უთხარი, დეიდა ნელიმ გამოგიგზავნათქო“.

„კარგი“, — და სანამ კარს მოვიხურავდი, რაღაც უცნაურად შემომხედა.

ისინი დათქმულ ადგილას დაგვიხვდნენ. ერთად ავედით იმ ქუჩაზე. მანქანა ისევ იქ იდგა. უკვე გადაღებილი დაგვხედა. ნომრებიც შეცვლილი ჰქონდა.

ბენზინი იქვე ახლოს ჩავასხით.

ჩვენ უკან ვისხედით. ისინი — წინ. დაახლოებით ასი კილომეტრი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვეკლო. იქ, რომელიღაც სოფელთან, კლიენტები გველოდებოდნენ. დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. ხუთი წუთიც ბევრს ნიშნავდა.

ზედმეტი დროც მოვიტოვეთ, ყველაფერი წინასწარ გამოთვლილი გვქონდა. გზაში გავჩერდით და რესტორანში ვისადილეთ. ისე ჩანდა, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა.

ყველანი ჩუმად ვიყავით, ერთმანეთს უხმოდ ვუყურებდით და ვჭამდით. სიცხე სუნთქვას გვიკრავდა.

სამი საათის შემდეგ უკვე ადგილზე ვიყავით. შეხვედრა ტყის პირას იყო დანიშნული. მანქანიდან გადმოვედით და იმათ მოლოდინში ბალახზე დავსხედით.

ტყეში შედარებით გრილოდა. ფოთლების შრიალი გვესმოდა. სმენა დაძაბული მქონდა.

ზუსტად სამი რომ შესრულდა, ორნი მოვიდნენ. ერთი მაღალი, შავგვრემანი, სიმპათიური კაცი და მეორე—ულვაშიანი, ჩასუქებული.

ორივეს მაგიერად მაღალი ლაპარაკობდა. ყველაფერი შეამოწმა. მერე კიდევ რაღაც გაარკვია ჩვენებთან. ბოლოს, როგორც იქნა, ჩასხდნენ მანქანაში.

ფული არ დამინახავს, ამიტომ შემეშინდა, არ დაძრას-მეთქი, მანქანას წინ დავუდექი. მაღალმა შემომხედა და ჩაიცინა, მერე წინა კარი გააღო, კიდევ რაღაც უთხრა თავის მეგობარს, იმან თავი დაუქნია. ცოტა ხანში ჯიბიდან პორტმონე ამოიღო და ჩვენებს გაუწოდა.

შეამოწმეს, მანქანაში მსხდომთ ხელი ჩამოართვეს და თვალებით მანიშნეს, გზიდან გადადიო.

მაღალი დამცინავი სახით გვიყურებდა მე და აჩოს. ერთხანს ნერვებიც მომეშალა, მაგრამ ბოლომდე მოვითმინე.

ჯერ ნელა დაძრეს მანქანა, მერე სვლას უმატეს.

ჩვენ ავტობუსში ჩავსხედით. საღამოს უკვე თბილისში ვიყავით. ავტოსადგურში შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, თერთმეტ საათზე, ბაღში შევხვედროდით ერთმანეთს.

ძალიან დაღლილი ვიყავი. ამიტომ შინ წავედი. აჩოს დავპირდი, დაგირეკავ-მეთქი.

იმ ღამეს არ დამეძინა. ეს ადრეც მქონია. წამოვდექი და სიარული დავიწყე. ხუთ საათამდე ვერ მოვისვენე, თავში უაზრო ფიქრები მიტრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავიძინე.

მეორე დღეს დილიდან წვიმდა. პატარა საქმე მქონდა და იქიდან პირდაპირ აჩოსთან წავედი. თერთმეტ საათამდე ვისხედით და ვლაპარაკობდით. არ მახსოვს, რაზე, რაღაც უმნიშვნელო რამეებზე.

ბაღში ყველანი დაგვხვდნენ. ჩვენი კომპანიონები, როგორც ეტყობოდა, ცოტა ადრე მოსულიყვნენ და მოშორებით ისხდნენ. გოგიმ დაგვინახა და შესახვედრად გამოვიდა. აჩოს ახედ-დახედა.

„როგორ ხარ?“ — მკითხა მე, თან განზე იხედებოდა.

„არა მიშავს“.

„ინერვიულე?“

„ისე, რა. არაფერია“, — ვუთხარი და დავამატე: — „ეს აჩიკოა“.

„მივხვდი“, — თქვა გოგიმ. ძალიან უხდებოდა სიცილი.

„როგორაა საქმე?“ — ვკითხე მე. ფულის ადგილსამყოფელმა დამაინტერესა. გოგიმ საფულე ამოიღო.

„ხუთას-ხუთასი გეყოფათ?“ — გვკითხა ორივეს.

„კი“.

„და კიდევ წამალი არ დაგავიწყდეს. ხვალ ვყიდულობთ“.

„რამდენში ანაწილებ?“

„რვა კაცში.

„ოო, ესე იგი, ბევრი იქნება“, — ვთქვი და გავიცინე. თავი გახარებულად მოვაჩვენე.

„ჰო“, — მითხრა გოგიმ. ხუთასი მანეთი მე მომცა და ხუთასი აჩოს. მაგრამ იმან ფულის ასაღებად ხელი არ გაუწოდა.

„არ მინდა“, — თქვა წყნარად.

გოგის გაუკვირდა.

„რატომ?“

„მე მარტო წამალს ავიღებ“.

„შენი საქმეა, როგორც გინდა“.

გოგომ ფული საფულეში ჩააბრუნა, მერე მე მითხრა, ხვალ ამა და ამ დროს მოდი, რაღაც უნდა გითხრაო, და ხალხს შეერია.

მაგნიტოფონი მიწაზე იდგა. მუსიკის ხმა ყველაფერს ფარავდა. ვიღაცები გაცხარებულად ცეკვავდნენ, ყველა იმათ, უყურებდა, ჩვენ ვერავინ გვამჩნევდა.

საერთოდ, აქ ვინც იკრიბებოდა, ყველა ეწეოდა. გაკეთებით კი მარტო ის იკეთებდა, ვისაც გოგი გაუნაწილებდა წამალს. ამიტომ საჭირო იყო თავის გამოჩენა საქმეში. მოკლედ, — პატარა რისკზე წასვლა დიდი სიამოვნებისათვის.

„ჰო, მართლა, არ მიკითხავს, რამდენი აიღეს გუშინ?“ — მითხრა აჩიკომ.

„არ ვიცი. ალბათ, თორმეტი ათასი“.

„მერე სულ წამალზე ხარჯავენ?“

„აბა რაზე უნდა დახარჯონ?“

„რაიმე კარგზე“.

„ერთი შენ სულელი არ იყო. ყველაზე კარგი მაგათთვის წამალია“.

„მე რო ვიყო, რაიმე კარგზე დავხარჯავდი, — ზანაგრძო აჩომ. — მაგალითად, მრავალშვილიანებს პრემიას მივცემდი“. მე გაკვირვებით შევხედე. ნამდვილად არ მოველოდი, რომ ამას იტყოდა.

„შეგიძლია ეს თვითონ უთხრა გოგისგ?“

„რატომაც არა“.

„ჰოდა, უთხარი მერე, ის ჩემზე უკეთეს პასუხს გაგცემს“.

„აუცილებლად“, — თქვა აჩომ. სახეზე ეწერა, რომ რაღაც გადაწყვიტა და ჯერ არ ამბელდა.

ცოტა ხანში შინ წამოვედი. მარტო მივდიოდი.

მაინტერესებდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან გოგის, ტყუილად არ დამიძახებდა. საერთოდ, ძალიან პრაქტიკული ჭკუის პატრონი იყო, ეტყობოდა, რაიმე ახალი საქმე დაიგულა.

გოგი ერთი თავით მაღლა იდგა ყველაზე, არასდროს იქცევდა ყურადღებას. ყოველთვის ჩუმად იჯდა, განმარტოებული. მაგრამ ისე არ იქნებოდა, თავისი არ გაეკეთებინა.

გულგრილობას იჩენდა ყველაფრის მიმართ, რაზეც ჩვეულებრივ ადამიანებს ჭკუა ეკეტებათ. ამას რაღაცნაირად შორიდან უყურებდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ყველას ეშინოდა მისი.

ამასთან ერთად, დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარიც ჰქონდა. ვერაფერს გამოაპარებდი. ყოველთვის ხმადაბლა და თავდაჯერებულად ლაპარაკობდა. იცოდა თავისი ფასი. ტყუილუბრალოდ თავს არავის გაუყადრებდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლაპარაკში უშუალო არ იყო. პირიქით, ისე მოგნუსხავდა, რომ ვერც შეამჩნევდი. ძალდაუტანებლად ეჭირა თავი და განათლებაც არ აკლდა.

ეხლა შემატყო, რომ დავინტერესდი. გადაწყვიტა ბოლომდე გამოვეყენებინე. ვიცოდი, რომ შანსის ხელიდან გაშვება არ უყვარდა, ამიტომ ვცდილობდი დამენახვებინა, რომ ყველაფრისთვის მზად ვიყავი.

მეშინოდა, არ მიმხვდარიყო ნამდვილ მიზეზს.

უცნაური ინტერესი გამიჩნდა ამ საქმის მიმართ. ადრე, როცა მეც დავდიოდი ბაღში, ყველაფერს უხალისოდ ვაკეთებდი. იმიტომ, რომ სხვა საქმე არ მქონდა და ვერ ვპოულობდი უკეთეს გასართობს. რითიმე ხომ უნდა გამეყვანა დრო. თანაც მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და მაინტერესებდა ეს „დროსტარება“. მერე, როცა მივხედი, რომ ეს უფრო დამღლელი იყო, ვიდრე სკოლაში მეცადინეობა, თავი გავანებე წამალსაც და იქ სიარულსაც.

მას მერე ორი წელი გავიდა. შემთხვევით თუ შევხვდებოდი იმათ, ყველანაირი კავშირი გავწყვიტე. არც მინდოდა არავისი ნახვა.

ახლა მართლა დამაინტერესა ამ პრო-

ბლემამ. აჩოსთან ლაპარაკის მერე სულ უფრო მეტს ვფიქრობდი ნარკომანიაზე. ვფიქრობდი იმაზე, თუ ვისი ბრალი იყო ეს ყველაფერი. რატომ ხდებოდა ასე?

აჩოს გაცნობამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. თუ ადრე ვფიქრობდი, რომ ყველაფერი სულ ერთი იყო, რაც ჩემს პირად ინტერესებთან არ იყო დაკავშირებული, ეხლა პირიქით, რაღაცნაირად ემოციური გავხდი. სულ უფრო ხშირად ვახდენდი რეაგირებას, რაც მთავარია, სიტყვით კი არა, — საქმით.

ანალიზი და ფიქრი ადრეც მჩვეოდა. ახლა კი რაღაც ძალა მომეცა. არ ვიცი, რა ჰქვია ამას, სიცოცხლის სიყვარული თუ სხვა რამე.

ადრე გოგისთან ლაპარაკის დროს ყოველთვის ვიბნეოდი, ენა მებმოდა. ასე მეგონა, რომ არ ვიცოდი ჩემი ადგილი. ახლა პირიქით, ზალისით ვრჩებოდი მასთან მარტო, ალბათ, იმიტომ, რომ ყველაფერი მაინტერესებდა და მიზანი მქონდა.

თერმომეტ საათზე ისევ ბაღში უნდა ავსულიყავი.

დღისით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, როცა დრო მოვიდა, იქით გავეშურე, თან სულ ველოდი, რომ გოგი რამე მოულოდნელს მეტყოდა. ისეთივე არეულობა იყო, როგორც წინა დღეს.

ყველანი იქ იყვნენ. რაღაც უაზრო მუსიკას უკრავდნენ, ისეთს, რომელიც არ გამახსოვრდება.

გოგი ვერ შევამჩნიე. ალბათ, სადღაც წავიდა ცოტა ხნით, თვითონ დამბარა, ამიტომ ვიცოდი, რომ დიდხანს არ მაცდევინებდა.

სკამზე დავჯექი. ვუყურებდი, როგორ ცეკვავდნენ ვიღაც გოგო და ბიჭი. ძალიან პლასტიკურად მოძრაობდნენ.

ცოტა ხანში გოგიც მოვიდა. მახსოვს, თეთრი შარვალი ეცვა, გამიკვირდა. დამინახა და გვერდით მომიჯდა.

„ეარგი ამინდია, არა?!"

„კი", — დავეთანხმე მე.

„ანდრო, მისმინე. არ ვიცი, რა ვქნა. ამდენი წამალი ცხოვრებაში არ მინახავს. ვიღაც უცხოელები არიან, იმდენი აქვთ, რომ კიდევ ორ წელს გვეყოფა. მე, შენ და შენს ამხანაგსაც".

„მერე?!"

„მერე ის, რომ კიდევ ცოტა ფული გვინდა". — მითხრა და გამიცინა.

„მე რატო მეუბნები?"

„იმიტომ, რომ, ვიცი, შენს მეტი არავინ წავა ამ საქმეზე".

„მეც შემიძლია, არ წავიდე".

შენ წახვალ", — რატომღაც დარწმუნებული იყო.

„კარგი, ვიფიქრებ".

„ზემოთ, თეთრ სახლებთან, ერთი ჩემი ნაცნობი ცხოვრობს. მამამისი მაგრა ქაფავს. ეგეთი კომბინატორი ძალიან ცოტაა. ჰოდა, თავის შვილს აცმევს, როგორც დედოფალს. ცალკე ბინაც უშოვა. აი, აქ წერია მისამართი".

„მე სახლზე არ წავალ".

„ვინ გეუბნება მერე!"

„აბა, მაშინ არ მესმის, რაზე ლაპარაკობ".

„ლიფტში უნდა იმუშაო".

„რაზე".

„ხუთკარატიან ბეჭედზე. ამ დღეებში ერთი ჩემი ამხანაგის დაბადების დღეა. მე თვითონ მოვაცილებ იქიდან".

„მივხვდი. მარტო მე?!"

„არა. ორნი — შენ და ის".

„არ ვიცი. ვიფიქრებთ".

„პასუხს როდის მეტყვი?" — მკითხა გოგომ და დაჟინებით დამაცქერდა.

„ზეგ საღამოს, მანამდე არ მცალია".

„გოგომ სიგარეტს მოუკიდა. ჩანდა, რომ ნერვიულობდა.

„გადამყიდველს მოველაპარაკე უკვე. ბევრს ავიღებთ ძალიან. ჩემთვის მთავარია, ვაჩვენონ ფული, თორემ ისე არ დამიჯერებენ. გაიგე?"

„მესმის".

„იცოდე, რომ მე არასდროს არავის ვატყუებ", — თქვა უცებ გოგომ და ჯიბიდან ფული ამოიღო. სიბნელეში ძლივს გავარჩიე. ასმანეთიანები იყო. ბევრი, დაჭმუჭნილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო თვლა. მე განზე გავიხედე. არ მინდოდა, რომ რამე ეფიქრა.

„აიღე“, — მითხრა ცოტა ხანის შემდეგ და ერთი დიდი დასტა გამომიწოდა.

„რატომ?“ — გამიკვირდა მე.

„ეს ავანსი იყოს“. — და ისევ უცნაურად გაიცინა.

„მე ჯერ არ დაგთანხმებულვარ“, — ვთქვი მე.

„მაინც იყოს, ეგ ფული არ მჭირდება“.

„იმედი არ გქონდეს, რომ აუცილებლად მოვალ“.

„ზეგ ვილაპარაკოთ“, — თქვა გოგიმ და წამოდგა.

გაკვირვებული დავრჩი. არ მოველოდი, რომ ამდენ ფულს მომცემდა. — მივხვდი, რისი იმედიც ჰქონდა.

მალე წამოვედი ბაღიდან. სახლში დედ-მამა დამხვდა. საყვედურებით ამავსეს, სად იყავი აქამდეო. რაღაც მოვიფიქრე, რომ თავიდან მომეშორებინა.

მეორე დღეს აჩოს დავურეკე. ვუთხარი, საქმე მაქვს-მეთქი. დამპირდა, სალამოს მოვალო.

„Nows week“-ის უკანასკნელი ნომერი მქონდა სახლში. საინტერესო სტატია იყო. მგონი, ვიღაც ვენელ ექიმზე, ვაქცინაზე რომ მუშაობდა. მშობლებმა მთხოვეს, გვითარგმნეო. მთელი დღე იმას ვუჯექი. შიგდაშიგ საინტერესო ამბებიც წავიკითხე.

ისე გავერთე ჟურნალის კითხვით, რომ ვერც შევამჩნიე, როგორ მოსალამოვდა.

რვა საათი იქნებოდა, როცა აჩო მოვიდა. კარი დედაჩემმა გაუღო.

„შენ რა გქვია, შვილო?“ — ჰკითხა, როცა შემოდიოდა.

„აჩო“.

„ჰო, ჰო. მახსოვხარ. მეც არა ვთქვი, საიდან მეცნობა ეს ბავშვი-მეთქი?“ ლაპარაკობდა დედაჩემი.

ჩემთან შემოიყვანა ოთახში.

„ცოტა ხანში უნდა ვივახშმოთ, ხომ დაგვეწვევი?“ — ჰკითხა აჩოს.

„გმადლობთ, მე უკვე ვჭამე“.

„არა უშავს. ჩვენი საჭმელებიც გასინჯე“, — უთხრა დედაჩემმა და ოთახიდან გავიდა.

აჩო დაღლილი იყო, სახე დაძაბული ჰქონდა.

„მოხდა რამე?“ — მკითხა მაშინვე.

„ისეთი არაფერი, გოგის ველაპარაკე. აი, ეს მომცა“, — და ფული ვაჩვენე.

აჩომ შეხედა.

„რისთვის?“

„გაუგებარია. ეტყობა, უნდა კიდევ გამოგვიყენოს, რაღაც ახალი საქმე აქვს ჩაფიქრებული“.

„რა საქმე?“

„ვიღაც გოგოს ბეჭედი უნდა წავაცალოთ“.

„მერე?“

„ალბათ, ორ ამდენს მოგვცემს და კიდევ წამალიც მიუმატე“.

აჩო რამდენიმე წამით დაფიქრდა.

„როდის გვაძლევს წამალს?“

„ხვალ საღამოს“.

„ჰოდა, ხვალ საღამოს ერთად ავალთ და უარს ვეტყვით“.

რატომღაც ძალიან გამეხარდა. არ ვიცი, რატომ.

„მეც მასე ვფიქრობდი“.

„სწორია. მე დაველაპარაკები გოგის“, — თქვა აჩომ. სახეზე რაღაც გადაწყვეტილება შეეტყო. რატომღაც მომეჩვენა, რომ ის ჩემზე ბევრად ძლიერი სულის პატრონი იყო.

მუსიკა ჩავრთეთ და ვუსმენდით. იმ ღამეს ცა უამრავი ვარსკვლავით იყო მოჭედილი. ვარსკვლავები თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ. პირდაღებული ვიჯექი და ზემოთ ვიყურებოდი.

რატომღაც უცნაური აზრი მომივიდა თავში. ვიფიქრე, ალბათ, რა სულელები ვჩანვართ ჩვენ იქიდან. იმ ვარსკვლავებიდან, ასე უაზროდ რომ დავდივართ და ვცხოვრობთ, რა სისულელეა, სიცოცხლე-მეთქი.

აჩო ყურადღებით კითხულობდა რაღაცას. ვკითხე, როგორ არის მუშაობის საქმე-მეთქი.

„ძალიან მომეხმარა ეს ყველაფერი. ალბათ, მალე დავამთავრებ, — მითხრა

იმან. — ცოტაც კიდევ, ვიდრე ბოლომდე შევალ როლში".

„გასაგებია", — ვუთხარი და გამეცინა.

აჩომ განაგრძო კითხვა.

ძალიან განარბებული ვიყავი, გადაწყვეტილებამ უარის თქმაზე ძალა შემმატა, თან საშინლად მაინტერესებდა, რას ეტყოდნენ ერთმანეთს აჩო და გოგი. ეს ორი, სრულიად საწინააღმდეგო ტიპის ადამიანები.

ამ დროს დედაჩემმა შემოიხედა ოთახში.

„ბავშვებო, მოდით ჭამეთ", — ხმამაღლა იყვირა, თითქოს წყნარად რომ ეთქვა, ვერ გავიგონებდით.

ავდექით და დიდ ოთახში გავედით. მამაჩემი უკვე სუფრასთან იჯდა. აჩო რაღაცნირად შეიშმუშნა მის დანახვაზე, მერე მე გამომხედა.

„მოდი, შვილო, დაჯექი", — უთხრა მამაჩემმა.

აჩო დაჯდა. მე გვერდით მოვუჯექი.

დედაჩემი სამზარეულოდან შემოვიდა, ხელში დიდი თეფში ეჭირა.

„აჩიკო, არ გიყვარს შემწვარი კარტოფილი? — ჰკითხა ღიმილით.

აჩომ დაიმორცხვა. — „ამას ვეუბნები, სასარგებლოა-მეთქი და მაინც არ ჭამს", — თქვა დედამ და ჩემზე ანიშნა.

მამაჩემი წყნარად ჭამდა. ახლა იმას მიუტრიალდა დედა:

„ისე, დღეს შეიძლებოდა კარგი ფეხსაცმელი გეყიდა შვილისთვის".

„სად?" — ჰკითხა მამაჩ.

„სად და, მაღაზიაში".

„წავიდეს და თვითონ იყიდოს. ამხელა კაცია უკვე".

„აი, სულ ასე ლაპარაკობს, — მიუტრიალდა დედაჩემი აჩოს. — შენ ხომ ასეთი მამა არა გყავს?" — ჰკითხა ნიშნის მოგებით.

აჩომ ისევ დაიმორცხვა. არაფერი უპასუხა.

დედაჩემმა განაგრძო ლაპარაკი:

„ისე, ეხლა ყველა ჩემი ამხანაგი ხუთთთახიან ბინაში ცხოვრობს".

„გამანებე თავი, არ შეგიძლია ჭამა მაინც დამაცალო?" — ანერვიულდა მამა.

„არა. იმიტომ, რომ ჩვენ ამ სამოთახიან ბინაში ვლპებით. მთელი ცხოვრება შენ შემოგწირე და რა მივიღე სამაგიეროდ?" — ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ყოველთვის.

მამაჩემი უხმოდ ჭამდა, თან განგებ პირს აწკლატუნებდა, ნერვები რომ მოეშალა.

აჩო გაკვირვებული თვალებით უყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს.

„ყურადღება არ მიაქციო", — ჩავჩურჩულე ყურში და ჭამა განვაგრძე. დედაჩემი გაჩერებას არ აპირებდა.

„ხომ შეიძლება, რამე დამემართოს. აა, გეკითხები მე შენ! სულ შენი ბრალი იქნება, ეგრე რომ მტანჯავ!"

„არაფერსაც არ გტანჯავ", — გამოსცრა მამაჩემმა.

„არა, უბრალოდ, ლენჩი ხარ. ყველა შენმა ამხანაგმა წაულას ქურქი ჩაიცვა თავის ცოლს. მე კიდევ ათი წელია, დაფხრეწილ პალტოში დავდივარ, აი, ასე".

„მერე რა გინდა, ქალო, აღარ მაჭმევ?! — მოთმინებიდან გამოვიდა მამაჩემი.

„შენ ჭამის ღირსი ხარ? შვილს დახეულ ჯინსებში ატარებ, ჩემზე არ ფიქრობ. კარგი, მე შემოგეწირები, მაგრამ ბავშვს რას ერჩი?!"

ეს უკვე მეტისმეტი იყო, მამაჩემი გაბრაზდა.

„რას ჩამაცივდი, ქალო, ხო გავიყიდე შენი გულისათვის, პარტიაში ხო შევედი, ხო დავკარგე თავმოყვარეობა, მეტი რა გინდა?"

„შეხვედი, მაგრამ იმ პარტიის მაღაზიაში ჩემს გარდა. შენი ყველა ნათესავი დადის", — ისტერიული ხმით დაიწყო დედაჩემმა.

ამის ატანა აღარ შემეძლო, აჩოს ვანიშნე, გავიდეთ-მეთქი. მადლობა გადაიხადა და ადგა.

ისევ ჩემს ოთახში შევედით. აჩოს გაკვირვებული სახე ჰქონდა. „Pink Floyd"-ი ჩავრთე. აი, ის ადგილი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ბავშვები მღერიან მასწავლებლებზე.
„We don't need no education,
We don't need no thought control"
ცა უცნაურად ლამაზი იყო იმ ღამეს.

იმ დღეს მეტი არაფერი მომხდარა ისეთი. გვიან საღამოს აჩო სახლში წავიდა. დამპირდა, დიგრეკავო.

ღამე არ მეძინა, სულ ვფიქრობდი ხვალინდელ დღეზე. უარის თქმა იოლი არ იყო.

გვიან გავიღვიძე. ორი საათი იქნებოდა უკვე.

აჩოს საღამოს დავურეკე. მითხრა, პირდაპირ ბაღში ამოდიო.

ბაღი მთლიანად „გაბოლილი" იყო. ეტყობა, მოსაწევიც მოიტანეს.

ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ. საშინელი საყურებლები იყვნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ.

აჩო მალე მოვიდა, სახეზე ისევ ის გადაწყვეტილება ეწერა, გამეხარდა, არ ვიცი, რატომ.

გოგისთან მივედი, მარტო იჯდა კუთხეში.

„როგორ ხართ?" — გვკითხა ორივეს.

„კარგად". — უპასუხა აჩომ.

გოგიმ ჯიბიდან რამდენიმე ამპულა ამოიღო და გამოგვიწოდა.

ამით უნდოდა ეთქვა, არასდროს არაფერი მავიწყდებაო.

„კი მაგრამ, ეს ძალიან ბევრია", — ვთქვი მე. მართლა ძალიან ბევრი იყო.

„არა უშავს", — გაიცინა გოგის.

აჩო პირდაპირ თვალებში უყურებდა იმას.

„გოგი, ჩვენ ვიფიქრეთ იმაზე, — დაიწყო აჩომ. — არაფერი გამოვა".

გოგი წყნარად იჯდა და ეწეოდა.

„თქვენი საქმეა. როგორც გინდათ, ისე მოიქეცით".

„ჰოდა, ჩვენ ესე გვინდა".

„გოგიმ ადგომა დააპირა, მაგრამ აჩომ შეაჩერა.

„გოგი, რაში გჭირდება ეს ფული?"

„არ იცი?!" — გაეცინა გოგის.

„ვიცი და მგონია, რომ სისულელეა".

„რა?"

„რა და, ეს ყველაფერი. უფრო კარგი რამის მოფიქრებაც შეიძლება".

„მაინც, რის?" — გოგის სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

„არ ვიცი, მაგრამ უფრო კარგი რაღაცის, რაც ადამიანების ბედნიერებას მოხმარდებოდა".

გოგი დაიჭყანა.

„რომელი ადამიანების?"

„აი, ამათი", — და აჩომ ხელი გაიშვირა.

გოგომ გაიცინა.

„შენ იცნობ რომელიმე მათგანს?"

„არა!"

„მე ვიცნობ!"

„მერე რა?!"

„მერე ის, რომ ვიცი, ვინც არიან. კოჭებიდან თმის ბოლო ღერამდე ვიცნობ!"

„და შენ ამბობ, რომ კარგის გაკეთება არ შეიძლება მაგათთვის?!" — თითქმის იყვირა აჩომ.

გოგომ წყნარად შეხედა.

„მაგათ ჭამის და ქალების მეტი არაფერი უნდათ. მიდი და ჰკითხე, თუ ჩემი არ გჯერა. როგორც კი მისცემ თავისუფლებას და ძალას, შენნაირებს დახოცავენ, გაიგე?!"

„რატომ?"

„იმიტომ, რომ ეგეთები არიან. არ მინდა ჭკუა გასწავლო, მაგრამ დამიჯერე, ბევრი რამ ვიცი. მე თვითონაც მეჯავრებიან ჭირივით ესენი. უბრალოდ ვიყენებ".

„რისთვის?"

„რისთვის და, იმისთვის, რომ სხვა რამეებზე ვიფიქრო. მოვწყდე მაგათ, აღარ ვუყურო და აღარც გამახსენონენ. ხვდები? მე მინდა დავივიწყო ყველანი, იმიტომ, რომ არ მიმაჩნია ცხოვრება მუდმივი ფიქრის ღირსად".

„ესე იგი, ყველაფერი სისულელეა?"

„არ ვიცი. ჩემი საქმე არაა. მე წამალი საშუალებას მაძლევს მოვცილდე ამათ, ავიდე ცაში და იქ ვიყო".

„კი მაგრამ, ეს ხო წარმოდგენაა. სინამდვილეში მაინც აქ ხარ".

„ცხოვრება მთლიანად წარმოდგენაა, რაც უფრო შორს მიდის ეს ილუზია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო ნამდვილად ცხოვრობ. თუ დაკარგავ ამ უნარს, მაღაზიებში მორბენალი ობივატელი ხდები. ამიტომ არაა საჭირო სინდისის ქენჯნა. ისინი ჩვენზე უარესები არიან, რესპექტაბელურ ოჯახებში სავარძლებში რომ გორაობენ...“

აჩო ყურადღებით უსმენდა. ასეთი ლაპარაკი პირველად გავიგე გოგისგან, არც მოველოდი, რომ უბრალო ქუჩის ნარკომანს ასეთი რაღაცების თქმა შეეძლო. პირდაღებული ვუსმენდი.

„კი მაგრამ, ღმერთი?! — თქვა უცებ აჩომ.

„ღმერთი არ არსებობს“, — წყნარად უპასუხა გოგომ.

„მშობლები?“

„მშობლები აბსოლუტური იდიოტები არიან. ჩვენგან ისე შორს დგანან, დარწმუნებული ვარ, ვერასოდეს გაგვიგებენ“.

„კი მაგრამ, არასდროს გიფიქრია, რომ არა ხარ სწორი?“

„არა და, არც ვიფიქრებ. მე ჩემი პრინციპები მაქვს“.

„არ ვიცი, შეიძლება მართალი ხარ“, — თქვა აჩომ შეცბუნებული სახით. ეტყობა, ძალიან მოულოდნელი იყო იმისთვისაც ასეთი მწყობრი მსჯელობა. რაც მთავარია, გოგი ტყუილუბრალოდ არაფერს ამბობდა. მე მგონი, ამან შეაკრთო აჩო.

ამაზე დასრულდა ეს ლაპარაკი. იმ ღამეს ერთად წავედით ბაღიდან. არ მახსოვს, რას ვაკეთებდით გზაში. მაგრამ ერთი რამ კარგად დამამახსოვრდა, რომ ვშორდებოდით, აჩომ წუთით შემაჩერა და მითხრა:

„იცი რა, მე მაინც არ მჯერა. თუ გაჩერდები, ეს იმას ნიშნავს, რომ მოკვდი!“ — ეს თქვა და გატრიალდა.

თვალი გავაყოლე. უცნაურად ჩამრჩა მეხსიერებაში ეს სიტყვები.

გოგომ ხუთი ათასი მანეთი მოგვცა ორივეს და წამალი, თითქმის ამდენივე რომ ღირდა. ეს ძალან ბევრი იყო.

ამის მერე ორი დღე სახლიდან არ გამოვსულვარ. უაზროდ ვიყავი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გული მერეოდა. არა, ფიზიკურად კი არა. საერთოდ, ხშირად მომდის ხოლმე ასეთი რამეები.

ვეგდე ლოგინში და მუსიკას ვუსმენდი. დრო საოცრად ნელა გადიოდა. ცხოვრება უაზრო წამებას ემსგავსებოდა.

არ მახსოვს, ამის მერე როდის შევხვდი აჩოს. მოკლედ, რამდენიმე დღის შემდეგ ბაღში ისევ ერთად ავედით.

იმ ღამესაც უამრავი ხალხი დაგვხვდა აქ. თითქმის ყველანი ცეკვავდნენ, ბიჭებიც და გოგოებიც. სულ თვალში მხვდებოდა ეს უაზროდ მხიარული სახეები, მაგრამ ამ სახეთა მიღმა ყოველთვის საშინელ გაკვირვებას ვხედავდი. გაკვირვებას იმისგან, ყველაფერი ასე უცნაურად რომ აეწყო. ალბათ, მთელი ჩვენი თაობა ასეთია.

იმ ღამეს აჩომ პირველად მოსწია, არ მახსოვს, მგონი თვითონ გოგომ გაასინჯა.

მერე კარგა ხანს არ გამოჩენილა, ვიღაც ჭორფლიანებს ველაპარაკებოდი, მახსოვს. დანებზე, რომელი სჯობიამეთქი. ბოლოს ხეში ვარჭობდით.

აჩო ხალხში იყო შერეული და ცეკვავდა.

საშინელი საყურებელია ეს ღრიანცელი, თან იმ სიბნელეში არაფერი მოჩანდა. ვიფიქრე, შინ წავალ და ხვალ დავრეკავ-მეთქი, მაგრამ ამ დროს აჩო გამოვიდა და გვერდით მომიჯდა.

„როგორ არის საქმე?“ — ვკითხე მე.

„არა უშავს?“ — თქვა და გაიცინა. მერე დაამატა: — „რა სისულელეა იმის თქმა, რომ ადამიანი ყველაზე ჭკვიანი არსებაა ბუნებაში“.

„რატომ?“ — გამიკვირდა მე.

„იმიტომ. რომ ცხოველმა იცის, რა გააკეთოს, ჩვენ კი არ ვიცით“, — ისევ გაიცინა.

„კარგი. მე წავალ, ხვალ პირდაპირ მოდი“.

„რვა საათზე“, — მითხრა აჩომ. წავედი. აღარ მინდოდა იქ ჯდომა.

მეორე დღეს საღამოსთვის დამირეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მითხრა, მოვდივარო. დიდხანს არ მიცდია, ნახევარ საათში უკვე ჩემთან იყო.

ჩემს ოთახში შევედით. მუსიკა ჩავრთე. თვითონ ცოტა ხნით გამოვედი. არყის მეტი არაფერი მქონდა. ორი ჭიქა ცხელი ჩაი შევიტანე და რაღაც ნამცხვრები.

აჩო მელოდებოდა.

„გამოიღე ის!" — მითხრა, როცა შევედი. შინ არავინ იყო.

უჯრაში ჩავდე წინა დღეს. იქვე ეწყო ერთჯერადი გამოყენების შპრიცები. ადრე მოვპარე ბიძაჩემს, როცა უცხოეთიდან ჩამოვიდა.

„იცი, ეს რა არის?" — მკითხა აჩომ გამომცდელად.

„კი ვიცი, ოპიუმის სუფთა კონცენტრატია", — წყნარად ვთქვი მე.

„მერე იცი, რა ძვირფასია?!"

„ვიცი".

ამპულა გადავტეხე და წამლის ამოქაჩვა დავიწყე. პირველად გაკეთებისთვის ცოტა ამოვიღე. ასეთი წამალი ძალიან იშვიათია, თუ იშვივი, ნახევარი ამპულაც ბევრია. ეხლა კი უცვე ამდენი გაგვიჩნდა. ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

გასაკეთებლად მოვემზადე. აჩო ჩემთან მოვიდა.

„გამიკეთე!" — მითხრა და ხელი მოგიშვირა, თან ეტყობოდა, ეშინოდა ვენაში ნემსის გაკეთების. თავი მიაბრუნა, ცხვირსახოცი მოვუქირე, თითქმის უმტკივნეულოდ გავუკეთე. რომ ვუჩხვლიტე, თვალები დახუჭა. მაგრამ მერე ყველაფერი აიტანა.

„ეხლა რა იქნება?" მკითხა გაკვირვებული თვალებით.

„არაფერი, დაელოდე".

მეც გავიკეთე. ნახევარი საათი ისე ვიყავით.

Pink Floyd"-ს ვუსმენდი. იმ ადგილს, სადაც ბიჭი ამბობს, ნახვამდის, ხალხო, თქვენ ვერაფერს მეუბნებით ისეთს, რომ მე საკუთარი თავი შევცვალოო.

ცოტა ხანში გულმა სასიამოვნოდ დაიწყო ძგერა. სისხლი აჩქეფდა. ტანში რაღაც ნეტარი ერუანტელი მივლიდა.

მელანდებოდა სამთავიანი დევები, გველეშაპები, ძველი ომები ხმლებით. მეგონა, რომ შემეძლო იქ ჩავმხტარიყავი და მეც მეომა იმათთან ერთად.

აჩოს თვალები მიბნედილი ჰქონდა, უცნაურად იღიმებოდა.

„ანდრო, ღრუბლებს ველაპარაკები. აი, აქ არიან. აგერ!" — თავისთვის ამბობდა. ეს ნაზი სიცილი ძალიან უხდებოდა.

იმ წუთას ძალიან კარგად ვიყავი. გაჭრა უფერული ცხოვრება და ჩემს წინ ფანტასტიკური სამყარო გაიშალა. აქ იყო ყველაფერი — სილამაზეც, მშვენიერებაც. ასე მეგონა, რომ არავის ვიცნობდი და სულელური მოვალეობებისაგან ვთავისუფლდებოდი. ამ პიროპითი ურთიერთობებისაგან, რომლებიც ყველას ძარღვებს გვიშლის. მინდოდა, სადმე დავმდგარიყავი ამაღლებულ ადგილას და მეყვირა:

„რა კარგია, რომ ჩვენ ვართ ამ ქვეყანაზე, რომ ვსუნთქავთ, ვარსებობთ. რა საჭიროა ამაზე მეტი. ვიყოთ ბედნიერები, ვიცოცხლოთ. ვუყუროთ მწვანე ბალახს, მაღალ ხეებს და გავალმერთოთ ისინი. რა საჭიროა ერთმანეთში ბრძოლა, როცა დასადგომი ადგილი ყველასთვისაა დედამიწაზე".

აი, ასე ვფიქრობდი იმ წუთში. თვალწინ მეხატებოდა ბედნიერებით სავსე ქვეყნები და ადგილები. ლამაზი პეიზაჟები, ოდესღაც რომ მენახა, სწრაფად იცვლებოდა ჩემს წინ, ისე რომ გაფიქრებასაც ვერ ვასწრებდი.

არც ერთი წამით არ გამხსენებია არავინ და არაფერი რეალური ცხოვრებიდან. სრული თავდავიწყება შესაძლებლობას მაძლევდა, მეყურებინა ჩემს გვერდზე მდგომი მაგიდისათვის და გავგიჟებულიყავი იმით, რომ ის არსებობდა.

ასე გაგრძელდა სამ-ოთხ საათს, მერე ისევ ყველაფერი თავის კალაპოტში

ჩადგა. უფერული ცხოვრება ნელ-ნელა ბრუნდებოდა.

წამალი საგულდაგულოდ შევინახე. საერთოდ, ყოველთვის მამოწმებდა დედაჩემი, მაგრამ ისეთი ადგილები ვიცოდი, რომ ვერასდროს პოულობდა ჩემს დამალულ ნივთებს.

აჩოს გაუჭირდა მდგომარეობიდან გამოსვლა. ალბათ, იმიტომ, რომ პირველად გაიკეთა. მე მიყურებდა და მიცინოდა.

„ძალიან სასაცილოა ყველაფერი!“ — მითხრა ბოლოს.

„რატომ?“

„იმიტომ, რომ ეს ქვეყანა კრეტინებით არის სავსე!“ — თქვა და ხარხარი დაიწყო. ძალიან ხმამაღლა იცინოდა. შემეშინდა, მეზობლები არ შემოცვენილიყვნენ.

რამდენიმე ბოთლი ბორჯომი მქონდა, გავხსენი და ოთახში შევიტანე. ამასობაში დედაჩემმა დარეკა. ღამემდე არ მოვალ და ჭკვიანად მოიქეციო. მეც ყველაფერზე დავეთანხმე. ყურმილი დავკიდე. გამეხარდა, გვიან რომ მოვიდოდა.

აჩოს რაღაც წიგნი ეჭირა ხელში და კითხულობდა.

„ცხოვრება ღვთაებრივი ძალაა, რომლის ტყუილად დახარჯვა არ შეიძლება“, — წაიკითხა ხმამაღლა. მერე ისევ გაიცინა. — „მოდი, დავლიოთ!“

ბორჯომი დავუსხი.

„მართლა, აჩო. ფული ავიღე“.

გაკვირვებული სახით შემომხედა.

„რა ფული?!“

„აი, ეს,“ — თქვა და უჯრიდან ფულით სავსე ჩანთა ამოვიღე. მერე იმას გადავუგდე. წყნარად დახედა.

„რა უნდა უყო მერე?“

„არ ვიცი“.

„მაშინ მე გეტყვი. ამ ათასი მანეთით იარაღი ვიყიდოთ. დანარჩენით ტყვიები. კიდევ რაღაცები. მოკლედ, თანახმა ხარ?“

„კი, ბატონო“, — ვუთხარი მე.

„ძარგი. ეხლა გავისეირნოთ“, — თქვა აჩომ და ჩანთიდან ასე, ხუთასი მანეთი ამოიღო.

უკვე მოსაღამოვდა. სახლიდან გამოვედით. ქუჩაში ჩუმად მივდიოდით. ორივეს ჩვენ-ჩვენი საფიქრალი გვქონდა.

ვიღაც ულვაშებიანი ქურთი ნაყინს ყიდდა. იქვე, ახლოს პატარა გოგონა იდგა და თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა.

ბიძია, ძაან გთხოვ, რა“, — ეუბნებოდა გამყიდველს ატირებული.

„არა, შვილო, არ შემიძლია“.

აჩო მივიდა გოგოსთან, ხელი მოჰკიდა და გვერდზე გამოიყვანა. ბავშვს ჯერ შეეშინდა, შაგრამ მერე დაწყნარდა.

„რა იყო, რაზე ტირი?“ — ჰკითხა აჩომ.

„ფული შინ დამრჩა და ნაყინს არ მაძლევს“, — გოგონამ ხელი გაიშვირა გამყიდველისკენ.

„მერე რატომ ტირი, არა გრცხვენია?! მაცადე ერთი წუთით“, — თქვა და გამყიდველთან მივიდა.

დიდხანს ელაპარაკებდა რაღაცაზე. მერე დავინახე, რომ გამყიდველმა მთელი ყუთი ნაყინი ამოიღო. სულ მთლიანად, რაც დარჩენილი ჰქონდა და მიწაზე დადგა.

აჩომ ფული გადაიხადა. მერე ძლივს აიღო ყუთი და ჩვენთან მოვიდა.

„მომეხმარე, რა“, — მითხრა მე. მივედი და მხარი შევუდგი ყუთს. მერე გოგონას ჰკითხა: — „აბა ეხლა თქვი, სად ცხოვრობ?“

„აი, იქით, ქუჩის ბოლოში“.

გოგონა სიხარულით გაიქცა წინ. ჩვენ ძლივს მივათრევდით მძიმე ყუთს. ქუჩაში ხალხი ჩერდებოდა და უყურებდა ჩვენს გაჭირვებულ სახეებს.

დიდი ხანი ვათრიეთ.

ბავშვი წინ და უკან დახტოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ სადარბაზოს, მეოთხე სართულზე ავიტანეთ ყუთი. დავდგით და ქანცგაწყვეტილები წამოვედით უკან.

როცა მოვდიოდით, ზემოთ ავიხედეთ, გოგონა ყუთს აჯდა და გვიცინოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაში სიგარეტი ვიყიდეთ.

მერე დიდხანს ვიარეთ, და ბოლოს ერთ მაღაზიაში შევედით, აქეთ-იქით ვიხედებოდი, რომ დამენახა, რა იყიდებოდა, დანლზე საღებავები იდგა.

აჩო გამყიდველთან მივიდა.

„თუ შეიძლება, მანქანის შესაღები პულვერიზატორი, ათი ცალი“, — უთხრა და ფული გაუწოდა.

„რა ამბავია ათი!“ — გაეცინა ქალს. „არა უშავს. მოგვეცით“.

გამყიდველმა გადმოიღო სხვადასხვა ფერის ათი რკინის ყუთი და ჩვენს წინ დადგა. აჩომ შეამოწმა. ყველა კარგი აღმოჩნდა. გახარებული სახით შემომხედა, თითქოს რაიმე დიდი საქმე მოითავაო.

„წავედით!“ — მითხრა და ჩქარი ნაბიჯებით ქუჩას გაუყვა. უკვე ბნელოდა.

კარგა ხანს ვიარეთ და მივედით დიდ თეთრ სახლთან. აჩო სადარაბაზოში შევიდა. აქეთ-იქით იხედებოდა, მერე პულვერიზატორი ამოიღო.

კედლები ყველა ფერად შეღება. ვიღაცაზე წერდა ცუდ რაღაცებს. არ მახსოვს სახელი, მგონი ვიღაც ქალზე. ეტყობა, ის ქალი იმ სახლში ცხოვრობდა. მთელი სადარბაზო მოჩატა.

რო მოვდიოდით ვკითხე:

„ვინ არის?“

„სკოლის დირექტორია“, — ჩაილაპარაკა თავისთვის. შევატყვე, რომ ბოლმა მოაწვა. პირველად დავუნახე ასეთი ბოროტი გამომეტყველება, არც ვიცოდი, რომ გაბრაზება შეეძლო.

არ ჩავეკითხე, მივხედი, რომ დირექტორის გამწარება უნდოდა.

ინ ღამეს კარგად მეძინა, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. მეორე დღეს არავინ მინახავს. ვიჯექი და ვთარგმნიდი წერილებს ჟურნალებიდან რომელიღაც ტერორისტულ ჯგუფზე და კიდევ როკის მომღერლებზე.

სადმე წასვლის თავი არ მქონდა, არც ისეთი ხასიათზე ვიყავი, რომ მემხიარულა. დედაჩემი მთელი დღე შინ იჯდა, ბლომად საქმეები გააკეთა და საღამოს აგარაკზე წავიდა მამასთან. პარასკევს ყოველთვის მიდიოდა, რომ შაბათკვირა იქ გაეტარებინა. თუ აუცილებელი არ იყო, შინ თითქმის არ ვლაპარაკობდით.

„ხვალ დილით დავრეკავ, იცოდე“, — მითხრა წასვლის წინ.

„კარგი“, — ვთქვი და გამოვემშვიდობე.

გვიან საღამომდე ტელევიზორს ვუყურებდი. აღარ მახსოვს, რას. ყველა ფილმი ერთმანეთს დაემსგავსა, ამიტომ არც ერთი არ მამახსოვრდება.

ვერაფრით გავერთე. ლოგინშიც სულ ვბორგავდი, ნერვები მითამაშებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა, მაგრამ ღამის სამ საათზე ვიღაცამ ზარი დარეკა. ძალიან გამიკვირდა. ვიფიქრე, გიჟი მეზობელი იქნება-მეთქი, და გადავწყვიტე. კარი არ გამეღო.

ცოტა ხანში კარზე ჯანუნი და ბრაგაბრუგი ატყდა. შემეშინდა, შინ ფული მქონდა, ვიფიქრე, ვინმემ ხომ არ გიგო-მეთქი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ სისულელეს ვფიქრობდი.

ნელა მივედი კართან. მამაჩემმა რამდენიმე საკეტი დააყენებინა. არ ვიცი, რისი ეშინოდა, ამიტომ, ჩარაზული კლიტეების გაღებას დიდი გაჭირვებით ვახერხებდი.

ზღურბლთან გალურჯებული, ოფლიანი აჩო იდგა, ბარბაცებდა. სახეზე უცნაური გამომეტყველება ჰქონდა. სწრაფად შემოვიდა.

მე კარი ჩავკეტე.

„საიდან გაიგე, რომ მარტო ვიყავი?“

— ვკითხე გაკვირვებულმა.

„არ გამიგია“.

„აბა რა მოხდა?“

„არ ვიცი, ანდრო, ორი დღეა მაკანკალებს, კედელს თავს ვურტყამ“.

მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო სქმე. ზოგი ადვილად ვერ ეჩვევა წამალს, ზოგი კი პირველი გაკეთების მერეც ვერ ძლებს უმისოდ.

შპრიცი ამოვიღე და ამოვქაჩე. აჩომ ხელი მომიშვირა, თან ცხოველის თვა-

ლებით მიყურებდა, სანამ ბოლომდე არ შევიდა წამალი.

თვითონ არ გამიკეთებია.

ცოტა ხანში აჩო დაწყნარდა, შემომზედა და ისევ ისე ნაზად გაიცინა, როგორც ყოველთვის.

„იცი რა, შეიძლება გოგი სწორიც არის, არ ვიცი“. — ეს თქვა და თვალები დახუჭა.

ნახევარ საათში სახე მთლიანად დაუწყნარდა, იატაკზე გაწვა და ჭერს უყურებდა. მერე ჩემკენ მოტრიალდა და თქვა:

„თუ თავს მოვიკლავ, აუცილებლად ისე. როგორც იმან“.

„ვინ?“

„არა აქვს მნიშვნელობა. წადი, ჩაი ადექეო“, — მითხრა სერიოზულად.

საშინლად მეძინებოდა. თავს ვსძლიე და ავდექი. სამზარეულოში, როგორც ყოველთვის უამრავი მწერი ირეოდა. შუქი ავანთე თუ არა. ყველა აქეთ-იქით გაიფანტა.

ჩაი დავადგი.

აჩომ „Pink Floyd“-ი ჩართო და საკარძელში ჩაჯდა. თვალებზე ცრემლები მოადგა.

„იცი, ყოველთვის მეგონა, რომ ოცნებას ბოლო არ აქვს. ეხლა კი საშინლად ვარ, აღარ შემიძლია ვიოცნებო, ვერაფერით ვცილდები ამ ქვეყანას, ვერ გამოგია, რა ხდება!“

მე ვუყურებდი და ჩაის ვსვამდი.

„ალბათ, თუ ოცნება აღარ შეგიძლია, უნდა მოკვდე“, — თქვა სევდიანად.

„არ ვიცი“.

აჩო ისევ იღიმებოდა. მერე მითხრა, ხვალ იარაღი უნდა ვიყიდოთო. უკვე მოლაპარაკებოდა თავის ნაცნობს.

უცნაური მოღრუბლული ღამე იდგა, არც ერთი ვარსკვლავი ცაზე არ ჩანდა. ამ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს ძალიან უხდებოდა ის ნაღვლიანი მუსიკა.

„ანდრო, გჭირდება წამალი?“ — მკითხა აჩომ.

„არა“.

„მაშინ მე მომეცი“.

ამოვიღე უჯრიდან წამალი. იქვე ათი შპრიცი მჭონდა, სულ მივეცი.

იმ დროს ალან პარკერის ფილმი ვნახე. ჩემზე ძალიან იმოქმედა. მახსოვს, თვალებიდან ცრემლებიც გადმომცვივდა, როცა ვუყურებდი. იმიტომ კი არა, რომ სენტიმენტალური ფილმია, არა...“

კაცი იხსენებს ომს, როგორც თავისი ცხოვრების ნათელ ხანას. მშვიდობიან ცხოვრებაში ვერავითარ აზრს ვერ ხედავს. აი, ამიტომ მეტირებოდა, რომ ბევრი რამე დავინახე ჩემი განცდილიდანაც.

ვიჯექი და ვფიქრობდი, ამ დროს აჩო მომიტრიალდა და რაღაცნაირი უცნაური ხმით მითხრა:

„ჩვენი მშობლები გაიყიდნენ, ყველანი გაიყიდნენ“.

„ვინ გაიყიდა?“

„ყველანი. ტკბილ ცხოვრებაზე გაიყიდნენ. მე მძულან ისინი“.

„საერთოდ, არ იფიქრო ამაზე“. — ვუთხარი მე.

„მართალი ხარ“.

შევატყვე, რომ ძლიერი გამოხედვა ჰქონდა. ძალიან დიდ ძალას ასხივებდა, გაბოროტებულ ძალას.

დილით დედაჩემმა დარეკა. მკითხა, როგორ არის საქმეებიო, მე ვუთხარი, არაფერია სანერვიულო და ეხლა სახლიდან გავდივარ-მეთქი. კარგიო.

ჩაი დავლიეთ და გავედით. ბევრი მატარა ჩემთვის უცნობ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში. სადღაც, პირველ სართულზე ვიღაცას უნდა შევხვედროდით.

არ ვიცი, რატომ არ მეუბნებოდა არაფერს.

შუადღისათვის მზე უკვე კარგა მაგრად აჭერდა. მაღალი, უშნო და ოთხკუთხედი სახლები თავისთვის იდგნენ. ჩვენც ვიდექით და სივრცეში ვიყურებოდით.

ცოტა ხანში ვიღაც არასიმპათიური ტიპი მოვიდა, აჩოს მიესალმა. მერე გვითხრა, მე მომყევითო. შიგნით კვარტალებში შეუხვია. ბევრი ვიარეთ სახლებს შუა, გზას ვერც ვიმახსოვრებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ერთ ძველ, უშნო შენობასთან მიგვიყვანა. გვითხრა, პატარა ხანს მოიცადეთ, მალე დაგიძახებთო. იქვე, თეთრი სკამი იდგა. იმაზე დავსხედით.

ზემოთ ვიყურებოდი. ფანჯრიდან ვიღაც ქალი გადმოყუდებულიყო. რომ გავხედე, შემამჩნია, ხელი დამიქნია, აქ მოდიო. მე ავდექი და ნელა მივედი.

„გენაცვალე, აგერ ეს ამომიგდე, თუ არ შეწუხდები", — მითხრა და ხელით მანიშნა მიწაზე დაგდებულ ჯაგრისზე.

მესამე სართულზე ცხოვრობდა. ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მერე მაინც ავუგდე.

„იცოცხლე, შვილო!" — თქვა და კმაყოფილი სახით მოსცილდა ფანჯარას. დავბრუნდი სკამთან.

ის ბიჭი არ ჩანდა. აჩო ჩუმად იჯდა, ზემოთ იყურებოდა.

ის ბიჭი დაახლოებით ერთი საათის მერე ჩამოვიდა. მახსოვს, საშინლად არ მომეწონა.

„ავედით!" — გვითხრა, და ჩვენც გავყევით. მეხუთე სართულზე ავიდა.

ზარი დარეკა. გაიღო ძველი კარი. ხნიერმა ქალმა შეგვიპატიჟა. დიდ ოთახში შევედით. კედელზე ვიღაც კაცის სურათი ეკიდა.

შევამჩნიე, რომ წითელი ხის კარადები იდგა, ერთ-ერთში წიგნაკები ეწყო. ფერის მიხედვით გაეწყოლებინათ — ჯერ მწვანეები, მერე, წითლები მერე ლურჯები და ასე, ლამაზი სანახავი იყო.

ამ დროს იმ ტიპმა პატარა ოთახის კარი გაიღო. ჩვენც შევყევით. ერთმანეთის პირდაპირ ორი საწოლი იდგა. ერთ-ერთზე ჩასუქებული, მოლიანად დამუწყაებული კაცი ეგდო. თვალები დახუჭული ჰქონდა, პირი გაეღო. ეტყობოდა, მოძრაობა არ შეეძლო.

„ეე, მოვიდნენ!" — უთხრა მეორემ და შეანჯღრია.

კაცს არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, უბრალოდ, თავი მიაბრუნა გვრდზე.

„ერთი წუთით". — გვითხრა მეორემ და კარადიდან რაღაც ფლაკონი გამოიღო. გაუხსნა და ცხვირთან მიუტანა.

ნიშადურმა იმოქმედა. კაცმა თვალები გაახილა. ზემოთ, ჭერში იყურებოდა. ბოლოს ხმა ამოიღო:

„რა სიკვდილი გინდათ, რატომ გამაღვიძეთ?! სადა ვარ?"

„სახლში..." — დაწყნარა მეორემ.

„სახლში?! არაფერი მახსოვს. ვინ მომიყვანა?"

„მე".

„აა, შენ?" — ეს თქვა, ისევ დახუჭა თვალები და მეორე მხარეს გადატრიალდა. ყველაფერი გაარკვია, რაც აინტერესებდა.

მეორე ჩვენ გვებოდიშებოდა.

„სუ მთლად ქიმიაზე გადავიდა და ამიტომ ჭირს ეს, — გვიხსნიდა ის. — გუშინწინ ბევრი ყლაპა. მერე დალია. იმის მერე სულ სძინავს".

ჩვენ ჩუმად ვისხედით ლოგინზე.

„ესენი იმ ამბავზე არიან!" — უთხრა და კიდევ ერთხელ მიუტანა ნიშადური ცხვირთან.

იმან თავს ძალა დაატანა, ჩვენკენ გადმობრუნდა და ცალი თვალით გამოგვხედა.

„რა ამბავზე?"

„აი, იმაზე..." — და რაღაც ანიშნა.

„აა, ჰო, სუ დამავიწყდა".

„ფული აქა აქვთ".

„მერე რაღაც პატარები ჩანან, აი!" — და ისევ აგვათვალიერა, განძრევა არ შეეძლო.

„რამდენს გვაძლევთ?" — გვკითხა ჩვენ.

„ორივეში ათასს და ტყვიებში კიდევ სამასს!" — უთხრ აჩომ.

„აბა, მომეხმარე!" — და ადგომა დაიწყო. რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. მერე მე მითხრა: „მე არ მოგატყუებთ. ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენც მოვიგოთ და თქვენც. წამო, გაჩვენებ. თუ მოგეწონა, წაიღე".

ვამიყვანა ლოჯიაში. კედელზე რაღაც პლაკატები იყო გაკრული. ხელით მოსინჯა ერთ-ერთი. მერე მაგრად გამოქაჩა და კარადის კარი გაიღო.

კინაღამ თვალთ დამიბნელდა, როცა შიგნით მთელი არსენალი დავინახეთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლვერები, ავტომატები და უამრავი ტყვია, ჩვენი და საზღვარგარეთული წარმოების... რა ვიცი, კიდევ რას არ ნახავდა იქ კაცი.

გვერდზე. ცოტა მოშორებით, ფული იდო. ათმანეთიანების მთელი შეკვრა. ვივარაუდე, ალბათ, ასე, ოცი ათასი იქნება-მეთქი, მაგრამ, ეტყობოდა, ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო.

„ეხლა ფული მჭირდება, თორემ არ გავყიდდი". — მითხრა და ორი რევოლვერი გადმოიღო. ერთი ვერცხლისფერი, მეორე ძველი ბულდოგი. ხელში ათთამაშა.

ვერცხლისფერი თვალს მჭრიდა. იმ წუთას არაფერი მინდოდა ქვეყანაზე, იმის გარდა.

„ხედავ, რა კარგი რამაა?! — მითხრა ჯიბეში და მომაწოდა. — წაიღეთ, ოღონდ ფული ეხლავე უნდა მომეცეთ".

„კი", — ვუთხარი მე. ჯიბეში ორი ათასი მედო.

„აი, ესეც", — კიდევ ერთხელ გააღო კარადა. ორი კოლოფი გადმოიღო. ზემოდან ინგლისურად ეწერა რაღაც.

„ეს სამასი. ჰო?" — ვკითხე მე.

„თუ გინდა, ორას ორმოცდაათი. ჩემთვის ხუთ თუმანს მნიშვნელობა არა აქვს".

„არც ჩვენთვის", — ვთქვი მე და ჯიბიდან ფული ამოვიღე. ზუსტად ათას ოთხასი მანეთი მივეცი. ასი ჩემით დავუმატე.

ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი იყო.

იარაღი და ტყვიები ქაღალდში შეახვია. მერე დიდ ჩანთაში ჩადო და მომცა.

„ესეც შენ! ფრთხილად იყავი, ძალლებს ერიდე!"

„ვიცი", — ვუთხარი მე.

აჩო გასასვლელში მელოდებოდა. მეორე ტიპმა, რომელმაც მოგვიყვანა, კარი გააღო და პირველ სართულამდე ჩაგვაცილა.

იარაღი ჩემთან მივიტანეთ. გავწმინდეთ, მოვაწესრიგეთ. მერე შევამოწმეთ. ყველაფერი კარგად იყო.

აჩომ თავისთვის ბულდოგი აირჩია. ვერცხლისფერი მე დამითმო. ტყვიები შუაზე გავიყავით. ორმოცდაათ-ორმოცდაათი გვერგო.

უცებ შევამჩნიე, რომ აჩოს ოფლმა დაასხა. სახეზე ტკივილი დაეტყო. ჯიბიდან შპრიცები და წამალი ამოიღო.

„გამიკეთე, თორემ გავგიჟდები!" — ეს მითხრა და ტახტზე დაეცა.

უცებ გავუკეთე წამალი. დიდი გაჭირვება არ დამდგომია.

ამის მერე კარგ ხასიათზე მოვიდა. ხუმრობდა. ლაპარაკობდა, იცინოდა.

წამალი ძალიან ბევრი გექონდა. ასე რომ დაახლოებით ორ-სამ თვეს თავისუფლად გვეყოფოდა ორივეს „იმ შემთხვევაშიც", თუ ყოველ დღე გავიკეთებდით. მე შეჩვევა არ მინდოდა, ამიტომ უცებ შევწყვიტე, ყოველთვის ასე ვიყავი, როცა მინდოდა, მხოლოდ მაშინ ვიკეთებდი.

აჩომ გაიგრძელა. მის მერე ხშირად ვატყობდი, რა ჩალურჯებული ჰქონდა თვალები, რა ადვილად ღიზიანდებოდა ყველაფერზე, რა უცნაურად ჩაფიქრდებოდა ხოლმე, ვხედებოდი, რომ აღარ შეეძლო უწმაწლოდ გაძლება.

მინდოდა დავხმარებოდი, მაგრამ მაშინ ასე მქონდა გადაწყვეტილი, სხვის საქმეში არ ჩავრეულიყავი, ამიტომ, არაფერს ვეუბნებოდი. რატომღაც მჯეროდა, რომ შეძლებდა თავის დანებებას.

მით უფრო, რომ ძალიან ბევრს მუშაობდა, მთელ ძალებს ახარჯავდა წერას. ეტყობოდა, რაღაც დიდს და მნიშვნელოვანს მოჰკიდა ხელი. არ მიკითხავს, მაგრამ ვხედებოდი, მთელ იმედებს ამაზე ამყარებდა. მჯეროდა, რომ აჩო დიდი მწერალი გახდებოდა.

ეს კი მისთვის გამოცდა იყო და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა — ეხლა ვხედავი, როგორ შევაცდი ჩემს ვარაუდში.

აჩო ჩვენს შორის ყველაზე სწორ, ადამიანურ გზას ადგა.

ყველასთან შეეძლო მოენახა საერთო ენა. მისი ცხოვრება სავსე იყო, ჩვენ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცლილი და ყოველგვარ აზრს მოკლებული.

აჩომ მასწავლა, როგორ უნდა მეცხოვრა სხვისი ცხოვრებით, სხვისი პრობლემებით. როგორ უნდა მეთანაგრძნო, მყვარებოდა. ამაზე არასდროს გვილაპაკარია, მაგრამ, მთელი თავისი არსებობით ასხივებდა ამას.

თვითონ გოგიმაც შეატყო ეს. მახსოვს, ერთხელ მითხრა, ბაღში როცა ვისხედით და უაზროდ ვლაპარაკობდით:

„ეცნაური ბიჭია. ეგეთები დიდხანს არ ცოცხლობენ“.

რა საშინელებაა, მაგრამ ეტყობა, ჩვენ, ადამიანებს, მოსვენებას არ გვაძლევენ ასეთები. რაღაცას აღვიძებენ ჩვენში, რაც დაგვანახებს საკუთარ ნაკლს. შეიძლება ამას სინდისიც არ ჰქვია. არ ვიცი. მოკლედ, ის, რასაც ჩვენ მთელი ცხოვრება ვათვინიერებთ და თანაც მის იგნორირებას ვცდილობთ.

აჩო ყოველ გათენებულ დილაში დიდ ბედნიერებას ხედავდა და არასდროს იტყოდა ამაზე. პირიქით, სულ ცდილობდა, გასაჭირზე ელაპარაკა. იმიტომ , რომ სინდისი უფლებას არ აძლევდა საკუთარი ბედნიერებით გაეხარა, მაშინ როცა სხვებს უჭირდათ.

ეს ყველაფერი არაჩვეულებრივად გულწრფელად ხდებოდა და არა პოზურად. იმის მერე, რაც წამლის გაკეთება დაიწყო, აჩო სულ სხვანაირი გახდა, გაბოროტებული, არავისთან სიახლოვე არ სიამოვნებდა, რაღაც აზრი ჰქონდა აკვიატებული და სულ იმაზე ფიქრობდა. ნაზი და ლამაზი ღიმილი — ძლიერი, გაბრაზებული გამოხედვით შეეცვალა.

ძალიან მიკვირდა, რად დასჭირდა იარაღი-მეთქი. მინდოდა მეკითხა. მაგრამ ვერ მოვახერხე, უხერხულობას ვგრძნობდი.

ამსობაში შემოდგომა მოვიდა. ამის მერე ხშირად ავდიოდით ბაღში. იქ, როგორც ყოველთვის, საშინელი ლრიანცელი იდგა. ორი თვის განმავლობაში არაფერი ისეთი არ მოხდარა გარდა ერთი შეძთხვევისა.

ერთხელ გვიან ღამემდე შევრჩით ბაღში. აჩომ მოსწია. მერე დიდხანს ირეოდა ხალხში. მე ვიჯექი და რაღაცაზე ველაპარაკებოდი ერთ ჩემს ძველ ნაცნობს.

მილიცია ბაღში იშვიათად ამოდიოდა. აქ ვინც იკრიბებოდა ყველა ისეთი კაცის შვილი იყო, რომ მეორე დღესვე გამოაშვებინებდა თავის ნაშიერს. ამიტომ არ რისკავდნენ, მაგრამ, როცა გოგო-ბიჭებს ძალიან გაუვიდოდათ თავს, ერთხელ ამოგრიალდებოდნენ მანქანით და დაიშინებდნენ.

ეს უფრო მაშინ ხდებოდა, როცა ხალხი იჩივლებდა, როცა ნარკომანები ყველა ნორმას არღვევდნენ და უკვე გაშველელ-გამომველებსაც უტევდნენ.

მოკლედ, ამ ღამეს თურმე ბაღს ალყა შემოარტყეს. როგორც კი დაბნელდა, ჩასაფრდნენ. გარეთ რამდენიმე მანქანა დააყენეს, იქ უნდა ჩაეყარათ, ვისაც დაიჭერდნენ.

მე ადრეც მოვსწრებივარ ასეთ რამეებს. მაგრამ, ყოველთვის ვიმალებოდი. უმრავლესობა გაქცევას ასწრებდა. მილიციაც არ ცდილობდა, ყველა დაეჭირა. რამდენიმეს ხელს სტაცებდნენ და მიდიოდნენ. ამ სიტუაციას გოგი წინასწარ გრძნობდა. ისეთი თვალი ჰქონდა, რომ არ გამოეპარებოდა ჩასაფრებული მილიციელები. ყოველთვის ცოტა ადრე მიდიოდა. და რაც შეიძლებოდა, შეუმჩნევლად.

იმ ღამეს ძალიან ხმაურობდნენ. მე იმდენად გავერთე ლაპარაკით, რომ ვერ შევამჩნიე, როგორ წავიდნენ გოგი და ისინი, ვინც მასთან ერთად იჯდა.

მუსიკა მთელ ხმაზე ჩაერთოთ. ცეკვავდნენ. ერთმანეთში ირეოდნენ. ზოგი მიწაზე იწვა, ზოგი — ერთმანეთზე. ძალი პატრონს ვერ სცნობდა.

ამ დროს ვიღაცამ ისტერიული ხმით დაიყვირა:

„ძაღლები!“ —

არ მახსოვს, რას ვშვრებოდი იმ წუთს. მაგრამ ვიცი, რომ ყველა გარბოდა, ვისაც სად შეეძლო. ზოგი კედელზე ძვრებოდა. ზოგი — ლობეზე. ვიღაცები ბუ-

ქებში იმალებოდნენ. გოგოებმა საშინელი წივილი მორთეს.

რამდენიმე დიდქუდიანი მილიციელი დარბოდა და ხმამაღლა ყვიროდა: „მოდით აქ, თქვე ნაბიჭვრებო!“

ყველა თავზარდაცემული იყო.

მე ცოტა ხანს მოვიცადე. მერე წყნარი ნაბიჯით მივუახლოვდი გასასვლელს, დავინახე, რომ არავინ იდგა, შემეძლო მაშინვე გავქცეულიყავი, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის, უკან მივიხედე.

სიბნელეში შემთხვევით თვალი აჩოს მოვკარი. მილიციელს დაეჭირა და აქეთ, მანქანისკენ მოჰყავდა, ის წინააღმდეგობას არ უწევდა, წყნარად მოაბიჯებდა.

რატომღაც გადავწყვიტე, ახლოს მივსულიყავი.

„რა მოხდა?“ — შევეკითხე მილიციელს.

„არაფერი, ცოტა, გამოვაფხიზლებთ და მერე შინ გავუშვებთ“, — მითხრა უხეშად იმან, თან ამხედ-დამხედა.

„ეგ არაფერ შუაშია“, — არ ვეშვებოდი მე.

„შენ რაღა გინდა, გაიარე!“

„მაგას არ მოუწევია“, — მაგრამ ამის დაჯერება შეუძლებელი იყო. აჩო ფეხზე ძლივს იდგა.

„წადი, გაიარე!“

არ ვიცი რატომ, მაგრამ სისხლმა თავში ამასხა, სხვა დროს ძალიან მეშინოდა მილიციის.

„მაშინ მეც წამოგყვებით!“ — ვუთხარი მე. მილიციელმა ხელი ჩამჭიდა და ორივენი მანქანისაკენ წაგვიყვანა.

გზაში ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო და უცებ ჩამჩურჩულა ყურში, ისე რომ ვერავინ გაიგო:

„ნუ გეშინიათ, გოგის ვეტყვი, ხვალვე გამოგიშვებენ“.

მოვტრიალდი. სიბნელეში არავინ ჩანდა.

მანქანაში შეგვყარეს. კიდევ ვიღაც ოთხი დაიჭირეს, ყველაზე ფხიზლად მე ვიყავი.

მე და აჩო ერთმანეთის გვერდით დაგვსხეს. ხელები შეგვიბორკეს. ეტყობა, ბორკილები ბევრი არ ჰქონდათ. ამიტომ ორივეს ცალ ხელზე მოგვამაგრეს. ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთს მიგვაბეს.

მთვარის შუქზე მანქანა ნელ-ნელა მიგორავდა.

„ეხლა რა იქნება?“ — ჩუმად ჩამჩურჩულა აჩომ.

მე გავხედე. არავინ გვისმენდა.

„ზედმეტი არაფერი წამოგცდეს!“

„გამოგვიშვებენ?“ — ისევ მკითხა ბავშვივით.

„ვნახოთ...“

ვიცოდი. რომ მესამე დღეს აუცილებლად გამოგვიშვებდნენ.

ყველანი მილიციის საკნებში ჩაგვყარეს, იქვე, სამორიგეოსთან. აჩო მეორეში მოხვდა, — მე მეოთხეში.

მორიგე მილიციელი თავის ადგილას იჯდა. ცოტა ხანში ტელეფონმა დარეკა.

„ო, დავაპატიმრეთ. გასაგებია!“ — თქვა და ყურმილი დაკიდა.

ვიცოდი, რომ დაგვკითხავდნენ.

ცოტა ხანში მე და აჩო ერთად გაგვიყვანეს სამორიგეოში. მილიციელმა ორივეს ქეჩოში ჩაგვავლო ხელი, თან გვირტყამდა, თუ რამე არ მოეწონებოდა.

„ჩქარა იარეთ!“ — ყვიროდა უკანიდან.

ბოლოს, როგორც იქნა, შევედით რომელიღაც ოთახში. მაგიდასთან მაღალი, გრძელცხვირა კაცი იჯდა, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. კარგად მახსოვს, დიდხანს წერდა რაღაცას, ისე რომ ჩვენკენ არც ამოუხედია.

მორიგემ დაგვაყენა და თვითონ გვერდით ამოგვიდგა. ტელეფონმა დარეკა. გრძელცხვირამ დიდხანს ილაპარაკა, სანამ ჩვენთვის მოიცლიდა.

მერე ადგა და მოგვიახლოვდა, თან ცინიკურად იცინოდა.

„ეს რა კარგი ბიჭები მოგიყვანია?“ — უთხრა მორიგეს.

„კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ხანდახან ეწევიან“, — ხუმრობაში ამყვა მეორე.

„არა, მე მაგას არ დავიჯერებ. — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგრძო გრძელცხვირამ. — არა გრცხვენიათ, ბიჭებო?!"

დამცინავი და გაბოროტებული სახით გვიყურებდა.

„აი შენ, რომელ კლასში ხარ?" — ჰკითხა აჩოს.

იმას გაეცინა.

„რას იცინი, მიპასუხე, რომ გეკითხები!" — და გაშლილი ხელი პირდაპირ სახეში ხეთქა.

აჩო დაბარბაცდა და წაიქცა. მორიგემ წიხლი ჩასცხო წაქცეულს.

„სამი წელია, რაც სკოლა დაამთავრა!" — ვუთხარი მე.

გრძელცხვირა ჩემკენ მოტრიალდა. მოულოდნელად ხელი მუცელში დამარტყა. რომ ჩავიკეცე, წიხლი მომხვდა ზურგში. აჩოს გვერდით აღმოვჩნდი.

„შენ ვინ გეკითხება, რო მპასუხობ. მე თქვენ გიჩვენებთ ძველბიჭობას!" — ბრაზიანად ყვიროდა გრძელცხვირა.

დაცემულებს კიდევ რამდენჯერმე ჩაგვაზილეს წიხლი. მერე, როცა დერეფანში მივყავდით. თითქმის ყველა იქ მყოფმა მილიციელმა დაგვარტყა.

ბოლოს მორიგემ საკანში შეგვყარა. არაფრის თავი არ მქონდა, იატაკზე ვეგდე და მეძინა. დღის ორ საათამდე არ გამიღვიძია. საკანში მარტო ვიყავი.

მეორე დღესვე გამოგვიშვეს, სიხარულისაგან ერთმანეთს ვეხვეოდით. აჩოს სახე ალაგ-ალაგ მთლიანად ჩალურჯებული ჰქონდა.

თითქმის მკვდარი ვიყავი, როცა შინ მივედი.

დაახლოებით ორი კვირა სახლში ვიჯექი, იარებს ვირჩენდი. ასეთი ნაბეგვი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. თანაც მეშინოდა, რაიმე ახალ ფათერაკს არ გადავყოფილ. ...

იმ დღეებში ნათესავმა უცხოეთიდან მოკარტის კარგი ჩანაწერები ჩამომიტანა. დილიდან საღამომდე ვუსმენდი. აბსოლუტურად არავის ნახვის სურვილი არ გამჩენია.

ამ ხნის განმავლობაში აჩოს არც ერთხელ არ დაურეკია.

ორი კვირის მერე უკვე უნივერსიტეტშიც წავედი. სხეული მთლიანად მოშუშებული მქონდა. უკვე ოქტომბრის შუა რიცხვები იდგა და საქმიროიყო ლექციებზე სიარული.

არ მახსოვს, რა თვე იყო, მოკლედ, კაი ხანი გავიდა მას მერე, რაც მილიციაში ვიყავით.

უნივერსიტეტში წასვლას ვაპირებდი. დილის ცხრა საათი იქნებოდა, ტელეფონმა დარეკა. —ყურმილი ავიღე. აჩო იყო. თუ შეგიძლია, ნახევარ საათში შემხვედიო.

უარის თქმა არ შეიძლებოდა. ...ვერ ...ერც მითხრა, რა საქმეზე გეპირდებოდი. ამიტომ, ჩავიცვი და დანიშნული ადგილისაკენ წავედი.

ის ჩემზე ადრე მოსულიყო. სახე ისევ მხიარული ჰქონდა. ნაირევი თითქმის აღარ ეტყობოდა. ხელში რაღაც ეჭირა. მგონი, ქაღალდები.

„წავედით!" — მითხრა, როცა მივუახლოვდი.

„სად?" — ვკითხე მე.

„სად და, რედაქციაში, დღეს წყდება ჩემი ბედი, მინდა, რომ შენც იქ იყო".

„აა!"

„რედაქტორს ვკავარ დაბარებული. ერთი კვირის წინ მივუტანე. იცი, მე მგონი, კარი გამოვიდა. ეს მილიციაც ძალიან მომეხმარა. მოკლედ, კმაყოფილი ვარ".

სახეზე ისევ ის სიხარული ეტყობოდა. აღარ ჩავკითხებივარ. რედაქციამდე ტაქსით მივედით.

კართან მცველი იდგა და არავის უშვებდა. აჩომ უთხრა, რედაქტორთან ვართ დაბარებულნო. დაურეკეთო, ტელეფონის ნომერი მოგვცა.

ცოტა ხანში მდივანმა დარეკა მცველთან. ჩვენ მეორე სართულზე ავედით.

შუა ხნის ქალი მოგვიახლოვდა.

„ვის ეძებთ?" — გვკითხა და გაგვიღიმა.

„რედაქტორთან ვართ დაბარებულები", — უთხრა აჩომ.

„მესამე სართულზე და მარჯვნივ, პირველი კარი!" — თქვა ქალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავედით მესამეზე. კაბინეტის წინ მდივანი ქალი იჯდა.

„ეს ვინ არის?“ — ჰკითხა ჩემზე აჩოს.

„ჩემი მეგობარია“.

„შედით“, — უთხრა აჩოს და კარი შეაღო.

რედაქტორს დიდი კაბინეტი ჰქონდა. რამდენიმე მაგიდა ერთმანეთზე მიედგათ. პირდაპირ ფერადი ტელევიზორი ედგა.

თვითონ რედაქტორი ერთ-ერთ მაგიდას უჯდა, თავი ქაღალდებში ჰქონდა ჩარგული. რომ შევედით, წამოიწია, ზრდილობიანად გაგვიღიმა და სკამზე მიგვითითა.

„აჩიკო, არა?!“ — მკითხა მე.

„არა, ეს ჩემი მეგობარია“, — უთხრა აჩომ.

„ძალიან სასიამოვნოა“, — თქვა რედაქტორმა და ორივეს ხელი ჩამოგვართვა.

ჩვენ მაგიდასთან დავსხედით.

„წაიკითხე შენი მოთხრობები, — უთხრა რედაქტორმა აჩოს. — ეტყობა, რომ ნიჭიერი კაცის დაწერილია“.

ამის მერე ისევ გაიცინა. აჩო ყურადღებით უყურებდა.

„მაგრამ ცოტა ზარმაცი ხარ, არა?!“ — ნიშნის მოგებით ჰკითხა რედაქტორმა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მაღიზიანებდა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქმის სიბავშვო ბაღში ვიყავით.

აჩო წამოწითლდა.

„ძალიან ბევრი ვიმუშავე მაგ მოთხრობებზე“. — თქვა მორცხვად.

„კი, ბევრი იმუშავე. მაგრამ, ხომ იცი, მეტია საჭირო. კიდევ ერთხელ უნდა გადაწერო. თუ არ მოგეწონა, კიდევ და ასე შემდეგ“.

საშინლად მაბრაზებდა ეს კილო, ისე მოგვმართავდა, როგორც ნამდვილ კრეტინებს.

„მე არ მიმაჩნია, რომ ამ მოთხრობებს კიდევ უნდა გადაკეთება“, —თქვა აჩომ.

„თუ არ გეწყინება, კიდევ ერთი პატარა შენიშვნა მაქვს...“

„თქვით...“

„აი, ვთქვათ, თემა. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს თემა? რა საჭიროა გარეწერებზე წერა, როცა გვერდით ამდენი კაი ხალხი გვყავს. აი, მაგალითად, ის, ვინც აქ დარეკა. თუ არ ვცდები, მამაშენის მეგობარია. იმაზე დაწერე“.

აჩო ერთიანად წამოწითლდა.

„კი მაგრამ, ის ჩემხელა არაა. მე ჩემ თაობაზე ვწერ. ჩემი თაობის პრობლემებზე...“

„მერე შენ თაობაში ცოტაა კაი ხალხი? — შეაწყვეტინა რედაქტორმა. — დაწერე კომკავშირზე, კარგ ახალგაზრდებზე. რატომ აირჩიე ეს ნარკომანები. მე პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ აუცილებლად დაგიბეჭდავ თუ...“

„თუ რა?!“ — ჰკითხა აჩომ.

„ნუ ბრაზდები, მთელი ცხოვრება წინა გაქვს. მწერალი თანდათანობით იზრდება“.

„მოკლედ თქვით. რას მიპირებთ?“ — პირდაპირ მიახალა აჩომ.

„კარგი. წაიღე ეს მოთხრობები. კიდევ იმუშავე, ისწავლე და ცოტა ხანში ისევ მოდი“.

აჩომ ხელი სტაცა ქაღალდებს. ოთახიდან უცებ გამოვედით. მთლიანად გაუქრა სიხარული, საშინელი, ბრაზიანი გამომეტყველება ჰქონდა. სანამ ჩავდიოდით, ხმა არ ამოუღია, ქუჩაში რომ გავედით, მომიტრიალდა და სიცილით მითხრა:

„ხედავ, როგორ მომიშორა?!“

„კი“, — ვუთხარი მე.

„რამხელა სიამოვნებით ჩავუნგრევდი თავ-ყბას, რო იცოდე!“ — თქვა და გზა განაგრძო. იმ წუთას მეც იგივეს ვფიქრობდი.

ქუჩაში ჩქარა მივდიოდით. რედაქციიდან სახლამდე კარგა დიდი მანძილი გვქონდა გასაკეთელი, მაგრამ აჩომ არ მოინდომა ტაქსით წასვლა, თვალებზე ცრემლები ჰქონდა მომდგარი.

„ვიცი, რაც უნდა გავაკეთო,—ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე მე მომიტრიალდა: — დღეს საღამოს შინ იყავი. აუცილებლად“.

ეს თქვა და გაიქცა. ასეთ საშინელ გუნებაზე პირველად ვნახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ წამოვედი, იქ მშობლები დამხვდნენ. ვიღაც სტუმრებს ელოდებოდნენ. მთხოვეს მივხმარებოდი. დედაჩემს ბაზარში წავყევი. მერე ღვინოს ვასხამდი. მოკლედ. კარგად გავერთე, სულ დამავიწყდა, რომ აჩო უნდა მოსულიყო.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა ზარი დარეკა. კარი მე გავაღე. აჩო ზღურბლთან იდგა.

„შემოდი!“ — ვუთხარი მე.

„არა, წავედით ბაღში“, — თქვა სწრაფად. ნერვიულად ლაპარაკობდა.

„სტუმრები არიან. ერთი წუთით!“

ოთახში შევედი. დედაჩემს ვუთხარი, მივდივარ-მეთქი. ჩავიცვი და სტუმრებს დავემშვიდობე.

აჩოს საშინლად ამღვრეული თვალები ჰქონდა. ცოტა ხანში ბაღში ვიყავით უკვე.

იმ არეულობაში ძალიან ძნელად თუ იპოვიდი ვინმეს. უამრავი ხალხი ტრიალებდა. იმის მერე, რაც დაგვიჭირეს, პირველად მივედი.

ღამის ნათურების შუქზე მოჩანდა დაღლილი, უმეტყველო სახეები: ყველანი ასე უბრალოდ იდგნენ და ირწეოდნენ.

აჩომ ვიღაცას ქეჩოში მოჰკიდა ხელი.

„გოგი სად არის?“ — ჰკითხა და შეანჯღრია.

იმას არაფრის თავი არ ჰქონდა. უბრალოდ, ხელით ჩაეფინა ბოლო სკამზე. შორიდან შევამჩნიე, იქ იჯდა და ვიღაცას ელაპარაკებოდა.

ჩვენ იმისკენ წავედით. აჩოს გაბრაზებული სახე ჰქონდა. ვიფიქრე, ცუდი რამე არ მოხდეს-მეთქი, მაგრამ, გავჩუმდი, ჩემი საქმე არ იყო.

აჩო პირდაპირ მივიდა იმ სკამთან.

„გოგი, ადექი!“ — დაუყვირა ხმამაღლა.

გოგის აქამდე ჩვენკენ არც გამოუხედავს, ეხლა წყნარად აგვაყოლა თვალი.

„რა იყო, რა მოხდა?“ — თქვა აუღელვებლად.

აჩოს ხელში იარაღი ეჭირა. არ ვიცი, როდის მოასწრო ამოღება.

„გოგი, ადექი!“ — ეხლა უკვე ჩუმად თქვა.

გოგი ადგა და ახლოს მივიდა. აჩომ შეაყენა იარაღი.

„ეხლა წადი, სადაც მე გეტყვი!“ — შეაბრუნა და ზურგზე ლულა მიადო, ბაღის ბოლოსაკენ მიჰყავდა. ვიღაცები გაჩერდნენ. აჩომ ხმამაღლა დაიყვირა: — რას მოგვჩერებიხართ. იცეკვეთ!“

ყველამ განაგრძო ცეკვა. გეგონებოდა, არაფერი მომხდარაო. მე წავყევი. სამნი მივდიოდით. წინ ისინი, ოდნავ მოშორებით მე.

ბოლოს ქვის კედელთან მიიყვანა და ზურგით დააყენა. გოგის გაუკვირდა.

„რა გინდა?“ — ჰკითხა დინჯად. ხმაში შიში არ ემჩნეოდა.

„არაფერი!“ — თქვა ჩუმად აჩომ.

„აბა?!“

„მითხარი, ვინ მოგყიდა წამალი? თქვი, თორემ მოგკლავ!“ — და აჩოს თვალებში ისევ ის გაბრაზებული გამომეტყველება დავინახე.

გოგის გაეცინა. მშვიდად იყო.

„შენ გიჟი ხარ. ნაღდი გიჟი...“

„ეგ ჩემი საქმეა. შენთვის სჯობია, მითხრა!“

„არ მახსოვს!“

„კარგი“, — თქვა აჩომ და ხელი გამოჭკრა იარაღს. ტყვიამ გვერდზე ჩაუარა გოგის. განგებ ააცილა.

გოგი არ განძრეულა.

„რა გინდა, თქვი და წადი!“ — უთხრა

„აქამდე ვერ მიხვდი, რომ არაფერი მინდა? — და კიდევ ერთი ტყვია გავარდა. ეხლა მარჯვნიდან ასცდა გოგის თავს. — შენ გინდა, რო ყველა შენნაირი იყოს. ეხლა მივხვდი ყველაფერს, არ გამოვა, არა!“ — ყვიროდა აჩო.

მუსიკა ხმამაღლა უკრავდა, ხალხი ერთმანეთში ირეოდა.

„ჩემი ბრალი არაა არაფერი!“ — თქვა გოგომ.

„თავს ნუ იმართლებ, მაინც მოგკლავ. შენი დროც მოვა!“

„რაც გინდა, ის გააკეთე!“ — უთხრა გოგომ და უცებ ჩვენკენ მოტრიალდა. აჩომ იარაღი მიუშვირა, მაგრამ ის არ

გაჩერებული, გვერდით ჩაგვიარა და წავიდა.

გაშშებულები დავრჩით. მუსიკა ისევ უკრავდა:

„ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ ყოველთვის...“ — ისმოდა სიმღერის ხმა.

აჩო ჩაიკუზა, დიდხანს უმიზნებდა იარაღს რაღაცას. ბოლოს სამჯერ ისროლა.

მაგნიტოფონი თითქმის დაიფშვნა. ნაწილები აქეთ-იქით გაფრინდა. ყველა გაჩუმდა და ჩვენკენ შემოტრიალდა.

აჩო გაიქცა. გადევნებას აზრი არ ჰქონდა. ეტყობა, სახლში წავიდა. გოგი ისევ იმ ადგილას დაბრუნდა და ისევ იგივე ტიპს ელაპარაკებოდა.

მე მივედი, ამ ამბის შესახებ წინასწარ არაფერი ვიცოდი.

„არ გეწყინოს, გოგი!“ — ვუთხარი მე.

„არაფერია, გაუვლის!“ — მიპასუხა და ისევ მიბრუნდა.

ამ დროს ვიღაცამ შემომატრიალა.

„ეს დანა შენია?“ — მკითხა და ოქროსფერტარიანი დანა მაჩვენა.

„არა!“

„აბა, ვისია?“

„არ ვიცი“.

„აიღე!“ — და ხელში მომაჩიჩა.

ღამის ნათურა მთელ ბაღს ანათებდა. ყველას სახეზე აუწერელი დაღლილობა ეწერა. გეგონებოდა, რომ მისჯილი ჰქონდათ ასეთი უაზრო ცხოვრება.

ყველაფერი ჩვეულებრივ გაგრძელდა... კუთხეში ვიღაც ტიპები ერთ პატარა ბიჭს სცემდნენ, მეორე კუთხეში ბიჭი და გოგო ერთმანეთს ეხვეოდნენ.

ცხოვრება მიდიოდა.

ეს ღამე საოცრად ჩამრჩა მეხსიერებაში, ვერაფერით ვერ დავივიწყე, ალბათ, იმიტომ, რომ რაღაც ცუდი მოხდა, ძალიან ცუდი, ამას ვხვდებოდი. მერეც ხშირად მაგონდებოდა, ვცდილობდი. როგორმე არ მეფიქრა ამაზე, თავიდან მომეშორებინა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

წინათგრძნობა მქონდა-მეთქი ვერ ვიტყვი. არ მიყვარს ეს ტყუილები. არაფერი წინათგრძნობა არ მქონია. უბრალოდ, ეხედავდი, რომ მდგომარეობა დაიძაბა. მეშინოდა. აჩო ამას არ იკმაოებდა, რაიმე უარესს გააკეთებდა, ეს კი მარილა საშიში იყო.

ისევ ჩემი სულელური პრინციპის გამო არ ჩავერიე ამ საქმეში, თანაც ბევრი რამე ჩემთვის გაუგებარი რჩებოდა.

ამის მერე აჩო კარგა ხანს არ გამოჩენილა.

ზამთრისთვის გოგის საქმეები ცუდად წაუვიდა. რამდენიმე კაცი დაიჭირეს. გათავისუფლება ვერ მოხერხდა. ფული არსაიდან ჩანდა. ეტყობა, წამალიც ელეოდა. ვიცოდი, რომ გოგის უწამლოდ არ შეეძლო, ყველაფერზე წავიდოდა, რომ როგორმე ეშოვა.

ამ დროს ჩემი მისვლა ძალიან გაუხარდებოდა. ალბათ, ბევრ რამესაც მომცემდა, იმის სანაცვლოდ რომ ფული მეშოვნა.

მაგრამ მე უკვე ვიცოდი ჩემი საქმე. გადავწყვიტე, ცოცხალი თავით იქ აღარ მივსულიყავი. რაც მაინტერესებდა, — გავარკვიე. აჩოსაც დავეხმარე, უკვე ყველაფერი მოთავებული მქონდა.

ასე გავიდა ორი თვე. ახალი წელი მოდიოდა.

გოგიმ თვითონ დამირეკა. მგონი, რაღაც წიგნი მთხოვა. ამით მანიშნა, მჭირდებიო. მე ყველაფერს მივხედი. ეტყობოდა, ძალიან ცუდ დღეში იყო, თორემ თავმოყვარეობას ასე არ შეილახავდა.

რომ მეთქვა, წიგნი მაქვსო, ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა შეეხვედროდი, მაშინ აუცილებლად შემომთავაზებდა რაიმე ახალ საქმეს. დიდი ხანია, ვიცნობდი, იმისი ყველა ხრიკი ზეპირად ვიცოდი, ამიტომ ეშმაკობა არ გაუვიდა. უარი ვუთხარი.

მერე, ალბათ. ნანობდა, რატომ დავრეკეო, მით უმეტეს, ძალიან გულგრილად ველაპარაკე და უბოდიშოდ დავუკიდე ყურმილი. ესეთი რამეები არ უყვარდა. მე ჩემი თავის იმედი მქონდა, წამალს არ ვეჩვეოდი ადვილად. ამიტომ, ვფიქრობდი, რომ აღარაფერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშვრალებოდა.

ამის მერე ალარ დაურეკავს. დარწმუნებული ვიყავი, ალარც დარეკავდა.

გამოცდების პერიოდი მოახლოვდა. საჭირო იყო ცოტათი მაინც მესწავლა რამე ამბისათვის, რომ რაღაც ნიშნები მიმეღო, თანაც სემესტრის დასაწყისში იმდენი გავაცდინე, რომ ზოგიერთი ლექტორი კაი თვალით არ მიყურებდა.

ყველაფერი გადამავიწყდა ამ ორომტრიალში, თანაც საინტერესო რაღაცები აღმოვაჩინე წიგნებში და კითხვა დავიწყე.

გამოცდებისათვის დიდხანს ვემზადებოდი. სესიებმა ნორმალურად ჩაიარა. ადრე მინდოდა მომეთავებინა ეს უაზრო საქმეები, მალე გავთავისუფლებულიყავი. წასვლას ვაპირებდი დასასვენებლად, სადმე, თოვლიან ადგილას.

აჩო წასვლამდე ერთხელ ვნახე მარტო, ქუჩაში შემხვდა თავის გოგოსთან ერთად. ისეთი არაფერი უთქვამს, თავს კარგად ვგრძნობო. დამპირდა, აუცილებლად დაგირეკავო. შეიძლება დარეკა კიდეც, მაგრამ სამ დღეში უკვე ქალაქში ალარ ვიყავი.

თვენახევრით წავედი მთის კურორტზე, იქ ძალიან კარგი სათხილამურო ტრასები გაეყვანათ. მთელი დღე ვსრიალებდით, საღამოს ვმუშაობდით.

მარტო არ ვიყავი, ჩემთან ერთად მეგობარი წამოვიდა, იმასაც ჰქონდა სამუშაო, თან რაღაც საერთო გეგმებიც გაგვიჩნდა, მოკლედ, ერთად ვმუშაობდით, წიგნს ვთარგმნიდით.

საქმეები ყველანაირად კარგად მიდიოდა. ბევრს ვსრიალებდით, უამრავი დრო გვრჩებოდა. თებერვლის ბოლომდე დავრჩით.

ძალიან კარგ სასტუმროში ვიყავით, ნომერში ყველაფერი იყო, ტელეფონის გარდა.

ერთხელ, როცა ტრასიდან მოვედი, თეთრხალათიანმა ქალმა გამაჩერა.

„ჩვენ რომელ ნომერში ცხოვრობთ?“ — მკითხა.

„ხუთას მეოთხეში“.

„ანდრო, არა?“

„დიახ“.

„თქვენთან გუშინ გვიან საღამოს დარეკეს“.

„მერე?“

„ბევრი ვაბრახუნე კარზე. ეტყობა, არ იყავით. თქვენ ჩემზე უკეთესად იცით“, — და წავიდა.

იმ წუთას რა არ ვიფიქრე, მეგონა, ისევ გოგის დავჭიდი-მეთქი, მაგრამ ეს წარმოუდგენელი იყო. ბოლოს გადავწყვიტე, მშობლები იქნებოდნენ-მეთქი.

ამის მერე კიდევ ორი კვირა დავრჩით იქ, ალარავის დაურეკავს. სახლში დეპეშა გავაგზავნე, ჩვენებს ვაცნობე, როდის ჩავიდოდი.

შანქანით წამოვედით. ჩემს მეგობარს მამამ ჩაპოკითხა, ამიტომ დროის პრობლემა არ გვქონია. გვიან ღამით უკვე შინ ვიყავი. ძალიან მეუცხოვა ყველაფერი, თითქმის ორი თვის განმავლობაში არ ვყოფილვარ ჩემს ოთახში.

დილით ადრე ავდექი. უნივერსიტეტში ლექტორის ნახვა მინდოდა. რამდენიმე დღით დავაგვიანე და მაინტერესებდა, რამე ხომ არ მოხდა ისეთი. ბედად, ლექტორი კაბინეტში დამხვდა, ბევრი ვილაპარაკეთ, თემა დავუტოვე. გადაწყდა, რომ კონფერენციაზე გავიდოდი ათწუთიანი რეგლამენტით.

უნივერსიტეტში უამრავი ნაცნობი ვნახე, რამდენიმეს გამოველაპარაკე, როცა ჩამოვდიოდი, დავინახე, რომ გასასვლელთან აჩო იდგა. გამიკვირდა, ორი თვე იყო, არ მენახა.

„შენ გელოდებოდი!“ — მითხრა წყნარად.

„მე?!“

„ჰო, შენ“.

„კი მაგრამ, გუშინ გვიან ღამით ჩამოვედით...“ — ვთქვი მე.

„ვიცი, შენთან დავრეკე და მითხრეს!“

იქვე, პატარა კაფეში შევედით. იქ ყოველთვის ცოტა ხალხი იყო და დიდხანს შეიძლებოდა ისე ჯდომა, რომ ხელი არავისთვის შეგეშალა.

აჩოს ისევ ამოვრეული თვალები

ჰქონდა. რატომღაც მომეჩვენა. თითქოს თვალები სტკიოდა. ალბათ, იმიტომ, რომ ხშირად იკიდებდა ხელს. თან პაუზებით ლაპარაკობდა. ეს ადრე არ შემინიშნავს.

ჯერ ყველაფერი გამომკითხა, მაგრამ ვატყობდი, რომ რაღაც საქმე ჰქონდა. თვალებზე ვატყობდი. ბოლოს დაიწყო:

„ანდრო, არ ვიცი, რა მემართება. წამალი აღარ მაქვს. არ მეგონა, რო შეეჩვეოდი, მაგრამ, ეხლა გიჟივით ვარ. აღარ შემიძლია!“

„სულ აღარ გაქვს?“ — ვკითხე მე.

„თითქმის არა. იმასაც იმიტომ ვიზოგავ, რო არ მოვკვდე. უნდა ვიშოვოთ როგორმე!“

„შეუძლებელია“.

„როგორ! — თქვა გაბრაზებით. — შენც მაგას მეუბნები?“

„უნდა გადაეჩვიო. სხვა გზა არ არის!“

„შენ ადვილი გგონია, ეს, არა?!“

„არ მგონია ადვილი, მაგრამ მაინც...“

აჩო ნერვიულად ათამაშებდა ღილს თავის პალტოზე.

„გოგის ექნება“, — მითხრა ბოლოს.

„ჩემი რა საქმეა, გოგისთან დიდი ხანია გავწყვიტე კავშირი“.

„აუცილებლად ექნება“.

„შეიძლება ჰქონდეს კიდეც“.

„მერე?!“

„შენ არ გინახავს?“ — ვკითხე მე. მაინტერესებდა, რა ურთიერთობაში იყვნენ.

„არა!“

ეს იმას ნიშნავდა, რომ მე უნდა წავსულიყავი. ორში ერთი იყო: ან აჩოს უნდა დავხმარებოდი და ჩემი თავმოყვარეობა გამეწირა, ანდა რაღაც უაზრო, დიდაქტიკური პოზიცია დამეკავებინა, სკოლის მასწავლებლებს რომ აქვთ, ისეთი.

მეორეს არავითარი აზრი არ ჰქონდა, აჩო მაინც წავიდოდა სარისკო საქმეზე.

„იცოდე, მარტო შენი გულისთვის!“ — ვთქვი მე.

„კარგია. ვიცოდი, რო ასე იქნებოდა“.

ამის მერე სხვა რაღაცებზე ვლაპარაკობდით. მომიყვა, რა მოხდა ქალაქში, სანამ მე ჩამოვიდოდი. სტუდენტები რაღაც ხელმოწერებს აგროვებდნენ მთავრობისათვის წარსადგენად, აჩოც ეხმარებოდა.

კიდევ რაღაცები მითხრა, ზუსტად არ მახსოვს რა. მნიშვნელოვანი აღარაფერი უთქვამს.

საღამოს დავშორდით და შევთანხმდით, ორი დღის მერე ჩემთან მოვიდოდა. მე შინ წავედი.

გზაში სულ იმას ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, აუცილებლად გოგი უნდა მენახა, სხვანაირად წამალს ვერ ვიშოვიდი.

იმ დღეს საქმეები მქონდა. გადავწყვიტე, რომ ბაღში მეორე საღამოს ავიდოდი.

ზამთრობით შედარებით ცოტა ხალხი იკრიბებოდა იქ. ღრიანცელი და არეულობა თითქმის არასდროს იყო. სიცივეში მარტო საქმეზე ამოდიოდნენ გოგისთან.

გავიგე, რომ ცუდად ჰქონდა საქმეები, კიდევ რამდენიმე კაცი ჩავარდნილიყო, ისინიც ვერ გაათავისუფლა. თუ ერთხელ არ გაგიმართლა, ცოტა ხნით უნდა გაჩერდე, ამას ყოველთვის თვითონ ამბობდა. მაგრამ, ეხლა ეტყობოდა, განსაკუთრებით უჭირდა.

მეორე საღამოს, თერთმეტი საათისათვის, ბაღში ავედი. ბედზე, გოგი იქ დამხვდა. სულ მარტო იყო.

ჩემთვის არც შემოუხედავს, ვიფიქრე კიდეც, ისევ ნაწყენია-მეთქი, ჩემზე.

გვერდით მიეუჯექი. პირდაპირ დავიწყე ლაპარაკი, მისალმების გარეშე:

„საქმე მაქვს შენთან“.

ის არ მიყურებდა.

„ცოტა ხანს მაცალე!“ — მითხრა ჩუმად. მე მოვიცადე, მერე მომიტრიალდა: — „რა საქმე?“

„წამალი მინდა“.

„მეც“. — თქვა მოკლედ.

„მერე, რა ვქნათ?“

თავის წინ მიწას უყურებდა, რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა.

„რამე იდეა გაქვს?“ — მკითხა და შემომხედა.

„არავითარი“.

„არც მე“.

მომეჩვენა, რომ მთელი ტუნოები მოდუნებული და მოშვებული ჰქონდა. ძალა ალარ ეტყობოდა. უცებ ხელი მომკიდა, ადგომას არც ვაბირებდი, ამიტომ ყურადღებით შევხედე. რა უნდოდა, ვერ მივხვდი.

„მაიცა“,— თქვა რაღაც უცნაურად. — მგონი, მოვიფიქრე. კიდევ ერთი წუთი დამაცადე!“

ასე, ათ წუთს ჩუმად ვისხედით, სანამ რამდენიმე ღერი ბოლომდე არ მოსწია.

მე ვუცქიდი. ვიცოდი, ბოლოს მაინც მეტყოდა რამე კარგად გათვლილ ვარიანტს. ამ საქმეში ყველას ათი თავით გვჯობდა.

„მოვიფიქრე, — თქვა ბოლოს. — გუშინწინ ერთ ნაცნობთან ვიყავი. ისე არაფერი, დასალევად ავედით. შემთხვევით კაი რამე დავინახე. თუ ყველაფერი პროფესიულად გაკეთდა, ალბათ, გამოვა“.

„რა?“

„სარკესთან პატარა ყუთი იდო...“

ყველაფერს მივხვდი.

„ყავისფერი ყუთი. მოკლედ, შენ უნდა მომეხმარო. უნდა ნახო წინა დღეს. საქმეზე ორნი წავალთ. ჩვენს გარდა, არავის ეცოდინება“.

ამას ალარ მოველოდი. გოგი თვითონ ბოდიიოდა.

„მერე?“

„მისმინე. შენ როგორმე უნდა მიხვიდე იმის სახლში. მე გაგაცნობ. მერე შენი საქმეა. სად და რომელ ოთახში დევს, ყველაფერს აგიხსნი თუ არ ნახე, აზრი არა აქვს“.

„ვხვდები“.

„იმას მე განახებ. ხვალ წავალთ ერთ ადგილას, სადაც აუცილებლად იქნება“.

„მერე რამდენს ავიღებთ?“

„წინასწარ არ მინდა ლაპარაკი, ხო იცი, რომ არ მოგატყუებ“.

„ძალიან კარგი“, — ვთქვი მე.

გოგი ძალიან კმაყოფილი იყო. იქიდან ერთად წამოვედით. გზაში სხვა რაღაცაზე ვლაპარაკობდით. შევთანხმდით, რომ წასვლის წინ ძველ კოსკთან შევხვდებოდით.

შინ წავედი. ისევ ათასი აზრი მიტრიალებდა თავში. ყოველთვის ვღელავდი ხოლმე საქმის წინ. მაგრამ, ეხლა ვგრძნობდი, რომ რაღაც საზიზღარი ჰქონდა გოგის ჩაფიქრებული. არ მინდოდა ამაზე ფიქრი, ვცდილობდი, დავწყნარებულიყავი და თავს მოვრეოდი.

მეორე დღეს აჩომ დარეკა. ვუთხარი, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ალარ ჩამკითხებია.

როცა კოსკთან მივედი. გოგი უკვე იქ მიცდიდა. ნერვიულად დადიოდა აქეთ-იქით. რომ დამინახა, ხმა არ გაუცია, ისე გამომდო მკლავი და წამიყვანა.

ეტყობოდა, ვიღაცის დაბადების დღეზე მივდიოდით. ყოველ შემთხვევაში, წინა დღეს დანამდვილებით არაფერი უთქვამს ამის შესახებ.

სახლი იდგილად ვიპოვეთ.

დიდი სუფრა გაეშალათ. ზედ უამრავი საჭმელ-სასმელი ეწყო, ყველანაირი, მაგრამ, მაგიდასთან თითქმის არავინ იჯდა, ყველანი მეორე ოთახში ცეკვავდნენ.

გოგი დაჯდა და ჭამა დაიწყო. მე არ მშიოდა, ოთახში მოხუცი ქალი შემოვიდა, ხელში ორი თეფში ეჭირა ტორტის ნაჭრებით. ჯერ ჩემთან მოვიდა.

„ბებიკო, ტორტი არ გინდა?“

გავჩუმდი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მინდოდა.

„აიღე, გენაცვალე“, — და თავზე ხელი გადამისვა.

მერე გოგისთან ზუსტად იგივე გაიმეორა. იმანაც აიღო ერთი ნაჭერი და ჩემკენ მოტრიალდა.

„იმას ხედავ, წითელი კაბა რო აცვია?!“ — მითხრა ჩუმად.

„კი“.

„ის არის“.

ოთახში ყველა ცეკვავდა. იქითა ბოლოში ის გოგო იჯდა. ცუდი გარეგნო-

ბა არ ჰქონია. ყურადღება დაძაბული მქონდა, ვცდილობდი, რომ არ გამომრჩენოდა არაფერი.

გოგომ ჭამა დაამთავრა.

„ჩემი დახმარება ხო არ გინდა?! — მკითხა. როცა დგებოდა.

„არა“.

„კარგი, მაშინ აქ ვარ“. — თქვა და წავიდა.

შუქი ჩამქრალი იყო, ამიტომ ძალიან ძნელად გაარჩევდი ვინმეს. გადავწყვიტე, პირდაპირ მივსულიყავი. შეუმჩნევლად ავდექი და ნელ-ნელა მივუახლოვდი იმ ადგილს.

იმას ჩემკენ არც გამოუხედავს.

„შეიძლება?“ — ვუთხარი მე, ამოიხედა და გაიცინა. ლამაზი გოგო იყო.

„რატომაც არა“.

ცეკვა საშინლად არ მეხერხება, თუმცა ხანდახან სიბნელეში მიცდია. ეხლაც ძალიან გამიჭირდა, მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ იყო.

ჯერ ხმას არ ვიღებდით არც ერთი, ჩუმად ვცეკვავდით და ერთმანეთს ვუყურებდით. ბოლოს ვიფიქრე, რომ უნდა დამეწყო ლაპარაკი. დრო გადიოდა.

„შენ ძალიან ლამაზი ხარ“, — ვთქვი მე. სახელი არ ვიცოდი და ამიტომ პირდაპირ მივმართავდი.

„მართლა?!“ — მითხრა პასუხად, ისევ გაიცინა.

„რაც აქ ვარ, სულ შენ გიყურებ, თავი მაქვს დაკარგული. თან მცრხვენია და ვერავის ვუტყდები, თან საშინლად ვიტანჯები“.

„რატომ?“ — მკითხა სიცილით.

„იმიტომ, რომ ორი წელია ყურებამდე ვარ შეყვარებული. გაგიჟებამდე“. — ძალიან მინდოდა ვინმეს დაეძახა ამ გოგოსათვის. რომ სახელი გამეგო.

„მერე ვინ არის ის?“

„შენ“, — ვუთხარი ჩუმად ყურში.

„მე რომ არ ვიცოდი“!“ — თქვა ყოველგვარი მორცხვობის გარეშე.

„არავინ იცოდა“.

„აა!“. — თქვა და გადაიკისკისა, უხდებოდა სიცილი, მაგრამ მე სულ სხვა გასაჭირი მქონდა. გოგის ვერ ვხედავდი. ამასობაში დრო გადიოდა.

„რა ლამაზი ხარ, რო იცოდე“.

„კარგი, რა, მორჩი. მე ხო ვიცი, რო არა ვარ ლამაზი“.

თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, მუსიკის შეწყვეტას ველოდებოდი, რომ როგორმე გოგი მენახა. თან მეშინოდა, გოგოს არაფერი შეემჩნია. ბოლოს, როგორც იქნა, შეწყდა მუსიკა. მივიყვანე და დავსვი თავის დგილას, ვუთხარი. ცოტა ხანში მოვალ-მეთქი, ვითომ მოსაწევად გავედი მეორე ოთახში.

გოგი არსად ჩანდა. მერე დავინახე, კუთხეში იჯდა და ვიღაცას ელაპარაკებოდა.

„გოგი, მომიკიდე!“ — ვუთხარი და სიგარეტი გავუწოდე.

ის მიხვდა ყველაფერს.

„რა არის?“

„რა ჰქვია, ეს მაინც მითხარი“.

„ნინკა“, — თქვა ჩუმად და გატრიალდა. გვარი აღარ მიკითხავს, მაგრამ, მაინც შემოვატრიალე.

„გოგი, როდის შევხვდეთ? —

„ხვალ, თერთმეტზე, ბაღში“.

„კარგი“, — ვთქვი და გავშორდი.

ის გოგო ისევ იქ იჯდა, ვიღაც მეორე ძალიან ლამაზ გოგოს ელაპარაკებოდა. რომ მივედი, ორივემ ზრდილობიანად, ცივად გაიცინა.

„რამე ხო არ გინდა?“ — მკითხა მეორემ. საჭმელს გულისხმობდა.

„არა, გმადლობთ“.

ცოტა ხანში წავიდა.

„სახლში ხომ არ გეჩქარება?“ — ყურში ვუთხარი.

„გამაცილებ?“ — თქვა და გაიცინა. შევატყვე, რომ ესიამოვნა.

„რასაკვირველია!“

ცოტა ხანში წამოდგა. ვიღაცებს გამოემშვიდობა და გასასვლელისაკენ წავიდა. მე გავყევი. პალტო ჩავაცვი. როცა გავდიოდი, უკან მოვიხედე ერთი წამით. დავინახე, რომ გოგი მიყურებდა. თვალი ჩამიკრა, ისე რომ არავის შეუმჩნევია.

გაცილების დროს უკვე სახელი ვიცოდი. საჭირო იყო, როგორმე თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთქვა. ჩემთან მოდიო. ეს თითქმის შეუძლებელი ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეჩვენებოდა.

ნელა მივდიოდით. გზაზე რაღაც სისულელეებზე ვლაპარაკობდით. არ მახსოვს ზუსტად რაზე. შევამჩნიე, რომ კარგად ეცვა. ზამთრის პირობაზე შედარებით თბილი ღამე იყო, ამიტომ ფეხით ვიარეთ ბოლომდე. ძალიან მხიარულად მელაპარაკებოდა. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ სულ კარგ ხასიათზე იყო.

როცა იმის სახლთან მივედი, ერთი წუთით გავაჩერე და ვკითხე:

„რა ვქნა, მქონდეს იმედი?“

გაიცინა.

„რა ვიცი, ასე მალე შეუძლებელია“.

„მაშინ ხვალ შემხვდი“.

„შეხვედრა რა საჭიროა, სულ სახლში ვარ, საღამოს გამოიარე“, — მითხრა იმან.

სისხლმა თავში ამასხა. მაგრამ არაფერი შევიმჩნიე.

„როდის?“ — ვითომ კარგად ვერ გავიგონე.

„ასე, შვიდი საათისათვის“.

„აუცილებლად. მანამდე, ხო იცი, არ დამეძინება“, — ვუთხარი და წამოვედი. არც მოველოდი, რომ ყველაფერი ასე კარგად აეწყობოდა.

ოთახების განლაგება გოგომ კარგად ამიხსნა. ზეპირად ვიცოდი, სად რა იდო. საჭირო იყო შემოწმება.

ღამე არ დამეძინა. ჩანდა, ბევრი წვალება გველოდა. სანამ საქმეს გავაკეთებდით.

არ ვიცოდ, ბოლოში რას აპირებდა გოგი, ან როდის — ღამით თუ დღისით. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაფერი უთქვამს იმის გარდა, ხელთათმანები და ნიღბები იშოვეო. ალბათ, ამიტომ ვფიქრობდი ძალიან. არ შეიძლებოდა ბრმად მოქმედება. იმედი მქონდა, რომ მეორე დღეს ყველაფერს გავარკვევდი.

დილით ადრე ავდექი. მიჭირდა იმასთან შეგუება, რომ ისევ გოგისთან ერთად უნდა წავსულიყავი. მთელი დღე დაძაბული ვიყავი, ნერვები მაწყდებოდა.

კარგი ამინდი იდგა, მზე ანათებდა და ათბობდა გაცივებულ ქუჩებს, სახლებს ფერი დაკარგული ჰქონდათ.

საღამოს იმ გოგოსთან დავრეკე. მითხრა, ეხლა შინ ვარ და მოდიო. სწრაფად ჩავიცვი. დედაჩემი მოვატყუე, უნივერსიტეტში მივდივარ-მეთქი.

დაახლოებით ნახევარ საათში მივედი. კარი თვითონ გამიღო, შინ შემიპატიჟა.

ალბათ, ამ საქმეს გენიოსური არ ეთქმის, მაგრამ, ზოგი კაცის კვლასაც ნიჭიერებას არქმევენ. მაგალითად, სტალინს გენიოსად თვლიან იმიტომ, რომ სხვებზე უკეთესად და ეშმაკურად შეეძლო კაცის გაქრობა. თუ ამ საზომით მივუდგებით, გოგიც გენიოსი იყო.

მარტო ერთხელ ჰქონდა ნანახი ეს სახლი, მაგრამ ისე დაემახსოვრებინა ყველაფერი, რომ თვალებს არ ვუჯერებდი. ავიჯი ზუსტად ისე იდგა, როგორც იმან ამიწერა.

სამზარეულოსთან გავიარეთ. იქ ორი ქალი იჯდა. ერთ-ერთი ეტყობოდა, ნინკას დედა უნდა ყოფილიყო.

„გამარჯობათ“, — მივესალმე ორივეს. თავი დამიკრეს.

„შვილო, იმ ოთახში შეიყვანე. აქ ჯერ არ დამილაგებია“, — უთხრა ნინკას დედამისმა.

დიდ ოთახში შევედით, პატარა მაგიდასთან დამსვა. თვითონ ყავის მოსატანად გავიდა. აქეთ-იქით ყურება დავიწყე. წესით, ის ყუთი იქ უნდა ყოფილიყო, სარკის წინ.

მაგრამ ამ დროს ოთახში პატარა ბიჭი შემოვიდა. ასე, ოთხი-ხუთი წლის. ფართოდ გახეელილი თვალებით მიყურებდა. მე წყნარად ვიჯექი.

ცოტა ხანში თვითონ ნინკაც მოვიდა.

„ეს ჩემი ძმაა“, — მითხრა სიცილით, როცა სახეზე გაკვირვება შემატყო.

„რა ჰქვია?“ — ვკითხე მე.

არ უპასუხნია. ხელი მოჰკიდა ძმას და მეორე ოთახში გაიყვანა, მერე გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დზე მომიჯდა.

ყავა ძალიან ცხელი იყო.

„ეჭლა მომიყევი“. — მითხრა ისევ სიცელით.

„რა?“ — ვკითხე მე. გულში შემეშინდა, ვაი, ერემე ხომ არ იცის-მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს სისულელე იქნებოდა.

„ერა და, ის, გუშინ რო მითხარი“.

„აბა!“

„სად მნახე პირველად? მე რაღაც არ მახსოვხარ“.

„ერა ვიცი. ქუჩაში, ალბათ...“

„ქუჩაში?! — და გადაიკისკისა. — როდის?!“

„ერთი წლის წინ“.

„და მაშინვე შეგიყვარდი?!“

„გაგიქებით!“

„მერე რას აკეთებდი ერთი წელი?“

„არაფერს, ვიდექი შენ ეზოში და გიყურებდი“.

„გაგიქება შეიძლება. მე არც ერთხელ არ შემიმჩნევიხარ“, — თქვა და ისევ ყურადღებით შემომხედა. ძალიან მინდოდა, ვინმეში შევშლოდი.

„მაგას არა აქვს მნიშვნელობა!“ — ვთქვი მე.

„სწორია...“

ამ დროს, ზუსტად იმის ზურგს უკან დავინახე სარკე. არ ვიცი, ეტყობა, მანამდე ძალიან ვღელავდი. გამოსაჩენ ადგილას იდგა.

თვალთ დამიბნელდა. მარტო სარკეს ვხედავდი, მეტს არაფერს. მგონი ნინკა რაღაცაზე მელაპარაკებოდა. მოკლედ ვპასუხობდი. ან „ჰოს“ და ან „არას“.

სარკის წინ რა იდო, არ მოჩანდა, სკამი ეფარებოდა. ერთი წამით წამოვიწიე და სავარძელში დავეცი.

ყუთი იქ იდო. თვალები დავხუჭე.

„რა მოხდა?“ — შეეშინდა ნინკას.

„არაფერი, რაღაც ფეხში გამჭვალა. იცის ხოლმე...“ — ვთქვი მე.

„ფრთხილად იყავი“.

ამის მერე აღარ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით. მახსოვს მხოლოდ, რომ ჩქარა წამოსვლა მინდოდა. უკვე კარგა ხნის დაბნელებული იყო და მეშინოდა, ბაღში არ დამეგვიანა. ცოტა ხანს ვიყავი კიდევ, მერე წამოვედი.

სიბნელით მივედი ბაღში. ძალიან ცივი ღამე იყო. ეტყობა, ადრე მომივიდა. ყოველ შემთხვევაში, გოგი იქ არ დამხვდა.

სკამზე ვერ გავძელი, ავდექი და ადგილზე ხტუნვა დავიწყე. რომ გავმთბარიყავი.

გოგომ ნახეკარი საათით დაიგვიანა. ეს არასდროს მოსვლია ადრე. ამაზეც ეტყობოდა, რა სიტუაციაში მოხდა.

„როგორაა საქმე?“ — მკითხა და დაჯდა.

„ძალიან კარგად“. — ვთქვი მე.

„ესე იგი, ხვალ მივდივართ“.

„რომელ საათზე?“

„სამზე“.

„დღისით? — ეხლა მივხვდი ყველაფერს. — რატომ დღისით?“

„ეგრეა საჭირო. ნუ გეშინია, ცუდი არაფერი მოხდება“.

„კარგი, ოღონდ გარანტია უნდა მომცე“.

„ასპროცენტიან სიტყვას გაძლევ. გჯერა?“ — გაღიზიანებით თქვა.

„კი, კი მჯერა“.

„ის გაქვს?“ — მკითხა ისევ.

„კი“.

„მაშინ დანარჩენს ყველაფერს მე წამოვიღებ“.

„გასაგებია“.

„ხვალ ვხვდებით კოისკთან სამის ნახევარზე“, — მითხრა. მერე ადგა და წავიდა.

მე სწრაფად გავიქეცი სახლში. საჭირო იყო რევოლვერის გაწმენდა, დიდი ხანია დამალული მქონდა, იმ ორმოცდაათი ტყვიიდან ორმოცი დამრჩა. ათი ცალი, მგონი, ვიღაცას ვიჩუქე.

დიდხანს ვფიქრობდი რამდენი ტყვია წამეღო. ეს ისეთი საქმე იყო, ყველაფერი რომ მოსალოდნელია. ყველა ვარიანტი უნდა გამეთვალა. შეიძლებოდა, არც ერთი ტყვია არ დამჭირვებოდა და პირიქით, ტყვიებს რამეში ხელიც შეეშალა. შეიძლებოდა, ოცი და ორმოციც ცოტა ყოფილიყო. ამიტომ დიდ-

ხანს ვფიქრობდი. ბოლოს, გადავწყვიტე, მაინც წამელო ტყვიები. კოსტიუმის შიდა ჯიბეში ჩავაწყვე.

წინასწარ გავამზადე ტანსაცმელი მეორე დღისთვის. იარაღს ყილეტის ქვეშ ამოვიდებდი, მერე ზემოდან ძველი შავი პალტო და ქუდი... ყველაფერი ეს გავწმინდე და ჩემს ოთახში დავდე.

ნიღბებს გოგი მოიტანდა. ხელთათმანებსაც. ყოველ შემთხვევისათვის, ტყვიები ჩავდე რევოლვერში, მერე შევინახე თავის ადგილას და დავიძინე.

უცნაური სიზმარი ვნახე: ჩემი ძველი სკოლის დირექტორი ყველას პირჯვარს სწერდა. ეს ისეთი სქელი ქალი იყო, რომ მფრინავ პოზაში იმის წარმოდგენა სიცილით მოკლავდა კაცს. რა უცნაურია, სიზმარში ვიცინოდი და ამ სიცილმა გამაღვიძა.

უკვე დილის ათი საათი იქნებოდა. ძალიან მეშინოდა, ყველანაირად ვებრძოდი ჩემს თავს, მინდოდა შში გადამეძლია, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. თავს ცუდად ვგრძნობდი, თუ რა ხდებოდა, აზრზე არ ვიყავი. როცა წასასვლის დრო მოვიდა, კანკალი დამაწყებინა. ვერაფრით ვიჩერებდი ხელებს.

გზაში ვცდილობდი, ნელა მევლო რომ არ შემმჩნეოდა ეს დაბნეულობა. ყოველ ნაბიჯს ვაკვირდებოდი. არ მინდოდა გოგის ასეთ მდგომარეობაში ვენახე.

ის იქ დამხვდა, კიოსკთან. შავი პალტო ეცვა.

„ყველაფერი მზად გაქვს?“ — მკითხა.

„კი“, — ვუთხარი მე.

გოგიმ ხელით მოსინჯა ის ადგილი, სადაც იარაღი უნდა მდებოდა. მერე კარგად შემათვალიერა და გასამხნევებლად ხელი წამომკრა.

„კარგია. ფორმაში ხარ“, — და ორივენი წავედით.

დრო გვქონდა, ნელა მივდიოდით. ის სახლი უცნაურ ადგილას იდგა. უამრავი აღმართი უნდა აგვევლო. ორივენი აქოშინებულები ვიყავით.

„ჯიბეში რამე კანფეტი არ გიდევს?“ — მკითხა გოგიმ.

„არა“.

შევატყვე, რომ სახეზე უცნაური გამომეტყველება ედო.

სადარბაზოში ნიღბები ჩამოვიცვით. მეექვსე სართულზე ლიფტით უნდა ავსულიყავით, მაგრამ, რატომღაც, გადავიფიქრეთ. კიდევ კარგი.

როცა უკვე თითქმის ასულები ვიყავით, დავინახე, რომ კარიდან ვიღაც გამოდიოდა. ცოტა ხანს მოვიცადეთ.

კაცი იყო, გამოვიდა, მერე ლიფტი გამოიძახა და ჩავიდა. ქვემოთ ჩავიხედეთ. შავი მანქანა ელოდებოდა.

„წავიდა“, — თქვა გოგიმ.

მეექვსეზე ავედით. კარს გამოსახედი შუშა ჰქონდა, ამიტომ აქეთ-იქით დავდექით. გოგიმ იარაღი ამოიღო.

ზარი დავრეკეთ.

დიდხანს არავინ აღებდა კარს. ბოლოს ვიღაცა მოადგა, არც უკითხავს, ვინ არისო, ისე გააღო. დედამისი იყო, — ნინკას დედა.

გოგიმ უცებ ყურთამდე გააღო კარი, ქალს ხელი წაუჭირა ყელში და შიგნით შეიყვანა, იარაღი შუბლზე მიადო. ანიშნა, ჩუმად იყავიო. მე შევყევი. კარი ჩავკეტე.

ქალი თვალებგადმოყრილი გვიყურებდა.

ამ დროს დიდ ოთახში, სადაც ჩვენ ვიდექით, შემოვარდა ის ბავშვი, მე რომ ვნახე წინა დღეს. ხუთი წლის ბიჭი ტირიდა და დედას ეხუტებოდა.

გოგი დაიბნა. ჯერ არ იცოდა, რა ექნა. მერე ბავშვს თმაში ხელი სტაცა და იარაღი დაადო.

„ქალბატონო, დაწყნარდით, — თქვა მშვიდი ხმით. — ყველაფერი კარგად იქნება თუ თქვენ სწორად მოიქცევით...“

ის ქალი ეხლა ყველაფერზე წავიდოდა, ოღონდ ბავშვი გადაერჩინა.

„რა ვქნა...“ — ძლიან ამოოლაპარაკა.

„მოგვეცით მთელი ფული, რაც ეხლა სახლში გაქვთ“, — თქვა წყნარად გოგიმ. ხელით ბავშვი ეჭირა.

ქალმა მაშინვე უჯრების ქექა დაიწყო. მე იარაღი შევაყენე. ადგილი შე-

საძღვრელი იყო, სადმე რევოლვერი ჰქონოდა დამალული. მერე გამწარებულ დედაზე უარესი რაა!

ახლოს მივედი, ჩავიხედე უჯრაში. ქალი ფულს იღებდა. ასე, სამი ათასი ამოიღო და გოგის გაუწოდა.

„მეტი არა მაქვს, თუ მოკვლა გინდათ, მე მომკალით, მაგას რას ერჩით?“

„დაწყნარდით. არავისი მოკვლა არ გვინდა“, — გოგიმ ფული ჯიბეში ჩაიდო. მერე ხელით სარკეზე მანიშნა.

მე მივედი და ყუთი ავიღე.

ქალი ისევ გაკვირვებული და შეშინებული სახით გვიყურებდა.

„ქალბატონო, ეხლა ჩვენ წავალთ, — თქვა გოგიმ. — მილიციის გამოძახება არც იფიქროთ, თორემ მართლა ცუდი რამე დაგემართებათ. ისეთი არაფერი მომხდარა, ხომ ხედავთ“.

როცა უკვე წასვლას ვაპირებდით, ბავშვს თვალები ამოუტრიალდა. ეტყობა, გული წაუვიდა, იატაკზე გაიშოტა.

ქალმა ამის დანახვაზე გიჟის სახე მიიღო, ბავშვს ეცა და გულში ჩაიხუტა.

„რა უქენით ჩემ შვილს!“ — თქვა ხმადაბლა, ისე, თითქოს ყველაფრის იმედი დაკარგა ამ ქვეყანაზე.

მე მივვარდი და ქალი ავაყენე. გოგიმ ბავშვი ხელში აიყვანა, მერე ტახტზე დააწვინა და ცივი წყალი დაასხა, ბიჭმა თვალები გაახილა.

„არაფერია, შეეშინდა. ნუ ინერვიულებთ, ერთი წუთში ჩვენ აქ აღარ ვიქნებით“, — უთხრა ქალს.

ამ დროს ბავშვის სახეს შევხედე, ის იმდენად უდანაშაულო იყო, რომ გულმა ვერ გამძლო, თვალებიდან ცრემლები წამომივიდა. საერთოდ, ვერ ვიტან სენტიმენტალურ ხალხს, მაგრამ ეხლა თვითონ მიმტყუნა ნერვებმა. ბიჭი წყნარად, გაუნძრევლად იწვა ტახტზე და შეშინებული სახით დედას უყურებდა.

გოგიმ იარაღი მიუშვირა ქალს. მე მითხრა, გადიო. გამოვედი, მერე თვითონაც გამომყვა, კარი გამოიხურა.

ორი კვარტალი ჩავირბინეთ, მერე ნიღბები ავიძრეთ და ნელა წავედით. თითქმის არავის შევუმჩნევივართ. არც არავინ იყო ქუჩაში ამ დროს.

გოგიმ შვებით ამოისუნთქა.

„ბოგი, იმ ბავშვის ცრემლებს, ალბათ, ვერასდროს ვაპატიებ ჩემ თავს“, — ვუთხარი მე და ყუთი მივეცი.

ჯიბეში ჩაიდო.

„არაფერია, ორ დღეში დაგავიწყდება“, — მითხრა და მხარზე ხელი დამარტყა.

ბაღში ჩავედით. ფული ამოიღო და თვლა დაუწყო. ათას ხუთასი მანეთი გადათვალა და გამომიწოდა.

„არ მინდა“, — ვუთხარი მე.

„აბა?“

„წამალი!“

„წამალს ზეგ მიიღებ“.

„თანაც ბევრს, იცოდე“.

„აუცილებლად“.

მე ავდექი და შინ წავედი. გული მერეოდა.

ლოგინზე დავეგდე. ის ორი დღე არც ავმდგარვარ. იმ ბავშვის სახე სულ თვალწინ მედგა. ვერაფრით დავივიწყე.

ვიწექი ჩემ ოთახში და ზემოთ ვიყურებდი. თვალები უაზროდ მჭონდა გახელილი. დედაჩემი რამდენჯერაც შემოვიდა, იმდენჯერ სიცხე გამისინჯა. სასაცილო იყო, მაგრამ ხომ არ გავუტყდებოდი.

რაღაც საშინელი გულის რევის და ამაოების შეგრძნება სულს მიხუთავდა.

ვიყურებოდი ჭუჭაში და მიკვირდა, რატომ დარბოდა ხალხი ასე მონდომებულად თავის საქმეებზე, რა აინტერესებდა. საერთოდ, შეიძლებოდა თუ არა რამეთი დაინტერესება, რამისთვის თავის შეწუხება, სადმე წასვლა? ყველაფერ ხომ რაღაც პატარა, წვრილმანი მიზნები ამოძრავებდა.

„გიჟები არიან“, — ვფიქრობდი ჩემთვის. ჩემი თავი ჭკვიანი მეგონა და საშინლად უბედური ვიყავი ამით.

როგორც იქნა, გავიდა ეს ორი დღეც. საღამოს ჩავიცვი. ბაღში ბევრი ხალხი ირეოდა.

პირდაპირ გოგისთან მივედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წამო“, — მითხრა და განზე გავიდა.

მე ჩუმად ვუყურებდი და ველოდებოდი.

„რამდენი გინდა?“ — მკითხა.

„ბევრი...“

ჯიბიდან ამოიღო წამალი და მომცა. ნამდვილი მორფი, ფლაკონებში. იმ დროს არაფერი მაინტერესებდა. მინდოდა მალე მომეშორებინა ეს სულელური საქმე.

„შინ წავედი. არ მახსოვს, როგორ მივედი. ყოველ შემთხვევაში, ნახევარ საათში ეჩოს დავურეკე და მითხრა, ცოტა ხანში მოვალო.

რამდენიმე წუთში ჩემთან გაჩნდა. ეტყობა, მიხვდა ჩემი ლაპარაკით, რომ წამალი უკვე ნაშოვნი მქონდა.

„შინ არავინ იყო. არ ვიცი, რატომღაც, იმისი მოსვლა ყოველთვის ემთხვეოდა ჩემი შშობლების წასვლას. კვირის ბოლოს აგარაკზე წავიდნენ. საერთოდ, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ციოდა და არ წავყევი.

ეჩო ძალიან მხიარულად შემოვიდა. მკითხა, როგორ არის საქმეებიო.

ოთახში მაგიდასთან დავსხედით. წამალი ამოვიღე და დავდე, იმან გაკვირვებული სახით მკითხა:

„ამდენი საიდან?!“

„რა მნიშვნელობა აქვს?“ — ლაპარაკის თავი არ მქონდა.

ეჩომ ეს შემატყო და გაიცინა.

„რა იყო, რა მოხდა?“ — მკითხა.

„არაფერი“.

„ვხედები“.

მე გავჩუმდი. იმ წუთას ყველაფერი სულ ერთი იყო.

„იცი რა, — თქვა ეჩომ. — მე მიეხვდი, რომ რაღაცაში არ ვიყავი მართალი. უფრო სწორად, რაღაც ვერ გამირკვევია. ვერ გამიგია, ვისი ბრალია ეს“.

„მეც...“

„შეიძლება იმათი, ვინც ასეთებად გაგეზარდა?!“

„შეიძლება“, — ვთქვი მე.

თითქმის არ ვუსმენდი. მაგრამ მაინც შევატყვე, რომ რაღაც უცნაურად იყო აღელვებული.

„წამალს თავს ვეღარ ვანებებ“.

„ვხედები“.

„თუ ზაფხულამდე ვერ დავანებე, ეს უკვე ბოლოა“.

„რატომ?!“

„ვეღარ ვმუშაობ, აზრები სადღაც გარბის, როცა გავიკეთებ, მარტო მაშინ ვარ კარგად“.

გავჩუმდი. ისევ არ ჩავერიე იმის საქმეში.

„რამდენი ვატარე ის მოთხრობები. არც ერთმა ჟურნალმა არ დაბეჭდა. ყველა ერთ სისულელეს ამბობს, ჯერ ისწავლე და მერე დაწერეო. მომარჯვებული აქვთ სხვების თავიდან მოსაშორებლად“.

„ყველამ უკან გამოგაბრუნა?“

„ჰო. აბა შენ რა გეგონა?!“ — და ნაღვლიანად გაიცინა.

„ნუ ფიქრობ მაგაზე“. — ვუთხარი მე.

აჩომ შპრიცი ამოიღო და თავისი ხელით გაიკეთა ნემსი. მერე დიდხანს ჩუმად იყო, თვალებში რაღაც უცნაური სევდა ჩაუდგა.

„იცი, როგორ არ მინდა მოვეშვა?! — თქვა ბოლოს, — მაგრამ, ასე მგონია, რომ ყველას უნდა, ყველა მაიძულებს დავნებდე“.

„მორჩი სისულელეებს...“

ამ დროს მივხვდი, რომ ეს ის აჩო აღარ იყო.

„Pink Floyd“-ი ჩავრთე: მომეჩვენა, რომ აჩო რაღაცას აკვირდებოდა.

გარეთ სიცივე იყო, ჩვენ ვარსკვლავებს ვუყურებდით.

მთელი ღამით ჩემთან დარჩა. დილით სახლში წავიდა.

ამის მერე აღარ მინახავს.

უნივერსიტეტში საქმეები კარგად აეწყო. კონფერენციაზე გამოვედი. თემა წავიკითხე. ლექტორებს მოეწონათ. მითხრეს, გასწორეო. ყველა თავისებურად მეუბნებოდა. ბოლოს სადღაც გაგზავნეს სხვა თემებთან ერთად.

ეხლა მე და ჩემმა მეგობარმა სხვა საკითხზე დავიწყეთ მუშაობა. იმან

მთხოვა, თუ შეგიძლია, დამეხმარეო. ის ინგლისურიდან თარგმნიდა. მერე ერთად ვამუშავებდით.

მოკლედ, გაზაფხულზე უამრავი საქმე მქონდა, ვერაფრით მოვიცალე იმისათვის, რომ აჩოსთან დამერეკა.

თვითონ ამ ორი თვის განმავლობაში საერთოდ არ გამოჩენილა. ჯერ გამიკვირდა, მაგრამ, მერე ვიფიქრე, დაკავებულია-მეთქი. დადაწყვიტე, მეც აღარ შემეწუხებინა.

ვცდილობდი, ყველაფერი დამეგიწყებინა. ამ საქმემ რაღაცნაირად საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. ცხოვრება უფრო აზრიანი ხდება, როცა მიზანი გაქვს და თანაც კონკრეტული. უკვე ეფიქრობდი, რომ რაღაც სასარგებლოს გაკეთება შემეძლო და ეს ძალას მაძლევდა.

ხშირად მოდიოდა ჩემი მეგობარი, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი. თან ვწერდით, თან ვლაპარაკობდით უამრავ პრობლემაზე, რომლებთანაც ბრძოლის ხალისიც ნელ-ნელა მიბრუნდებოდა.

ასე გავიდა გაზაფხული და ზაფხულის პირველი თვე. ამ ხანში აჩო რამდენჯერმე ვნახე ქუჩაში. მაინცდამაინც ბევრი არ გვილაპარაკია, ისე. უბრალოდ მოვიკითხეთ ერთმანეთი. მერე ისევ გაქრა.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამეები მოხდა ამ თვეებში. ამიტომ აჩო ნელ-ნელა გადამავიწყდა. უბრალოდ, ხშირად მაგონდებოდა იმის სახე მაშინ, როცა პირველად ვნახე: გაბადრული, მხიარული და სიცოცხლით სავსე. ძალიან მეხმარებოდა ეს. ნამდვილი აჩო, რომელიც ჩემს გვერდით ცხოვრობდა, აღარ მახსოვდა.

ივნისის შუა რიცხვებში ქალაქიდან წავედი, დაახლოებით ორი კვირა არ ვიყავი. როცა დავბრუნდი, ბევრი სამუშაო მქონდა. რამდენიმე სტატია უნდა გადმოგვეთარგმნა ჟურნალიდან. კარგა ხნის განმავლობაში მე და ჩემი მეგობარი ჩაკეტილები ვიყავით სახლში. ასე, ორი კვირა არ გამოვსულვართ.

ივლისის შუა რიცხვებისთვის, როგორც იქნა, ყველა საქმისგან გავთავისუფლდი. ის მეგობარი ზღვაზე წავიდა დასასვენებლად, მე ცოტა ხნით ქალაქში დავრჩი, მშობლებს დაველოდე.

ზუსტად დამამახსოვრდა. თხუთმეტი ივლისი იყო.

დილით ხასიათზე ვერ ვიყავი. ვიფიქრე, ცოტას გავისეირნებ და გამივლის-მეთქი. ქუჩაში გავედი.

უაზროდ დავხეტიალობდი, ყველა მაღაზიაში შევდიოდი, თავს ვირთობდი.

აუტანელი სიცხე იყო. როცა დავიღალე, ჩრდილში, ტროტუარზე ჩამოვჯექი. თბილისში ამ დროს ცოტა ხალხია და შეიძლება თავს ამის უფლება მისცე.

ჩემს გვერდით, სადალაქოში ერთ-ერთი პარიკმახერის გადაპარსულ თავს ვაკვირდებოდი. რაღაც სისულელეებზე ვფიქრობდი.

უეცრად ჩემს წინ პატარა ბიჭმა გაირბინა. მერე კიდევ ერთმა. ცოტა ხანში უამრავი ხალხი მორბოდა. ქუჩის ბოლოში უხვევდნენ და ქრებოდნენ. ყველას სახეზე რაღაც ინტერესი ეტყობოდა, უფრო სწორად, — ცნობისმოყვარეობა და შეშფოთება.

მეც წავედი იქით.

„რა მოხდა?“ — ვკითხე ერთ მოხუც ქალს.

„არ ვიცი, ხალხი იქით გარბის, მგონი ხანძარია“, — რუსულად მიპასუხა. ეტყობოდა, სომეხი იყო.

უხმოდ მივდიოდი.

ყოველ შემთხვევისათვის, კიდევ ვკითხე ერთ ჭურთის ბიჭს. ჩემს გვერდზე რომ მოდიოდა:

„რა არის, ხო არ იცი?“

„არ იცი?“ — მითხრა და გაკვირვებით შემომხედა.

„არა“.

„ვიღაცა მეთხუთმეტე სართულიდან გადმოვარდა...“

რაღაა იმ ადგილს მივუახლოვდი, დავინახე, რომ უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა ცდილობდა როგორმე დაენახა, რა ხდებოდა იქ. შეძრომა თითქმის შეუძლებელი იყო. მაინც ვცადე. ვიღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები ხელს მკრავდნენ და მაგდებდნენ. მე ჯიუტად მივიწევდი წინ.

საშინელი ყაყანი და ალიაქოთი იდგა. ვიღაც სანდომიანი მოხუცი ჩემთან მოვიდა და მკითხა:

„მითხარი, თუ შეიძლება, რა ამბავია?"

„მე თვითონაც არ ვიცი", — სწრაფად ვუპასუხე და ისევ ხალხში შევვარდი.

არ მახსოვს, როგორ შევძელი იქ შეძრომა, მაგრამ ცოტა ხანში ჩემს წინ სასწრაფო მანქანა დავინახე. ცოტა აქეთ, ხალხს რამდენიმე მილიციელი აჩერებდა.

„უკან დაიწიეთ!"—ყვიროდნენ ისინი.

ვერავის ვხედავდი. მანქანა მეფარებოდა. გვერდზე უნდა გავმდგარიყავი. ამაში ვიღაც კაცი მომეხმარა იმით, რომ ხელი მკრა. ეხლა უკვე კარგ ადგილას ვიდექი.

უამრავი თეთრხალათიანი ექიმი და მილიციელი ტრიალებდა იქ, ამიტომ თავიდან ვერ ვარჩევდი ვერაფერს. მაგრამ ცოტა ხანში ყველა გაიწია და ყველაფერი დავინახე.

აჩო საკუთარ სისხლში ცურავდა, სახე არ ჰქონდა დამახინჯებული.

ჯერ არ დავიჯერე, თვალები დავხუჭე და ისევ გავახილე. ბოლოს მივხვდი, რომ არ ვტყუვდებოდი.

ხმა არ ამომდიოდა, ისე გამოვედი იქიდან. შინ მივდიოდი და თან ისევ ის საშინელი გულისრევის გრძნობა მქონდა. ტირილი არ შინდოდა,უბრალოდ, გამწარებული ვიყავი. გამწარებული ჩემ თავზე და ყველაზე ირგვლივ.

არ ვიცოდი, რატომ მოხდა ეს, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ის ჩვენი მოკლული იყო. მარტო ჩვენი არა, ყველასი, ვისთანაც საჭმე ჰქონდა. ამიტომ იმ წუთებში საშინელი ზიზღი გამიჩნდა საკუთარი თავის და სხვების მიმართაც.

ალბათ, აჩო არ იყო გაჩენილი ამ პაპობში ცხოვრებისათვის და თავისი სიკვდილით ყველას დაგვანახა ის არარაობა და შეუსაბამობა, სადაც თავი ამოვყავით ჩვენივე მიზეზით. ასე მეგონა, სხვა დროში ის გმირი იქნებოდა. რომელიც ხალხს ეყვარებოდა. ეხლა კი რა იყო, — ტრაგიკული ბედის ადამიანი, ყველასგან შეუმჩნეველი...

ამაზე ვფიქრობდი და კიდევ უფრო მეზრდებოდა სიძულვილი. არ ვიცი, რის მიმართ. ყველაფერში ჩემს თავს ვადანაშაულებდი, ვიცოდი, რომ შემეძლო მეშველა და არ ვუშველე.

არ ვიცი, შეიძლება ძალიან მიყვარდა აჩო, იმის სიკვდილის მერე რაღაც მომწყდა და დარჩა უსასრულო სიცარიელე. არ მეგონა, რომ ვინმე ასე დამამახსოვრებდა თავს.

ღამეები არ მეძინა. დედაჩემს ეშინოდა ჩემი ჯანმრთელობის გაუარესების და მალე აიღო შვებულება. ქალაქიდან წასასვლელად ყველაფერი მაჩქარებდა.

მაგრამ, არ ვიცი, დროს ვწელავდი რატომღაც. არ მინდოდა ეს ნაადრევი გამგზავრება.

თავში უაზრო იდეა ჩამიჯდა. ყოველ დღე ვსინჯავდი ჩემს რევოლვერს, აჩოსთან ერთად რომ ვიყიდე. თვალებიდან ცრემლები მომდიოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი, იმიტომ, რომ საშინლად მეზიზღებოდა ყველაფერი სენტიმენტალური.

დავჯდებოდი ღამე ლოგინზე, დავიდებდი იარაღს წინ და საათობით ვთამაშებდი, თან სულ აჩოზე ვფიქრობდი. მახსენდებოდა, როგორ დავდიოდით ერთად, რა გულიანად იცინოდა, როგორ უყვარდა რაიმე სასაცილოს მოგონება.

გამახსენდა ერთ-ერთი ღამე აჩოსთან ერთად. ქუჩაში მივდიოდით და რაღაცაზე ვლაპარაკობდით. მან უცებ მომატრიალა და მითხრა:

„არა. გაჩერება არ არის საჭირო, რა საჭიროა სიკვდილი?! სისულელეა".

მერე სახლისკენ გაიქცა. მე დიდხანს ვუყურებდი გაკვირვებული. იმ წუთას მომეჩვენა, რომ ამ სიტყვებით თავისი თავი გაამყლავნა. ისეთი, ნამდვილად რომ იყო.

რატომღაც ეხლა გამახსენდა ეს. ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღი ამოვიღე, დავხედე. ტყვიები ჩავალაგე და ჯიბეში ჩავიდე.

ალბათ, ესეც გიჟური საქციელი იყო, მაგრამ სიფრთხილეზე ფიქრის თავი ნამდვილად აღარ მქონდა. თავში ყველაფერი ტრიალებდა გაუთავებლად.

სამზარეულოში გავედი და ცოტა დავნაყრდი, მერე დედაჩემს ვუთხარი, მალე მოვალ-მეთქი.

არც ვიცოდი, საით მივყავდი ფეხებს, მაგრამ რაღაც ერთი მიმართულებით მივდიოდი.

გოგისთან სახლში მარტო ერთხელ ვიყავი ნამყოფი, თუმცა კარგად მახსოვდა, სად ცხოვრობდა. ქუჩაც ვიცოდი, ბინაც. საქმიანი გამომეტყველებით მივდიოდი. წარმოდგენაც ძნელია. რევოლვერი ჯიბეში მედო. ისე, უბრალოდ, როგორც ცხვირსახოცი უდევთ ხოლმე.

რაღაც მიზანი გამიჩნდა და იმის ასრულება ჩემი ცხოვრების აზრად გადაიქცა.

იმის სახლის ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. ერთ-ერთს ხელი დავუქნიე. გაკვირვებულმა მოირბინა ჩემთან.

„გოგი სახლშია?“

„კი, მგონი. არ გამოსულა“.

„კარგი“.

სადარბაზოში სიგრილე იყო. ზარი დავრეკე.

კარი თვითონ გააღო. იმის მერე, რაც ვნახე, ძალიან გამოცვლილი ჩანდა. წვერი მოეშვა და დიდ, სიმპათიურ კაცს დამსგავსებოდა.

გაუკვირდა, რომ დამინახა.

„შემოდი“, — მითხრა და შემიპატიჟა.

ხმა არ გამიცია, ისე შევედი ოთახში.

თვითონ სადღაც გავიდა, ცოტა ხანში დაბრუნდა, თვალით მანიშნა, სამზარეულოში შემოდიო.

„ჩაი არ გინდა?“ — მკითხა ხმადაბლა.

„არა“.

ის დაჯდა. ჩაის სვამდა. ჩემკენ არც იყურებოდა, ისევ ისე უცნაურად აკვირდებოდა თავის წინ რაღაცას. მერე ნამცხვარი აიღო.

მე ჩუმად ამოვიღე რევოლვერი ჯიბიდან და პირდაპირ თავში დავუმიზნე.

ეტყობა, იგრძნო და ამოძახდა. საზიზღარი სახე გაუხდა. უშნოდ დაიჭყანა, მაგრამ ჭამა მაინც განაგრძო.

დარწმუნებული იყო, რომ არ ვესროდი.

სისხლმა თავში ამასხა. მერე აღარაფერი მახსოვს, მგონი ორივე ტყვია შუბლში დავახალე.

ძალიან ბევრი სისხლი მოსდიოდა. ფეხსაცმელები გამესვარა, ქაღალდით გავიწმინდე.

ხმა არ ამოუღია, ისე მოკვდა.

მე აბაზანაში გავედი. ხელები დავიბანე, მერე დიდ ოთახში დავიხარე ლუდის გახსნილი ბოთლი იდგა, კარადიდან ჭიქა გადმოვიღე და დავლიე.

კიდევ ცოტა ხანს ვიჯექი. კმაყოფილი ვიყავი, რომ ეს საქმე მოვითავე. ეხლა შემეძლო წყნარად შინ წასვლა.

გზაში ვფიქრობდი, რომ ცხოვრება ძალიან მოკლეა, და ჩვენ, ადამიანები, ძალიან სუსტები ვართ იმისთვის, რომ რამე შევცვალოთ ამ ქვეყანაზე. მაგრამ, ალბათ, საჭიროა გჯეროდეს, რომ რაღაც პატარა ქვის გადაადგილება შენც შეგიძლია და ამით შეიძლება სხვისთვის ბედნიერება მოიტანო.

ეს არასდროს უთქვამს ჩემთვის აჩოს. მაგრამ ასე ცხოვრობდა და თავისი სიკვდილით გვაჩვენა, რომ ის ეძებდა გზას. ეს მანამდე იყო, სანამ წამალს შეეჩვეოდა.

ამის მერე შინ კარგად გამოვიძინე და აქ წამოვედი“.

●

ბიჭმა ოფლი მოიწმინდა. ძალიან დაილაღა ამდენი ლაპარაკით.

აუტანელი სიცხე იყო.

„მე ყველაფერს გავაკეთებ“, — თქვა გამომძიებელმა.

„რისთვის?“

„იმისთვის რომ, რაც შეიძლება, ნაკლები მოგისაჯონ“.

გამომძიებელმა სიგარეტს მოუკიდა და მოსაწევად ოთახიდან გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციმარ ტურაშვილი

მინდორში

ფეხშიშველა ბიჭი გარბის
ხარბი თვალით გადავხედავ,
ჰაი გიდი, მოდის დარდი,
ის ბავშვობა გამახსენდა.

მინდორ-მინდორ, ბაზო, ბაზო,
ბორცვებს მივდევ კიბე-კიბე,
ფრთაჭრელო და ლამაზმანო
ჩიტო, ცოდოს გადამკიდე.

ამ ხნის კაცი გვედრი, ჩიტო,
ხათაბალას ამაცილო,
ლამის არის გაგეკიდო,
არ გამხადო სასაცილო.

ლამაზი ფრთის ბაირაღით
დაფრიალებ სერით სერზე,
რა ვქნა, შენი ბრალიც არის,
ქვებს თუ გესვრის ბიჭი სესე.

სამშობლო

ერთი მტკაველი, თუნდაც მიწის სულ ერთი ბელტი,
საყდრების ქვები და ტაძრების ყოველი სვეტი,
ანდა ეს წყარო და ამ წყაროს ყოველი ჩქეფი,
დაუფასები ნეტარება გამხდარა ჩემთვის.
დღედაღამ ფიქრი, რა საოცარ ოცნებებს ვლტვი,
ბასზე და მისთვის სურვილებით დამესხმის რეტი,
ამ ძვირფას სიტყვას სიტკბო აქვს და სიტკბოზე მეტი,
რასაც ვაღმერთებთ და სახელად სამშობლოს ვეტყვით.

რთველი

ლამაზი არის საყურებლად მერე როგორი,
მთვრალი კაცივით რომ ბარბაცებს ყურძნის გოდორი.
გაღიპულები რიგში მდგარნი ჩუმად ყვინთავენ,
ერთი სული აქვთ, საწნახელში რომ ჩაპირქვავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბშიერ საწნახელს ეზვინება ყურძნის ნაშალი,
ბთელი წელია ელოდება ხახაგამშრალი.
საზედაშე წვენს ვეფერები ლოცვა-ჩურჩულით,
ელიმილება ქვევრს და მიმზერს თვალმოჭუტული.

●

თოვლი ბარდნის და ბელელთან
ფრთებზე ჩამოსდით სისველე
შესცივებიათ ბელურებს,
საბრალო თვალით მიმზერენ.

ვინ გაფრინდა და ვინ დარჩა
ყველას თავისი წესი აქვს,
ვინ ეტანება ვის ბალჩას,
ვინ ზამთარს თავსაც შესწირავს.

ხომ, ხომ შეეძლოთ სხვის უბეს
შეფარებოდნენ თბილ ქვეყნებს,
მაგრამ რადგან აქ იბუდებს
ზამთარსაც აქვე იყენებს.

მათი ტკივილი გამთოკავს
და ჩემად გავითავისე,
მათაც ჩემგვარად ათოვთ და
ეგუებიან თავის ბედს.

●

ნეტავი რა გვჭირს, რომელ ცომით მოგვზილა ღმერთმა,
რომ შეგვიძლია შევიგუოთ მტრობის სათავე,
ნეტავი რა გვჭირს, რომ სათქმელი ჩავახშოთ ვერ ვთქვათ,
მეტი სიკეთე რამდენ ბოროტს გაათამამებს.

შენ ძმა ეძახე, იმან ტყვია ზურგში გახალოს,
შენ ძმა ეძახე და ის ნიჩბით მკერდს გაგისხეპავს,
ნეტავი რა გვჭირს ეს სიკეთე, ღმერთმა დალახვროს,
ან ეს სიკეთე ღმერთმა რატომ დააკლო სხვებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა იათაშვილი

შოთა იათაშვილი. შეხედავ და გაგიხარდება, წაიკითხავ და გაოცდები, საიდან ამხელა ჭირი და განსაცდელი? საიდან ამხელა თმენა უფსკრულის წინ მდგარი კაცისა?

მზურვალე ლოცვა და მზურვალე ვედრება აღვლენილი ცისკენ სიმდიდრედ უბრუნდება მიწას, რომელსაც არ ამძიმებს ამ შესანიშნავი ახალგაზრდა პოეტის ლექსი...

მზურვალე ლოცვა და მზურვალე ვედრება აღვლენილი ცისკენ სიმდიდრედ უბრუნდება იქნებ, უსახლკაროდ და უიმედოდ დარჩენილ კაცთა მოსაბრუნებლად?

შოთა იათაშვილის ფერადი სალებავები კიდევ უფრო ამძაფრებენ „საკუთარ ცოდვებს“, „საკუთარ ენებს, ირონიას და სისასტიკეს“.

იგი მთიმატიკოსია. დღეს კონკრეტისორობა ჩაიფიქრა, მაგრამ, ღმერთმა უწყის, რა რას უშლის ხელს. შოთა იათაშვილი რომ ჭეშმარიტი პოეტია, ამას მტკიცება არ უნდა. ა. ბატონო, მისი ლექსები — „სიღმეთოსა სჯულისანი“.

გიყურებდნენ, ბრმავდებოდნენ,
დამბლავდებოდნენ...
შენ კი იწექი სუფთა ლოგინში
და კიბილსა და კონვულსიებში
ცვლიდა და ცვლიდა
სუყველას თვალწინ
სასრჩობელებს შშობიარობდი...

ყველაფერი მშვენიერი უარყოფა საკუთარი თავისა...

ჯანსულ ნარკვეანი

„სიღმეთოსა სჯულისანი“

სახლი

სიყვარულისგან, ვნებისგან და
ეგოიზმისგან
მე შენს სხეულზე ავიშენე პატარა
სახლი...
ერთადერთი გასალები თან დავიტოვე
და მაშინ, როცა დამჭირდებოდა
მივდიოდი, ვაღებდი და შიგ
შევდიოდი...
დავისვენებდი,
გავთბებოდი,
დავიძინებდი...
ვიცხოვრებდი რამდენიმე დღეს
და წავიდოდი...
ისევ ისე, ძველებურად, ქვეყანაზე
სახეტიალოდ...
რუს უდაბნოში ჭეშმარიტების
იშვიათი,
ფერად-ფერადი,
ციცქნა კენჭების შესაგროვებლად...
შიგადაშიგ სხვა სახლებსაც
ვესტუმრებოდი...
თუმცა მაინც, მუდამ მახსოვდა
ის ერთადერთი,
საყვარელი
და მყუდრო ბინა...
ეს მამშვიდებდა,
მაწყნარებდა,
ძალას მმატებდა...
და მე ამ სახლის
თითქოს ვიყავ მფლობელი, მაგრამ
უფრო მეტად ვიყავი მონა...
შენ კი რატომღაც არ ინდომე...
არ იდნომე და დამტოვე
უსახლკაროდ და უიმედოდ...
მოუსვენრობა შემატოვე ერთადერთ
საგზლად
რუს უდაბნოში...
სადაც ახლა ძლივძლივობით
მივათრევ ფეხებს
და არც კი ვიცი ის ორიოდე,

ფერადი კენჭი,
შემთხვევით რომ გზაში ვიპოვე,
სად შევინახო...

●

ზურგზე იალქნებს დაგახატავ,
სულს შეგიბერავ,
შეგაცურებ ფიქრების ზღვაში,
ხელს დაგიქნევ
ნიშნად ჩვენი განშორებისა
და გავიხსენებ მას,
ვინც ადრე აფრები ზურგზე
მე დამახატა,
ხოლო შემდეგ ამომიზარდა
გულზე ფრთები და
შემასწავლა თვალებით ლოცვა...
გავიხსენებ და წერტილად ქცეულს
გაგაყოლებ ქარიან მზერას,
გაგაყოლებ დარწმუნებული,
რომ ოდესმე შეგხვდები კიდევ,
უკვე ისე, როგორც ტოლი ტოლს
და შენს ანძაზე არ იქნება
დაკიდებული
მეკობრეების დაფლეთილი, შავი
ალამი...

ᲛᲘᲩᲕᲔᲕᲐ

ᲒᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲩᲕᲔᲕᲐ ᲠᲝᲪᲐ
ᲩᲔᲛᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ,
ᲩᲔᲛᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲐᲡ,
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲕᲮᲓᲘᲗᲘᲗ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲑᲘ.
ᲙᲚᲚᲐᲕ ᲐᲐᲧᲝᲚᲔᲑᲡ
ᲓᲘᲠᲘᲣᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ
ᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲙᲬᲘᲙᲘ.
ᲢᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲡ ᲓᲐᲡᲕᲐᲛᲡ ᲛᲪᲝᲠᲓᲜᲔ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ
ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ
ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.
ᲒᲐᲕᲘᲛᲮᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ,
ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲘᲒᲘᲒ ᲡᲘᲓᲘᲓᲘᲡ
ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲬᲧᲔᲜᲗ, ᲛᲝᲕᲓᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ
ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲕᲔᲑᲗ ᲓᲐᲭᲛᲣᲭᲜᲘᲚᲘ
ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲖᲔᲖᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ
ᲡᲥᲔᲚᲘ ᲐᲐᲑᲜᲘᲡ
ᲝᲠᲛᲐᲒ ᲮᲣᲤᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ,
ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘᲡ
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲝᲡ,
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲩᲕᲔᲕᲐᲡ,
ᲒᲐᲙᲝᲭᲘᲚᲘ
ᲩᲕᲔᲜᲡ ᲩᲐᲡᲐᲮᲕᲐᲛᲓᲔ
ᲨᲔᲙᲝᲜᲬᲘᲔᲑᲣᲚ
ᲓᲝᲒᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ
ᲛᲝᲛᲞᲐᲚ ᲗᲝᲙᲔᲑᲘᲗ.

●

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡ
ᲕᲘᲬᲠᲝ ᲮᲕᲠᲔᲚᲔᲑᲨᲘ
ᲛᲝᲘᲙᲚᲐᲙᲜᲔᲑᲐ
ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲣᲚᲘ...
ᲛᲝᲘᲙᲚᲐᲙᲜᲔᲑᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ
ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ
ᲣᲢᲔᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲨᲕᲠᲐᲕᲡ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ
ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ...
ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ
ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲑᲐᲡᲢᲘᲝᲜᲘᲡ
ᲥᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ —
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲣᲫᲡ
ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝᲓ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ
ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ
ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ...
ᲫᲐᲚᲖᲔ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ
ᲗᲣᲛᲪ ᲨᲘᲒ ᲨᲔᲦᲬᲔᲕᲐ
ᲓᲐ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ
ᲜᲐᲜᲐᲢᲠ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲡ...
ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ
ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲣᲚᲘ
ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘᲗᲒᲐᲜ
ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲑᲜᲔᲣᲚ
ᲐᲠᲡᲘᲡ...

●

ᲡᲐᲮᲠᲩᲝᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲓᲘ
ᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲒᲕᲣᲚᲡᲘᲝᲑᲨᲘ
ᲡᲣᲧᲒᲔᲚᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ.
ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲘ ᲘᲓᲒᲔᲜᲔ ᲣᲩᲣᲛᲠᲐᲓ,
ᲒᲘᲛᲖᲔᲠᲓᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲜᲐᲗᲚᲘᲕ
ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲡ,
ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ,
ᲘᲠᲝᲜᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ.

ხედავდნენ და აღარ იცოდნენ,
რა ეფიქრათ,
სად წასულიყვნენ
ან ვის შერწყმოდნენ...
აღარ იცოდნენ, ემშობიარათ
თუ უკეთესი იქნებოდა
უნაყოფო დარჩენილიყვნენ...
აღარ იცოდნენ, ვინ იყვნენ და
ვისგან მოვიდნენ
და ხომ არ იყვნენ
თვით ისინიც სახრჩობელები,
იმავე დედის საშოსაგან გაჩენილები...
აღარ იცოდნენ...
და სახრჩობელის ბოძებივით
იდგნენ უძრავად,
გიყურებდნენ, ბრმავდებოდნენ,
დამბლავდებოდნენ...
შენ კი იწექი სუფთა ლოგინში
და კიბილსა და კონვულსიებში
კვლავაც და კვლავაც
სუყველას თვალწინ
სახრჩობელებს მშობიარობდი...

ლურჯი ქალი

შენ გაიხადე და წამოხვედი
ვნებიანი და ლამაზი პირდაპირ
ჩემსკენ...
და მაშინ, როცა მომიახლოვდი,
ჩავაწე ფუნჯი ლურჯ საღებავში
და წაგისვი სალუქ სხეულზე...
შენ დაიბენი, მერე შეკრთი, მერე
გაოცდი,
ისე გაოცდი, დარჩი ასე, გაშეშებული,
მკითხე „რას შვრები?“
და გაიღიმე ბოლოს უაზროდ,
ხოლო მე ამ ხნის განმავლობაში
ვიდექი შენს წინ,
ლურჯ საღებავში ვაწებდი ფუნჯს
და
გაფერადებდი...
გაგიფერადე ლოყები, ყელი,
მკერდი, ხელები, თეძოები, ზურგი,
მუხლები...
გაგაფერადე თითქმის მთლიანად,
მხოლოდ ტუჩები დაგიტოვე წითელი
და
ძუძუსთავები საალდგომო
კვერცხების ფერი...
დავიხიე რამდენიმე ნაბიჯით უკან,
დაგაკვირდი და აღვფრთოვანდი
მშვენიერი იყავ იმდენად,
იმდენად კოხტა იყო შენი ლურჯი
სხეული...
დავბრუნდი უკან,
შეგაჩეჩე ხელში ფუნჯი და
ნელა დავიწყე ტანსაცმლის გახდა.
შენ კი იდექი და მიყურებდი...
ლამაზ თითებში გეჭირა ფუნჯი,
წინ კი გელაგა საღებავები:
წითელი, მწვანე, ლურჯი, შავი,
ყვითელი, თეთრი...
და მე ვფიქრობდი
ამაოგან ჩემთვის თუ რომელ ფერს
ამოირჩევდი...
შენ კი რა ჰქენი...
გამოემართე ჯიქურ ჩემსკენ,
გააგდე ფუნჯი,
შემომაჭდე ყელზე მკლავები
და ჩამეხუტე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, სულ მალე გაიმართება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები დემოკრატიული. მრავალპარტიული საარჩევნო კანონის საფუძველზე.
ამასთან დაკავშირებით „ცისკრის“ რედაქციამ თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს ბატონ **აკაკი ბაჭრაძეს** და საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ **ირაკლი შენგელაიას** პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებზე:

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მრავალპარტიული არჩევნებით იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში?

2. როგორ გესახებათ საქართველოს მომავალ პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა?

3. დასახელეთ რამდენიმე ყველაზე უმნიშვნელოვანესი აქტი, რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე უნდა განახორციელოს საქართველოს პარლამენტმა.

4. როგორ ფიქრობთ, 250 ადგილიდან რამდენს მოიპოვებს საქართველოს მომავალ პარლამენტში თქვენი პარტია (საზოგადოება, კავშირი, მოძრაობა)?

5. პირადად თქვენ რას მოელით არჩევნებისაგან?

აკაკი ბაჭრაძე

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი

1. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ჩატარდება არჩევნები. თუ ავირჩევთ ნიჭიერ, ენერგიულ, მცოდნე ადამიანებს დეპუტატებად, მაშინ მრავალპარტიული არჩევნები მოახდენს გარდატეხას ეროვნულ მოძრაობაში. თავისთავად მრავალპარტიულობა არაფერს ნიშნავს. აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში მრავალპარტიული სისტემა არსებობდა, მაგრამ არაფერით განსხვავდებოდა საბჭოურ ერთპარტიულ სისტემისაგან. ერთი სიტყვით, ყველაფერს ის განსაზღვრავს — ვის ავირჩევთ.

2. ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. როცა გამოქვეყნდება დეპუტატობის კანდიდატთა სია, მაშინ შეიძლება მეტნაკლებად რაიმე „იწინასწარმეტყველოს“ კაცმა.

3. საქართველოს ახალი კონსტიტუცია, საქართველოს არმიის შექმნის, საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფის, საქართველოს ეკონომიკური მოწყობის დეკრეტები... ყველაფერი ეს ერთდროულად და პარალელურად უნდა გაკეთდეს. ჩვენ არცერთი წუთის დაკარგვის უფლება არა გვაქვს, რადგან ეს დოკუმენტები უნდა გახდეს საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციისა.

4. თუ რუსთაველის საზოგადოება მოიპოვებს ათ ადგილს, ამას მე სერიოზულ გამარჯვებად ჩავთვლიდი.

5. საქართველოს ისტორიაში ახალი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საჩვენმწრფოებრივი ეტაპის დაწყებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი შენგელია

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე

1. თავს უფლებას მივცემ და პროცესს, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში, ვუწოდებ პოლიტიკურ ბრძოლას სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. რასაკვირველია, დამოუკიდებლობის მოპოვება გათავისუფლებაა იმ ოდიოზური სტრუქტურისაგან თუ სისტემისაგან, რომელიც ქართველ ერს თავს მოახვიეს 1921 წლიდან. თუმცა, ისიც არის აღსანიშნავი, რომ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მასთან პიროვნული თავისუფლების მიღწევა უნდა წარმოადგენდეს უზენაეს მიზანს. საქართველოს მოსახლეობა, თვინიერ ქართველისა. სხვა ხალხების წარმომადგენლობასაც მოიცავს. თავისუფლება ყველასათვის ერთნაირად უნდა ეღიერდეს — თანასწორობა ღვთისა და კანონის წინაშე და რამდენადაც თავისუფლება იმავ დროულად პასუხისმგებლობას გულისხმობს, თავისუფალი სახელმწიფოს მოქალაქე პატივს უნდა მიაგებდეს ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

მთელი „საბჭოური“ ისტორიის მანძილზე ქართველ ერს მრავალი პრობლემა გაუჩნდა ერთაშორის ურთიერთობებში. დღეს დაძაბულობამ უკიდურესობამდე მიაღწია. აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის „დეკლარაცია“, გამოქვეყნდა საქართველოში „ოსეთის ეროვნული სუვერენიტეტის“ გამოცხადების დაუოკებელი „სწრაფვის“ მაუწყებელი პროექტი. რომელი ერის წარმომადგენელი რას მოიმოქმედებს ხვალ, არავინ უწყის, გარდა იმ ობსკურანტული ძალებისა, რომელთაც ვერ გაუგიათ „იმპერიის ნგრევის“ პროცესის კანონზომიერება, რასაც ლოგიკური დასასრულად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვება.

ამ აქტების გამოქვეყნების მიზანი ორგვარი შეიძლება იყოს:

ა. საბოლოო კონფრონტაციის სურვილით განხორციელებული ავანტიურა.

ბ. მომავალი ურთიერთობების განმსაზღვრელი გარანტიების შექმნის მცდელობა.

ერთი რამ ცხადია: „სუვერენიტეტების დეკლარირებას“ მოჰყვა ისედაც დაძაბული ვითარების კიდევ უფრო გამძაფრება. მიღებული აქტების გაუქმება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მაინცადამაინც დიდი ნუგეშის მომცემი არ უნდა იყოს. საზოგადოებას მოეხსენება თუ რა „რაოდენობის დეკლარაციებია“ გამოქვეყნებული უკანასკნელ ხანს, რომელთაგან ზოგი „გაუქმებულია“ და ზოგი არა „შესაბამის მაღალ ინსტანციათა“ მიერ. ამგვარი „კონსტიტუციური იწილო-ბიწილო“ ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემს, იგი არ გახლავთ პრობლემათა გადაჭრის გზა. გამოსავალი ერთადერთია — საბჭოთა სტრუქტურის დემონტაჟი.

ყველაფერი ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ა. წ. ოქტომბერში ჩასატარებელ არჩევნებს ნიფათი ელის, გარკვეულ წრეებს არ სურთ მისი ჩატარება. ცნობისათვის დავსძენ, რომ შეუმოწმებელი წყაროებიდან მიღებულია ინფორმაცია, თითქოს ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილია სამხედრო მანევრები, ალბათ „ძალის დემონსტრირების“ მიზნით.

1921 წლიდან მოყოლებული პირველად ეძლევა ქართველ ერს საშუალება მიიღოს მონაწილეობა უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რომელიც დაფუძნებულ იქნება მრავალპარტიულობის პრინციპზე. ვერ გავიზიარებ ამ ბოლო ხანს ერთთან მომრავლებულ „წინასწარმეტყველთა“ აზრს, თითქოს მოსკოვის მმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობა სულ იმის ცდაში იყოს, როგორმე, მრავალპარტიული არჩევნები მოაწყოს საქართველოში „მსოფლიოსათვის თვალის ასახვევად“. ამ „ნათელმხილველთა“ საყურადღებოდ მინდა ვთქვა — მიმდინარეობს ისტორიული პროცესი და ვერცერთი სახელმწიფო (თუ მონსტრი) ვერ დარჩება მის გარეთ. ვერავითარი შეთანხმება (რაც არ უნდა მაღალ დონეზე მიღწეული) ვერ დაარღვევს მსოფლიო განვითარების მსვლელობას. სხვა საქმეა, გვჯერა თუ არა ეთიკური საწყისისა. მიგვაჩნია თუ არა, რომ საკაცობრიო მომავალი მხოლოდ რეალურ სტრუქტურაში თავისუფლების განხორციელებას ეყრდნობა და რომ სხვაგვარად არათუ ქართველი ერის თავისუფლება, მსოფლიოს არსებობა ხდება საეჭვო.

დავუბრუნდეთ არჩევნებს. სკეპტიკოსებს ერთ საკითხში ვეთანხმები, ოქტომბერში არჩეული უზენაესი საბჭო ვერ იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის პარლამენტი, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, რომლის შესრულება სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე აუცილებელს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მრავალპარტიულობა თავისთავად დამოუკიდებლობას ვერ მოიტანს და ამის ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ იგი რომ თავისუფალი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს, ცხადზე ცხადია. აზროვნების თავისუფლება პოლიტიკური თვალსაზრისით მრავალპარტიულობაში ხორციელდება. იმ პრობლემათა გადაჭრა, რომელიც დგას არა მარტო ქართველი ერის, არამედ საქართველოს მოსახლეობის და საერთოდ „საბჭოთა მონსტრში“ მცხოვრებ ერებისა და ეროვნების წინაშე, შეუძლებელია გადაიჭრას სწორედ პოლიტიკური თავისუფლების გარეშე. მრავალპარტიულობის დამკვიდრება არის დასაწყისი მისი მოპოვებისა. რასაკვირველია, არსებობს საშიშროება წარმოიშვას „მოთვინიერებული მრავალპარტიულობის“ მოდელი, მსოფლიო პრაქტიკაში ამგვარი რამ არსებობდა და არსებობს, მაგრამ ვიმეორებ, მიმდინარეობს პროცესი და იგი ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია.

2. დღეისათვის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ოთხი საარჩევნო სუბიექტია ჩამოყალიბებული, ე. ი. პარტიები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ ან ცალკე, ან ბლოკში, საზოგადოება რომ უფრო გაერკვეს, თითეული მათგანზე რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ:

ა. „თავისუფლება“. (ყოფილი „ოთხთა კავშირის“ გადიდებით შექმნილი). მასში გაერთიანებულნი არიან საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, მწვანეთა პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, პოლიტიკური ორგანიზაცია „დასი“. ბოლო დროს ბლოკს შეუერდნენ საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია (მკითხველმა იგი არ გააიგივოს ახლახანს ჩამოყალიბებულ ეროვნული თანხმობის კავშირთან) საქართველოს სახალხო ფრონტი და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

ბ. „მრგვალი მაგიდა“, იგი აერთიანებს საქართველოს ჰელსინკის კავშირს, წმინდა ილია მართლის საზოგადოებას, მერაბ კოსტავას საზოგადოებას, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირს, მათ შეუერთდნენ ახლახანს შექმნილი საქართველოს რადიკალური კავშირი, ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

გ. „დემოკრატიული საქართველო“, მასში გაერთიანებული ორგანიზაციათა რაოდენობა საკმაოდ დიდია, ხხოლოდ შემოვიფარგლები რამდენიმე მათგანის დასახელებით: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თბილისის პოლიტიკური კლუბი, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი და სხვა. ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ საკოორდინაციო ცენტრს.

დ. საქართველოს კომუნისტური პარტია. მას წარდგენა არ სჭირდება.

ᲯᲔᲠᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ. ᲠᲐ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘᲡᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲗ. 17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲯᲐᲠ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲡ.

ᲔᲠᲗᲝᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲪᲮᲐᲓᲐ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲓᲐᲛᲝᲬᲣᲠᲔᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲯᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲨᲠᲔᲑᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲔ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ — ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲗ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲗ: „ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲨᲘ“, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ ᲔᲡ?! ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲗᲣ ᲑᲚᲝᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲑᲠᲔᲕᲘᲡ ᲰᲧᲐᲕᲓ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲡᲪᲐᲒᲝᲗ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, Ე. Ი. ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲑᲘᲠᲔᲑᲐ, ᲛᲘᲖᲜᲐᲜ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲓᲐ ᲣᲤᲠᲔᲜᲐᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲰᲐᲕᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲠᲐᲓᲐᲛᲝᲙᲠᲘᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗᲔᲡ. ᲧᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲐᲡᲔ ᲛᲯᲔᲠᲐ. ᲔᲚᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲚᲐᲥᲔ ᲙᲝᲜᲤᲠᲝᲜᲢᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲐᲪᲔᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ. ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲤᲠᲔᲜᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲑᲚᲝᲛᲘᲗ ᲗᲣ ᲛᲝᲐᲮᲠᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲔᲜᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲢ-ᲜᲐᲯᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲠᲨᲘ. ᲐᲛᲒᲐᲠ ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲒᲣᲝᲗ ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲘᲡᲔ ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲪᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲨᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲕᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ: ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ-ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ, ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ-ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ, ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ-ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ-ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲘᲣᲚᲘ, ᲗᲣ ᲗᲐᲜᲐᲤᲐᲠᲓᲝᲑᲐᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲑᲠᲘᲛᲝᲜᲘ ᲘᲚᲔᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲘᲛᲔᲓᲔᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲰᲭᲘᲠᲓᲔᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲮᲕᲐᲛᲨᲘ ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲒᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ „ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ“.

3. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲘᲡᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲘᲠᲩᲘᲕᲐ Ა. Წ. ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ, ᲗᲐᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲓᲘᲗᲐᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲕᲘᲖᲘᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲙᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ 1921 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ 1922 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲝᲗ“ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲠᲔᲒᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲛᲐ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲘᲧᲝᲗ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲔᲜᲐᲕᲘᲡᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲨᲔᲛᲝᲮᲡᲚᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲒᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐᲒᲚᲘᲗ (ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲤᲣᲠᲐᲪᲘᲐᲖᲔ) ᲓᲐ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲛᲚᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲣᲤᲠᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲝᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲝᲗ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲠᲘᲒᲘ ᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲭᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ (!) ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ. ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲕᲘᲧᲝᲤᲓᲔ:

ა. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელშიც გამოცხადდება ქართველი ერის ნება სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ.

ბ. დადგენილებას, რომლის ძალითაც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გაუქმდება მოქმედება: საკავშირო კანონებისა, სსრკ კონსტიტუციისა, საქ. სსრ კონსტიტუციისა.

გ. მიმართვას საქართველოს მოსახლეობისადმი, სადაც გარკვევით იქნება ნათქვამი მოქალაქეთა უფლებების შესახებ, განურჩევლად ეროვნებისა, მსოფლმხედველობრივი და რელიგიური კუთვნილებისა. ამავე მიმართვაში განისაზღვრება ეროვნულ უმცირესობათა სამართლებრივი სტატუსი და გარანტიები მომავალ საქართველოში.

დ. განცხადებას, რომელშიც შეფასებულ იქნება საბჭოთა არმიის ქმედება საქართველოში 1921 წლის ოკუპაციიდან დღემდე და მიეცემა მას უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის სტატუსი, მხოლოდ და მხოლოდ ბაზებზე დისლოკაციის უფლებით.

ე. დადგენილებას, რომლის ძალითაც დაინიშნება უზენაესი საბჭოს კომისია და რომელსაც დაევალება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის თაობაზე მოლაპარაკების გამართვა ნებისმიერ დონეზე.

უმნიშვნელოვანეს აქტთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, თუნდაც ეკონომიკის სფეროში. ამიტომ მხოლოდ დასახელებულით შემოვიფარგლები.

4. ომამავალ უზენაეს საბჭოში ძალთა თანაფარდობის შესახებ უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება ჩვენს პარტიას, იგი მემარჯვენე — ცენტრისტული ბლოკის „თავისუფლების“ წევრია, ადგილების განაწილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განწყობით შეხვდება ერი არჩევნებს, ვაღიაროთ, რომ დღევანდელ ვითარებაში არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება წყალში გადაყაროს აქამდე ნაშრომ-ნაჯაფი.

ა. საქართველოში მძლავრობს ოხლოკრატია. კანონის არარსებობა, ლამის ლინჩის წესების დამკვიდრება ყოველდღიურობაში თავისი სიმახინჯით აირეკლება ადამიანთა მოქმედებაში. ამას ზედ ერთვის პოპულიზმი, რომლის მიდევნაც პოლიტიკური კაპიტალის იოლი დაგროვების საშუალებად იქცა. ოხლოკრატიიდან ტირანიამდე ერთ ნაბიჯია. იგი არ უნდა გადაიდგას, სიმპტომები სამწუხაროდ შეიმჩნევა — გაზეთების რედაქციების რბევა-აწიოკება და პიკეტირება, გარკვეული მიზნის მისაღწევად სურსათ-სანოვაგის მიწოდების შეწყვეტა (ყვარლის მაგალითი), რელიგიური საბაბით ოჯახების დევნა (დვალაძეების ამბავი), კარის აჭედვით კონკრეტულ მავანთა იძულება დატოვოს სამსახური (ამა თუ იმ ადამიანის ოდიოზურობამ სიბრმავემდე არ უნდა მიიყვანოს ხალხი). კიდევ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მათ შორის რიგ პოლიტიკურ პარტიებს „ვოჯდიზმი“ მიუღებლად მიაჩნიათ თავისუფალი სახელმწიფოსათვის, სავსებით ვიზიარებ ამ მოსაზრებას, მაგრამ ამას მოსდევს მეორე უკიდურესობა — „ანტივოჟდიზმი“, როგორც ჟენომენი. „ვოჟდის“ მოჩვენებითი კანდიდატურა ილანძღება, ითათხება და, რაც მთავარია, იმპერატიულად ყველა ვალდებულია იგივე გაიმეოროს. ვინც „ვოჟდს“ არ ებრძვის (საკმაოდ ტლანქი მეთოდებით), იგი მის მხარესაა. როგორ წაგაგებ ეს ფრაზა ბოლშევიკების ლოზუნგს — ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია. ალბათ დროა გავიგოთ, რომ როგორც „ვოჟდიზმია“ აღმოსაფხ-

ვრელი, ისევე, „ანტივოყდიზმია“ მიუღებელი. „ვოყდიზმის“ დამარცხება შეუძლია მხოლოდ თავისუფლების დამკვიდრებას, მონურ პრინციპებთან ბრძოლას და არა არაპოლიტიკურ კინკლაობას.

„ბელადს“ თუ მეორე „ბელადი“ ებრძვის, ეს ბრძოლა უშედეგოა და ასე იქნება ყოველთვის. „ანტივოყდიზმის“ შინაგანი მამოძრავებელი ისევ „ვოყდიზმია“.

ბ. პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებებს შეეკედლნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქმედებით აშკარად სახელს უტეხენ ოპოზიციას, ღრმად მწამს, რომ „შემთხვევითთა მიტმასნაში“ კომპეტენტურ ორგანოებს ან პროსაბჭოურ ძალებს საკმაოდ დიდი „წვლილი“ შეაქვთ, მიმდინარეობს „ტოტალური დისკრედიტაციის“ კამპანია. ალექსანდრე ფრონელი თავის მონოგრაფიაში „1812 წლის კახეთის აჯანყება“ იფასებს აჯანყების მონაწილეთა ორიენტაციას ირანზე და ასკვნის — რა საშინელება უნდა ჩაედინა რუსეთის იმპერიას საქართველოში, რომ ქართველი ერი იძულებული გახდა საუკუნოვანი მოსისხლეობისათვის მიემართა დახმარების სათხოვნელად მის წინააღმდეგო. შეიძლება ამგვარ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, ამასთან, არცთუ იშვიათად, მოუფიქრებელი აქციებიც აყენებენ ჩრდილს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. არჩევნებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის გასარკვევად — ვინ მოყვარეა და ვინ მტერი.

ბტკერი კი ბევრია — როგორც ეროვნული მოძრაობის შიგნით, ისე მის გარეთ. ორივე ამ კატეგორიის „მოღვაწეთა დამსახურება“ გახლავთ სწორედ ის, რომ ხშირად ხალხს არ სურს განასხვაოს ერთმანეთისაგან ასე უხვად მომრავლებული პოლიტიკური ორგანიზაციები თუ პარტიები. ერთის ცოდვა ყველას ეწერება. რა თქმა უნდა, ეს ხდება შეგნებულად, მოფიქრებული პროგრამით. ამ მარწუხებიდან თავის დაღწევა ძალზე ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შემიძლია დაჭასკვნა: დეპუტატობის მანდატთა 20-25% სავსებით მისაღები იქნება „თავისუფლებისათვის“, კიდევ ერთხელ დავსძენ, ადგილების მეტ-ნაკლები სიმეტრიულობით განაწილების შემთხვევაში.

5. არჩევნებს წინასაარჩევნო პერიპეტიები უსწრებს დროში. მთელი ამ პერიოდისაგან მოველი ბევრს, რომელთაგან გამოვყოფ მხოლოდ ერთს — ბოლოს და ბოლოს საქართველოში. ალბათ, გაიგებენ პიროვნების ფასს, ადამიანები შეძლებენ ერთმანეთის მოსმენას, რაც არ უნდა მიუღებელ აზრებს ატარებდნენ ისინი. საშუალება მომეცა და აღვნიშნავ: თვეზე მეტხანს შიმშილობდა ქართველი კაცი ზურაბ მამალაძე, რომელმაც თავისი აქცია მესხთა პრობლემას დაუკავშირა. ამ პუბლიკაციაში არ ვაპირებ იმის გარკვევას მცდარი იყო თუ მართალი მისი მოსაზრებები (ნაწილს მთგან ვეთანხმები). იმის თქმა მსურს მხოლოდ, რომ საზოგადოება ადამიანის ბედით უნდა დაინტერესდეს. მით უფრო თუ მისი სიცოცხლე საფრთხეშია, თუ ცდება იგი, გააგებინოს სიმცდარე, თუ არა და, ირწმუნოს მისი ნათქვამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეროვნული სხეული დღეს გაყოფილია. გვსურს თუ არ გვსურს, არსებობს ქართველთა მაჰმადიანური ნაწილი (საინგილოში, თურქეთსა და მცირე ოდენობით საქართველოში მცხოვრებთა სახით). ჩემის აზრით, მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია იმ გაერთიანებას, რომელიც დაიცავს მაჰმადიან ქართველთა ინტერესებს (ერთ-ერთ მოთხოვნად ზ. მამალაძეს ეს ჰქონდა). აქვე დავსძენ, რომ ირანში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის მოგვარება თავს იდო საზოგადოება „ფერეიდანმა“, რომელიც შექმნილია საქართველოში ფერეიდანიდან რეპატრირებულ ქართველთა მიერ და რომელმაც გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა.

ჩვენ თავისუფლება გვსურს. შეუძლებელია ადამიანი იყოს თავისუფალი, თუ იგი არ აღიარებს სხვა ადამიანის თავისუფლებას.

თითოეულმა ჩვენთაგანმა ერთურთს უნდა მიანიჭოს თავისუფლება, სხვაგვარად ზედმეტია ერის თავისუფლებაზე ლაპარაკი.

1990 წლის სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენადი სადუნიშვილი

აკაკის წერეთლის პირადი ბიბლიოთეკა

სტამბას დიდი ძალა აქვს და ნაბეჭდი სიტყვა მეთხველს ხშირად სახარების ჭეშმარიტებად მიიჩნია.

აკაკი

ყოველი დროის დიდი მწერალი გამოჩენილი მწერგნობარიც იყო. ამ მხრივ აკაკი წერეთელს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ზეპირი გადმოცემით და მომსწრე პირთა მოგონებებით მას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც რამდენიმე ათას წიგნს ითვლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მდიდარი ფონდი მთლიანად შენარჩუნებული ვერ იქნა.

აკაკის მიერ დატოვებულ ანდერძში, რომელიც 1912 წელს დაუწერია, კეთილუნლობ: „სამშობლო ადგილს შენმბილი და კარის ეკლესიის სოფელ სხვეტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გიიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა: ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას... დანარჩენ ჩემს მოძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემს მეუღლესა და შვილს...“

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სეით ია“შვილი კი იგონებს: „1920 წელს, ზაფხულში ექვთ. თაყაიშვილი — თავმჯდომარე სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მე, როგორც წ. კ. ბ. საზოგადოების გამგეობის წევრი, ჩავედით სოფელ სხვეტორში, და, აკაკი წერეთლის მიერ დატოვებული ანდერძის მიხედვით ჩავიბარეთ ჩვენი წილი“.

ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციას წიგნები არ მიუღია. იმდროინდელი კატალოგი ან რაიმე სხვა მასალა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესახებ არ არსებობს. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწილი წიგნებისა აკაკის შვილმა ალექსიმ თან წაიღო საფრანგეთში, ნაწილი კი არაკეთილშობილურნი ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში. ამგვარად, აკაკის პირადი ბიბლიოთეკიდან პოეტის სახელწოდებით მეზეუმში დაცულია 1749 წიგნი და პერიოდული გამოცემა (ჟურნალი).

წიგნის სიყვარული პატარა აკაკის დედამისმა ჩაუნერგა. და ეს სიყვარული მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. პოეტის დედა ეკატერინე ივანეს ასული აბაშიძე აღზრდილი იყო გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის ოჯახში და იმ დროის კეთილშობილ სამყაროდ ფართო განათლება ჰქონდა მიღებული. იგი დაჯილდოვებული იყო პედაგოგიური ალღოთი და შვილების აღზრდას ცნობილ გზით წარმართავდა. თავის მემუარულ ნაშრომში „ჩემი თავგადასავალი“ აკაკი დედის შესახებ გადმოგვცემს: „რაკი-ენ იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქმარე და ამასთანავე კარგი ალმბრდელი. ცნობილმოყვარეობასთან შრომმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა“. აკაკის უკვე 6-7 წლის ასაკში ზეპირად სცოდნია სხვადასხვა ლოცვები: „მიწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“ და ისე გაუტაცენია მათ ცოდნას, რომ წერა-კითხვის შესწავლაც მოუნდომებია. აქ დედას თავისებური ხერხი გამოუყენებია და ინტერესის გაძლიერების მიზნით ნება არ მიუცია, „თავგადასავალში“ აკაკი იგონებს: იმ დღეს ჩემს უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: „კითხვა მასწავლე-მეთქი“, იმანაც დამარიგა „დედამ არ გაგვიგოსო“, და ჩუმად დამაწყებინა კითხვა. მოკლე ხანში ანბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. თუ აგრე კარგად და გულმოდგინედ ისწავლი, მალე სამოკეკულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხებო — მეუბნებოდა ჩემი და — დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო! მე ამ ამბედთი წახალისებულს დღედაღამ მეტი ალარა მეფიქრებოდა-რა, რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედაჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემეყვარებოდა“.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში შესვლამდე აკაკი უფრო სერიოზულ ნაშრომებს გასცნობია. „თავგზესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომშყენდა, — წერს პოეტი, — და უფრო სხვა საფერკოლი გადავყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წაგიკითხე თავიდან ბოლომდე, და თუმცა ზოგპერული მხარის მეტი არა გამიგია-რა.

ძალიან მაინც ძალიან გატაცებული კიყავი. იმავ. ძალიანოდ ეხე ნაკოთხვაც და მთელი ქრისტიანობა. ჩვენ შეიძლებოდა ეტეტბოლ-ში გამოცემული. რამდენჯერმე გადავიკითხ. ქუთაისს გიმნაზიაში სწავლის პერიოდში აკაკი ავრცელებს. წიგნზე ინტენსიური მუშაობის. მის პირად ბიბლიოთეკაში ახლა ინახება წიგნები (სახელმძღვანელოები, ლეოლიგარეშე საკითხები ლიტერატურა), რომელიც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ აკაკის ინტერესები ფერო ფართო და მრავალმხრივი იყო. გიმნაზიაში აკაკი პირველ მოწაფედ ითვლებოდა, კლასიდან კლასში გადასვლისას ჯილდოს იძლევდა და მისი სახელი ოქრის ფიცარზე იყო ანერშეული. აკაკი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ალმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე. აქ ეგი ჩვეული გატაცებით სწავლობს ოცამდე ენებს, ალმოსავლურ ლიტერატურას, ეუფლება ეცხო ენებს, ქართველი დანაზოგით იძენს წიგნებსა და ცდილობს პირადი ბიბლიოთეკის გამდიდრებას. დედისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1860 წლის 25 აპრილითაა დათარიღებული, აღნიშნავს: „უძვირფასესი ბატონო დედა!.. ქართული ისტორია, გეოგრაფია და სხვა წიგნები ეიყიდე მანდ გამოსაგზავნად სამ თუმნად, მაგრამ ვეღარ გავაბერხე გამოგზავნა... თქვენი მონა შვილი აკაკი".

წიგნების შეძენასა და გამოგზავნაზეა ლაპარაკი შემდეგ წერილშიც (1860 წ. 27 ოქტომბერი): „უსაყვარესო! დედა ბატონო! მხედრულ დავითნნ, სათვალეს, ქართულ ისტორიას, თვიმეურაზისას, და ჩაის მალე გამოგიგზავნით. ეზაფ მაქვს და ერთ კანეოოთგანს. გამოვატან. თქვენი შვილი აკაკი".

სტუდენტობის დროს აკაკი არა მარტო საუნივერსიტეტო საგნებს ეუფლებოდა და უცხოთის ლიტერატურას სწავლობდა, არამედ ეწეოდა შემოქმედებითს მუშაობას, ღრმად ეცნობოდა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს. შმობოიური კულტურის მდიდარი მემკვიდრეობის ათვისებაში მას დიდად შეუწყო ხელი მეფის ისტორის სალომე ბატონიშვილის მიერ დატოვებულმა ბიბლიოთეკამ. სხვათა შორის, ბიბლიოთეკის პროფ. დავით ჩუბინაშვილისაგან ჩაბარებაზე სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ხელს აწერს აკაკი წერეთელი.

●

აკაკი წერეთლის პირადი ბიბლიოთეკა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა შესწავლილი და მეცნიერულად დამუშავებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლევან ასათიანის ნაშრომს. გამოჩენილი მკვლევარი თავის ფასდაუდებელ წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა" წერს: „აკაკის ბიბლიოთეკაში დაცული ოხმბუნეთა ავტოგრაფებიდან დაასახელებ ზოგიერთს, ე. ი. ანიან ბელინსკი, ბისარიენ. ტრეფიანოვის. პუშკინი, შევჩენკო, ოლეკოი. მარლინსკი, ბლეშჩევი, მიე. ფეტი. ბარბა-ფატალი ახუნდოვი. ხომეკოვი. პოლტარა, ანანინი, მოიეიი, შეკსპირი, ალ. დიუმა, ვ. ჰიუგო, ჰეინე, ბერნე, ეპტ. ოფ. ფ. უპერი, გუკეოი და სხვა. არის ცალეული გამოკვლევებიც. მაგალითად: ჭერეინუსის — „შეკსპირი", ცეპრიეოვის — „შელი", პოლევოის — „ნაპოლეონის ცხოვრება". და სხვა. აქვე ვხვდებით ეკარ ფოგტის — „ფიზიოლოგიურ წერილებს". ვირხოვის ალოდ ბერნარისა, მოოშოტის და სხვათა თხზულებებს".

პოეტის პირადი ბიბლიოთეკა მდიდარია როგორც თემატიკით, ისე უნიკალური გამოცემებით. აქ არის წიგნები ენათმეცნიერებიდან, ფილოსოფიიდან, სამუნებისმეტყველო, ტექნიკური, სოფლის მეურნეობის, პედაგოგიური მეცნიერებიდან, სტუდენტობის ლიტერატურიდან. გვხვდება ძვირფასი გამოცემები სოციოლოგიიდან, თეოლოგიიდან, ისტორიოლოგიიდან. საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი საცნობარო გამოცემები, ენციკლოპედიები დაცეა, ისტორია, განათლება და კულტურა. უნივერსალური ხასიათის ბიბლიოთეკა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, რომ აკაკი დღენიადაგ ზრუნავდა სხვადასხვა დარგში გამოცემული წიგნების მეშვეობით მრავალმხრივი განათლებისათვის.

სხვა გამოცემებთან ერთად, ბიბლიოთეკაში მრავლადაა ავტოგრაფიანი წიგნები. ავტორები თავიანთ წარწერებში გამოხატავენ უსაზღვრო პატივისცემას, მოწიწებასა და სიყვარულს ერის საამაყო შვილისადმი.

პოეტის პირად ბიბლიოთეკაში 32 ავტოგრაფიანი წიგნია, შეიძლება ვიფიქროთ, ასეთი წიგნები გაცილებით მეტი იქნებოდა. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი მაგალითები: ცნობილია, რომ გალაკტონს ტაბიძე პირდაპირ ალმერთებდა აკაკის და იგი მისთვის წმინდა იდეალი იყო. 1914 წელს გამოიცა გალაკტონის ნაწერების პირველი კრებული. ლექსების პირველი წიგნი გალაკტონმა პირადად მიართვა აკაკი წერეთელს სხვიტორში. უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი ალელვებული პირველი მიესალმა ამ წიგნის გამოსვლას. გალაკტონის მეუღლე ქალბატონი ნინო კვირიკაძე გადმოგვაცემს: „გალაკტონის უახლოესი მეგობარი იყო გიორგი ქუჩიშვილი. მისი საყვარელი მწერლები — რუსთაველი და აკაკი. სულ ოგონებდა, თუ როგორ უწინასწორეტყველა აკაკიმ გალაკტონის დიდი მომავალი". აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკისადმი მიძღვ-

ნილ პირველ წიგნს თავისებური გულთბილი პოეტური წარწერით დაამშვენებდა. ასევე შეიძლება ითქვას აკაკის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის გამოჩენილი სამაგვრო მწერლისა და პუბლიცისტის (ამავე დროს აკაკის მკურნალი ექიმი) ივანე ელიოზეშვილის წიგნზე — „სამშობლო ბუნების სარკე", რომელიც 1911 წელს გამოიცა და რომელსაც პოეტმა მაღალი შეფასება მისცა. „მაღალს ნიჭით უნდა იყო მწერალი, — ამბობს აკაკი, — და ნიჭიც განვითარებული უნდა გკონდეს, რომ ასე ტკბილად ჩასჩურჩულო ყმაწვილს და ამავე დროს დიდებიც გიტაცო!.. ეს სამაგალითო წიგნი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იყოს შეტანილი განმად და საწიგნეს დასამშვენებლად, როგორც „ეეფხისტყაოსანი".

ამავე მოსაზრებას ადასტურებს აკაკის პირადი წერილები, რომელთა ადრესატები დიდი მამულიშვილები და პოეტის ახლო მეგობრები გახლავან. „ბატონო იაკობ! — 1910 წელს აკაკი წერს იაკობ გოგებაშვილს. — ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ! ი ახლაც შენმა წერილმა და თანმოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარეს მოწოლილი სევდა!.. გადავიკითხე, გადავთვალიერე მეუტრის თვალით; აფწონ-დაფწონე და შიგ ეეშმარიტება და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჭის გადადგმაც კი!.. მარად შენი მოყვარული აკაკი".

მხცოვან პოეტს წიგნებს სათანადო წარწერით სთავაზობდნენ არა მხოლოდ ავტორები, არამედ რედაქტორები, გამომცემლები, მთარგმნელები, შემდგენლები.

საინტერესოა საკმაოდ სქელტანიან გამოცემაზე („ბოხიღულია წმინდანთა და სხვათა აღმოსავლთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ ეპისკოპოსისა, დაბეჭდილია თბილისს შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა 1852") აკაკის ხელით წარწერილი შემდეგი სიტყვები: „სალეიროს. სევიატაფორი, იოანე მახარობლისა. ბასილ და კონსტანტინე პარიკმემონ". სხვათა შორის, ეს ერთადერთი წიგნია შემორჩენილი აკაკის ბიბლიოთეკაში, რომელზეც უეშველად აკაკის ხელითაა წარწერილი სიტყვები. ფანქრით შესრულებული წარწერა ძნელად იკითხება და, ალბათ, სულ რომ არ დაკარგულიყო, მკვლევარ კ. ქეკელიძეს და მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს კ. ასანიძეს 1945 წლის 18 აგვისტოს ოგივე სიტყვები იქვე მელნით მიუწერიათ. წიგნის შინაარსიდან ყდაზე წარწერილი სიტყვებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ დროს აკაკი მუშობდა თავის ისტორიულ პოემაზე „თორნიკე ერისთავი".

არის წიგნები, რომლებიც, როგორც ჩანს, აკაკის ნათხოვარი ჰქონია და შემორჩა მის ბიბლიოთეკას. მაგალითად, როგორც წარწერიდან ჩანს, ეკვთიმე თაყაიშვილ „სიბრძნე ბალავარისა" (ტფილისი, 1885 წ.). უსახსოვრებია გიორგი წერეთლისათვის. შემდეგ კი აკაკისთან მოხვედრილა. 1885 წლის ერთ-ერთ ჟურნალს აწერია: ეს „ივერია" ეკუთვნის მამია გურიელს. ჟურნალ „ივერიის" 1881 წლის ნომრის ყდაზე აწერია «Акакий Церетели», მაგრამ დაუდგენელია, ეს წარწერა ეკუთვნის თუ არა თვითონ აკაკის, ასეთები სხვაცაა. წიგნზე «На берегах Куры» წარწერილი, «Многоуважаемому князю Акакию Ростомовичу Церетели 10—11. 1901 Тифлисъ». — მაგრამ არ ჩანს, ვისგანაა იგი მიძღვნილი. აკაკის უფროსი ძმისადმი ნაჩუქარი წიგნიც („Коронование императора Александра II"). აკაკის ბიბლიოთეკაში დაცული ასეთი წარწერით: „ნინშად სახსოვრობის და ნათესაობის სიყვარულისა თავადს ილიკოს როსტომის ძეს წერეთელსა, თავადის ნესტორ წერეთლის მიერ ჩუ 53 წელსა იანვრის ქ-ს დღესა".

აკაკის პირველი წიგნი „საახალწლო ხუმრობა" დაიბეჭდა 1874 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბაში (თბილისი). აქედან მოყოლებული პოეტის სიცოცხლეში სულ გამოიცა 72 წიგნი (ცალკე ნაწარმოებები, კრებული, თხზულება). მათგან უმეტესი ნაწილი (51 დასახელების წიგნი) დაცულია და ინახება პოეტის ბიბლიოთეკაში. ჩვენს სასიკადულო მგოსანს მუდმივი მიმოწერა ჰქონდა ავტორებთან, რედაქტორებთან და მოსტამბეებთან. პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საშუალებას გვაძლევს ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ურთიერთობის შინაარსის შესახებ.

1897 წლის 15 ივლისითაა დათარიღებული თედო კიკვიძისადმი (აკაკის თანაშემწე სარედაქციო მეშობაში) გაგზავნილი წერილი, რომელშიაც ეკითხულობთ: „ძმაო თედო! პირველ ეწკენისთვეს უნდა გამოვიდეს ჩემი კრებული". ალთუ ერთი თვის, ასე გასინჯე ერთი წერილ მასალაც კი მაქვს მზად. ბევრ ტატყდები და გეტყვი, მარტო მისთვის რომ ჩემი ნაწერები გამომეცა მე არ ვიტვირთებდი იმ ძნელ საქმეს, მაგრამ ჩემი უმთავრესი ზეპირსიტყვაობაა. ამის უნდა შეეწიონო ჩემი უკანასკნელი ძალ-ღონე... შენი აკაკი". 1909 წელს აკაკი სამკურნალოდ ჭარიზში იმყოფებოდა. აქედან იგი რომში ცნობილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ღვთისმეტყველების დოქტორ მიჩეილ თამარაშვილს სწერდა: „ძმაო მიხაილ!.. თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ ფასდადებით გამომგზავნეთ. დიდად საჭიროა... აკაკი". გამოჩენილი მეცნიერის 556 გვერდიანი ნაშრომი — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი სახეთვალის შემოტა-

ნით და განმარტებით XII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე" — მართლაც ინახება აკაკის მუზეუმში, მაგრამ დადგენილი არაა, აკაკის შეძენილია იგი თუ თამარაშვილის. გამოგზავნილი.

ანტონ ფურცელაძის „დიდი მოუროავი" ისე მოსწონებია აკაკის, რომ რამდენჯერმე გადაუკითხავს და ავტორისათვის კმაყოფილებით მიუწერია: „ძმაო ანტონ! მაპატიე ამდენი ხანი, ჯერ კიდევ შენი „დიდი მოუროავი". ვერ დაგიბრუნე. ეს მეოთხედაა. რომ შევუფერ ისეე კითხვას ჩემებურად და არა ფაციფუცითა ამდენ ძალიან შეა. მხოლოდ ეს ერთადერთი სამკურნალო მალამოა ჩემთვის რომ გულს მიბრუნებს და მამხნევებს, მაღე გავთავდ და გაჯანდ. შენი მარად აკაკი".

საქართველოში უალკოჰოლო საზეიმოებს უფძმფლებელი მიტროფანე ლალიძე თავლაჩინო საზოგადო მოღვაწე გახლდათ, იგი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და ეწეოდა ნაციონერი საქმიანობას. მან დააარსა სტამბა. ბეჭდავდა ქართველ მწერალთა თხზულებებს. მონაწილეობდა თითქმის ყველა საქველმოქმედო წამოწყებაში. მ. ლალიძე დიდ პატივს სცემდა აკაკის და ახლო მეგობრობა ჰქონდა მასთან (მისი შვილები ჯუანშერი და თორნიკე აკაკის მონათლულები იყვნენ). მიტროფანე ლალიძე, როგორც მეცენატი, ახასიათებს აკაკი წერილში ვალერიან გუნიასადმი: „ძმაო ვალიკო! მიტროფანე ლალიძემ განიარაბა რომ ჩემი უკანასკნელი პოემა „საქართველოს გაჭირვინება", ანუ „წმინდა ნინო" დაბეჭდოს თავის ხარჯით ხუთი ათასი ეგზემპლარი და მომიძღვნას. მე ნიშნად თანგრძნობისა, როგორც იუბილარს, ბეჭდვას ექვე შეუდგა... შენი აკაკი". წიგნი მართლაც გამოიცა ქუთაისში 1908 წელს ივანე კილაძის სტამბაში. ლალიძის თანხით. გარდა სახელწოდებისა, წიგნის ყდაზე დაბეჭდილია „სიიუბილეო გამოცემა. მოილი ამ გამოცემის ღირებულებას ნიშნად ღრმა პატივისცემისა ვუძღვნი დიდებულ იუბილარს აკაკის 50 წ. მოღვაწეობის სახსოვრად, მიტროფანე ლალიძე".

როგორც ცნობილია, მადლიერმა საქართველომ 1908 წელს სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადა აკაკი წერეთელს. იუბილეს საყოველთაო სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო, აღინიშნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და გასცდა მის ფარგლებსაც. პირველი საიუბილეო საღამო თბილისის სახალხონი თეატრში (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი) გიმართა. სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენელთა მჭერმეტყველებანი, დელეგაციების, ადრესების და ძვირფასი საჩუქრების ნაკადს ბოლო არ უჩანდა. ამასთან დაკავშირებით, ერთ ფაქტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებამ ამ საყვარელ მგალობართან ერთად ყობრი ჩასმული „ეიფფელ-ტაოლანი" (ქართველშვილიეფეი გამოცემა). წიგნს ფორზაცზე ოქროს ვარაყიანი ასოებით წერია:

ხელმნათო, შენც ხომ ინტავლე
ის საიდუმლო ეფერიანა...
ან აგისრულდა წადილი
მგოსანი გახდი ერიანა.

„თბილისის ქართველ ქალთაგან 1908 წლის დეკემბრის 7".

მხატვრულად უზადოდ გაფორმებულ ამ ძვირფასი გამოცემის ყდაზე ამობეჭდილია, ვერტიკალურად დალაგებული ვარაყიანი ასეთი ერთი სიტყვა იკითხება. „აკაკი". ამ წელს რამდენიმე წიგნი გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით. საგულისხმოა, რომ თბილისის წერილ ვაჭართა საზოგადოებამ გამოსცა აკაკის „რჩეული ლექსები მისი ცხოვრების მოკლე აღწერით", რომელიც ხალხში უფასოდ გავრცელდა. „ქართველ წიგნში" (ბიბლიოგრაფია) ამ გამოცემის აღწერილობა ასეთია: „აკაკის რჩეული ლექსები. მისი ცხოვრების მოკლე აღწერით, ტფილისი, ტფ. წერილ ვაჭართა საზოგადოების გამოცემა ხალხში უფასოდ დასაბოგებლად, სტ. „ცხოვრება". 1908, კანი, 32 გვ. (16 XII) უფასო. — წინასიტყვაობა: „აკაკის ცხოვრება (50 წლის ღღესასწაულის გამო)". სოსიკო მერკვილაძე, გვ. 3-7". ეს წიგნი, გარდა აკაკი წერეთლის მუზეუმისა დაცულია მხოლოდ მოსკოვის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში.

აკაკი წერეთელი თანამშრომლობდა იმდროინდელ თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა: „ცისკარში", „დროებაში", „მნათობში", „კრებულში", „ივერიაში", „შრომაში", „თეატრში", „ჟეკერში", „ყვალში", „ნაკადულში", „პატარა გაზეთში", „განთლებაში" „თეატრსა და ცხოვრებაში", „თემში", „ნიშადურში", „მოამბეში" და სხვ. აკაკი მუდამ ხელმოკლეობას განიცდიდა და, ცხადია, ყველა პერიოდულ გამოცემას ვერ გამოწერდა (ესეც ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს იმისა, რომ პოეტის ბიბლიოთეკაში პერიოდულ გამოცემათა ერთგვარი სიღარიბე იგრძნობა). რედაქტორები კი ხშირად იმ ნომრებსაც არ უგზავნიდნენ, რომელშიც მისი ნაწარმოები იყო დაბეჭდილი. ამით უკმაყოფილო პოეტი დროგამოშვებით თავის მეგობრებს გამოუტყდებოდა ხოლმე. იგი 1891 წლის 4 ივლისს პეტერბურგიდან სწერია: „ძმაო იოანმ! „ივერია" არ წამიკითხავს 15 აპრილს აქეთ. არც „ჟეკერი" და ცოტა გული მწყდება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორცა მაქვს, რომ გამოვიწერო. ამდენ მგლებს ეკ. ... ქკიმბანა და ფფოიაკენ რა გაუძლებდა... პატივსაცემი, შენი მარად აკაკი". ამავე სიგელში ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუტოვებია. მასში ნათქვამია: „ქართლის ცხოვრება 612 ფ. ტყავგადაკრული ხის ტეფრულ ყდაში. დაზიანებული. ზედა ყდა სრულიად მოცილებული და თანაც გატეხილია. უუაც მოგლეჯილია. შიგნითაც აკინძულობა დაოქეული თაკ და ბოლოში. ხელნაწერი თავნაკლულია. ეს ქართლის ცხოვრება ვახტანგისეული რედაქციისა გადაწერილია XVIII საუკუნეში".

შუაფის ტყავგადაკრულ ყდაშია აკინძული სულხან-საბა ორბელიანის ის ლექსიკონის ხელნაწერი (569 ფურცელი), რომელიც გადაწერილია 1854 წელს. ლექსიკონის გადამწერის წიგნის ბოლო ფურცლებზე მიუწერია „რაც დედაშენი იყო მეც ის დაწერე, მაგრამ სიჩქარისა გამო და სისუტისა სიტყვაში მრავალგან ასოსაცილობადან გამიხდა. ამისათვის ნუ მწყევეთ. წელთა ჩყნდსა თებერვლის 3". ეს წიგნი აკაკის თვის უფროსი ძმისათვის უჩიქებია. შემდეგ. აკაკისეული ბიბლიოთეკის აღდგენისა კეკლა მუზუმისათვის დაუბრუნებია. წიგნის უკანასკნელ თვისუფალ ფურცელზე ასეთი მინაწერია: „ეს ლექსიკონი მომცა ჩემმა ძმამ აკაკიმ 1882 წელსა. დავით წერეთელი". იქვეა დავითის ასეთი ჩანაშენა: „1889 წელსა მაისს ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილმა კრებამ: ე. ი. იმერეთის, ოდიშის და გურიის თავადაზნაურობამ ერთმანად გადაუწყვიტა აკაკის 1500 მან. ეძლეოდეს საზღაური ბანკიდან მისდღეში ნაცელად მისადმი პატივისცემისა როგორც პირველ საქართველოს შვილს. თ. დავით წერეთელი".

როგორც ცნობილია, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის გამართულ სტამბაში 1800 წელს ქუთაისში პირველი წიგნი („დავითნი") დაიბეჭდა. აწეწილი პოლიტიკური და ეროვნულ სოციალური მდგომარეობის გამო იმერეთის სამეფო სტამბა ჯერ სოფელ წესში (1809-1811 წწ.). შემდეგ კი სარჩერეში (1815 წლიდან) აწარმოებდა წიგნების ბეჭდვას. ქუთაისში, წესსა და სარჩერეში წიგნების ბეჭდვას ფართოდ განათლებული და ქველმოქმედი გენერალ-მაიორი ზურაბ წერეთელი ხელმძღვანელობდა. სარჩერეში სტამბა მის სასახლეში იყო მოწყობილი და წიგნების გამოცემას, ზურაბთან ერთად მისი შვილი გრიგოლი თავეკიბდა. სარჩერის სტამბის პროდუქციიდან დღემდე მხოლოდ სამი წიგნია შემონახული. ამ ბიბლიოგრაფიული ეშეიათობიდან ერთი ეგზემპლარი „სახარებისა" დაცულია აკაკის პირად ბიბლიოთეკაში, გამოცემა მინიატურულია (10X6), დაბეჭდილია წერილი ნუსხა-ხუცური შრიფტით, ნახმარია წითელი და შავი საღებავი. საკმაოდ მდიდარია ორნამენტებითა და სხვა შემკულობებით, თავფურცელზე აკითხეგბა: „დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთო სახარება სარჩერეს, სასახლესა სარდალ-ალლოფლის წერეთლისასა. საფასის წარგებითა თავადის მაირტალ და ალეკოსაგან. წერეთელ. გრიგოლისათ", ხოლო ტექსტის ბოლოში დაბეჭდილია: „ფუფალნო და ძმანო! მომიხსენეთ მე მდაბალი და უღირსი ანტიმანდრატი გაეგანთისა ცოდვილი ზაქარია. რომელმან ფრაადი შრომა თავსვიდეგ წმინდისა ამის სახარებისათვის და მრავლითა ღუაწლითა ალეკსანდრეულ". წიგნზე აკაკი უფროსი ძმის ხელით მიწერილია: „ეს სატარა სახარება არის მამაჩემის სპკოთხეგი. შუდამ თავქვეშ ედგა და კითხულობდა ამას, ფ. ეტერეის თეოფრაზისა თავად დაეთ წერეთელი".

აკაკი წერეთლის პირად ბიბლიოთეკაში კიდევ ბევრი სხინტერესო გამოცემებია თავმოყრილი. მათ შორის, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაბეჭდილი წიგნებიც. ეროცელია გამოცემათა გეოგრაფიაც (ლონდონი, პარიზი, სეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი, რომი, ვლადიკავკაზი, ოდესა, ბაკო, ქუთაისი, ზეტტაფონი და სხვა). როგორც ჩანს, პოეტი ზოგიერთ გამოცემას თვალის ირეთან არ იშორებდა და მაგიდის წიგნად მიაჩნდა (ითხოვეი, ვეფხისტყაოსანი, ქართლის ცხოვრება). გამოჩენილი მკვლევარი ლეონ ასათიანი წერს: „სხეტორაში დღემდე ინახება „ალბარის" გაყვითლებული ტომი, გამოცემული 1880, ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, სიკვდილამდე აკაკი არ იშორებდა ამ წიგნს და ინახავდა მას სხვა რუსი და დასავლეთევროპელი ლიტერატორების წიგნებთან ერთად".

აკაკის წიგნსაცავში დაცულია ავრეთვე ოჯახის წევრებისა და ახლობლების პირადი წერილები, სახოგადო მოღაწეთა მოგონებები, სიგელები, თამასუქები, განჩინების ფურცლები, ანრესები. ასეთი მასალიდან მკითხველის ყურადღებას შეეპარეგთ ე. წ. ოდიეზე და ოჯახური სადილის მენიუზე. სამას განმარტებით, ოდიეი ეს არის „წმინდა ბარძიმის ქუეშ საფენი". მხატვრულად გაფორმებულ ოდიეზე დაბეჭდილია: „დროსა უკეთილმსახურესისა ფეოდორეს ალექსანდრეს, ბოლოს ბოლოს ... ალექსანდრეს ... ...

ასევე მრავალმხრივ საინტერესოა სადილის მენიუ. რომელიც შემორჩა პოეტის ბიბლიოთეკას.

„სადილი აკაკის სახლში. 25 მკათათვე 1899 წ.

წვანილი.

ზურგიელი.

სულგუნი.

რაჭული ლორი ღომით.

ა) კალმახი ცივად.

ბ)ინდოური ჩადგული.

გ) ცივი დედალი.

დ) ბეკი საწებლით.

ე) ჩიბირთმა.

შემწვარი:

ა) გოკი შინდის ჩურჩხით.

ბ)ვარიები ისრიმ-მაყვლით.

გ)ხუკის მწვადები.

ცაცილი:

ა) მაყვლის ფელამუში.

ბ)ნაკინები.

გ) ბილი.

სხილია: მოლხენა ქართული;

ღვინის სმა სურვილისამებრ — დაძალება აკრძალულია

უკეთმართი „მრავალჟამიერ“ და სხვა მაგვარი უარყოფილი დ. სარბერე“.

ბოლოს ერთდაერთი. „მენიუ“ განსაკუთრებით მოიხსენებს ტრადიციული ქართული სუფრის წესების მკაცრად დაცვას. დიამბლია ღვინის დაძალება. ლხინში უცხოური ელემენტების შეტანა. გაუკუღმართებული სიმოერები.

სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახლში მუზეუმი გაიხსნა 1930 წელს. მანამდე პოეტის სახლს და მის კარ-მიდამოს განაგებდა ყარ ყოფილი მოურავი კოტე ბდუშელიშვილ (1929 წლამდე). შემდეგ კი კოტეს მეუღლე ანიკო თარხნიშვილი- ბდუშელიშვილისა. განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ფრიად განათლებული და ენერგიული ადამიანი კოკი ყეყერაძე, დაიწყო მუზეუმის წესრიგში მოყვანა. პირადი ბიბლიოთეკის აღდგენა. ბევრი აკაკისეული წიგნი დაუბრუნდა მის ბიბლიოთეკას.

მართალია, აკაკის წიგნსაცავი მასობრივი ბიბლიოთეკის რიგს არ ეკუთვნებ (ასეთი ფუნქცია მას არც აქვს დაკისრებული). მაგრამ იგი ძნიშვნელოვან სამსახურს უწევს დაინტერესებულ მკვლევარებსა და მუზეუმის თანამშრომლებს. ხედავ ხეა დროს აკაკის პირად ბიბლიოთეკით სარგებლობენ გამოჩენილ მეცნიერებს, მკვლევარებს, მწერლებს: სიმონ ყაუხჩიშვილს, კოტე ბაქრაძეს, ალექსანდრე კოტლიარევსკის, ამბროსი გალაკტიონოვს, გიორგი ლეონიძეს, ირაკლი ბარამიძესა და სხვებს.

ამ პუბლიკაციას შეტად მოკრძალებული პრეტენზია აქვს.

აკაკის ბიბლიოთეკის ღრმად შესწავლა, მეცნიერული დონეზე გამოკვლევა და განაზოგადება მომავლის საქმეა.

ეროვნული თვალსაზრისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელია პარტნიორობა და კოლეგიალობა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე, როცა მოვლენები არნახული სისწრაფით ვითარდება და ფაქტობრივად, წინ უსწრებს თეორიულ აზროვნებას, ცხადი ხდება, რომ საქართველოს, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგების ფასად, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებში, გამოყენებით უნდა იაროს.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პოლიტიკური ძალების (პარტიების, ორგანიზაციების, კავშირების, ბლოკების) ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონცეფციებს, მით უფრო დღეს, როცა პრაქტიკულად მკვიდრდება მრავალპარტიულობა და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს საშუალება ეძლევათ დემოკრატიულ საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

ვიგრძელებთ რა რუბრიკას **„ეროვნული თვალსაზრისი“**, გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის დალი დავთაშვილის ინტერვიუს ახლახან შექმნილი სახალხო პარტიის თავმჯდომარესთან, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატთან **ბიორგი სიხარულიძესთან:**

კრო: როგორ გესახებათ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი. რა პოტენციურ შესაძლებლობებს ხედავთ საქართველოს სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებისათვის.

ბ. ს. ეს საკითხები გულდასმით შესწავლას მოითხოვს. თუმცა აღიარებულია, რომ საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა უნდა აიგოს ეკონომიკური პლურალიზმის პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს საკუთრების ყველა ფორმის თანაბარფუფლებიანობას.

საკუთრების ძირითად ფორმებად დღეს დღეობით მიჩნეულია: სახელმწიფო, მუნიციპალური, კოლექტიური და კერძო საკუთრება. აქვე ასახელებენ ზოლმე სახალხო საკუთრებასა და კოოპერაციულ საკუთრებას. დღეს ბევრს მსჯელობენ საკუთრების ფორმების კლასიფიკაციის, მათი ურთიერთგამიჯვნის თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საკუთრების სხვადასხვა ფორმათა მჭიდრო, შეიძლება ითქვას, ორგანული ურთიერთკავშირის საკითხი. ამ ანბანური ჭეშმარიტების უგულებელყოფამ, განიადგურებულმა ბრძოლამ კერძო საკუთრების წინააღმდეგ, ვითომც სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ, საბოლოო შედეგებამდე მიგვიყვანა და ისევე პოლიტიკური სისტემა დაბზარა.

იმპერიულ-ეკონომიკურმა სტრუქტურამ, არსებითად, მხოლოდ შიშველ დეკლარაციად აქცია როგორც სახალხო, ისე კოლექტიური თუ კოოპერაციული, მუნიციპალური საკუთრების ფორმებიც. წმრიდ ეს არის მიზეზი, რომ ადამიანები უნდობლად არიან განწყობილი საკუთრების ამ ფორმათა მიმართ, თუმცა, ამლანდდელ თაობებს ოდნავი შესაძლებლობაც არ მისცემოთ პრაქტიკულად გამოეცადათ და შეეფასებინათ თითოეული მათგანის აუცილებლობა.

სახელმწიფო, იმპერიული საკუთრების გაბატონებულმა მდგომარეობამ განაპირობა დიქტატი პოლიტიკის სფეროში. დანარჩენი ცნობილია.

დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიულად გაწყობილ ეკონომიკას საჭიროებს. ამიტომაც აუცილებელია, უფრო აქტიურად წარმართოს ეკონომიკის დეცენტრალიზაციის პროცესი, ეს კი უშალოდ უკავშირდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების თვითმმართველობის საკითხთა გადაწყვეტას.

გასაგებია, რომ იმპერიული სტრუქტურების საყოველთაო რღვევის პირობებში ყველა კეთილნი წილს ითხოვს უზომო სახელმწიფო სექტორიდან. მწვავედ დგას კოლექტიური საკუთრების პრობლემა. თავის უფლებების მოსაპოვებლად იბრძვის კერძო საკუთრება, მაგრამ აქ შეინიშნება ერთი უცნაური ტენდენცია. ზოგჯერ სახალხო კოლექტიური საკუთრება სახელმწიფოს ლოცვა-კურთხევით გადადის არა იმით ხელში, ვისაც იგი უნდა ეკუთვნოდეს (ხალხს, შრომის კოლექტივს), არამედ — კერძო მესაკუთრის მფლობელობაში. ამრიგად, შესანიშნავი ლოზუნგი — „ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს“ ისევ განუხორციელებელი რჩება. ჩვენი ღრმა რწმენით, ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწის დიდი ნაწილი ხალხს უნდა გადაეცეს, ყველა ანონიმი თუ ფაქტიური ვითარების შესაბამისად. რადგანაც მუშა-შინამშახურეებმა და გლეხებმა ალბათ ხახი გ მოისკიდეს ისინი (და ჩვენ რამდენჯერაც

კი. ეროვნული ინტელიგენცია მხარს უჭერს ამ მოთხოვნას. ამასთან, საკითხს ამგვარი გადაწყვეტა მკვეთრად აამაღლებს ხალხის ფართო ფენების საყოფაცხოვრებო დონეს. სოციალურად განთავისუფლებს მშრომელ ადამიანს, ხელს შეუწყობს მისი კულტურული დონის ზრდას, მაშასადამე, ეროვნ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი. გარეშოებაც: სახელმწიფო დაქვეძებარებიდან გამოსული ხალხის საკუთრება იდარ შეიძლება ჩითვალოს იმავითის საკუთრებად. სწორედ ამ გზით შეიძლება გადაწყდეს ერდროულად ორი — ეროვნული და სოციალური პრობლემა. დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკა და განთავისუფლებული შრომა ქვეყნის სწრაფი აღმავლობის საიმედო საწინდარია.

ცხადია, ეს არ ნიშნავს კერძო საკუთრების უფლებათა შეზღუდვას. პირიქით, მას ყოველ მხრივ უნდა შეეფუროთ ხელი. განსაკუთრებით სოფლად, სადაც კერძო საკუთრება ქვეყნის ლორძინების ძლავრ ბერკეტად შეიძლება იქცეს. მაგრამ, ვიმეორებთ, კერძო საკუთრება არ უნდა ვითარდებოდეს სახალხო-კოლექტიური საკუთრების ხარჯზე. მას საკუთარი ბაზა ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსაღოდნელია ეკონომიკური სტრუქტურის მორღვევა, რაც სახეიროს ვერაფერს მოგვიტანს, მხოლოდ გააშწავებს სოციალურ და ეროვნებათშორის ურთიერთობებს, მაშასადამე, შეუძლებელს გახდის ჩვენს წინაშე დასახული წმიდათაწმიდა მიზნის განხორციელებას.

ყოველი ქვეყნის აღმავლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. აქ გადამწყვეტი როლი უნდა შესარულოს გონივრულმა საგარეო პოლიტიკამ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკის საერთო მდგომარეობას, მის მომავალს. ზოგჯერ გიგონგთან, რომ „პოლიტიკოსობა ბინძური ხელობაა“, „პოლიტიკა მეძავი ქალია“, „პოლიტიკა ტყუილია“ და მისთანები. მთელი ეს „სიბრძნე“ ჩვენს თანამედროვეებს ნასესხები აქვთ შუა საუკუნეებისა და უახლესი ისტორიის პოლიტიკურ ავანტურისტთა ნააზრევიდან. ყველას თავისი ზნისავალი აქვს. სახალხო პარტიის მტკიცედ სწამს, რომ პოლიტიკა არ უნდა ისახავდეს მიზნად სხვათაგან სარგებლის გამოძალვას, ვისიმე მოტყუებას, შეცდენას, მსგავსი ხასიათის უღირს ქმედებას. პოლიტიკა უთუოდ გონივრული, მიზანმიმართული, პრინციპული, რა თქმა უნდა, მამულშვილური სულისკვეთებით აღსავსე, მაგრამ, ამასთან ერთად, წრფელი, მართალი და სუფთა, ზნეობრივი უნდა იყოს. სხვაგვარ პოლიტიკას (საგარეოსა თუ საშინაოს) მომავალი არ აქვს. გასათვალიწინებელია ისიც, რომ საგარეო პოლიტიკა განსაზღვრავს საშინაო პოლიტიკას, რაც იქნება ილუზიადაც კი მოგვეჩვენოს. სამწუხაროდ, ამ ილუზიაზეა დებული ბევრი დღეანდელი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონცეფცია.

როგორც ბოლოდროინდელი გამოცდილება მოწმობს, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება ნაკლებად არის დამოკიდებული შრომითი თუ ბუნებრივი რესურსების სიჭარბეზე. ასე რომ იყოს, მაშინ რესპუბლიკა, ჩინეთი თუ ინდოეთი მსოფლიოს დაწინაურებულ ქვეყანათა რიცხვში იქნებოდნენ, ხოლო იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდები, ბელგია, შვეიცარია... პირიქით, სულ უნდა ღიფავდნენ.

ცხადია, ეს ასე არ არის. თავიდათავი მაინც ეროვნული ნიჭიერებაა. ნიჭთა მეოფე შრომა-მოსმაყვარეობაა. ეს ღვთაებრივი მადლი ქართველთა კაცს უხვად აქვს ნაბოძები. მითი ქართველთა თანდაყოლილი სიზარმაცის შესახებ ხელოვნურად არის. შეკოწწეებული მავანთა მიერ. მუქთახორა ერი ვერ შექმნის ხალხური სტუდიერების უკვდავ ქმნილებებს. საკაცობრიო კულტურის თვალშეუდგამ ძეგლებს, რითაც ერთობ მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი ისტორია. იშვიათია ერი, რომელსაც ესოდენ მშრომელი ადამიანები ჰყავდეს, ხალხი, რომელიც დამამცირებლად დაბალი ანაზღაურებისა და მონურად მძიმე შრომის პირობებში თავსაც ინახავდეს და ქვეყანასაც. ამშინ როცა, დაწინაურებული მსოფლიო კომპიუტერით აღჭურვილ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს იწუნებს მხოლოდ იმის გამო, რომ მათი დიზაინი არ მოსწონს, განა შეიძლება გამამტყუნონ ქართველი კაცი. თუკი უნაყოფო შრომით თავშებეზრებულმა ოთხი და ბარი მოისროლოს? ქართველმა კაცმა დასვენება არ იცის. ამ ბოლო ხანს მოლხენაც დაიკიწყა. საამისო დრო არ გააჩნია. სულის მოთქმის დრო არ აქვს. დრო კი სიცოცხლეა. მაგრამ რას იზამ! მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს, შრომის საშუალებები და ეკონომიკური ურთიერთობები კი იმდენად პრიმიტიულია, ნიჭიერების სარბიელი ისეა შეზღუდული, რომ ბევრი შრომაა საჭირო, ძალიან ბევრი, უზომო. უზომო შრომა კი აჩანაგებს კაცსაც და ერსაც.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურად წარმართვისათვის დაკვირვებით არის შესასწავლი ჩვენი გარემმდევი ეკონომიკური რეგიონი. ამ საშერ საქმე. მხოლოდ ახლა ეცოდა საფუძველი. აქ ჯერ კიდევ ბევრი თვარი ლაქაა. ახლო აღმოსავლეთი, მაგალითად, რომელთანაც საქართველოს მუდამ ჭეშდრო ურთიერთობა ჰქონდა, დღეს ჩვენთვის არსებითად terra incognita-ია, რაღა შორს მივდიგართ. ეგივე შეიძლება ითქვას. ჩვენი

უმჯობესი მეზობლები — სომხეთისა და აზერბაიჯანის. აგრეთვე ჩრდილო ოკეანის შესახებაც. მეტიც, ისიც კი, ვიცით ბეჭრისაგან ვიცოთ ჩვენ რას ვფლობთ, რა გაგვაქვს და რა შემოგვაქვს. რისი ფასი შეიძლება გვქონდეს და რის — არა. მოკლედ, ფრიად გაფუჭებული ვითარებაა. თუმცა ამ დანაკლისის სასწრაფოდ შევსება არა მარტო აუცილებელი, არამედ საჭიროებთ შესაძლებელი.

** პრო.** თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანაფარდობა?

ბ. ს. — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანაფარდობა ოვით სახალხო მეურნეობის ან დაოგებმა უნდა განსაზღვრონ ბუნებრივი ეკონომიკური ურთიერთობის გზით.

ეკონომია ვერ ტანსაც არადინამიურ განვითარებას. მისი ბუნებრივი მდგომარეობა სიფალია. ეკონომიკური ანარქია მოჩვენებითია. მას უმალვე აწესრიგებს. ღირებულების კანონი. საბელმწიფოებრივ რეგულირებას, მხოლოდ მოკლე ვადით შეუძლია ილუზორული ეფექტის შექმნა. საბოლოოდ მაინც განსაზღვრელია არა ეკონომიკის გარე, სამართლებრივი თუ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ინსტიტუტები, არამედ, ძნელად შესაცნობი შიდა მექანიზმი, რომელიც უნივერსალურია და საყოველად იზიარებდა დროთა და სივრცით, ადამიანებს, ცხადია, შეუძლიათ და უნდა მართონ კიდეც ეს პროცესი. საზოგადოდ აღიარებულია, რომ დაწინაურებული მრეწველობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის მაღალ დონეს. მაგრამ ეს პროცესებთაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ მაინცადამაინც მრეწველობის განვითარებაზე აიღოს გზა. ჩვენი მოშლილი ეკონომიკის ყველა დარგს თანაბარი მზრუნველობა სჭირდება. დრო თავად მიუჩენს ადგილს ყოველ მათგანს. მაგრამ ერთი კი გასათვალისწინებელია — სოფლად გლეხთა უდიდესი ნაწილი სრულიად მოეჩვეველია პირად ინიციატივას. ან სულ ის უნდა ვეალოდეთ — ადამიანები ხომ გადავაჩვიეთ დამოუკიდებელ სამეურნეო აზროვნებას, ფექტობრივად, დავკარგეთ მეურნე. მეციელო შემოქმედებანი, რადგანაც მას არა აქვს სტიმული — ეს ერთადერთი ურყევი ბერკეტი ზომიერი ეხუნეზიზმისა.

დადგა დრო, გლეხი მიწისა და მოსავლის ერთპატრონეულ პატრონი გავხადოთ ყოველგვარი ბიუროკრატიული ლაბირინთების გარეშე. ამას ამჟერად მხოლოდ გლეხური მეურნეობების დანერგვით მივაღწევთ. რა თქმა უნდა გლეხური მეურნეობის შექმნისა და არსებობის საფუძველი მიწა. ამიტომ გლეხს მიწა სამუდამო მფლობელობაში უნდა გადაეცეს. გლეხობა მეურნეობამ გლეხის უფლება მიწაზე ისე უნდა დაეკანონოს, რომ მის მაპულსა და ჭირნახულს ვეროვინ შეეხოს, ე. ი. საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების. დაშლა, მაგრამ ეს კი უნდა მოიდეს ელვისებურად, ყველგან ერთნაირად და ერთდროულად, რადგანაც გლეხთა უმრავლესობა, საფიქრებელია, ჯერჯერობით საამისოდ მზად არ უნდა იყოს.

სად ვეძებთო გამოსავალი? ჩვენი აზრით, აუცილებელია გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდისთვის უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი საკუთრების ფორმათა თანაბარუფლებიანობის აღდგენა, და რაც მთავარია, ხალხს უნდა მიეცეს თავისუფლება აირჩიოს თავისთვის სასურველი გზა — ეს იქნება კოლმეურნობა, ტრადიციული სათემო მეურნეობა, თავისუფალ მიწადამქმედელთა საკაკლინერო საზოგადოება თუ პირადი მეურნეობის განვითარება. დარწმუნებულიი ვართ, ამ პერიოდში მრავალწყობიანი სოფლის მეურნეობა იპოვის გზვითარების ძირითად ხაზს, რაც თავიდან აგვაცილებს სოფლად წარმოქმნილ მწვავე სოციალურ კონფლიქტებს.

კრო. — როგორ წარმოგიდგენია საგადასახადო სისტემა, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, შრომის დანაწილება და შრომის ანაზღაურება, არამწარმოებლური სფეროსის (კულტურა, განათლება, ლიტერატურა, ხელოვნება) განვითარების უზრუნველყოფა?

ბ. ს. — საგადასახადო სისტემა რაც შეიძლება დემოკრატიული უნდა იყოს. იგი, უწინარესად, გადამხდელთა ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს, ვინაიდან მათი ინტერესების დაცვა, ფექტობრივად, სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ნიშნავს. მეორე მხრივ, საგადასახადო ინტერესების დემოკრატიულობა აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს უფლების დაცვასაც. უნიერო საგადასახადო სისტემამ შეიძლება დაუფლურს სახელმწიფო, წარმოშვას სოციალური უსამართლობა, გამოიწვიოს ანარქია, დანაშაულთაგან ზრდა და მისთანები. გადასახადთა ოდენობის დადგენა, რა თქმა უნდა, სპეციალისტთა საქმეა, ჩვენ მხოლოდ შევნიშნავდით, რომ ბრმად არ უნდა ვენდოთ უცხოურ კალკულს. საგადასახადო სისტემის ფორმირება უნდა ხდებოდეს კონკრეტული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით პოლიტიკური სისტემის ყველა დონეზე, როგორც სარეთ-სახელმწიფოებრივი, ისე ეთნიკური, რეგიონული თუ რაიონული, სადაც აუცილებელია, სოფლის (უბნის) საჭიროებათა გათვალისწინებით. ეს კი უთუოდ მოაზროვნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ზრდას, ასე ვთქვათ, ეკონომიკურ ფედერალიზმს, რაც საფიქრებელია, ხელს შეუწყობს არა მარტო ცალკეული რეგიონების (რაიონების) ზრდასა

და აღორძინებას, არამედ უსათუოდ ქვეყნის ეკონომიკური ძალიერების ზრდასაც. ამავე პრინციპით უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებაც.

შრომის დანაწილების დღევანდელი სისტემა აშკარად დეფორმირებულია. აქ ყველაფერი ცენტრთან მიმართებაში განიხილება. მეზობელ რაიონებს ხშირად არ გააჩნიათ ერთმანეთთან ისეთი მჭიდრო კავშირი, როგორიც თითოეულ მათგანს — ცენტრთან. პირიქით კი უნდა იყოს. ამას ეკონომიკური ზარალის მეტი არაფერი მოაქვს. როგორც ახლა ამბობენ, საჭიროა ვერტიკალური კავშირებიდან პორიზონტალურზე გადასვლა. მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ზომიერების ფარგლებში შენარჩუნებულ იქნეს ვერტიკალური კავშირებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე უკიდურესობაში გადაეკარებით. გარდა ამისა, არაფერით არ უნდა დავუშვათ ე. წ. „ეთნოკულტურული“ რეგიონების ფორმირება. ცხადია, სავსებით დასაშვებია, რომ ამა თუ იმ რაიონში წამყვანი რომელიმე კულტურა (კულტურები) იყოს, მაგრამ იქვე უნდა ვითარებოდეს ისეთი დარგებიც, რომლებიც ძირითადად დაკმაყოფილებენ ადგილობრივ მოთხოვნილებებს, უწინარესად, პირველი მოხმარების საგნებზე.

საყოველთაო აღიარებით, შრომის ანაზღაურების სამართლიანი პრინციპი „თანაბარი შრომისთვის — თანაბარი და საკმარისი გასამრჯელო“. უთარსაყოფია მაგნე პრაქტიკა, როცა ხელოვნებაც მეტისმეტ ხელმეჭერილობას იჩენს ხელოსანების ოდენობათა განსაზღვრისას. ამგვარი ვითომ „ეკონომია“ მხოლოდ აზარალებს ეკონომიკას, ბიგიას სოციალური უსამართლობის გრძნობას, გულს. ეცარუნს მეშაკს და ირსებითად ღაბავს ადამიანის უფლებებს.

ჩვენ ვერაფერით ვეგუებით ტერმინს „არამწარმოებლური სფერო“. განა შეიძლება ამ ე. წ. „სფეროში“ გაერთიანდეს კულტურა, საზოგადოდ, და მისი დარგები-განათლება, ლიტერატურა, ხელოვნება? კულტურა ხომ უშეალოდ არის ჩართული საზოგადოებრივ პროცესში და ამიგვარ განაკრობებს „მწარმოებლური“ დარგების განვითარებას? სწორედ ამიტომ არ უნდა ვიშურებდეთ სახსრებს კულტურისა და მისი დარგების დასაფინანსებლად. ეს საკითხია საკითხი. თორემ რა გამოდის. ისეთი მაღალკულტურული ტაადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეგონეს, ყველაზე ღარიბი კულტურის სამინისტრო გვაქვს დედამიწის ზურგზე. ეს ითქმის იმ უწყება-დაწესებულებათა მიმართაც, რომლებიც განაგებენ სახალხო განათლების, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების აგრეთვე საინფორმაციო საშუალებების — პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საკითხებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია საქართველოს ეროვნული წიგნთსაცავი — „საჯარო“ ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელისუფლების ქმედითი დახმარება, თითოეულ ჩვენთაგანის თანადგომა ესაჭიროება. ამ ბოლო დროს ბიბლიოთეკის მესვეურთა, უწინარესად, რა თქმა უნდა, დაწესებულების ხელმძღვანელის ღირად პატივცემულ ბატონ აკაკი ძიძიგურის მეცადინეობით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნნადი ფონდები ჯერ კიდევ უაღრესად სავალალო მდგომარეობაშია. კიდევ უფრო მძიმე განსაცდელის წინაშე დგას თვით ბიბლიოთეკის კოლექციები. როგორც ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, დედაქალაქის ამ კულტურული კვარტლის ატმოსფეროს პირდაპირ წამლავს სამხედრო უწყების კარტოგრაფიული საწარმო, რომელიც სწორედ ეროვნულ წიგნთსაცავსა და ხელოვნების მუზეუმს შორის არის მოთავსებული. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შორის ხშირია ონკოლოგიური სნეულების შემთხვევები, რამაც მარტოოდენ უკანასკნელ წლებში იმსხვერპლა ქართული კულტურის არაერთი შესანიშნავი მოამაგე.

კმრ. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, პოლიტიკური ძალები, საარჩევნო და მმართველობის სისტემა?

გ. ს. — დამოუკიდებელი საქართველო, უწინარესად, სოციალურად თავისუფალი უნდა იყოს. ეს ნიშნავს აკეთო ყველაფერი, რაც აჯენებს საზოგადოებას. თავის მხრივ, საზოგადოებამ ანგარიში უნდა გაუწიოს სხვადასხვა სოციალურ ფენათა და ეთნიკურ ჯგუფთა ინტერესებს, რათა არ გამოიწვიოს მათი ურთიერთდაპირისპირება. საზოგადოების თითოეულმა წევრმა თავად უნდა გადაწყვიტოს: კოლექტიური საკუთრების თანამფლობელი იყოს, კერძო მესაკუთრე, თუ ამ უკანასკნელის მიერ დაქირავებული მუშაკი.

პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველო უთუოდ პარლამენტური რესპუბლიკა უნდა იყოს. როგორი სახისა იქნება თვით უზენაესი საკანონმდებლო ორგანო, ამას, ალბათ, მომავალი განსაზღვრავს. ერთი კია: დემოკრატიზმი დიდ მამაცობას, კეთილშობილებასა და ჰუმანურობას მოითხოვს. ამასთან, უნდა ვლიაროთ, რომ პირადად მე ფედერალიზმის მომხრე ვარ. რამდენადაც ვიცი, **სწორედ ამ** პრობლემაზე მუშაობს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია. სამწუხაროდ, მე კარგად არ ვიცნობ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფციას, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფედერალიზმი რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაც რეალური თვითმმართველობის უმაღლესი ფორმა. სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობის საუკეთესო გარანტია. თუმცა აქაც ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ. ცენტრი, ცხადია, ყოველმხრივ უნდა ითვალისწინებდეს და უნდა იცავდეს კიდეც პერიფერიათა ინტერესებს, მაგრამ, მასთან, რეგიონებიც არანაკლებ პასუხისმგებლობას უნდა. გრძნობდნენ ცენტრის წინაშე და პარტიულო-რესპუბლიკური ხასიათის მოთხოვნებით ეკვეკეშ არ უნდა აყენებდნენ სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების საფუძველს. და საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ჩვენგანი ერთი სახელმწიფოს საქართველოს შვილები ვართ. ერთ ნავში ვსხედვართ და თითეულს საერთო-სახელმწიფოებრივი ძნიშვნელობის უბანი გვაქვს მინდობილი. ამტომ ყოველი ჩვენგანის უფლებათა დაცნინება-შელახვა, ერთიერთშეღები და შეხლა-შემოხლა მხოლოდ საერთო საქმეს ენებს და საყოველთაო განადგურებს საფრთხეს ქმნის.

პოლიტიკური ძალები თავიანთ რეალურ განსხვავებას პოლიტიკურ ორგანიზაციებში ჰპოვებენ. სახელმწიფო უნდა ალიარებდეს და ყოველმხრივ იცავდეს პოლიტიკურ გაერთიანებათა უფლებებს. საამისო გარანტია კი ჯერჯერობით კარ არსებობს, შესაძლოა ეგენი კანონი, ან კანონთა სისტემა (პარტიათა შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების მაღალფეკუტინან ფუნქციონირებას.

რაც შეეხება საარჩევნო სისტემას, დღეს ძნელია განსაზღვრო, თუ რომელ მათგანს შეიძლება მიენიშნოს უპირატესობა. მაჟორატარული სისტემის ანტიდემოკრატიული ხასიათი ეკუს არ იწვევს. ეს ალიარებელია თვით დასავლელ პოლიტოლოგთა მიერ, მაგრამ პროპორციული სისტემა ხომ მაღალგანვითარებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობს? ასეთი რამ კი ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის დადგთანს, ალბათ, ეკერე იქნება.

კრრ. როგორ ეგესახებამთ საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები, სამხედრო-თავდაცვითი და შინაგანი წესრიგის სისტემა, ერთაშორისი ურთიერთობები, დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან და დანარჩენ მსოფლიოსთან, პოლიტიკურ და სამხედრო ბლოკებთან, საზოგადოებრივ მოძრაობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ბ.ს. — როგორც ზემოთ ითქვა, საგარეოპოლიტიკური ურთიერთობები განსაზღვრავს შინა-პოლიტიკურ ცხოვრებას. დამოუკიდებელმა საქართველომ კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა დაამყაროს კავკასიელ ხალხებთან — კავკასიის ქვეყნებთან, შემდგომ რუსეთის ფედერაციასთან და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან. მაგრამ კეთილგანწყობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ყოველგვარ დათმობაზე წასვლას, თუმცა დათმობა, როცა იგი ორმხრივია, უთუოდ სასაგებლოა საერთო საქმისათვის.

ქართველი ხალხი არ არის ომის მოყვარული. იგი უფრო შემოქმედი და აღმაშენებელია. ეიდრე დამანგრეველი. ამის მიუხედავად, ჯერჯერობით, ჩანს მაინც აუცილებელია ძლიერი ეროვნული არმიის შექმნა, ეფექტიანი თავდაცვითი სისტემის ფორმირება, მაგრამ დღეს ეს ჩვენი მოშლილი ეკონომიკის შესაძლებლობებს აღემატება, ჩვენ ბზრით, ჩვენ კი მოგვიხერხდება მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა. თუმცა სულითა და გულით სწორად აქეთაენ მიეისწრაფვით. დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან თუ საგარეო საქმეში ჩარევას ინდომებს ყველა, ვისაც კი რაიმე ინტერესი აქვს კავკასიაში. ასე იყო მუდამ. ასეც იქნება.

დღეს უარს ვაცხადებთ რუსეთთან კავშირის საკითხებზე. დავიქანცეთ იმპერიასთან ბრძოლში.

შეიძლება, რა თქმა უნდა, ბალტიისპირეთი მსგავსად, კავკასიის (ან ამერიკეკავსიის) ქვეყნების კავშირის (კონფედერაციის) შექმნა. ასეთი ხმები ეკვე გისმის არა მარტო ჩვენში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მაგრამ უკიდურესი ეთნიკურ-სარწმუნოებრივი სკრეოლის გამო, ამგვარი კავშირი, ალბათ, ვერ იქნება მშვიდობის სიმშედო გარანტი, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე.

სამწუხაროდ, საგარეო-პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაძაბულია ახლო აღმოსავლეთში. ირან-ერაყის გაჭიანურებული ომი, ერაყის მიერ ქუვეითის ანექსია, ლიბანის ამბები, ზზრმაიჯან-სომხეთის კონფლიქტი და სხვა მრავალი აშკარად არასახარბიელო პერსპექტივას სახავს. რაღა შორს მიდიგართ, თვით ჩვენს ქვეყანას არ დაადგა საშველი. თუკი არ მოხერხდა საქართველოს მთელი კანონიერი მოსახლეობის კონსოლიდაცია, არ მოგვარდა ეროვნშორისი ურთიერთობები, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი ამაო ოცნება იქნება.

ჩვენი პარტიული საქმიანობის ხერხები და საშუალებები მხოლოდ პარლამენტური მოდეგზეშინის გზით განხორციელდება და ყოველთვის მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. ჩვენ უარეყოფთ დაპირისპირების-ანტაგონიზმის საჭიროებას იქ, სადაც აუცილებელია პარტნორობა და კოლეგიალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მიხეილ კვესელავა

გიორგი გურჯიევის გახსენება

მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის ქართველი მკითხველის გასაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესორ მიხეილ კვესელავას ტრილოგიამ „ას ერგასის დღე".

ამ ნაწარმოების ბეჭდვა ჯერ კიდევ 1966 წელს დაიწყო ჟურნალ „მნათობში" „ათასი ფეთი ბრალდების" სათაურით. 1967-1974 წლებში კი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ტრილოგიის სამივე წიგნი — „თემიდას თვალები", „ევროპის მოტაცება" და „ნემეზიდას მიხეილი".

„ამას დღესა შინა გამოეცნენ წყაორნი უფსკრულისანი, საქანელნი ცისანი განეხუნენ და ამალლდა წყალი ქუეყანასა ზედა ას ერგასის დღე", — „დაბადების" ეს სტრიქონები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული ამ წიგნს. და ბიბლიური წარღვნის საშინელების განცდა თავიდან ბოლომდე გასდევს ამ ვრცელ ნაწარმოებს, რომელსაც ავტორმა სიმბოლურად „ას ერგასის დღე" უწოდა, თუმცა ჰიტლერის მიერ მომზადებული წარღვნა ას ორმოცდაათ დღეს კი არა, ბევრად უფრო დიდხანს და გაუგონარი სისასტიკით გაგრძელდა.

ნაცისტური რეჟიმის მესვეურთა საბრალდებო დოკუმენტების წონამ 1945 წლისათვის რამდენიმე ათას ტონას მიაღწია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც ათას ფეთს იწონიდა, გაიგზავნა ქალაქ ნიურნბერგში, სადაც საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა შეთანხმებით გაასამართლეს 24 საშხედრო დამნაშავე და 6 დანაშაულებრივი ორგანიზაცია.

საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილთა შორის იყო ევროპული ენების ჩინებული მცოდნე, ოფიცერი მიხეილ კვესელავა.

მიხეილ კვესელავას სამამულო ომის წლებში ფრონტის მოწინავე ხაზის კვალდაკვალ მოუხდა ყოფნა და სარდლობის დიდმნიშვნელოვან დავალებათა შესასრულებლად დაძაბული, თავდაუზოგავი მუშაობა უკრაინაში, მოლდავეთში, ბესარაბიაში, რუმინეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, გერმანიაში. ბოლოს კი, როგორც ადენიშნეთ, აქტიურად მონაწილეობდა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მუშაობაში, კერძოდ, მთავარი სამხედრო დამნაშავეების — გერინგის, რიბენტროპის, ჰესის, როზენბერგის, ნეიერატის, პაპენის დაკითხვებში.

„ას ერგასის დღეს" სუპერზე წარწერილი აქვს ავტორისეული მოკრძალებული ანოტაცია: „სამამულო ომისა და ნიურნბერგის პროცესის მონაწილის ნამამობი — განცდილი და გაგონილი". ნამდვილად კი ეს არის მეორე მსოფლიო ომის თავისებური ისტორია. მისი დაწყების პირველი დღიდან „მესამე რაიხის" დასასრულამდე.

დიდი ერუდიცია, დოკუმენტური მასალის შესანიშნავი ცოდნა, ისტორიული ფაქტების ღრმა ანალიზი და უაღრესად მიმზიდველი თხრობა — აი, ყველაფერი ის, რითაც იპყრობს ეს წიგნი მკითხველის ყურადღებას.

ბედნიერება მქონდა დოც. მ. ებრალიძესთან ერთად ვყოფილიყავი ტრილოგიის პირველი ორი წიგნის რედაქტორი.

ტრილოგიის პირველ წიგნში, რომელიც 1967 წელს გამოიცა, თავს — „ჯვარცმის ახალი ნიშანი" წინ უძღოდა ორი თავი „თბილისიდან ფონტენბლოში" და „მეორე სიცოცხლე", რომლებიც გიორგი გურჯიევის მოღვაწეობას შეეხებოდა. მაშინ არ დაგვრთეს წიგნში მისი დაბეჭდის ნება და ანაბეჭდი ჩემს არქივში ინახება.

იმედია, მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით, „ას ერგასის დღის" განმეორებითი გამოცემა დღის სინათლეს იხილავს და ეს წაწილი, რომელსაც დაგვიანებით ვთავაზობთ მკითხველს, პირველ წიგნში აღდგება, ასეთი იქნებოდა ბატონ მიხეილის სურვილიც.

ლეილა ანანიაშვილი

...„კენეთ უოკირი ერთთან ალტაცებული წერს: — გურჯიევის შესახებ შემიძლია ო

იე გავიმეორო, რაც ჰამლეტმა თქვა თავის მამაზე:

ის კაცი იყო, ეით შეპფერის კაცსა
კაცობა...
მე ვეღარ ვნახავ იმის მსგავსსა ჩემს
სიცოცხლეშინ!...

...ყველაფერი ეს. ცხადია, გადაჭარბებულია, გაზვიადებული, ალტაცებული თაყვანისმცემლების ზომადაკარგული ქება-დიდება... ისევე გადაჭარბებული, როგორც მეორე უკიდურესობა, ზოგიერთები რომ მას საეკვო პიროვნებასა და ყალთაბანდს უწოდებენ. ამგვარადვე ნათლავდნენ მე-16 საუკუნეში ისტორიულ პირებს: პარაცელზს, როჯერ ბეკონს, დოქტორ იოჰან ფაუსტსა და სხვებს. მართლაც არის გურჯიევში რაღაც ფაუსტის, როჯერ ბეკონისა და პარაცელზისებური. იგი მეცნიერიცაა და მოგვიც, რომელიც სპეციალისტყველი მეცნიერებებთან ერთად ასტროლოგიისა და თეოსოფიის საფერებზეც ეძებს ჭეშმარიტებას. არც სხვა ეზოტერულ მეცნიერებათა და საკრალურ წარმოდგენათა გამოყენებას ერიდება თანამედროვეობის რთული პრობლემების განხილვის დროს. თუმცა იმასაც წერენ, თითქმის ყველაფერი, რასაც გურჯიევი ქადაგებდა, დღეს მეცნიერული კვლევის საგანია. განსაკუთრებით აღნიშნავენ გურჯიევის „ეგზაცარი ფსიქოლოგიური ფენომენების“ კავშირს თანამედროვე პარაფსიქოლოგიის მიღწევებთან. იქნებ ამიტომაც იყოს ასე საინტერესო და გაუგებარიც, ზოგჯერ — მეტად რთული, იდუმალი და შიშის მომგვრელიც, ზოგჯერ კი — სრულიად უბრალო, მარტივი და ისევე ნათელი, როგორიც მისი გარეგნობაა.

მე ვნახე სუფთა გურჯიევისა. ჩვენებურ გლეხსა ჰგავს, თავზე თუშური ქუდი ახურავს, თეთრი ჩამოყიდებული ულვაშები აქვს და საოცრად გამომეტყველი თვალები. განსაკუთრებით ღრმა, სულში ჩამწვდომი და მომწუსხავი გამოხედვა, რაზედაც ასე ბევრს წერენ ევროპელი თუ ამერიკელი მწერლები და მეცნიერები. აქვე შეიძლება აღინიშნოს, თუ რა მკვიცო კავშირი აქვს ამ შუასაუუნეობრივი მეოცნებე იდეალისტის აზრებს თანამედროვე ევროპელ აზროვნებასთან. ზოგჯერ მეც მეჩვენება, რომ მისი მსჯელობა სამყაროსთან კითხვითი დამოკიდებულებისა, თუნდაც ე. წ. ჯრჩევანის პრინციპის შესახებ, ჟან-პოლ სარტრს აქვს განვითარებული თავის ცნობილ ფილოსოფიურ ტრაქტატში — „ყოფიერება და არაფერი“. (Sétre et le Néant) გურჯიევის „პიროვნების ფილოსოფიის“ ბევრი რამ ეახლოებს ექსისტენციალისტურ მოძღვრებასთან. მთელი ეს მსჯელობა „სამყაროს ორკესტრული სურათისა“ და „კოსმოსური მუსიკის“ შესახებ, რასაც ასე ხშირად ვხვდებით თანამედროვე დასავლეთის რომანისტიკაში, საოცარი სიღრმითა და სირთულითაა წარმოდგენილი გურჯიევის ნაწერებში. მას ვარსკვლავთა მთელი მოძრაობა თითქოს ნოტებზე აქვს გადაკანილი, შვიდი მნათობი — შვიდ ბგერასთან შეფარდებული და პლანეტარულ მუსიკაში გამოხატული.

„ახალი დროის პითაგორაც“ გურჯიევს, ალბათ, იმიტომ უწოდეს, რომ მან რიცხვი და გეომეტრიული ნახაზები მიუუენა ბუნების ძალთა გამოვლენის თითქმის ყოველგვარ ფორმას და შექმნა არსებობის ალეგბრული ფორმულები, რათა ამოეხსნა გონებისათვის მიუწვდომელი საოცრებანი, რითაც ასე სავსეა ნაწერები და რაზედაც ძალიან ბევრს წერენ დღეს ჩვენს კიბერნეტიკულ ეპოქაში.

მისი „ფსიქოლოგიური ფენომენები“ მიმართულია ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს გაგებისა და უფრო სრულყოფილად გამოვლენისაკენ. გურჯიევი თვითონაც გაოცებული იყო ამ საოცრებით და სხვასაც აოცებდა მანამდე უცნობი (თუ ოდესღაც ნაცნობი და დავიწყებული) მოვლენების ხელახალი გაცოცხლებითა და თანამედროვეობის თვალსაზრისით ახსნა-განმარტებით.

ყველაფერი ეს, ვიმეორებ, „მეოცნებე იდეალისტის“ ნაფიქრი და ნააზრევია, რომელშიც არც ისე ადვილი გასარჩევია, სად რაციონალური მარცვალია და სად უბრალო დაბნეულობა გონებისა...

... მოწაფეებისა და თაყვანისმცემლების უმრავლესობის აზრით, გურჯიევი, უწინარეს ყოვლისა, გაოცებას იწვევდა თავისი „არაჩვეულებრივი მოქმედებებით“, სახელდობრ, დასავლეთის სამეცნიერო ინტელიგენციისათვის რაღაც იდუმალებით მოსილი უნარით — „გაკაეთოს ის, რისი ახსნაც ხშირად არ ძალუძს გონებას“.

მარკი წერს:

—„იგი შეელოდა ხალხს იქ, სადაც სხვები მხოლოდ უმწეოდ ასაბუქებდნენ ხელებს კითხულობდა ლექციებს, მაგრამ საკუთად მოძღვრებას თავს არავის ახვევდა, პირიქით, ძნელი იყო მისი ამეტყველება. თავის აზრებს ფარულად ინახავდა, არ გვიზიარებდა. მას ყოველთვის იმაზე მეტი უნდოდა ეთქვა, ვიდრე ამის გამოხატვა სიტყვებით შეიძლებოდა. როცა მასთან ვიუავით, თითქოს ყველაფერს ხელები და ფეხები ეხსნებოდა... დიდი სიშორე გვიახლოვდებოდა, ხოლო პატარა — მილიონნერი დიდდებოდა. აზროვნებისა და ინწვნინის ყველა დანარჩენი ფორმა ფარვანებივით ტრიალებდნენ გურჯიევის თვალთახედვის სინამდვილის გარშემო...

თბილისიდან ფონტენბლოში...

ვინ იყო ეს გიორგი გურჯიევი, რომელმაც ამდენი ლაპარაკი გამოიწვია მსოფლიოში (გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ მხარისა, რომელსაც ის ეკუთვნის). ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. ბიოგრაფები წერენ, რომ გურჯიევი ცდილობდა დაეფარა თავისი წარმოშობის კვალი. წერილობითი დოკუმენტების მიხედვით იგი ვითომ ბერძენია, დაბადებული უძველეს ქალაქ ბუმბერში, სადაც ბერძნული კოლონია ჩამოსახლებულა. ამის შემდეგ ბუმბერისათვის ალექსანდროპოლი უწოდებიათ. ბიოგრაფთა უმრავლესობა და თვითონ გურჯიევიც თავის სამშობლოდ ალექსანდროპოლს თვლის. მაგრამ შეიძლება ეს წინასწარგანზრახული ფალსიფიკაცია იყოს, რადგან მისი სახელი უმთავრესად საქართველოსთანაა დაკავშირებული. „გურჯიე" ხომ ქართველს ნიშნავს. ამ გვარს სხვა ეტიმოლოგია, გარდა „ქართველისა", არცა აქვს. ბერძნებში კი ასეთი გვარი არ გვხვდება, არც ასო „ჯ" არის მათ ენაში. როგორც ჩანს, წარმოშობით ქართველები, რომლებიც უცხო ეთნიკიურ გარემოში ხვდებოდნენ, ზოგჯერ „გურჯიდან" აწარმოებდნენ თავიანთ გვარს. ისე მაგალითად, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ცნობილია პოლონეთის ქართველი ელჩი სპარსეთში ბოგდან გურჯიცი, უფრო გვიან თურქეთში — გიორგი გურჯი (ცინცაძე)... ეთიმ გურჯი, გურჯიშვილები და სხვა...

გიორგი გურჯიევი შესაძლებელია გუმბერში (ალექსანდროპოლში) კი დაიბადა, მაგრამ წარმოშობით ქართველი იყოს. ენენთ ოულკერი თავის წიგნში, სადაც გურჯიევზეა ლაპარაკი, წერს: „გურჯიევი და სტალინი ცხოვრობდნენ ერთ ეპოქაში და სწავლობდნენ ერთ სემინარიაში". სხვა ბიოგრაფებიც წერენ, რომ ის თბილისში სწავლობდა, ხოლო მისი თბილისელი ფარიზელი ნაცნობები გადმოგვცემენ, თვითონ გურჯიევი ქართულად ლაპარაკობდა და ამბობდა, ქართველი ვარო.., უცხოელები კი მას, უმთავრესად მოიხსენიებენ როგორც „კავკასიელს..."

„კავკასიელი ახალგაზრდობის უცნაურმა ცხოვრებამ, — წერს მარკი, — აიძულა იგი ჩაფიქრებოდა ცხოვრების აზრს. ცდილობდა მოეძებნა ყველა დროისა და ადამიანისათვის შუხაფრინი (gültig) ცოდნა, ამისათვის დაიწყო „ისტორიის ნარჩენებისა და ნაკვალევის ძიება. სწავლობდა უძველესი ადათ-წესების ნაშთებს, ეკლესიებში დაცულ ხიძველებს, არქეოლოგიურ ძეგლებს, წარწერებს, რელიგიურ რიტუალებსა და ცეკვებს, რომელთა „წაკითხვასაც იგი ცდილობდა..."

ამისათვის დაუფლებია ჯაბუკობიდანვე თავისი მხარე და აღმოსავლეთში წასულა ისევ იმ „სიბრძნის ქვეყნა" და ეშმაჩარიტების საფუძველების საძიებლად. ყოფილა ირანში, თურქეთში, ეგვიპტეში, ხოლო შემდეგ დიდი ხნით ტიბეტში დასახლებულიყო. ადადა, როგორც ამბობენ, დალაი-ლამას მრჩეველი და მასწავლებელი ყოფილა. ინგლის-ტიბეტის ომის დროს გურჯიევი თურმე დალაი-ლამას ახლლა ფრონტზე.

ოცი წლის შემდეგ გურჯიევი „შინ დაბრუნებულა", მაგრამ ჩქარა ისევ დაკარგულა მისი გზა-კვალი...

...1912 წელს უკვე მრავალრიცხოვანი მოწაფეებით გარსშემოხვეული გურჯიევი პეტერბურგში გამოჩენილა. ამ დროს, როგორც ჩანს, მას უკვე დაწერილი ჰქონია წიგნი — „უცნობ მოძღვრებათა საოცარი ფრაგმენტების ძიებაში" (შემდეგ ეს წიგნი გერმანულად გამოიცა ინსბრუკში). გურჯიევისა და მისი წიგნის მიზნია: ეძების „აზრი და მიზანი ადამიანური არსებობისა", გაარკვიოს, რა არის „განვითარება", „ეშმაჩარიტება", „სინამდვილე" და გადმოსცეს საკუთარი აზრები ამ საკითხებზე. გარდა ამისა, პეტერბურგში მას განუზრახავს დაეარსებინა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი". საამისოდ უამრავი აპარატურა და მოწყობილობა მიუღია გერმანიიდან, მაგრამ საერთო მდგომარეობას (ომის დაწყება) ხელი შეუშლია მისთვის, განეხორციელებინა ეს საქმე. მთელი თავისი ენერგია-მოწყობილობა დაუკარგავს, მაგრამ, როგორც ამბობენ, არ შემდრკალა და „მოხეტიალე ჯგუფი" (ანუ „მოხეტიალე ინსტიტუტი") შეუქმნია. თანამშრომლებად სხვადასხვა ადგილის ერთი და იგივე ან სხვადასხვა პირები ბყოლია. ერთხანს ესენტუკშიც უცხოურა, სადაც ხახლი შეუძენია, მერე კი თბილისში ჩამოსულა (ჩანს, 1919 წელს).

გერმანელი მონოგრაფიის ავტორი წერს, გურჯიევის „ინსტიტუტის ბახსნა განწარახული იყო კავკასიაში, თბილისში..."

...პირველად, მართლაც, თბილისში განუხორციელებია გურჯიევს თავისი ოცნება და, როგორც თვითონ წერს, გენალიან სამინისტროს ნებართვით დაუარსებია „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი", სადაც ფიზიკურ-ფსიოეტიკური აღზრდა და სწავლა-განათლება წარმოებდა ე. წ. „გიგ"-ის (ინიციალებით: გიორგი ივანეს ძე გურჯიევი) სისტემით. საკარო-თვლოს ცენტრალური არქივის განათლების სამინისტროს ფონდში ახლაც ინახება დოკუმენტები ამ ინსტიტუტის ბახნსის შესახებ. უცხოეთიდან ჩამოსული შეფიცენის დოქტორი ლ. გ. შარნვალი, პროფესორი ფ. ა. ჰარტმანი, თბილისის არსებული ეკა დალკროზის სისტემის რიტმული სკოლის ხელმძღვანელი ანნა მატენსონი და სახელმწიფო თეატრის მხატვარი ა. ზალცმანი წერენ განათლების მინისტრს, ნება დართოს, ბახსნან თბილისში „ინსტიტუტი ადამიანის ჰარმონიული განვითარებისა გ. ი. გურჯიევის მეთოდით", რაც მათი აზრით, „მკაცრ მეცნიერულ, ექსპერიმენტულ ცოდნას ეურდნობა". ამ თხოვნას თან ერთვის იმავე პირების მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოცემულია გიორგი ივანეს ძე გურჯიევის სისტემის ძირითადი დებულებანი.

—ადამიანმა თანამედროვე ცხოვრების პირობების შედეგად, — წერია ამ ბარათში, — გადაუფუძია თავის პირველყოფილ ტიპიურ სახეობას, რაც იმ ადგილის, გარემოსა და კულტურის ერთობლივი გავლენით უნდა შექმნილიყო. რომელშიც იგი დაიბადა და იზრდებოდა, მაგრამ ჩვენი ლოდინ ცივილიზაციამ, თავისი ზეგავლენის განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, მოსწყვიტა იგი განვითარების ბუნებრივ პირობებს. მართალია, ცივილიზაციამ ადამიანს ახალი გზები გაუხსნა მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკური პირობების გასავითარებლად, რითაც მნიშვნელოვნად გაადვილოთვა მისი მსოფლმხედველობა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ყოველმხრივ ალემალლინა იგი არსებობის ახალ საფეხურზე, მან ადამიანური ყოფის ცალკეული მხარეები განავითარა სხვა დანარჩენის საზიანოდ. ან სულაც ჩაკლა ზოგიერთი მათგანი, რის გამოც ინდივიდუალურად დასრულებულსა და შშობელ ბუნებასთან ჰარმონიულად შერწყმულ ადამიანს მოუსპო საკუთარი უპირატესობანი, რითაც შეუძლებელი გახადა ახალი ტიპის ყოველმხრივი სრულყოფა.

მოხსენებითი ბარათის ავტორების აზრით, ამას ეწესებრიმენტულად ამტკიცებს გ. ი. გურჯიევის სისტემა, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ადამიანის მსოფლაღქმა და მისი გარეგნული გამოვლენა არ წარმოადგენს ყველა სულიერი ძალის სწორი ურთიერთთმოქმედებისა და არსის შეგნებულ გამოხატულებას. ამიტომ მისი პიროვნება არ არის ავტოკრატული. იგი თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ მისი საშუალებითი მოქმედებენ, კი არ აზროვნებს, არამედ მისით აზროვნებენ, კი არ ქმნის, არამედ მისით ქმნიან... თანამედროვე ადამიანის მსჯელობა საგნებზე ცალმხრივია. მას აკლია ერთიანობა, ჰარმონიულობა, ამის გამოსწორებას გურჯიევი ფიქრობს ადამიანის ჰარმონიული განვითარებით, რისთვისაც მოხსენებითი ბარათის ავტორები იიხოვენ სპეციალური ინსტიტუტის გახსნას „ყოველმხრივ განვითარებული პედაგოგების მომზადებისთვის". ამ ინსტიტუტის პირველდაწყებითი მეცადინეობის ხელმძღვანელობას, — წერენ ისინი, — კისრულობს თვითონ გ. ი. გურჯიევი, რომელიც „ამისთვის დროებით წყვეტს საერთაშორისო ფიზიკურ-შრომითი თანამშრომლობის საზოგადოების სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობას".

იმავე საბუთებიდან ჩანს, რომ განათლების მინისტრს ნება დაურთავს ამ ინსტიტუტის გახსნისა და გურჯიევისაც დაუწყია მუშაობა. შემდეგ ეგი ჩერილებს წერდა თურმე თავის პეტერბურგელ მოწაფეს უსპენსკის და თხოვდა, ჩამოსულიყო თბილისში მის ინსტიტუტში სამუშაოდ. მაგრამ, როგორც ჩანს, უსპენსკი ვერ ჩამოსულა და გურჯიევს თვითონ გაუგრძელებია მოღვაწეობა თბილისის ინსტიტუტში, სადაც მას ჰყოლია ორივე სქესის 62 მოწაფე: „რუსები, თბილისელები. კონსტანტინოპოლელები, ინგლისელები და ფრანგებიო" — წერს ბეენჰოფერი.

მეცადინეობა თურმე დილით და საღამოთი მიმდინარეობდა. ბავშვებს ავარჯიშებდნენ ნებისყოფის გამოშუშავებაში, მეხსიერებისა და ყურადღების განვითარებაში, ფიქრების, ინსტინქტისა და ემოციების დამორჩილებაში და სხვ. პაუელი აცხადებს, ეს სისტემა მაშინ გავრცელებული იყო ბომბეიში, ალექსანდრიაში, ქაბულში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სტოკჰოლმში, მოსკოვსა და ესენტუკში.

ეტყობა, გურჯიევის თბილისში მოღვაწეობაც ფართოდ ყოფილა ცნობილი, რადგან გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ბეენჰოფერი არამცთუ დაინტერესებულა ამით, არამედ სპეციალურად ჩამოსულა თბილისში და შეხვედრია გურჯიევს. ბეენჰოფერი ამ შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს:

— შავი ზღვით ჩავედი თბილისში გურჯიევის სანახავად. ვნახე კიდეც. მისი ინსტიტუტი მოთავსებული იყო ერი პატარა ეზოში, მაღაზიის შენობაში. გურჯიევს გრძელი შავი ულვაშები ჰქონდა, მაღალი შუბლი და ბრიალა თვალები. რუსული ცუდად იცოდა. ლაპარაკობდა ბერძნულად, სომხურად და კავკასიურად (ბეენჰოფერს ალბათ, ქართულადო, უნდოდა ეთქვა, რადგან იგი თბილისს ზოგგერ „ამიერკავკასიას" უწოდებს). იცოდა სპარსული, ფიქრობდა ბალეტის დადგმას ოპერაში. ჩვენ ერთად ვისაუბლეთ ჩინებულ ქართულ რესტორანში მტკვრის ნაპირას...

ბეენჰოფერის ცნობიდანვე ჩანს, რომ გურჯიევს თბილისში დაუწერია ბალეტი „მოგვთა ბრძოლა", უნდოდა დაედგა კიდეც. რეპეტიციებიც დაუწყია, მაგრამ, როგორც ეტყობა, თავისი განზრახვა ვერ განუხორციელებია...

...შემდეგ კონსტანტინოპოლში წასულა, სადაც იგი მოუძებნია უკვე ინგლისსაში მყოფ უსპენსკის და ლონდონში მოუწვეავი. აქ როგორღაც სასპასორტო საქმე გართულებულა და გურჯიევი გერმანიაში წასულა, სადაც ისევ დაკავშირებია კ. ჰაუსჰოფერსა და ტიბეტურ ორგანიზაცია „თულე"-ს. სვასტიკა მან ორგანიზაციის ემბლემად ურჩია თურმე ჰაუსჰოფერს და არა ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისთვის. ჰიტლერმა მერე გადაიღო ეს ემბლემა თავისი მოძრაობისათვის, რაშიც გურჯიეს, რა თქმა უნდა, არავითარი „ღვაწლი" არ მიუძღვის. ის რამდენიმე თვე, რაც გურჯიევმა გერმანიაში დაყო, როგორც ჩანს, დიდად მნიშვნელოვანი იყო „თულეს" წევრებისათვის. 25 წელიწადს ტიბეტში ნაცხოვრები „მასწავლებელი", ცხადია, დიდ გავლენასაც მოახდენდა თა-

ვის „ჭერმანელ ტიბეტელებზე“. უწინარეს ყოვლისა კი „ბაუსმოფერსა“ და ეკეთ მორელიზე. მაგრამ მას, როგორც ჩანს, ეს გარეშეო�d არ მოეწონა და ჩქარა რიგმინდ პეჯარის მიწვევით პარიზში ჩავიდა, სადაც ფონტენბლოს სასახლეში გახსნა თავისი „ბარმენიული განვითარების ინსტიტუტი“. აქ იგი მოიხსენიება როგორც პროფესორი, „რომელმაც თბილისიდან პარიზში, ფონტენბლოს სასახლეში, გადმოიტანა თავისი ინსტიტუტი“. ერთ-ერთ მონოგრაფიას, რომელშიც აღწერილია ეს ამბები, ქვესათაურად აქვს: „თბილისიდან ფონტენბლოში“.

ის ფაქტი, რომ გურჯიევს ფონტენბლო-ავონის ძველი სასახლე დაუთმეს უზარმაზარი ბალითა და ტუალეტ, მის პოპულარობაზე მეტყველებს...

მეორე სიცოცხლე

მრავალფეროვანი იყო გურჯიევის მოღვაწეობა ფონტენბლოში. თავის მრავალრიცხოვან მონაფეებს იგი ახსნიდიდა ადმოსავლურ „საკრალურ ცეკვებს“, ტანრებდა ფსიქოლოგიურ ცდებს, უჩვენებდა, თუ რას შეუძლია ბიაღნოს ადამიანმა თავისი პოტენციური შესაძლებლობების სისტემატური განვითარებით, ხშირად გამოდიოდა თეატრში ელისის მოედანზე, პირველი ცნობა ამის შესახებ გამოქვეყნდა 1923 წელს გაზეთ „Comedia“-ში:

„ბ-ნი პროფესორი გურჯიევი ალბათ პარიზში უცნობია, მაგრამ მას იცნობს მთელი მსოფლიო“, — წერდა გაზეთი და იქვე იუწყებოდა, რომ გურჯიევის სკოლის პირველი გამოსვლა შედგებოდა ელისეს მოედანზე.

როგორც ჩანს, ამ სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. პარიზის პრესა ამბავურდა გურჯიევის შესახებ. მის გარშემო შემოიკრიბნენ თანამოაზრენი და მომდევრები. ე. ნ. „გურჯიევის წრეში“ შედიოდა სხვადასხვა პროფესიისა და განათლების ხალხი, ბალი შორის: ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი ორაჟი, გაზეთ „დეილი მერალდის“ მთავარი რედაქტორი კენი, ცნობილი ამერიკელი არქიტექტორი ვრაითი, ჭირურგი უოლეკი, ეკონომ ბენეტი, ჭეშმარიტ გამომცემელი ანდერსონი და, რაც მთავარია, ცნობილი ინგლისელი მწერალი ალტონ მენსფილდი, რომელსაც უამრავი წერილი აქვს მიწერილი გურჯიევისადმი და მისსავე სასახლეში გარდაიცვალა...

...1924 წელს გურჯიევმა თავისი 40 მოწაფის თანხლებით იმოგზაურა ამერიკაში. ბანდელები ჭკონდა ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ბოსტონში და სხვ. ქალაქებში. იგი უჩვენებდა ძველ საკულტო ცეკვებს და „აოცებდა მაყურებლებს ადმოსავლეთში შესწავლილი ფსიქოლოგიური ფენომენებით“. ამის შემდეგ ამერიკაცა და ინგლისში დაარსდა „გურჯიევის საზოგადოება“. ლონდონში უსაენსი კითხულობდა საკარო ლექციებს „გურჯიევის მოძღვრების“ შესახებ, რაც გამოცემულია ცალკე წიგნად...

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ გურჯიევი ავტოკატასტროფაში მოხვდა. ეკიმები მის გადარჩენასაც „ადმოსავლეთ ხასნეთეს“ მიაწერდნენ. თუმცა ორი კვირის განმავლობაში სრულიად უგრძნობლად იწვა, მაგრამ „ბოგისეულობრა ვარკეშმა“ გადალანინაო მას ეს განსაცდელი.

გამოჯანსაღების მიუხედავად, გურჯიევს უკვე ალარ შეეძლო ეკსპერიმენტები შეშობა და ხალარ გამოსულიყო. მან დაფარა ინსტიტუტი, დაითხოვა მოწაფეები და დაიწყო წერა, რათა „სხვებისთვის გადაეცა თავისი ცოდნა და გამოცდილება“. წერდა ბევრს, დღედაღამ, ეფთავრესად კაფე-რესტორნებში, გემზე, მატარებელში... ამბობენ, რაც ის წერდა, ისე იყო თავის ოთახში ჩაკრამაგებული, რომ გარეშერა ხდებოდა, არაფერი ესმოდაო. ერთხელ ჭკთხეს თურმე, რატომ ფონტენბლოს მშვენიერ პარკში არ წერთო.

— არ შეიძლებია, — უთქვამს ამაზე გურჯიევს, — მე მორჩენია კაფეში წერა, როცა მთელი ხალხსა და მოიცავდეველს ვუფუროვ!

რვა თუ ცხრა წელიწადს ახე გამალებით მუშაობდა თურმე და, როგორც ჩანს, ბევრიც დაუწერია, ამბობენ, თხზულებათა რამდენიმე სერიათ...

...1949 წელს გურჯიევი ერთხელ კიდევ გამეგზავნა ამერიკაში. ნიუ-იორკში მან შეკრიბა თავისი მოოწაფეები და დაუტოვა ანდერძი. დროა ჩემი წიგნების გამოცემას შეუდგეთო. მერე უსაენსისაც დართო ნება, გამოეკეთებინა მისი ლექციები.

როგორც ჩანს, მან იგრძნო სიკვდილის მოახლოება და, მარილაც, იმავე წელს გარდაიცვალა პარიზში...

მოწაფეები მაშინვე შეუდგნენ გურჯიევის ნაწერების შეკრებასა და წესრიგში მოყვანას, შემდეგ — გამოქვეყნებასაც. ეს შედარებით ახალი, ან უკანასკნელი ექვსი-შვიდი წლის ამბავია. ცნობისმოყვარენიც ამიტომ კითხულობენ, რატომ ამდენ ხანს არ ისმოდა გურჯიევის სახელი. თურმე არ იყო მისი მთავარი ნაშრომები შესწავლილი და გამოცემული. ეს მხოლოდ 60-იან წლებში განხორციელდა. ამის შემდეგ კი იგი თანდათან სახელმოხვეული ხდება. ყოველწლიურად გამოდის სტატიები და მონოგრაფიები ან უცნაური პიროვნების შესახებ, რომლის მეშვეობიერობაში ეეცნიერული და ეზოტერული ისე მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მართლაც ძნელია მთელი ამ „საიდუმლოების ბანსა...“ კონფესტატორთა ხალხთ ეზრით, გურჯიევის მოძღვრებაში მთავარია „პიროვნების პრობლემა“ და „პიროვნების ფილოსოფია“ ან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალი მიდგომა ადამიანისადმი“, რაზეც ახლა ჩვეულებრივად ეზოსიტენციონალიზმს

უწოდებენ. გურჯიევის ენაზე ამას ეწოდება „ჩაბედა საკუთარ „მე"-ში და განვითარება იმ მარცვლებისა (Kern), რაც მასშიაა მოცემული". იგი ახსნავლის საშუალებებს, თუ როგორ შეიძლება ადამიანის „შინაგანი მონაცემების" განვითარება და რა შედეგებს შეიძლება მიაღწიოს ამით, რასაც პრაქტიკულად თავისივე მაგალითზედაც უჩვენებდა, დაწუებული უბრალო კულინარიით და გათავებული „ურთულესი ფსიქოლოგიური ფენომენებით..."

...„ადამიანი და Seiner sich Selbst-ესაა გურჯიევის ძიების სფერო, რასაც თვითონ „საკუთარი პიროვნებისა და ქვეყნის ახლებურად" გაგებას უწოდებს. მისი შეხედულებით, ყოველი ადამიანი ორი ნაწილისგან შედგება: სულისა და სხეულისაგან. ორივე მთლიანობაში მოცემული. მაგრამ მაინც ერთმანეთისგან განსხვავებული. სხეულის სფერო მექანიკაა, სულისა — ფსიქოლოგია. ჩვეულებრივი ადამიანი მანქანას ჰგავს, რაც გარეშე ძალების ზეგავლენით მოქმედებს. სულს კი თავისი იმანენტური კანონები აქვს და მხოლოდ დიდად განვითარებულ პიროვნებებში ვლინდება. ჩვეულებრივი ადამიანი უმთავრესად გარეშე გავლენების იმიტაციას ახდენს, შეკანიერად უასახუნებს მას და ამით აზროს კიდეც თავის შინაგან შესაძლებლობებს. მისი გონება დამორჩილებულია და არა თავისუფალი. გურჯიევი წერს, უცოდინარებს ჩგონიათ ადამიანს ერთი გონება აქვსო. მისი აზრით, ეს ასე არ არის. იგი ფიქრობს, რომ გონება შვიდია, იქნებ მეტიც. ყოველ ჩათგანს თავისი ცენტრი გააჩნია ადამიანში, რადგან გონება (სულიც) სხეულის თვისებაა, მისი უნარი, გონების შვიდ ცენტრიდან ანე თუ ინე ჰეტიურად მოქმედებს მხოლოდ ხუთი: ინტელექტის, ემოციის, სქესის, ინსტინქტებისა და მოძრაობის, ანუ ენერგიისა, დანარჩენი ორი კი — უმაღლესი ინტელექტისა და უმაღლესი ემოციისა — ჩაბნეულნია, უმოქმედო: საჭიროა გონების მოქმედი ცენტრების სიხტემატური ვარჯიშითა და ენერგიის ცენტრის ბალანსირებით გავაერთოთ და ავამოქმედოთ უმაღლესი ინტელექტისა და ემოციის ცენტრები, რომ ადამიანმა მიაღწიოს თავისივე შინაგანი მონაცემების შეხამებულ სიმაღლეს.

გურჯიევს ამ „ცენტრების", ანუ „გონებათა" მუშაობა არ ესმის განცალკევებულად. იგი მრავალსახოვანი, მაგრამ მთლიანი, ე. ი. კოეფიციენტიანი ფენომენიაო.

ინტელექტუალური გონება ქმნის თეორიებს და ერთმანეთს ადარებს ხანგებს; ემოციური გონება უფრო გრძნობებს ეხება, ვიდრე იდეებს; ინსტინქტებისა განგებს სხეულის ფსიქიკურ ფუნქციებს; უველა ერთად კი კოეფიციენტიანია. როგორც უმაღლესი გონება, რასაც პიროვნების სრულიოდაგში ისეთივე როლი ეკისრება, როგორიც დირიჟორს ორკესტრში. თუ ეს კოეფიციენტია, ანუ ერთობლიობა მიღწეული არ არის, ადამიანი და საზოგადოებაც მოშლილ ინსტრუმენტს ან უდირიჟორო ორკესტრს ემსგავსება. ასეთი ორკესტრი ვერ ქმნის ჰარმონიას, ვერ აღწევს უმაღლესი გონიერულობისა და ემოციურობის სიმაღლეს.

გურჯიევი ცდილობდა ერთმანეთთან შეეხამებინა ადამიანის, როგორც პიროვნებისა (მუსიკალური ინსტრუმენტი) და საზოგადოების (ორკესტრი) ყველა „ცენტრი": ყოფილიო არა მარტო „დირიჟორი", არამედ შემქმნელი ისეთი ჰარმონიული, კოეფიციენტიანი მუსიკისა, რომელიც ამამაღლებდა ჩვენს არსებობას უმაღლესი გონიერულობის დონემდე. ყოველი მოწაფე მოსთვის თითქოს მუსიკალური ინსტრუმენტი იყო. ვიდრე ორკესტრის ჰარმონიულ ტალღოვნებას მიაღწევდა, იგი მოითხოვდა ოვით ამ ინსტრუმენტის ყოველმხრივ შესწავლას, მისი ყველა შესაძლებლობის მაკსიმალურ გამოვლენას „ჭერ ადამიანური მექანიზმი. მერე ფსიქიკა" — ამბობდა გურჯიევი. იგი მოითხოვდა წლების განმავლობაში დიდი მოთმინებითა და დაჟინებითი წვრთნა-ვარჯიშით ყველა ცენტრის შემატებლობულ ამოშავებას და ადამიანური მექანიზმისა თუ ინტრუმენტის სრულყოფას, რათა მიღწეული ყოფილიყო მთელი ორკესტრის (საზოგადოების) კოეფიციენტიანი ეფექტიდობის სრული ჰარმონია.

ამისთვის იყენებდა გურჯიევი მთელ თავის განსწავლულობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა მეცნიერებათა სფეროში, უფრელი დროიდან დაწყებული ვიდრე დღემდე. იგი ფიქრობდა, რომ უფელს დროში ადამიანებმა ბევრი რამ იცოდნენ თავიანთ პირად შესაძლებლობათა შესახებ და კიდეც ავლენდნენ ამას. მერე პიროვნება თანდათან შეიზღდა გარეშე, მექანიკური ძალების გავლენებითა და საზოგადოებრივი ნორმებით, ხელი აიღო შინაგანი მონაცემების განვითარებაზე, დაკარგა რწმენა საკუთარი თავისა და იქცა „არანორმალური გარეგანი ურთიერთობების მსხვერპლად", რაც „არ არის არც ბუნებისა და არც ღმერთის მიერ მინიჭებული ფაქტორი".

გურჯიევის აზრით, საჭიროა ადამიანმა მთელი თავისი ფსიქიკური, ემოციური და აზრობრივი სფერო მიმართოს საკუთარი პიროვნების გახსნის, გაკეთილშობილებისა და განვითარებისაკენ (Zuz Erkenntnis und Lankung Seiner Selbst)... სხვაგვარად რომ ვთქვათ, გურჯიევის აზრით, ადამიანი ამბრეშუმის ჭიასა ჰგავს, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის გარშემო ბლანდავს შესაძღებლობათა კანონებით დადგენილ საზღვრებს... ქმოვს გარეშოს (პარტს) და იხრჩობს მასში... გურჯიევი კი ეუბნიება ასეთ ადამიანს, დამლოს „ეჭის შეზღუდულობის“ გარეშო (პარტი), გაარღვიოს მისი საზღვრები, ჭიიოს მეორე სიცოცხლე (პეპელა) და გათავისუფლდეს ოვითშეზღუდულობის ფარგლებიდან, როგორც ახალი, ფრთაშესხმული არსება...

...გურჯიევის აზრით, ყველა ადამიანს შეუძლია საკუთარი მეობის შინაგანი განვითარებით მიაღწიოს უმაღლესი ინდივიდუალურობა და ეროსიული ცენტრების ამოკვეთვამდე ისევე, როგორც ოვითონ აღწევდა ამას და ფუჭენებდა კიდევ გაოცებულსა და ზოგჯერ გაოგნებულ საზოგადოებას, დიტრიშ ბონდერის წერილ 1964 წელს: „გურჯიევი დარწმუნებული იყო, რომ ფლობდა ისეთ ცოდნასა და ძალას, რისი გაგონებაც არ სურს ჩვენს ცივილიზაციას“.

ეროვნულ ამას გურჯიევი უკირისპირებდა თანამედროვეობა „შეშლილი ეპოქის მასობრივ ფსიქოზს“ და როცა დაინახა ნაციონალ-სოციალისტების ამგვარი ფსიქოზით შეპყრობილი ბრბოები, კიდევაც განერიდა მათ, ან კი რა შეიძლებოდა საერთო ქონოდა ამ ფაღრესად ბუმბერაზ ადამიანს პიტლერელთა ველურ სისასტიკეესთან? მისი „ავეშრი“ ნაციონალ-სოციალიზმთან მხოლოდ გარეგნულია. ინტერესი ტიბეტისადმი, ხაზოგადოება „თოლე“, „სასჭეულ-ბოქეიდი ბიები“ და სხვა ამგვარი, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გურჯიევს რაე აკავშირებდა პიტლერიელთა მართლაც „ფშიდა ვიტეხებურ როკვასთან“. არც პიტლერის „ფუთიანერივ შთაგონებასა“ და „ინტუიციურ ხილვას“ აქვს რაე საერთო გურჯიევის ნათელმხილველობის პრინციპთან. მით უმეტეს, ეფოციების დამორჩილების ცდებს— „ბრბოების ეკსტაზის“ გამოწვევასთან, რისკენაც პიტლერი პოსტფაშიზმი, დ. ბ. ფუნდ ითქვამს, რომ აღწევდა კიდევ. ეს ხელ სხვა იყო. თუ გურჯიევი „ხალიერ ბრბოსიაზე“ ლაპარაკობდა, პიტლერი თვით „ხალიერობის“ ცნებასაც უარყოფდა. ამბობდა კიდევ:

